



ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირიშვილი, მზია ფოფხაძე, მათა ხაზიური

# მუღბლიური ენა

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტროს მიერ 2018 წელს



ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირიშვილი, მზია ფოფხაძე, მაია ხაზიური

დედაენა

I კლასი

მასწავლებლის წიგნი

რედაქტორები ლალი ბაქრაძე, სოლომონ ნოზაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-605-6

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

შესავალი .....	5
სახელმძღვანელოს სტრუქტურა .....	6
მიზნებისა და შინაარსის რუკა.....	8
<b>წინასაანგბანო პერიოდი</b>	
<b>პირველი კვირა</b>	
1-ლი გაკვეთილი.....	11
მე-2 გაკვეთილი .....	13
მე-3 გაკვეთილი .....	16
მე-4 გაკვეთილი .....	18
მე-5 გაკვეთილი .....	21
მე-6 გაკვეთილი .....	23
მე-7 გაკვეთილი .....	26
<b>მეორე კვირა</b>	
მე-8 გაკვეთილი .....	28
მე-9 გაკვეთილი .....	32
მე-10 გაკვეთილი .....	34
მე-11 გაკვეთილი .....	37
მე-12 გაკვეთილი .....	42
მე-13 გაკვეთილი .....	45
მე-14 გაკვეთილი .....	47
<b>მესამე კვირა</b>	
მე-15 გაკვეთილი .....	49
მე-16 გაკვეთილი .....	51
მე-17 გაკვეთილი .....	53
მე-18 გაკვეთილი .....	56
მე-19 გაკვეთილი .....	59
მე-20 გაკვეთილი .....	62
21-ე გაკვეთილი .....	64
<b>საანგბანო პერიოდი</b>	
22-ე, 23-ე, 24-ე გაკვეთილები .....	66
25-ე, 26-ე, 27-ე გაკვეთილი .....	68
28-ე გაკვეთილი .....	71
29-ე, 30-ე, 31-ე გაკვეთილები .....	75
32-ე, 33-ე, 34-ე გაკვეთილები .....	77
35-ე გაკვეთილი .....	80
36-ე, 37-ე, 38-ე გაკვეთილები .....	82
39-ე, მე-40, 41-ე გაკვეთილები .....	85
42-ე გაკვეთილი .....	88
43-ე, 44-ე, 45-ე გაკვეთილები .....	90
46-ე, 47-ე, 48-ე გაკვეთილები .....	93
49-ე გაკვეთილი .....	96
50-ე, 51-ე, 52-ე გაკვეთილები .....	98
53-ე, 54-ე, 55-ე გაკვეთილები .....	101
56-ე გაკვეთილი .....	104
57-ე, 58-ე, 59-ე გაკვეთილი .....	106
მე-60, 61-ე, 62-ე გაკვეთილი .....	109
63-ე გაკვეთილი .....	112
64-ე, 65-ე, 66-ე გაკვეთილი .....	114
67-ე, 68-ე, 69-ე გაკვეთილი .....	117
70-ე გაკვეთილი .....	120
71-ე, 72-ე, 73-ე გაკვეთილი .....	122
74-ე, 75-ე, 76-ე გაკვეთილი .....	125
77-ე გაკვეთილი .....	129
78-ე, 79-ე, მე-80 გაკვეთილი .....	132
81-ე, 82-ე, 83-ე გაკვეთილი .....	135
84-ე გაკვეთილი .....	138

85-ე, 86-ე, 87-ე გაკვეთილი . . . . .	140
88-ე, 89-ე, 90-ე გაკვეთილი . . . . .	143
91-ე გაკვეთილი . . . . .	146
92-ე, 93-ე, 94-ე გაკვეთილი . . . . .	149
95-ე, 96-ე, 97-ე გაკვეთილი . . . . .	152
98-ე გაკვეთილი . . . . .	155
99-ე, 100-ე, 101-ე გაკვეთილი . . . . .	157
102-ე, 103-ე, 104-ე გაკვეთილი . . . . .	160
105-ე გაკვეთილი . . . . .	163
106-ე, 107-ე, 108-ე გაკვეთილი . . . . .	165
109-ე, 110-ე, 111-ე გაკვეთილი . . . . .	168
112-ე გაკვეთილი . . . . .	171
113-ე, 114-ე, 115-ე გაკვეთილი . . . . .	174
116-ე, 117-ე, 118-ე გაკვეთილი . . . . .	177
119-ე გაკვეთილი . . . . .	180
120-ე, 121-ე, 122-ე გაკვეთილი . . . . .	183
123-ე, 124-ე, 125-ე გაკვეთილი . . . . .	186
126-ე გაკვეთილი . . . . .	189
127-ე, 128-ე, 129-ე გაკვეთილი . . . . .	192
130-ე, 131-ე, 132-ე გაკვეთილი . . . . .	195
133-ე გაკვეთილი . . . . .	198
<b>ანგანისუბეფგომი პერიოდი</b>	
134-ე, 135-ე, 136-ე გაკვეთილი . . . . .	201
137-ე, 138-ე, 139-ე გაკვეთილი . . . . .	204
140-ე, 141-ე გაკვეთილი . . . . .	207
142-ე, 143-ე გაკვეთილი . . . . .	209
144-ე, 145-ე, გაკვეთილი . . . . .	211
146-ე, 147-ე, 148-ე-ე გაკვეთილი . . . . .	213
149-ე, 150-ე გაკვეთილი . . . . .	215
151-ე, 153-ე გაკვეთილი . . . . .	217
154-ე, 155-ე, 156-ე გაკვეთილი . . . . .	219
157-ე, 158-ე გაკვეთილი . . . . .	221
159-ე, 160-ე, 161-ე გაკვეთილი . . . . .	223
162-ე, 163-ე გაკვეთილი . . . . .	225
164-ე, 165-ე, 166-ე გაკვეთილი . . . . .	227
167-ე, 168-ე გაკვეთილი . . . . .	229
169-ე, 170-ე გაკვეთილი . . . . .	232
171-ე, 172-ე გაკვეთილი . . . . .	235
173-ე, 174-ე გაკვეთილი . . . . .	237
175-ე, 176-ე, 177-ე გაკვეთილი . . . . .	239
178-ე, 179-ე გაკვეთილი . . . . .	241
180-ე, 181-ე, 182-ე გაკვეთილი . . . . .	243
183-ე, 184-ე, 185-ე გაკვეთილი . . . . .	246
186-ე, 187-ე, 188-ე გაკვეთილი . . . . .	249
189-ე, 190-ე, 191-ე გაკვეთილი . . . . .	252
192-ე, 193-ე, 194-ე გაკვეთილი . . . . .	255
195-ე, 196-ე გაკვეთილი . . . . .	258
197-ე, 198, 199-ე გაკვეთილი . . . . .	261
200-ე, 201-ე, 202-ე გაკვეთილი . . . . .	263
203-ე, 204-ე, 205-ე გაკვეთილი . . . . .	266
206-ე, 207-ე გაკვეთილი . . . . .	269
208-ე, 209-ე გაკვეთილი . . . . .	271
210-ე, 211-ე გაკვეთილი . . . . .	273
212-ე, 213-ე, 214-ე გაკვეთილი . . . . .	275
<b>დამატებითი მასალა . . . . .</b>	<b>279</b>

## შესავალი

ჩვენ მიზნად დავისახეთ ისეთი სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, ეყრდნობა ქართულ სინამდვილეში მშობლიური ენის სწავლების ტრადიციებსა და გამოცდილებას, მეორე მხრივ კი – მეცნიერულ კვლევასა და თეორიულ ნაშრომებს.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა კითხვის სწავლების უნიკალური მეთოდი, რომელიც „ფერადი მარცვლების“ სახელითაა ცნობილი. ამ მეთოდის მიხედვით, სიტყვაში მარცვლები დეფისის გარეშე, ნითელი და ლურჯი ფერებით გამოიყოფა ისე, რომ სიტყვა არ ნანევრდება.

„ფერადი მარცვლები“ ეხმარება ბავშვებს კითხვის პროცესში და უიოლებს სიტყვების დამარცვლას. ამავდროულად, „ფერადი მარცვლები“ სიტყვის მთლიანობით აღქმასაც უზრუნველყოფს. ამიტომ ბავშვები მარტივად და სწორად ახერხებენ მარცვლების სიტყვებად გაერთიანებას. საბოლოო ჯამში, ბავშვები ძალიან სწრაფად ეუფლებიან კითხვას. ამ მეთოდს წლების განმავლობაში იყენებენ პედაგოგები საქართველოს მრავალ სკოლაში. ყოველი მათგანი ადასტურებს „ფერადი მარცვლების“ მეთოდის პრაქტიკულ ღირებულებასა და ეფექტურობას.

საავტორო ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მასალის შერჩევას. ჩვენი სახელმძღვანელოს ტექსტები თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია და ითვალისწინებს პირველკლასელთა ასაკობრივ თავისებურებებს. სახელმძღვანელოში ბევრი ტრადიციული, კლასიკური თუ ხალხური ლექსი და მოთხრობა შევიდა, ტექსტების ნაწილი კი თანამედროვე ქართველმა ავტორებმა დაწერეს სპეციალურად ამ წიგნისათვის.

წიგნი გაფორმებულია პლასტიკურად და გამომწვევით ფიგურების სამგანზომილებიანი ილუსტრაციებით. გაფორმების ეს ორიგინალური ხერხი დადებით ემოციურ ეფექტს ახდენს ბავშვებზე და მათში „მსგავსის შექმნის“ სურვილს აღვიძებს.

სახელმძღვანელოს ახლავს აუდიოდისკი, რომელზეც ჩანერილია სპეციალურად ჩვენი წიგნისთვის შექმნილი ორი სიმღერა. ლექსები მასწავლებლის წიგნშიცაა ჩართული, ნოტები კი წიგნის ბოლოსაა მოცემული დანართის სახით. ეს მასალა მასწავლებლებს შემაჯამებელი გაკვეთილების ჩატარებაში დაეხმარება.

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის განხილული უკლებლივ ყველა გაკვეთილი. აქ მოთხრობილია, თუ რა მიზანს ემსახურება კონკრეტული გაკვეთილი და რა უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობს ხელს ესა თუ ის სავარჯიშო. აქტივობების ტიპი მრავალფეროვანია (ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფური და ა. შ.). ამ აქტივობებისათვის შესაფერის მერხების განლაგების სურათებს მე-2 დანართში გთავაზობთ.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია საკითხავი მასალა, საიდანაც მასწავლებელს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია ამოარჩიოს ნებისმიერი და ნაუკითხოს ბავშვებს. გაკვეთილი, ბუნებრივია, არჩეული ტექსტის მიხედვით წარიმართება.

## სახელმძღვანელოს სტრუქტურა

სახელმძღვანელო მოიცავს ქართული ენის სწავლების სამ ეტაპს: წინასაანბანოს, საანბანოს და ანბანისშემდგომს.

**I. წინასაანბანო ეტაპზე,** რომელიც 21 გაკვეთილს მოიცავს, ძირითადად ყურადღება მახვილდება მოსწავლეების მოტივირებაზე სწავლისათვის. ხდება მათი მომზადება კითხვისა და წერის შესწავლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზეპირმეტყველების განვითარებას. მიზანმიმართულად იწყება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება. მოსწავლეები ეუფლებიან სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულირებას, სივრცით და დროით მიმართებებს. აღწერენ სა-განთა განლაგებას, სწავლობენ ცნებებს: „მარჯვენა“, „მარცხენა“..., ასრულებენ მასწავლებლის მარტივ ინსტრუქციებს.

მოსწავლეები ეუფლებიან საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, მონაწილეობენ სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში, გამოთქვამენ თავიანთ აზრს და უსმენენ სხვას. ამ პერიოდში საფუძველი ეყრება მართლმეტყველების წესების სწავლებას.

წინასაანბანო ეტაპი მოიცავს შემდეგ თემებს: ოჯახი, სკოლა, სწავლა და გართობა, პროფესიები, წელიწადის დრონი, დამწერლობები, სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, ცხოველები და ფრინველები.

წინასაანბანო პერიოდში ხდება წერისათვის მზადება ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულებით მოსწავლის რვეულში.

**II. საანბანო ეტაპი.** ეს ეტაპი მოიცავს 105 გაკვეთილს და თავის მხრივ, სამ ნაწილად იყოფა.

I ნაწილი – ასო-ბგერების სწავლება პირველიდან მეცხრე ასოს ჩათვლით. ამ დროს ხდება ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვებისა და მარტივი წინადადებების ამოკითხვა. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრაციის დაკავშირება ტექსტთან – ტექსტში მითითებული საგნების ამოცნობა. მოსწავლე ეჩვევა კითხვისას პაუზების გაკეთებას, სხვის მიერ დაწყებული კითხვის გაგრძელებას.

ამ ეტაპზე მინიმალური ყურადღება ეთმობა ცალკეული ასოების გამორჩევას. ისინი მხოლოდ გაკვეთილის მსვლელობისას არის ნახსენები. სიტყვების ანალიზი ხდება მარცვლების და არა ასოების დონეზე.

რაც შეეხება წერას, ბავშვები სწავლობენ ნასწავლი ასოებისა და სიტყვების გამორწერას. ამ ეტაპზე მოსწავლე გამოიმუშავებს წიგნთან მუშაობის საწყის ჩვევებს.

II ნაწილი – ასო-ბგერების შესწავლა მეათედან მეთექვსმეტე ასოს ჩათვლით. ამ დროს ბავშვებს ვასწავლით სიტყვების გამთლიანებას. წინადადებები და მოკლე ტექსტები ერთი ფერისაა. ცალკეული სიტყვები კი კვლავ ფერადი მარცვლებით იწერება.

მოსწავლის კითხვის უნარ-ჩვევა ამ ეტაპზე შესამჩნევად ვითარდება. რაც შეეხება ზეპირმეტყველებას, მოსწავლეს უკვე გარკვეული ლექსიკური მარაგი აქვს დაგროვებული. საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებიც უფრო განმტკიცებულია. მოსწავლე სისტემატურად მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში.

III ნაწილი მოიცავს ასო-ბგერების სწავლებას მეჩვიდმეტე ასოს შემდეგ ანბანის ბოლომდე. ამ პერიოდში ბავშვი იწყებს გააზრებულ კითხვას. უკვე შესაძლებელია ბგერით ანალიზზე გადასვლა, რათა ბავშვმა შეძლოს სიტყვიდან ასო-ბგერების გამოყოფა და ასო-ბგერებით სიტყვების აწყობა. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმძღვანელოში მოცემულია მრავალფეროვანი აქტივობები. ამ ეტაპზე სიტყვების ამოკითხვა კვლავ ფერადი მარცვლებით ხდება, მცირე ზომის ტექსტები კი ერთ ფერშია.

ზეპირმეტყველება კიდევ უფრო ვითარდება. მოსწავლე კითხვების დასმით აღიქვამს მოქმედების, საგნებისა და მათი თვისებების გამომხატველ სიტყვებს. იგი გამოარჩევს წინადადების საზღვრებს ტექსტში, უმყარდება წიგნთან მუშაობის ჩვევები.

**III. ანბანისშემდგომი ეტაპი.** ეს ეტაპი 87 გაკვეთილს მოიცავს. მასში 34 ტექსტია. ამ ეტაპზე მოსწავლეები უკვე კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ მცირე მოცულობის ტექსტებს – მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს, იგავ-არაკებს, რომელთაც დართული აქვთ ანდაზები და გამოცანები.

გაკვეთილებში მრავალფეროვანი აქტივობებია, რომლებიც რამდენიმე რუბრიკაშია გაერთიანებული და ძირითადად ტექსტზე მუშაობაზეა ორიენტირებული.

ამ ეტაპზე წერიტი სავარჯიშოები უფრო გართულებულია: წერა კარნახით, დაფიდან და წიგნიდან გადანერა, მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა და სიტყვაგამოტოვებული წინადადებების შევსება და ა.შ.

გთავაზობთ ანბანისშემდგომი ეტაპის ტექსტების ჩამონათვალს:

ლიზიკოს წერილი	თ. ერისთავის მიხედვით
თხა და გიგო	ი. გოგებაშვილის მიხედვით
„ვაჟო ეგ შენი ქებაო“	ხალხური
უზარი დაბადების დღისთვის ემზადება	ავტორთა ჯგუფი
თქმა ვინ იცის არაკისა	მ. მრევლიშვილი
ჩრუ	ლ. ტოლსტოის მიხედვით
ბერიკაცი და ნამყენი	ი. გოგებაშვილის მიხედვით
ვაშლის ხე	მ. ფოცხიშვილის
„ვახტანგ მეფე“	ხალხური
„ჩვენი ბატონი ერეკლე“	ხალხური
ჩიტის ბუდე	ნ. ნაკაშიძის მიხედვით
შახლი	ვ. გულეური
დაიკო და ძამიკო	ქ. აბრამიშვილი
ქეთოს მერცხალი	ლ. მეგრელიძე
პეპელა და ფუტკარი	ი. გოგებაშვილის მიხედვით
ჯიუტი თხები	ი. გოგებაშვილის მიხედვით
მამალი და საღებავები	ვ. სუტევეის მიხედვით
ყვავი და სურა	ი. გოგებაშვილის მიხედვით
„მოდი ვნახოთ ვენახი“	ხალხური
სიძუნწე	იაპონური ზღაპარი
მელია და ბატები	ძმები გრიშები
ჩვენი პირველი სპექტაკლი	მ. აბრამიშვილი
„აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ“	ხალხური
„ნუ იამაყებ“	ხალხური
სიკო და ძია ნიკო	რ. ქორქიას მიხედვით
პატარა ფეხბურთელი	ქ. აბრამიშვილი
როგორ მიდიოდა ორმოცფეხა ექიმის მოსაყვანად	იაპონური ზღაპარი
ლომის იგავი	ვ. გულეური
პრინცესა ცერცვის მარცვალზე	ჰ. ქ. ანდერსენის მიხედვით
პეპი საყიდლებზე მიდის	ა. ლინდგრენის მიხედვით
ზოოპარკში	მ. აბრამიშვილი
ქამა	ვ. ჩხიკვაძე
პატარა გემი და პატარა დელფინი	ნ. კუპრავა
მზე და წვიმა	ი. გოგებაშვილის მიხედვით
ძაფხული	ნ. კუპრავა

მასწავლებლის წიგნში გამოყენებულია შოთა ამირანაშვილის, ნუგზარ აფხაზავას, ნესტან კუპრავას, ნინო ნაკაშიძის, ალექსანდრე საჩინოელის, გიორგი წერეთლის, გივი ჭიჭინაძისა და იმერი ხარაძის გამოცანები და ენის გასატეხები.



**მიზნებისა და შინაარსის რუკა**

**წინასაანბნო პერიოდი**

გაკვეთილის №	გაკვეთილის თემა	წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები შედეგის კოდი
1	პირველი დღე სკოლაში	(I)1, (I)2
2	ჩვენი სკოლა	(I)1, (I)2, (I)3
3	ჩვენი კლასი	(I)1, (I)2, (I)4
4	მე და ჩემი ოჯახი	(I)1, (I)4
5	ბალი და სკოლა	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
6	სათამაშოები და სასწავლო ნივთები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
7	მე და ჩემი მეგობრები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
8	წელიწადის დრონი	(I)1, (I)2, (I)4, (I)9
9	შემოდგომის ფერები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
10	საშემოდგომო საქმიანობა	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)9
11	შინაური და გარეული ცხოველები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
12	შინაური და გარეული ფრინველები	(I)1, (I)2, (I)4
13	საოცარი ცხოველები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
14	არარსებული (ზღაპრული) პერსონაჟები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
15	სად ვცხოვრობთ? – ქალაქი და სოფელი	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
16	ჩვენი სამშობლო	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
17	რას ვაკეთებთ?	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
18	ჩვენი ლამაზი დედამიწა	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)9
19	სხვადასხვა ენა და დამწერლობები	(I)1, (I)2, (I)4
20	ქართული ენა და დედაენა	(I)2, (I)3, (I)4
21	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I)1, (I)2, (I)4, (I)5

**საანბნო პერიოდი**

გაკვეთილის №	გაკვეთილის თემა ასო-ბგერები	წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები შედეგის კოდი
22, 23, 24	ასო-ბგერა „ა“, „ი“	(I)1, (I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)9, (I)14
25, 26, 27	ასო-ბგერა „თ“	(I)1, (I)4, (I)5, (I)6, (I)9, (I)10, (I)12, (I)14,
28	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I)1, (I)4, (I)5
29, 30, 31	ასო-ბგერა „ს“	(I)1, (I)2, (I)6, (I)10, (I)12, (I)14
32, 33, 34	ასო-ბგერა „ხ“	(I)1, (I)8, (I)11, (I)14
35	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
36, 37, 38	ასო-ბგერა „ო“	(I)1, (I)6, (I)12, (I)14,
39, 40, 41	ასო-ბგერა „ე“	(I)1, (I)4, (I)5, (I)6, (I)11, (I)12,
42	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I)1, (I)2, (I)3, (I)4
43, 44, 45	ასო-ბგერა „უ“	(I)1, (I)6, (I)11, (I)14
46, 47, 48	ასო-ბგერა „მ“	(I)1, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)12, (I)14
49	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
50, 51, 52	ასო-ბგერა „ძ“	(I)1, (I)6, (I)8, (I)11, (I)14
53, 54, 55	ასო-ბგერა „შ“	(I)1, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)10, (I)11, (I)14

56	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
57, 58, 59	ასო-ბგერა „კ“	(I1, (I)5, (I)6, (I)7, (I)11, (I)14, (I)15
60, 61, 62	ასო-ბგერა „ე“	(I1, (I)4, (I)6, (I)7, (I)10, (I)11, (I)14
63	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
64, 65, 66	ასო-ბგერა „გ“	(I1, (I)6, (I)10, (I)11, (I)12, (I)14
67, 68, 69	ასო-ბგერა „ფ“	(I1, (I)6, (I)10, (I)11, (I)12, (I)14
70	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5
71, 72, 73	ასო-ბგერა „ნ“	(I1, (I)6, (I)10, (I)11, (I)14, (I)15
74, 75, 76	ასო-ბგერა „ზ“	(I)2, (I)6, (I)10, (I)11, (I)14, (I)15
77	საზეიმო გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4
78, 79, 80	ასო-ბგერა „რ“	(I1, (I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)9, (I)11, (I)12, (I)14
81, 82, 83	ასო-ბგერა „ჩ“	(I1, (I)3, (I)5, (I)6, (I)7, (I)9, (I)13, (I)14
84	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)7, (I)14
85, 86, 87	ასო-ბგერა „ბ“	(I)2, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)13, (I)14
88, 89, 90	ასო-ბგერა „დ“	(I1, (I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)9
91	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)8, (I)14
92, 93, 94	ასო-ბგერა „ლ“	(I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)13
95, 96, 97	ასო-ბგერა „ო“	(I)5, (I)2, (I)4, (I)6, (I)7, (I)9, (I)14
98	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)7, (I)14
99, 100, 101	ასო-ბგერა „ქ“	(I)3, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)14
102, 103, 104	ასო-ბგერა „ყ“	(I1, (I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)13
105	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)8, (I)13
106, 107, 108	ასო-ბგერა „ბ“	(I1, (I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)9, (I)13
109, 110, 111	ასო-ბგერა „ც“	(I1, (I)3, (I)5, (I)6, (I)9, (I)14
112	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)9, (I)12
113, 114, 115	ასო-ბგერა „ტ“	(I1, (I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)13
116, 117, 118	ასო-ბგერა „წ“	(I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)9, (I)13
119	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)9, (I)13
120, 121, 122	ასო-ბგერა „ჯ“	(I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)13, (I)14
123, 124, 125	ასო-ბგერა „ჭ“	(I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)9, (I)13, (I)15
126	შემაჯამებელი გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)9, (I)15
127, 128, 129	ასო-ბგერა „შ“	(I1, (I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)9, (I)15
130, 131, 132	ასო-ბგერა „შ“	(I1, (I)3, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)13, (I)15
133	საზეიმო გაკვეთილი	(I1, (I)2, (I)3, (I)4, (I)9, (I)15

**ანბანის შემდგომი პერიოდი**

გაკვეთილის №	გაკვეთილის თემა	წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები შედეგის კოდი
134, 135, 136	ლიზიკოს წერილი	(I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)13, (I)15
137, 138, 139	თხა და გიგო	(I)2, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)14, (I)15
140, 141, 142	უზარი დაბადების დღისთვის ემზადება	(I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)15
143, 144	თქმა ვინ იცის არაკისა	(I)3, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)14
145, 146	ცრუ	(I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)12, (I)15
147, 148, 149	ბერიკაცი და ნამყენი	(I)2, (I)4, (I)5, (I)9, (I)10, (I)11, (I)12, (I)14

150,151	ვაშლის ხე	(I)2, (I)4, (I)5, (I)9, (I)10, (I)11, (I)12, (I)14
152,153	ხალხური პოეზია	(I)5, (I)3, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)15
154,155,156	ჩიტის ბუდე	(I)2, (I)4, (I)5, (I)8, (I)9, (I)10, (I)13, (I)15
157,158	სახლი	(I)1, (I)2, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)12, (I)13
159,160,161	დაიკო და ძამიკო	(I)2, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)14
162,163	ქეთოს მერცხალი	(I)2, (I)3, (I)4, (I)5, (I)7, (I)8, (I)9, (I)11, (I)15
164,165,166	პეპელა და ფუტკარი	(I)1, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)13, (I)14
167,168	ჯიუტი თხეზი	(I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)11, (I)12, (I)13
169,170	მამალი და საღებავები	(I)1, (I)4, (I)5, (I)6, (I)9, (I)11, (I)15
171,172	ყვავი და სურა	(I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)12, (I)14
173,174	თხა და ვენახი	(I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)9, (I)10, (I)13, (I)14
175,176,177	სიძუნწე	(I)2, (I)5, (I)8, (I)9, (I)10, (I)12, (I)13, (I)14
178,179,180	მელია და ბატები	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)11, (I)14
181,182,183	ჩვენი პირველი სპექტაკლი	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)11, (I)13
184,185, 186	ხალხური პოეზია	(I)1, (I)2, (I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)15
187,188,189	სიკო და ძია ნიკო	(I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)13, (I)15
190,191, 192	პატარა ფეხბურთელი	(I)2, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)12, (I)15
193,194, 195	როგორ მიდიოდა ორმოცფეხა ექიმის მოსაყვანად	(I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)14
196,197	ლომის იგავი	(I)2, (I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)11, (I)13, (I)15
198,199,200	პრინცესა ცერცვის მარცვალზე	(I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)13, (I)15
201,202,203	პეპი საყიდლებზე მიდის	(I)2, (I)3, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)14
204,205,206	ზოოპარკში	(I)2, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)12, (I)15
207,208	ქამა	(I)3, (I)4, (I)5, (I)6, (I)9, (I)11, (I)13, (I)15
209,210	პატარა გემი და პატარა დეღფინი	(I)2, (I)5, (I)6, (I)7, (I)8, (I)9, (I)10, (I)14
211,212	მზე და წვიმა	(I)1, (I)4, (I)5, (I)9, (I)10, (I)2, (I)14
213,214,215	ზაფხული	(I)2, (I)5, (I)6, (I)8, (I)9, (I)10, (I)11, (I)12, (I)15

## წინასწარპროგნოზი

### პირველი კვირა

#### 1-ლი გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „პირველი დღე სკოლაში“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებში და ეტიკეტის ენობრივი ფორმულების ამოცნობა;
- მოსწავლემ გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია;
- ურთიერთგაცნობა.

**საჭირო რესურსები:** დაფა, ცარცი, ფორმატის ქაღალდი, ფერადი ქაღალდები, ნებო.

#### გაკვეთილის მსვლელობა

##### **I. საორგანიზაციო ნაწილი (7 წთ.)**

ამ დროს შედგება მასწავლებელთან პირველი შეხვედრა, გასაუბრება, სასკოლო რეჟიმის გაცნობა.

სასურველია, პირველკლასელთა სკოლაში მიღებამდე სათანადოდ იზრუნოთ კლასში ესთეტიკური გარემოს შექმნაზე: პატარებს ლამაზად მორთული საკლასო ოთახი დაახვედროთ, წინასწარ შეარჩიოთ და მოიმარაგოთ თქვენთვის სასურველი ყველა ის რესურსები, რომელიც დაგეხმარებათ პირველი გაკვეთილის შთამბეჭდავად წარმართვაში.

##### **II. აქტივობა – პასუხი რეპლიკაზე და სიტუაციის გათამაშება („გამარჯობა“) (1 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს გაათამაშებინებს სიტუაციას, როცა ორი ნაცნობი ერთმანეთს ხვდება. თუ მოსწავლეები ვერ მიხვდებიან, რომ შეხვედრისას „გამარჯობა“ უნდა თქვან, მასწავლებელი ეხმარება:

– რას ეტყვი: ბოდიში, მაპატიეთ, გამარჯობა თუ ხმას არ ამოიღებთ?

ამგვარი სიტუაციის გათამაშებისას მოსწავლეები ხვდებიან, რომ ნაცნობებთან შეხვედრისას უნდა თქვან „გამარჯობა“.

##### **III. აქტივობა – თამაში ბურთით („გაცნობა“) (7 წთ.)**

მასწავლებელი წრეში აყენებს მოსწავლეებს, თვითონაც იქვე დგება, შემდეგ ერთ-ერთ მოსწავლეს ბურთს გადაუგდებს და თავის სახელს წარმოთქვამს. მოსწავლემ ბურთი უნდა დააბრუნოს და თავისი სახელი თქვას. ასევე ეცნობა სხვა მოსწავლეებსაც – მიდის თითოეულ მათგანთან, ხელს ართმევს. მოსწავლეები გაცნობისას სახელსა და გვარს ეუბნებიან.

უხსნის ბავშვებს, რატომ არის აუცილებელი ერთმანეთის სახელებისა და გვარების ცოდნა.

##### **IV. აქტივობა – „მზე და მზესუმზირები“ ან „კალათა სოკოებით“ (7 წთ.)**

მოსწავლეებს მაგიდებზე უწყვიათ ქაღალდისგან გამოჭრილი მზესუმზირები, რომლებიც მასწავლებელს მათთვის წინასწარ აქვს მომზადებული. მზესუმზირას შუაგულში ჩანერილია თითოეული მოსწავლის სახელი. მასწავლებელი დაფაზე/ფორმატის ქაღალდზე ხატავს დიდ პირმცინარე მზეს, მის ირგვლივ – სხივებს.

შემდეგ მოსწავლეებს მიმართავს, რომ თითოეულმა მათგანმა თავისი მზესუმზირა ჩაადოს ე. წ. „ჯადოსნურ კალათში“. ეუბნება, რომ ყურადღებით იყონ, კალათიდან ამოღებული მზესუმზირა გადასცენ მასწავლებელს, რომელიც ზედ მიწერილ სახელს ამოიკითხავს. გამოძახებული მოსწავლე გამოვა და კლასს გაეცნობა. ახლა ის თავად ამოიღებს კალათიდან სხვის მზესუმზირას. მასწავლებელი ყველა მზესუმზირას მზის სხივებზე ანაწილებს, აწებებს, მოსწავლეები კი ერთმანეთს ეცნობიან. კალათაში აუცილებლად იდება მასწავლებლის მზესუმზირაც, რომელსაც ერთ-ერთი მოსწავლე ამოიღებს.

ასევე შეიძლება შესრულდეს აქტივობა „კალათა სოკოებით“ („სოკოებს“ კალათიდან ამოვალბინებთ და წინასწარ დახატულ ტყეში გავანაწილებინებთ).

#### **V. აქტივობა – „მიფრინავენ წეროები“ (7 წთ.)**

მასწავლებელი წრეში აყენებს მოსწავლეებს – ორ-ორ მოსწავლეს ერთმანეთის პირისპირ. კლასს უხსნის თამაშის წესებს.

მასწავლებელი ამბობს:

შემოდგომაა. წეროები მიფრინავენ შორს, ძალიან შორს. ისინი სხვა ქვეყნების ბავშვებს ჩვენს სახელებსა და გვარებს გააცნობენ. ბავშვები მათ ჩვენთან მოკითხვას დააბარებენ. გაივლის დრო, წეროები დაბრუნდებიან და თქვენი თანატოლების მოკითხვებსაც მოიტანენ.

მოსწავლეები ამბობენ თავიანთ სახელებს და ერთმანეთს ხელს ხელზე დაჰკრავენ.

#### **VI. საშინაო დავალება (1 წთ.)**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დახატონ დღევანდელი დღის შთაბეჭდილებების ამსახველი სურათები.

#### **VII. აქტივობა – მოიფიქრე რეპლიკა „ნახვამდის“ (2 წთ.)**

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს ასეთ სიტუაციას სთავაზობს:

– წარმოიდგინეთ, რომ ნაცნობებთან დრო სასიამოვნოდ გაატარეთ. ახლა სახლში წასვლის დროა. ერთმანეთს უნდა დაშორდეთ. როგორ მოიქცევით?

თუ მოსწავლეებს შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდებათ, მასწავლებელი მათ სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობს:

– რას ეტყვიან: გამარჯობა, ბოდიში, დიდი მადლობა თუ ნახვამდის?

მასწავლებელი თავადაც ემშვიდობება მოსწავლეებს სიტყვით „ნახვამდის“, აცნობს მათ ეტიკეტის ამ ენობრივ ფორმულას.

## მე-2 ბაკვეთილი

**ბაკვეთილის თემა:** „ჩვენი სკოლა“.

**ბაკვეთილის მიზანი:**

- მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებში, სამეტყველო როლების ცვლა საჭიროების მიხედვით;
- ნაცნობ თემაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტის მოსმენა და გააზრება;
- ნაცნობ თემაზე მარტივი ინფორმაციის გადმოცემა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, ბავშვების მიერ შესრულებული ნამუშევრები (ნახატები).

### ბაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს უკვე ნასწავლს – როგორ უპასუხონ რეპლიკაზე – „გამარჯობა“.

#### **II. აქტივობა – მოსწავლეთა ნახატების პრეზენტაცია (10 წთ.)**

მოსწავლეები წარმოადგენენ წინა დღის შთაბეჭდილებებით შექმნილ ნახატებს. მათი ნამუშევრები გამოიკვრება დაფაზე ან საგამოფენო სტენდზე. მოსწავლეები სათითაოდ გამოდიან და კლასს მოუთხრობენ თავიანთი ნახატების შესახებ. მასწავლებელი იწონებს ბავშვების ნამუშევრებს.

#### **III. აქტივობა – სურათის აღწერა („სკოლისაკენ“) (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ზოგადად აცნობს სახელმძღვანელოს. მოკლედ ესაუბრება მათ წიგნის ყდის, თავფურცლის, ილუსტრაციების, ძირითადი ნაწილის შესახებ. მოუწოდებს, რომ გაუფრთხილდნენ სახელმძღვანელოს.

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად მოსწავლეები აკვირდებიან საბაკვეთილო თემაზე შექმნილ ილუსტრაციას, აღწერენ, მასზე ასახულ სიტუაციას და ადარებენ გუშინდელი დღის შთაბეჭდილებას. მასწავლებელი ცდილობს, რომ მოსწავლეებმა მეტყველებისას გამოიყენონ წინადადების სხვადასხვა მოდალობები (თხრობა, შეკითხვა...).

#### **IV. წუთშესვენება – „წვიმა მოდის“ (2 წთ.)**

მასწავლებელი კლასს უხსნის თამაშის წესებს:

– წვიმა იწყება! – მოსწავლეები ხელებს გამოსწევენ და თითების მოძრაობას წვიმის წვეთების წკაპუნს ამსგავსებენ.

– წვიმა ძლიერდება! – ხელებს გვერდებზე იტყაპუნებენ.

– ჭექა-ქუხილია! – ფეხებს აბაკუნებენ.

– ჭექა-ქუხილმა გაიარა! წვიმა ნელდება!

– წვიმა შეწყდა! – მოსწავლეები თანდათანობით საწყის პოზიციას – სიჩუმეს უბრუნდებიან.

#### **V. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (10 წთ.)**

მოსწავლეები ისმენენ და გააზრებენ მასწავლებლის მიერ წაკითხულ ტექსტს. ისინი სვამენ და უპასუხებენ შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით, ხსნიან უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, ამოიცნობენ პერსონაჟის ემოციურ განწყობილებას (გოგონა გახარებულია, რადგან პირველად წავიდა სკოლაში).

#### **VI. აქტივობა – სამეტყველო ეტიკეტის ფორმულის გამოყენება (1 წთ.)**

მოსწავლეები უპასუხებენ რეპლიკას „ნახვამდის“. მასწავლებელი შეახსენებს კლასს წინა დღით ნასწავლს – როგორ ემშვიდობებიან ნაცნობები ერთმანეთს.

## საკითხავი მასალა

წარმოდგენილი მასალიდან მასწავლებლებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი.

### სკოლისაკენ

პატარა ქრისტიანებმ მზესაც კი დაასწრო ადგომა. აბა, რა იქნებოდა, გოგონა ხომ სკოლაში პირველად მიდიოდა!

ბებია ლამაზი ჩანთა გამოუტანა, დედამ ჩანთაში ახალთახალი წიგნები, რვეულები და ფერადი ფანქრები ჩაუწყო. დედასაც აქ იყო – ანბანის წიგნი.

– გილოცავთ! კარგად გესწავლოს, ჩვენო ქრისტიანე! – გოგონას მთელი ოჯახი შემოეხვია.

ქრისტიანეს პატარა ძამიკო, პატარა ლუკა, სატირლად გაემზადა:

– გგონიათ, სკოლაში წასვლა მე არ მინდა? მეც მივდივარ!

გოგონას სათამაშო დათუნიაც ჯავრობდა:

– რა უსამართლობაა! მეც გულით მინდოდა სკოლაში წასვლა! კარგი რა, ლუკა, ნუ ტირი... აქ არა ვარ? მე ვითამაშებ შენთან! ყველას რატომ გაგინყდებით?

ქუჩა ბავშვებით იყო სავსე. ყვავილებით ხელდამშვენებული ბავშვები სკოლისკენ მიიჩქაროდნენ. პირველკლასელებს უფროსები მიაცილებდნენ. ზოგი თავის დედიკოს მიჰყავდა, ზოგი – მამიკოს, ზოგიც – ბებოს ან პაპას.

პირველკლასელებიდან ზოგი ჩაფიქრებულიყო, ზოგი კი უფროსებს ეკითხებოდა:

– დედა, სკოლა როგორია?

– ჩემს მასწავლებელს რა ჰქვია?

– ბავშვები როგორ შემხვდებიან? იქ ბალის ამხანაგებს ვნახავ?

ერთ გოგონას თავისი დედიკოს კაბის კალთა მაგრად ჩაებლუჯა – სკოლაში უშენოდ არ დავრჩებიო.

ცხრათვალა მზემ ბავშვებს გზა გაუნათა. თბილი სხივებით ქრისტიანესაც მოეფერა, მოეალერსა. გზაზე გოგონამ ერეკლე დაინახა, ბალის ამხანაგი. ორივეს გაუხარდა, რომ სკოლაშიც ერთად იქნებოდნენ.

სკოლის კარებთან ბავშვებს ნინო მასწავლებელი ელოდებოდა. ისე ალერსიანად იღიმებოდა, პირველკლასელებს თვალელები გაუბრწყინდათ. დედის კალთას ჩაბლაუჭებულმა გოგონამ ახლა მასწავლებელს ჩასჭიდა ხელი.

ზარმა მხიარულად დაინკრიალა. ნინო მასწავლებელი პირველკლასელებს სკოლაში შეუძღვა.

### ყაყაჩო და დალი

გათენდაო! – ყაყაჩომაც

გაახილა თვალი...

დილაა და... სკოლისაკენ

მიცუნცულებს დალი, –

პანანინა,

ცეროდენა,

ცუგრუმელა ქალი.

ლობე-ლობე ჩურჩულებენ

ჭადარი და ქარი,

ჩურჩულებენ:

ვინ ჯობია,

ყაყაჩო თუ დალი?

*მ. მაჭავარიანი*

## მონვევა სწავლაზე

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,  
დაურჩი დედაშენსაო,  
საქმე რომ არა გქონდეს რა,  
ჩამოირბენდე ჩვენსაო,  
გადგიშლი წიგნსა პატარას,  
მეც მოგიჯდები გვერდსაო,  
გასწავლი წერა-კითხვასა,  
არაკებს გეტყვი ბევრსაო.  
*ხალხური*

\* \* \*

ყაყაჩოსა სინითლითა  
ყანა დაუმშვენებია,  
ყმანვილსა კარგი სწავლითა  
დედა გაუხარებია.  
*ხალხური*



## მე-3 ბაკვეთილი

ბაკვეთილის თემა: „ჩვენი კლასი“.

ბაკვეთილის მიზანი:

- ორიენტირება სასკოლო გარემოში, სკოლაში ქცევის წესების გაცნობა;
- სივრცითი მიმართებების ამოცნობა;
- ზეპირმეტყველების განვითარება: სურათის აღწერა, მოსმენილი ტექსტის ანალიზი და სინთეზი.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, საკლასო გარემოს ამსახველი ნებისმიერი თვალსაჩინოება – სურათი.

### ბაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – სივრცითი მიმართებები (4 წთ.)

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

– სად ვიმყოფებით?

შემდეგ მოითხოვს სიჩუმეს, რომელიც იქამდე გრძელდება, ვიდრე არ იტყვის „თქვით“.

სვამს სხვადასხვა კითხვას:

- რა ფერისაა ჩვენი საკლასო ოთახის კედლები? თქვით!
- რა კიდია თქვენ წინ კედელზე?
- რა დგას უკანა კედელთან?
- რას ხედავთ თქვენ ზემოთ?
- ქვემოთ რა არის?
- რას ხედავთ მარჯვნივ? (უთითებს) თქვით!
- რა არის მარცხნივ? (უთითებს) თქვით! და ა. შ.

#### III. აქტივობა – სურათის აღწერა („ჩვენი კლასი“) (8 წთ.)

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, აღწერენ საგნებს, მათ მდებარეობას სივრცეში (ზემოთ, ქვემოთ, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ).

სურათის აღწერისას იყენებენ წინადადების სხვადასხვა მოდალობას (შეკითხვა – პასუხი...).

#### IV. წუთშესვენება – რიტმული მოძრაობები მუსიკის თანხლებით (2 წთ.)

#### V. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (13 წთ.)

მასწავლებელი კლასს უკითხავს ტექსტს „ჩვენი კლასი“.

მოსმენის შემდეგ გაანალიზდება ტექსტი, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, დაისმება სხვადასხვა სირთულის კითხვები. მოსწავლეები თავადაც დასვამენ შეკითხვებს. მოთხრობაში აღწერილ ოთახს თავიანთ საკლასო გარემოს შეადარებენ.

ჩამოყალიბდება სკოლაში მოქცევის რამდენიმე მარტივი წესიც.

#### VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)

მოთხრობიდან ზეპირად ამოიკრიბება სიტყვები – დაფა, მერხი, მაგიდა, კარადა... მასწავლებელი მოსწავლეებს მკაფიოდ უმარცვლავს ერთ ან ორ სიტყვას. ეუბნება, რომ ამას სიტყვების დამარცვლა ჰქვია. ბავშვებს სიტყვების დამარცვლის ბუნებრივი უნარი აქვთ. შერჩეულ სიტყვებს ისინი ადვილად დამარცვლავენ.

#### VII. აქტივობა – სამეტყველო ეტიკეტის ფორმულის გამოყენება (3 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, როგორ ემშვიდობებიან ერთმანეთს ნაცნობები. ბავშვები და მასწავლებელი ერთმანეთს ემშვიდობებიან სიტყვით „ნახვამდის“.

## საკითხავი მასალა

### ჩვენი კლასი

რა კარგია, რომ უკვე პირველკლასელი ვარ! ნინო მასწავლებელმა ყველას გაგვიღიმა და აღერსიანი ხმით გვითხრა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! სწავლის დაწყებას გილოცავთ, ბავშვებო! ახლა კი ჩვენი საკლასო ოთახი ვნახოთ!

საკლასო ოთახი ძალიან მოგვეწონა. მასწავლებელს ისე ლამაზად მოერთო: კედლებზე ლამაზი სურათები გამოეფინა, ქერზე ფერადი ალმები ეკიდა, იატაკი სისუფთავისგან კრიალებდა.

მერხებისკენ გავიქეცი და სათითაოდ მივუსხედი. ყველამ ის ადგილი ავირჩიეთ, რომელიც გვინდოდა.

ჩვენ წინ, მასწავლებლის მაგიდაზე, წიგნები ეწყო და ყვავილებით სავსე ლარნაკი იდგა. კედელზე დაფა ეკიდა.

უკან კედელთან დიდი, შუშებიანი კარადა იდგა, ზედა თაროზე წიგნები ეწყო, ქვედაზე – რვეულები.

ჩემ მარჯვნივ სანდრო იჯდა. მარცხნივ თიკოს მერხი იყო. თიკომ მითხრა, ორი წითელი ვაშლი მაქვს და ერთს შენ მოგცემო. მე კანფეტს დავპირდი.

მასწავლებელს ჩვენი სახელები ვუთხარი. მარტო ერთი გოგონა გაგვებუტა, სახელი არაფრით არ გვითხრა. მასწავლებელი მოეფერა, მისკენ დაიხარა. გოგონამ კისერზე მოხვია ხელები და სახელი ყურში უჩურჩულა. თურმე ელენე რქმევია.

ერთმა ბიჭმა ბევრი გვაცინა. სახელი გვითხრა და სასწრაფოდ იკითხა:

– მას... სკოლის სასადილოში მალე წაგვიყვანთ?

მასწავლებელმა გაიღიმა და დაგვიპირდა, სკოლას დღესვე დაგათვალიერებინებო.

ასე გავიცანით ერთმანეთი. მერე მასწავლებელმა წრეში ჩაგვაცენა. კლასელებმა ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ. ჩემგან მარჯვნივ ერეკლე იდგა, მარცხნივ – სალომე.

ერთმანეთის სახელები კარგად დავიმახსოვრეთ. მასწავლებელს თურმე ჩვენი ფოტოსურათები ჰქონია და ყველას დაგვირიგა. ჩვენ ისინი ქალაქში დახატული დიდი მზის სხივებზე დავაკარი. იქ მასწავლებლის ფოტოც იყო.

მერე ვისხედით მერხებთან და ჩვენს მზეს ვუყურებდით. ისეთი ლამაზი იყო! თითქოს ყველანი მზის სხივები ვიყავით!

მასწავლებელმა გაგვიღიმა და გვკითხა:

– აბა, რას იტყვით? როგორია ჩვენი კლასი?

– კარგია, ძალიან კარგი! – ერთი აურზაური ავტყებთ.

თანაკლასელებთან ყოფნა მართლა კარგი ყოფილა! რა კარგია, რომ უკვე მოსწავლე ვარ!

### მეც ხომ უკვე მონაფე ვარ

პანიას რომ მეძახით,  
აღარა ვარ პანია,  
მეც ხომ უკვე მონაფე ვარ,  
მეც ხომ ფორმა მაცვია?

სკოლაში სულ ადრე მივალ,  
მკვირცხლი, დაუზარელი,  
იქ დილ-დილით წკრიალებენ,  
ტიტინებენ ზარები.

რა ლურჯთვალა დილა არის,  
რა საამო დარია...

განი, ბიჭო! მეც სკოლაში  
მივალ, მიმიხარია!

*ი. ნონეშვილი*

## მე-4 გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: „მე და ჩემი ოჯახი“.

გაკვეთილის მიზანი:

- შეძლონ მარტივი ინფორმაციის გადმოცემა საგაკვეთილო თემაზე;
- გაიაზრონ მოსმენილი ტექსტის შინაარსი, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება.

საჭირო მასალა: სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – საუბარი თემაზე: „ჩემი ოჯახის შესახებ“ და სურათის აღწერა (15 წთ.)

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- ვინ და ვინ ცხოვრობთ ოჯახში?
- ვის ჰყავს და? ძმა?
- ვის ჰყავს ბიძა? დეიდა? მამიდა?
- ვის ჰყავს პაპა (ბაბუა)? ბებია?

(მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა განუმარტოს, რომ პაპა და ბაბუა ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. პაპა იხმარება აღმოსავლეთ, ბაბუა კი დასავლეთ საქართველოში. სალიტერატურო ფორმად მიჩნეულია პაპა. „პაპა“ შედის ისეთ რთულ სიტყვებში, როგორებიცაა „მამა-პაპა“, „მამაპაპური“, „მამაპაპული“.)

- ვინ არის ოჯახში ყველაზე უფროსი? უმცროსი?
- როცა დები ან ძმები ტოლები არიან, ასეთ ბავშვებს რა ჰქვიათ? (ტყუპები).
- ვის ოჯახში არიან ტყუპები?

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები აღწერენ სურათს „ჩემი ოჯახი“.

#### II. ნუთშესვენება – „შინ და გარეთ“ (2 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს საგნებს, რომლებიც ან სახლშია, ან გარეთ. თუ სახლშია, ბავშვები იტყვიან „შინ“, თუ გარეთაა, იტყვიან „გარეთ“. მაგალითად, კარადა (შინ), ხე (გარეთ)...

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ოჯახს სახლი ავუშენოთ“ (5 წთ.)

მასწავლებელ დაფაზე წინასწარ ხატავს საგნებს:

დაფის მარჯვენა მხარეს დახატულია გეომეტრიული ფიგურები – კვადრატები, მართკუთხედები, რომლებშიც ჩამატებულია არასაჭირო საგნებიც, მაგ., ბზრიალა.

მარცხენა მხარეს დახატულია დეტალები სახლის ასაშენებლად – კიბე, სახურავი, ღობე, ფანჯარა, კარი, საკვამური... აქაც ჩამატებულია არასაჭირო საგნები, მაგ., მზე, ვარსკვლავი...

მასწავლებელი ამბობს:

- დააკვირდით მარჯვენა მხარეს დახატულ საგნებს, გადახაზეთ ზედმეტი საგნები.
- დააკვირდით მარცხენა მხარეს დახატულ საგნებს. აქაც გადახაზეთ ზედმეტი საგნები.

მოსწავლეები გამოდიან დაფასთან და ასრულებენ დავალებას. დახატულ ელემენტებზე დაკვირვებით და მასწავლებლის დახმარებით ისინი ხატავენ სახლს.

#### IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (13 წთ.)

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს მკაფიოდ, გარკვევით. სასურველია, გამოიყენოს მეთოდი „პაუზებით კითხვა“ – ტექსტი დაიყოს ნაწილებად და ყოველი ნაწილის წაკითხვამდე დაისვას მაპროვოცირებელი კითხვა. მოსწავლეებმა ტექსტი ნაწილ-ნაწილ უნდა გაიაზრონ, მათი აქტიური მონაწილეობით აიხსნას უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

მასწავლებელმა მოსწავლეებს აუცილებლად უნდა განუმარტოს, რომ მოთხრობაში გაცოცხლებულია ნუცას მიერ დახატული პერსონაჟი – სალომე და ყურადღება უნდა გაამახვილებინოს, რომ აღწერილია არა ნუცას, არამედ სალომეს სახლი და ოჯახი.

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით გადმოსცემენ მოთხრობის შინაარსს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მართლმეტყველების წესების დაცვის აუცილებლობაზე.

ამავე დროს მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს ენობრივ ერთეულებზე. სიტყვების: დედა, მამა, მამიდა, ბიძაშვილი, ბებია, პაპა (ბაბუა)... დამარცვლაზე, მოსწავლეები ივარჯიშებენ მათ წარმოთქმაში, გაარკვევენ მარცვალთა რაოდენობასაც. ამ ეტაპზე არ ხდება სიტყვის სრული ანალიზი – ასო-ბგერები არ გამოიყოფა.

მარტივად უნდა გამოხატონ ტექსტთან დამოკიდებულება – რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორი ემოციები შეატყვეს პერსონაჟებს.

## საკითხავი მასალა

### ვისია ეს სახლი?

სახატავ ქალაქზე ნუცამ სახლი დახატა. სახლი პატარაა, მაგრამ ნამდვილს არაფრით ჩამოუვარდება. აქვს პატარა კიბე, პატარა კარი და ორი ფანჯარა. ფანჯრები თითქოს თვალებია – ისე იყურებიან, ნამდვილად ვილაცას ელიან.

ნუცამ ახლა სახლისკენ ხტუნვა-ხტუნვით მიმავალი გოგონა დახატა. გოგონამ სახლთან მიირბინა და შესძახა:

– ვისია ეს სახლი?

– მობრძანდი, სალომე, მობრძანდი! – სახლმა კარი ფართოდ გაუღო, იმიტომ რომ სახლი სალომესია.

სალომე ნუცას შეევედრა:

– ნუცა, გეხვეწები, ახლა ჩემი ოჯახიც დახატე!

ნუცამ სახლის გარშემო სალომეს ოჯახიც დახატა. ესენი არიან: დედიკო, მამიკო, ბებია, ბაბუა და პატარა ბუთხუზა ძამიკო.

– აბა, სახლში შევიდეთ! – თქვა დედამ.

დაიკომ ძამიკოს ჩასჭიდა ხელი. სახლმა კარი ფართოდ გააღო:

– მობრძანდით! ბედნიერად იცხოვრეთ!

სახლის ყველა ფანჯარა განათდა. ბუხრის საკვამურმა ბოლი მხიარულად ამოაფუილა.

ქალაქს ღამე ეპარება. რას ნუხს სახლი? იმას, რომ მას ძალღიჯ სჭირდება – ფხიზელი, ერთგული, ამ სახლს, ამ ოჯახს რომ უდარაჯოს.

ნუცამ ძალღიჯ დახატა. ძალღიჯმა დაიყეფა:

– ვისია ეს სახლი?

ბავშვებმა ფანჯარა გამოაღეს, აჟრიაშულდნენ:

– ჩვენია სახლი! ძალღიჯ ჩვენია!

ძალღიჯმა მიხვდა, რომ ეს სახლი მისი იყო და ეზოს ფხიზელი თვალი მოავლო. ამიერიდან ამ სახლისთვის, ამ ოჯახისთვის უნდა ედარაჯა.

უკვე ძილის დროა. ფერადი ფანქრები ნუცამ მაგიდაზე დატოვა. ხვალ გოგონა ამ სახლის ზემოთ ცხრათვალა მზეს დახატავს, ქვემოთ – ხასხასა მდელოს, სახლიდან მარჯვნივ – ხეხილის ბაღს, მარცხნივ – ყვავილნარს.

აბა, ასეთ სახლში ცხოვრება რომელ ოჯახს არ მოეწონება?

\* \* \*

მზე დედაა ჩემი,  
მთვარე – მამაჩემი,  
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები  
და და ძმია ჩემი.

ხალხური

### ნანი-ნანი

ნანი, ნანი, ყმანვილო,  
თეთრი პურის ნაწილო,  
მამის ოქროს გუთანო,  
დედის ჩიქილ-მანდილო,  
ბიძის ქამარ-ხანჯალო,  
ძალოს ნითელო ვაშლო,  
სუფრას საგორებელო,  
ქვეყნის გამგონებელო.  
ხალხური

### ნამცხვარი

გამოვაცხვე ნამცხვარი,  
რძით და თაფლით დამტკბარი,  
ბებოს მივუცქრიალე,  
გული ავუფრთხიალე.  
ბაბუ თვალს არ მაცილებს,  
მასაც გავუნაწილე.  
დედა ბედნიერია:  
– იფ, რა გემრიელია!  
მამა მხიარულია:  
– ეს ხომ სასწაულია,  
რომ პატარამ ამგვარი  
გამოგვიცხო ნამცხვარი!  
ნ. კუპრავა

## მე-5 გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: „ბალი და სკოლა“.

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლემ ჩამოაყალიბოს განსხვავება ბალისა და სკოლის გარემოებს შორის.
- მარტივი ინფორმაციის გადმოცემა მარტივ თემაზე.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი ცნებები (4 წთ.)

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს სივრცითი მიმართებების გამოცნობაში: მოსწავლეებს ორ რიგად აყენებს და ხელებს განზე აწევენ, ტაშის დაკვრაზე ერთ რიგს ხელების ზემოთ აწევას ავალებს, მეორეს – ქვემოთ დაწევას. შემდეგ ტაშზე პირიქით: პირველი რიგი ხელებს ქვემოთ სწევს, მეორე რიგი კი – ზემოთ. ვისაც შეეშლება, თამაშს გამოეთიშება.

იძახებს ორ მოსწავლეს. ერთს აძლევს დავალებას, წიგნი ზედა თაროზე შეინახოს, მეორეს – რვეული ქვედა თაროზე დადოს.

#### III. აქტივობა – დროითი მიმართებების აღმნიშვნელი ცნებები (რა ხდებოდა საბავშვო ბაღში, რა ხდება სკოლაში) (5 წთ.)

მოსწავლეები იხსენებენ ბაღში ყოფნის დროს, თავიანთ მასწავლებელს, სათამაშოებს, უწინდელ საქმიანობას. შეადარებენ თავის ახლანდელ საქმიანობას – რა ხდება სკოლაში, რა ევალუბათ მათ ამჟამად.

#### IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი („ბალი და სკოლა“) (15 წთ.)

სასურველია, ტექსტის კითხვისას მასწავლებელმა გამოიყენოს მეთოდი „პაუზებით კითხვა“. ნაკითხვის შემდეგ მოხდება ტექსტის ანალიზი. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები, მოსწავლეები უპასუხებენ და თავადაც დასვამენ კითხვებს.

#### V. წუთშესვენება (1 წთ.)

#### VI. აქტივობა – ლექსის კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი მითითებული ლიტერატურული მასალიდან მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს ლექსებს.

#### VII. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა – სიტყვის დამარცვლა (4 წთ.)

დაიმარცვლება გამოყოფილი სიტყვები. თავდაპირველად მასწავლებელი მარცვლავს რამდენიმე სიტყვას მკაფიოდ, გარკვევით. ამის შემდეგ მოსწავლეები დავალებას ადვილად ასრულებენ.

## საკითხავი მასალა

### ბალი და სკოლა

ტატო და ერეკლე ძმები არიან. წელს ორივენი პირველად წავიდნენ... ტატო საბავშვო ბაღში, ერეკლე – სკოლაში.

ტატო პატარა მხიარული ბიჭია. თავიდან ბაღში წასვლა სულაც არ ეხალისებოდა, მაგრამ რა ექნა? ერ-

ეკლე უკვე სკოლაში დადიოდა, ტატო სახლში მარტო ხომ არ დარჩებოდა?

სალამოს ძმები ერთმანეთს უყვებიან, დღე როგორ გაატარეს.

– იცი, ბაღში რა კარგია? – ახარბებს ძმას პატარა ტატო. – მე და ჩემი მეგობრები ვთამაშობთ, ვთამაშობთ... ხომ იცი, ბაღში იმდენი სათამაშოა – ბურთები, მანქანები, ბზრიალები, კუბიკები...

სადილობის მერე ვიძინებთ. როცა გავიღვიძებთ, ისევ ვთამაშობთ, ვხატავთ, ვმღერით, ვცეკვავთ... მერე მშობლები მოდიან და სახლში მიყვავართ. მასწავლებელიც კარგია, ბაღიც. ხვალ ისევ წავალ... როგორ მიხარია!

– ნეტავი შენ სკოლა განახა! – ახლა ერეკლე ეუბნება ძამიკოს. – ჩვენი მასწავლებელი ძალიან კეთილია, ალერსიანი. დროს ჩვენც საინტერესოდ ვატარებთ: ხან ვთამაშობთ, ხან ვსწავლობთ – ვკითხულობთ, ვწერთ, ვხატავთ... მასწავლებელი მოთხრობებსა და ზღაპრებს გვიკითხავს.

ბიჭები გოგონებს სულაც არ ვაჯავრებთ. ჩვენს კლასში მეგობრული გოგონები არიან.

დასვენებებზე მასწავლებელი ნებას გვრთავს, დერეფანში ვითამაშოთ, სკოლის შენობაში ვიაროთ. უკვე დიდები ვართ და იმიტომ. მასწავლებელმა გვითხრა, რომ მალე ექსკურსიაზე წავიყვანს. როგორ მიხარია!

ტატოს თვალები მოუწყლიანდა. ცოტა არ იყოს, მოიწყინა. ტატოსაც უნდა დიდივით დერეფანში მარტო სიარული, ექსკურსიაზე წასვლა, თუნდაც სადმე ახლოს...

ძამიკომ დაამშვიდა: – მასწავლებელმა გვითხრა, შეგიძლიათ ექსკურსიაზე და-ძმებიც წამოიყვანოთ. ბიჭუნა უცებ გახალისდა.

– ბაღიც კარგია და სკოლაც! ხომ, ერეკლე?

– ჰო, სკოლაც ძალიან კარგია, ბაღიც! – უპასუხა უფროსმა ძამიკომ.

## ჩანთა

კენგურუს შეხვდა ბაჭია,  
კრეჭია, ყურბცანცარა,  
გახარებული ხტუნავდა,  
სიტყვის თქმა აღარ აცალა:

– მე წელს სკოლაში მივდივარ,  
პირველკლასელი ვიქნები,  
დედიკომ უკვე მიყიდა  
რვეულები და წიგნები.

ჩანთაც მაქვს, თანაც ისეთი,  
მხარზე რომ გადავიკიდოთ...  
შენც ხომ მიდინარ სკოლაში,  
ჩანთა არ უნდა გიყიდონ?

კენგურუმ უთხრა: რად მინდა  
ყიდვა სასკოლო ჩანთისო?  
მუცელზე რომ მაქვს, ხომ ხედავ,  
იქ მეტი წიგნი ჩადისო.

*ვ. გულეური*

## მე-6 ბაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „სათამაშოები და სასწავლო ნივთები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მოსწავლემ შეძლოს მარტივი, ლოგიკური ოპერაციების თანდათანობით დაუფლება, საგანთა დიფერენცირება და კატეგორიზაცია;

- მონაწილეობა როლურ თამაშებში.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, სათამაშოები, სასწავლო ნივთები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში („ჩემი საყვარელი ნივთი“) (5 წთ.)**

მაგიდაზე აწყვია სხვადასხვა სასწავლო ნივთი, სათამაშოები. ბავშვები ირჩევენ სასურველს, ათვალიერებენ, დეტალურად აღწერენ.

მოსწავლე არ ასახელებს ნივთს, იწყებს მის აღწერას, გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას. დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ ეს ნივთი.

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში („საინტერესო თოჯინები“) (5 წთ.)**

მაგიდაზე აწყვია სხვადასხვანაირი თოჯინები. გამოძახებული მოსწავლე მათგან ერთ-ერთს შეარჩევს და ჰყვება, რა იცის თოჯინაზე, რატომ შეარჩია ის. აფასებს სათამაშოს მთლიანად ან მის რომელიმე დეტალს.

#### **IV. აქტივობა – როლური თამაში (10 წთ.)**

მასწავლებელი კლასს უკითხავს ნ. დუმბაძის ლექსს „მანანა და ლალი“. შემდეგ იმართება ამ ტექსტის ინსცენირება. მოსწავლეები მსჯელობენ გოგონების საქციელზე.

#### **V. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **VI. აქტივობა – სურათის აღწერა („სათამაშოები და სასწავლო ნივთები“) (7 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას. ახდენენ საგანთა დიფერენცირებას – წითელი ფანქრით შემოხაზვენ სასწავლო ნივთებს, ლურჯით – სათამაშოს. მსჯელობენ, თუ რატომ დააჯგუფეს საგნები ასე.

#### **VII. აქტივობა – ლექსისკითხვა (5 წთ.)**

• მასწავლებელი მითითებული ლიტერატურული მასალიდან მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს ლექსებს.

#### **დამატებითი აქტივობები:**

#### **აქტივობა – შემეცნებითი თამაში („შეხებით ამოცნობა“)**

ორ ტომარაში ჩაყრილია საგნები: ერთში – სასწავლო ნივთები, მეორეში – სათამაშოები. მასწავლებელი იძახებს მოსწავლეს, უხვევს თვალს. მოსწავლემ თითო ტომრიდან თითო ნივთი უნდა ამოიცნოს.

#### **აქტივობა – შემეცნებითი თამაში „მანქანები“ (თანამშრომლობის, ნდობის, პასუხისმგებლობის გამომუშავება)**

მასწავლებელი არიგებს პატარა ფურცლებს, რომლებზეც დახატულია მანქანები ან გასაღებები. ერთი ფერის ნახატების საშუალებით იგი აწყვილებს ბავშვებს, აძლევს ინსტრუქციას – ვისაც გასაღები



შეხვედა, ის მძლოლი იქნება. „მანქანამ“ თვალები უნდა დახუჭოს და „მძლოლს“ მიენდოს – ხან მარჯვნივ გაუხვიოს, ხან მარცხნივ, შემდეგ როლები შეიცვლება.

მენყვილის გარეშე დარჩენილი მოსწავლე „საგზაო ინსპექტორი“ იქნება. ის „ქუჩაში მოძრაობას“ დაარეგულირებს.

## საკითხავი მასალა

### მანანა და ლალი

**მანანა** – ლალი, ლალი, ჩემო ლალი!

**ლალი** – რაო, ჩემო მანანა?

**მანანა** – ეს თოჯინა დედაშენმა ჩემთან გამოგატანა?

**ლალი** – რასა ბრძანებ, ქალბატონო!

არ გათხოვებ არასდროს,

გინდა, ისევ გააცივო,

ისევ სურდო დამართო?

**მანანა** – რადგან ასე მეუბნები,

რადგან ასე მაჯავრებ,

დამიბრუნე ჩემი ვაშლი,

მე რომ გუშინ გაჭამე.

**ლალი** – არაფერიც, არაფერიც,

არაფერსაც არ მოგცემ,

იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,

ლოყაზე რომ გაკოცე?

**მანანა** – მე რომ წიგნი მოგიტანე

კარგი წასაკითხავი?..

**ლალი** – მერე მე რომ მოგარჩინე,

ექიმი რომ ვიყავი?

**მანანა** – ჰო-ჰო-ჰო-ჰო, დიდი საქმე,

სულ არ იცი თამაში,

გახსოვს, მე რომ მოგეხმარე

კამფეტების ჭამაში?

**ლალი** – მერე მე რომ შენს თოჯინას

გავუკეთე ნემსები?!

**მანანა** – მერე მე რომ წაგიკითხე

დიდი, გრძელი ლექსები?!

**ლალი** – როგორც ვხედავ, ქალბატონო,

უმაღური ბრძანდები,

დაგავინყდა, გუშინწინ რომ

გამომართვი ბაფთები?

**მანანა** – არც თოჯინა მინდა შენი,

აღარც შენი ვაშლები,

ბუტე, ბუტე, გაგებუტე,

აღარ გეთამაშები!

ნ. დუმბაძე

### ჩვენი ანბანი

აქ ჩიტუნა ხატია,  
აქ ხატია ია,  
ძლიერ კარგი წიგნია,  
„დედაენა“ ჰქვია.  
ცოტა რომ გავიზრდები,  
მეც ვისწავლი კითხვას,  
მთელი ქვეყნის ამბავი  
წიგნმა უნდა მითხრას.

*გ. კაჭახიძე*

### თოჯინა

დედამ თოჯინა უყიდა  
პანანკინტელა მაკას.  
მშვენიერია, მაგრამ  
ეს ჩაუთვალეთ ნაკლად:  
თოჯინა უფრო დიდია,  
ვიდრე პატარა მაკა.  
ნამცეცა გოგომ რა ქნას?  
იმ თოჯინასთან არც ჩანს.

*ნ. კუპრავა*

\* \* \*

ციდან წამოვა ტოროლა,  
ჩამოთვლის გალობასაო.  
წიგნი, ჭრა-კერვა გცოდნია,  
ნეტავ შენს ქალობასაო.

*ხალხური*

### გამოცანები

\*

წიგნები და რვეულები  
რომ არ ფანტონ ალთა-ბალთა,  
ჭკვიან ბავშვებს სკოლისაკენ  
მუდამ ხელით მიაქვთ...

*(ჩანთა)*

\*

გავალე წინა კარია,  
შიგ ასფურცელას ჯარია,  
ახალი ამბის სათქმელად  
გამზადებულნი არიან.

*(წიგნი)*

\*

მხატვრის სახელოსნოში  
ხელსაწყოა ამგვარი,  
ტანად თითისტარი აქვს,  
წვერადა აქვს ჯაგარი.

*(ფუნჯი)*

\*

თეთრია, როგორც შაქარი,  
შავზე სანერი ფანქარი.

*(ცარცი)*

## მე-7 გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: „მე და ჩემი მეგობრები“.

გაკვეთილის მიზანი:

- საუბარი თავისუფალი დროის დაგეგმვაზე;

- განავითაროს ზეპირმეტყველება ილუსტრაციის აღწერით, მართლმეტყველების ელემენტარული ნესების დაცვით, მოსმენილი ტექსტის ანალიზით.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – სივრცითი მიმართებები – „ოთხი სტიქია“ (4 წთ.)

მასწავლებლის შეძახილზე „მინა“ მოსწავლეები ხელებს უშვებენ ქვემოთ, „წყალი“ – ხელებს იშვერენ წინ, „ჰაერი“ – ხელებს სწევნ ზემოთ, „ცეცხლი“ – ტრიალებენ. ვისაც შეეშლება, თამაშიდან გადის.

#### III. აქტივობა – სურათის აღწერა (5 წთ.)

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ შაბათი და კვირა დასვენების დღეებია. მათ შეეძლება თავიანთი თავისუფალი დრო საინტერესოდ გაატარონ: ზოგი დროს ოჯახის წევრებთან ერთად გაატარებს, ზოგი მეგობრებთან ერთად გაერთობა, ზოგს თოჯინებით უყვარს თამაში, ზოგი ფეხბურთის მოყვარულია... მთავარია, დრო ფუჭად არ დაიკარგოს.

მოსწავლეები აკვირდებიან და აღწერენ სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციას „დაბადების დღეზე“. იხსენებენ იმ დაბადების დღეებს, სადაც უახლოეს ხანს ყოფილან, ჰყვებიან, როგორ ერთობოდნენ, როგორ იქცეოდნენ...

#### IV. აქტივობა – სიტუაციური თამაში (5 წთ.)

სიტუაციის გათამაშება და რეპლიკები – „თუ შეიძლება, მომანოდეთ!“, „ინებეთ!“, „გმადლობთ!“

მასწავლებელი მოსწავლეებს გაათამაშებინებს სიტუაციას, როცა ბავშვები დაბადების დღეზე არიან და სუფრასთან სხედან. თუ მოსწავლეები ვერ წარმოთქვამენ საჭირო რეპლიკებს, მასწავლებელი თავად სთავაზობს ვარიანტებს:

– თუ თეფშზე რაიმე კერძის გადაღება გსურთ და ვერ სწვდებით, როგორ უნდა სთხოვოთ ახლოს მჯდომს: „მომეცი“, „ბოდიში“, „თუ შეიძლება, მომანოდეთ!“?

– როცა კერძს მოგანვდიან, რა უნდა თქვათ: „ბოდიში“, „გამარჯობა“ თუ „გმადლობთ“?

მოსწავლეები ერვევიან თავაზიან მეტყველებას, ეცნობიან სუფრასთან მოქცევის წესებს...

#### V. წუთშესვენება – „სანთლები ტორტზე“ (5 წთ.)

მასწავლებლის ტაშის შემოკვრაზე „სანთლები ინთება“ – ბავშვები ხელებს მაღლა სწევნ და „სანთლის ალივით“ ამოძრავებენ. მასწავლებლის „სულის შებერვაზე“ ბავშვები ხელებს დაბლა უშვებენ – „სანთლები ქრება“, შეძახილზე „შშშშ!“ პატარები მოდუნდებიან – „სანთლები იღვენტება“, ტაშის შემოკვრაზე კი ისევ „ინთება“...

#### VI. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (15 წთ.)

მასწავლებელი კლასს უკითხავს ტექსტს. სასურველია, ტექსტის წაკითხვა პაუზებით, ნაწილ-ნაწილ. ყოველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა უნდა დასვას შეკითხვები.

მოსწავლეები გააანალიზებენ ტექსტს, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები.

ბავშვებმა მოსმენილი უნდა შეადარონ იმ დაბადების დღეებს, რომლებიც ახსოვთ.  
მოსწავლეები შეაფასებენ პერსონაჟის (ქეთის) საქციელს. ჩამოაყალიბებენ რჩევებს, რომლებიც სასურველი იქნებოდა მსგავს სიტუაციაში.  
გაიმეორებენ თავაზიანი მიმართვის გამომხატველ რეპლიკებს.

## საკითხავი მასალა

### დაბადების დღე

კვირა დღეს ჩვენმა თანაკლადელმა დაბადების დღეზე მიგვიპატიჟა.  
თორნიკე კართან გველოდებოდა:  
– რა კარგია, რომ მოხვედით! მოუთმენლად გელოდით!  
– დაბადების დღეს გილოცავთ, თორნიკე!  
მეგობარს საჩუქრები მივართვით: ზოგმა ზღაპრების წიგნი, ზოგმა–გასაფერადებელი ალბომი, ზოგმა საკუთარი ნახატი... მე ფერადი ფანქრების ნაკრები ვაჩუქე.  
თორნიკემ მადლობა გადაგვიხადა და სუფრასთან მიგვიწვია. მაგიდა ლამაზად იყო განწყობილი. ტორტზე ექვსი სანთელი ციმციმებდა.  
სანამ სუფრასთან დავსხდებოდით, მეგობარს დაბადების დღის სიმღერა ვუმღერეთ. თორნიკემ სანთლებს სული შეუბერა და ჩააქრო. მერე მაგიდას შემოვუსხედით. ქეთი გაჯიუტდა, ტელევიზორში ჩემი საყვარელი გადაცემა გადისო. ძლივს დავიყოლიეთ.  
თორნიკეს გუნება გაუფუჭდა, მაგრამ მალე გავახალისეთ. ყველაფერი გემრიელი იყო, ამიტომაც სიამოვნებით შევექცეოდით. მერე სუფრიდან ავდექით. თორნიკეს ლექსები წავუკითხეთ, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ. ვითამაშეთ. ძალიან სასაცილო წარმოდგენა გავმართეთ, ვითომ ჯამბაზები ვიყავით. ბევრი ვიცინეთ, ვიხალისეთ. თორნიკე და ქეთი ყველაზე მეტად მხიარულობდნენ.  
სახლში წასვლის დროც მოვიდა. თორნიკეს გამოვემშვიდობეთ:  
– რა კარგი დაბადების დღე იყო! დიდი მადლობა!  
– ნახვამდის, ბავშვებო, კიდევ მენწვიეთ!–გვითხრა თორნიკემ.  
– რა კარგად გავატარეთ დრო!–წამოიძახა ქეთიმ,–ასეთი მხიარული დაბადების დღე სხვა არც კი მახსენდება! დიდი მადლობა, თორნიკე! ნახვამდის!  
შევატყვეთ, რომ თორნიკეს ქეთის ნათქვამი ძალიან ესიამოვნა. ჩვენი მეგობარი თავს ბედნიერად გრძნობდა. მეტი რა გვინდოდა? ჩვენც ბედნიერი ვიყავით!

## მეორე კვირა

### მე-8 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „წელიწადის დრონი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ზეპირმეტყველების განვითარება, ილუსტრაციების აღწერა (შედარება, დიფერენცირება, კატეგორიზაცია);
- ლექსის დასწავლა;
- მარტივ ენობრივ ერთეულებზე მუშაობა;
- წერისთვის მზადება.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „სიტყვათა რიგი“ (3 წთ.)**

მოცემულია სიტყვათა ოთხი რიგი წელიწადის დროებზე – გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

წელიწადის თითოეული დრო წარმოდგენილია შესაბამისი სიტყვებით. მათში გარეულია ერთი ზედმეტი, რომელიც არ არის დამახასიათებელი იმ კონკრეტული წელიწადის დროისათვის. განსხვავებული სიტყვის მოსმენისას მოსწავლეებმა ტაში უნდა შემოჰკრან. მაგალითად, თოვლი, ციგა, ფიფქი, თოვლის პაპა, ყურძენი (ტაში).

#### **II. აქტივობა – სურათის აღწერა (10 წთ.)**

ჯგუფებში მოსწავლეები წელიწადის დროთა მიხედვით ნაწილდებიან. ჯგუფი აღწერს და ახასიათებს სურათის მიხედვით არჩეულ წელიწადის დროს. მოსწავლეები ცდილობენ, სხვა ჯგუფებს მოაწონონ თავიანთი რჩეული, დაარწმუნონ მის უპირატესობაში.

#### **III. წუთშესვენება (2 წთ.)**

მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას:

– ტაშის დაკვრაზე და შეძახილზე „გაზაფხული“ დგებით.

ტაშის დაკვრაზე და შეძახილზე „შემოდგომა“ სხდებით.

ტაშის დაკვრაზე და შეძახილზე „ზამთარი“ იხრებით.

ტაშის დაკვრაზე და შეძახილზე „ზაფხული“ ტრიალს დაიწყებთ.

#### **IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (10 წთ.)**

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს მეთოდით „პაუზებით კითხვა“. პირობითად ტექსტი იყოფა ოთხ ნაწილად – წელიწადის ოთხი დროის შესაბამისად. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს, ხსნიან უცნობ სიტყვებს და გამოთქმებს, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ტექსტის მიმართ, პერსონაჟის მიმართ.

აღწერენ ილუსტრაციებს. მასწავლებელი ყურადღებას მიაქცევს წელიწადის ცალკეული დროისათვის დამახასიათებელ ფერებს.

კითხულობენ ლექსებს (წელიწადის დროებზე).

**V. აქტივობა – მუშაობა ენობრივ ერთეულებზე (5 წთ.)**

წინასწარბანო პერიოდში არ ხდება არც წინადადების და არც სიტყვის სრული ანალიზი. მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვებს: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“. მოსწავლეები ამ სიტყვების დამარცვლაში ვარჯიშობენ.

**VI. აქტივობა – წერისთვის მზადება- ხელის მოტოროკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება (5 წთ.)** • სივრცითი მიმართებები (მარჯვენა და მარცხენა)

მასწავლებელი ამბობს:

რომელია მარჯვენა ხელი? რომელია მარცხენა?

მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს მარჯვენა ხელზე შეაბას ზონარი ან ხელზე კალმით რაიმე დაახატოს:

- ეს არის მარჯვენა ხელი, მეორე – მარცხენაა.
- მარჯვენა ხელით აიღეთ კალამი...
- მარცხენა ხელით ასწიეთ რვეული და ა. შ.

**საკითხავი მასალა**

**მთა**

ქრისტიანეს ოთახის ფანჯრიდან გოლიათი მთა მოჩანს, რომელიც სამოსს წელიწადის დროთა მიხედვით იცვლის.

ხედავთ, მთა რა ლამაზად მორთულა? ახლა მას ხასხასა მწვანე სამოსი აცვია – ყვავილებით დამშვენებული.

- რა კარგია! გაზაფხული დამდგარა! – ამბობს გოგონა.

დრო გადის. ხასხასა მწვანე თანდათან მუქდება. მთა მხრებზე ჭრელ მოსასხამს იხსამს.

- ეს იმიტომ, რომ ახლა ზაფხულია!

დრო კვლავ მიედინება, – მთა ახლა ოქროსფრად იმოსება. ყვითელი მოსასხამის კალთებიდან თხილი, კაკალი და ბუძგა ნაბლი ცვივა.

- აჰა, შემოდგომაც დამდგარა! – უხარია ქრისტიანეს.

დროს კი რა გააჩერებს? მთა ახლა თეთრ ქუდს იხურავს, მერე კი მისი კალთები ქათქათა თოვლით იფარება.

- მთა გვეუბნება, თეთრი ზამთარი მალე ბარშიც გეწვევათო, – ამბობს ჭკვიანი გოგონა.

*ნ. კუპრავა*

მასწავლებელი აანალიზებს ტექსტს, ხსნის ახალი სიტყვებსა და გამოთქმებს, ყურადღებას ამახვილებს თითოეული ნახატისთვის შერჩეულ ფერებზე.

გამოყოფს საანალიზო წინადადებას „დადგა შემოდგომა“. აანალიზებს, მარცვლების გამოყოფის ჩათვლით.

**გაზაფხული**

ეგერ ნუში, ჩვენს ბაღაში  
რომ დგას ასე ობლად, კენტად,  
გაზაფხულმა გააცოცხლა,  
ყვავილებით გადაჰენტა.

**ზაფხული**

ყვავილები დაყვავილდნენ,  
გადანითლდა ხეზე ხილი,  
ირგვლივ ისმის ჩიტუნების  
მხიარული მოძახილი.

**შემოდგომა**

მევენახე ვაზს ესტუმრა  
პანანინა დანით ხელში,  
ჭრის ყურძენს და სავსე კალათს  
ცლის ღიმილით სანნახელში.

**ზამთარი**

გადათეთრდა მთა და ბარი,  
თოვლის ფიფქი დასრიალებს,  
კურდღელი კი ბუჩქის ძირას  
შიშისაგან ნაბავს თვალებს.

\* \* \*

თებერვალი დადგაო,  
ხეში წყალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო  
საძირკველი გადგაო.

*ხალხური*

\* \* \*

ზამთარი ვარდსა გაახმობს,  
ზაფხულს გვალვასა ჩივიან,  
შევხედავ შემოდგომასა,  
ხესაც ფურცელნი სცვივიან.

*ხალხური*

\* \* \*

ამწვანდა მთები,  
ამწვანდა ქალა,  
გამოიჩინა  
ბუნებამ ძალა,  
ჩიტი-ჩიორა  
გალობს და გალობს,  
არც დაეძინა,  
არც დაილალა.

*ვაჟა-ფშაველა*

### გამოცანები

\*

ერთსა ალვისა ხეზედა  
თორმეტი ტოტი ასხია,  
სცვივა და სცვივა ფოთლები,  
მაინც იმდენი ასხია.

*(ნელინადი, თვეები, დღეები)*

\*

მზე ელვარებს მცხუნვარე  
დღე საგრძნობლად იზრდება  
ვარდი ყვავის საამოდ  
და თავთავი მწიფდება.  
წლის რომელი დრო არის  
ყველა უმალ მიხვდება.

*(ზაფხული)*

### ნელინადი

გაზაფხულის მშვენიება  
ვის არა აქვს ნახული?  
მზის ელვარე სხივებით  
თავს იწონებს ზაფხული.

შემოდგომით ჩურჩხელებს  
გაგვიმზადებს ბებია,  
მინას თეთრად რომ ბარდნის,  
ზამთრის ფანტელებია.

ოთხივე ხომ კარგია? –  
ნელინადიც მზად არის, –  
გაზაფხული, ზაფხული,  
შემოდგომა, ზამთარი.

*ნ. კუპრავა*



## მე-9 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „შემოდგომის ფერები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულის ამოცნობა-გამოყენება (მადლობა);
- შერჩეულ თემაზე მარტივი ინფორმაციის გადმოცემა – ილუსტრაციის აღწერით, მინიშნებებზე დაყრდნობით შემოდგომის დახასიათება, ფერებზე დაკვირვება და ა. შ.;
- ენობრივ ერთეულებზე მუშაობა; ლექსის დასწავლა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, ფერადი რეპროდუქციები (შემოდგომის პეიზაჟი).

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – „მოიფიქრე რეპლიკა“ (მადლობა) (7 წთ.)

მასწავლებელი სთხოვს რომელიმე მოსწავლეს, მოუტანოს რაიმე ნივთი (მაგ., კარადიდან გამოიღოს ნახატებიანი წიგნი). როცა მოსწავლე თხოვნას შეუსრულებს, მასწავლებელი მას გარკვევით, ყველას გასაგონად, მადლობას გადაუხდის.

მასწავლებელი გაათამაშებინებს მოსწავლეებს მსგავს სიტუაციას: წყვილები ერთმანეთს აწვდიან რაიმე ნივთს, მაგ.: ფანქარს, ან რაიმე დახმარებას სთავაზობენ. მოსწავლეები თავაზიანად უხდიან ერთმანეთს მადლობას.

#### III. აქტივობა – სურათის აღწერა (7 წთ.)

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- ნელინადის რა დროა?
- მართალია. ახლა შემოდგომაა. ვინმემ ხომ არ იცის შემოდგომის თვეები?
- მოდი, ყველამ ერთად ჩამოვთვალოთ, შემოდგომის თვეებია: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.
- როგორ იცვლება ბუნება შემოდგომაზე?
- როგორ იქცევიან ცხოველები, ფრინველები?
- შემოდგომას რა ფერებით წარმოიდგენთ?
- ფოთლებს თუ დაკვირვებინართ? ისეთივე ფერისაა, როგორც გაზაფხულზე და ზაფხულში?
- რა ფერისაა ყურძნის მტევანი? სიმინდის ყანა? ხილი?
- დაკვირვებინართ თუ არა, როგორ ეცვლება ფერი მთებს?
- კიდევ რა გახსენდებათ, როცა შემოდგომას წარმოიდგენთ?

მასწავლებელი ათვალთვლებინებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ ფერად რეპროდუქციებს. თუკი შესაძლებელია, საჭირო მასალას მოიძიებს ინტერნეტში და მოსწავლეებს პროექტორით უჩვენებს.

ყურადღებას ამახვილებინებს შემოდგომის ფერებზე.

#### IV. ნუთმესვენება – „წვიმა, სეტყვა, ქარი, ჭექა-ქუხილი“ (5 წთ.)

მოსწავლეები წრეში განლაგდებიან ან დგანან მერხებთან. მასწავლებელი მათ აცნობს თამაშის წესებს:

- „ავდრდება.“ – ჯერ ეცემა პირველი წვეთები (ბავშვები თითებს ატკაცუნებენ);
- „წვიმა ხშირდება, ძლიერდება.“ – (ხმაური მატულობს);
- უკვე კოკისპირულად „წვიმს.“ – (ხმაური უფრო ძლიერდება);
- „დაიქუხა.“ – (ბავშვები ტაშს შემოჰკრავენ);
- „ჭექა-ქუხილია!“ – (ხმაურს ფეხების ბრახუნი ემატება).

შემდეგ ავდარი გადაივლის – თანდათანობით ვუბრუნდებით თითების მსუბუქ ტკაცუნს და ბოლოს სრულ სიჩუმეს.

#### V. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (10 წთ.)

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით, ნაწილ-ნაწილ. ტექსტს იგი წინასწარ დაანანილებს, მოამზადებს მაპროვოცირებელ და საკონტროლო შეკითხვებს. მოსწავლეები თავადაც სვამენ შეკითხვებს ან უპასუხებენ მათ. მასწავლებელი ხსნის უცნობი სიტყვებსა და გამოთქმებს...

**VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (სიტყვები, მარცვლები) (5 წთ.)**

მასწავლებელი რიგრიგობით მკაფიოდ, გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, შემოდგომა.

წარმოთქმულ სიტყვებს მოსწავლეები იმეორებენ როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

შემდეგ მასწავლებელი მკაფიოდ მარცვლავს სიტყვას „შემოდგომა“. მოსწავლეები იმეორებენ. შემდეგ თვითონვე მარცვლავენ დანარჩენ შერჩეულ სიტყვებს.

**VII. აქტივობა – ლექსის კითხვა (7 წთ.)**

მასწავლებელი მითითებული ლიტერატურული მასალიდან მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს ლექსებს.

**დამატებითი აქტივობა**

**აქტივობა – „ფერები, ფორმები“**

გამოძახებულმა მოსწავლემ 10-15 წმ.-ის განმავლობაში თავის გარშემო უნდა მოძებნოს რაც შეიძლება მეტი ერთნაირი ფერის (ფორმის, ზომის, მასალის) მქონე საგანი. მასწავლებლის ნიშანზე მოსწავლე ჩამოთვლას იწყებს, სხვები მის ჩამონათვალს ავსებენ.

**საკითხავი მასალა**

**შემოდგომა**

შემოდგომა მოვიდა  
წითელ-ყვითელ ფერებით,  
მოსავალით აივსო  
საქართველოს ველები.

დაიტვირთნენ ვაზები,  
დაიშაქრნენ მტევნები,  
ალაჟღაჟდნენ ვაშლები,  
გადაყვითლდნენ ტევრები.

– სიტკობაც აქ არის!  
– სიხარულიც აქ არის!  
ბიჭო, მაგრად დაჰკარი,  
ჩამობერტყე კაკალი!  
ისმის შეძახილები,  
სიმღერებით ტკბებიან,  
აჩუხჩუხებს თათარას  
თმაჭალარა ბებია.

ჩურჩხელები მზისაგან  
მაგრდებიან, ხმებიან,  
პატარები ბებიას  
მკვირცხლად ეგებებიან,

ტკბილად ესიტყვებიან,  
ტკბილად ეუბნებიან:  
– ჩურჩხელები მოგვეცი  
საცვარელო ბებია!

ლ. ასათიანი

## მე-10 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „საშემოდგომო საქმიანობა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებში;
- ზეპირმეტყველების განვითარება – ილუსტრაციების აღწერით, ფაქტების გადმოცემით, ტექსტის მოსმენით და ანალიზით;

- ვარჯიში ენობრივ ერთეულებზე (სიტყვა, მარცვალი)
- ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება.

**საჭირო მასალა:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ჩემი საყვარელი ხილი“ (5 წთ.)

მოსწავლეები სხდებიან ან დგებიან წრეში. ერთ-ერთი ამბობს თავის სახელს და ასახელებს საყვარელ ხილს, მომდევნო იმეორებს წინა მოსწავლის სახელს, მის საყვარელ ხილს. ამას ამატებს თავის სახელს და ასახელებს საყვარელ ხილს. ასე გრძელდება ბოლო მოსწავლის ჩათვლით.

#### III. აქტივობა – სურათის აღწერა (7 წთ.)

მასწავლებელი ამბობს:

– შემოდგომაზე უამრავი ხილია დამწიფებული. ვინმე დაჰკვირვებიათ ხილის კრეფას? კაკლის ბერტყვას?

- გინახავთ, როგორ ტეხენ ყანაში სიმინდს და როგორ ინახავენ?
- ხომ არ გინახავთ, როგორ კრეფენ სოფელში ყურძენს? რა ჰქვია ამას? (რთველი)
- რაში დებენ მოკრეფილ ყურძენს? (გოდორში, კალათაში, ვედროში)
- რაში წურავენ ყურძენს? (სანახელი)
- რაში ასხამენ ღვინოს? (ქვევრი)

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს. საუბრობენ საშემოდგომო შრომა-საქმიანობაზე – ხილის კრეფაზე, რთველზე, ყურძნის დანურვაზე, ჩურჩხელების ამოვლებაზე... სწავლობენ ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს. ჰყვებიან ნანახი რთველის შესახებ. მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებმა დაიცვან მართლმეტყველების წესები.

#### IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (7 წთ.)

ტექსტი წაიკითხება ნაწილ-ნაწილ, პაუზებით.

#### V. წუთშესვენება – „ხილის სალათი“ (5 წთ.)

წრეში, რომელსაც ერთი სკამი აკლია, ბავშვები სხედან. მასწავლებელი ჩამოთვლის რამდენიმე შერჩეულ ხილს, მაგ.: ბანანს, კვის, ატამს. თითოეულმა ბავშვმა უნდა დაიმახსოვროს, რომელი სიტყვა უთხრა მასწავლებელმა.

შემდეგ მასწავლებელი ასახელებს რომელიმე ხილს, მაგ., „ბანანს“. ის მოსწავლეები, რომელთაც ეს სიტყვა შეხვდათ, უნდა ადგნენ და ადგილები გაცვალონ. მასწავლებელი ცდილობს, დაიკავოს ერთ-ერთი ადგილი. ფეხზე დარჩენილი ბავშვი წამყვანი ხდება. თუ წამყვანი დაიძახებს სიტყვას „ხილი“, ყველანი დგებიან და ცვლიან ადგილებს.

#### VI. აქტივობა – მზადება წერისათვის – (10 წთ.)

მოსწავლეები მუშაობენ მოსწავლის რვეულში. აფერადებენ, ამთლიანებენ ფიგურებს, ასრულებენ მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს. მასწავლებელი საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს ამ მასალას.

## საკითხავი მასალა

### ვაშლმა იგორა, იგორა...

– ტოტს ლაღად როგორ გავშლი? სულ დავისუნძლე ვაშლით... განძრევა არ შემძლია, – ტვირთი ძალიან მძიმეა... ვაიმე, ვაიმე, მიშველის რამე? – ნუნუნებდა ვაშლის ხე.

– ამისმა მოთქმა-ქვითინმა ყველა შეგვანუხა! – გაბრაზდა ქარი, ერთი მაგრად დაუბერა და ხიდან ვაშლები სულ ტყაპა-ტყუპით ჩამოყარა.

ზღარბები სწორედ ამას ელოდნენ. ვაშლის ხის ქვეშ აურზაური ატეხეს:

– ნავილოთ, ნავილოთ ვაშლები, სანამ ბავშვები არ მოსულან! – ეძახდნენ ერთმანეთს და ვაშლებს შინისკენ მარდად მიარბენინებდნენ. ერთ ზღარბს ეკლებზე იმდენი ვაშლი აესხა, ველარ ინძრეოდა, – გზაზე იდგა და კრუსუნებდა.

ხის ქვეშ მალე ერთადერთი ვაშლილა დარჩა – ყველაზე ლამაზი, დიდი, პრიალა, – თურმე ბალახებში მიმაღულიყო.

– აჰ, ნეტავი, ზღარბებმა ვერ მიპოვეს! მე ხომ ლიზიკოს ვაშლი ვარ! თვითონ ამარჩია!

– იოლად ვერ წამიხვალ... ერთმა მსუქანმა ქაცვიამ მაინც იპოვა, – ჰეი, საით მიგორავ? ვერ გამექცევი, ვერა! ბედად, ხეხილის ბაღში ლიზიკომ შემოიბრინა. ვაშლმა იჩქარა, – იგორა, იგორა და გოგონას ფეხებთან მიუგორდა.

– რა კარგია ჩემი ლოყანიტელა... დიდი მადლობა, ვაშლის ხევ! – თქვა გოგონამ.

– რა ზრდილობიანი ბავშვია! – გაუხარდა ვაშლის ხეს, – აბა, ზღარბებს მადლობის თქმა არც კი უფიქრიათ! ტკბილად შეგერგოს, პატარავ!

### შემოდგომა

რატომ გვიყვარს შემოდგომა  
ყველას – დიდს და პატარას?  
იმიტომ, რომ კაკალს ბერტყენ,  
ადულებენ თათარას.

იმიტომ, რომ ვენახს კრეფენ,  
ქვევრებს რეცხენ ღიპიანს,  
იმიტომ, რომ რაც ხილია –  
ყველა ხილი მწიფეა.

იმიტომ, რომ სავსეა  
კალათი და გოდორი,  
იმიტომ, რომ ირევა  
ცაში ოქროს ფოთოლი.

*მ. ლეზანიძე*

### რთველი

ისეთია ხარისთვალა,  
თვალს არ ახსოვს ამისთანა,  
ისეთია რქანიტელი,  
არ ეყოფა ასი ხელი.

მოაქვთ ციცქა,  
მოაქვთ თითა,  
გოდრითა თუ კალათითა.

დანნეხილი სანნახელი  
ქვევრს ჩასძახის რაკრაკითა:  
– დრო დაგიდგა, გაბერილო,  
სვი, ილხინე, რალა გინდა!

*გ. ჭიჭინაძე*

### კომში, კომში, კომარა

კომში, კომში, კომარა,  
მომეც დიდი ტომარა!  
ბებოს მივურბენინებ,  
ბებო არ მანყენინებს.  
გამომიტანს ჩურჩხელას,  
ამოდენას, ამხელას,  
თავს მოვუკრავ ტომარას,  
კომში, კომში კომარა!  
ზურგზე წამოვიკიდებ,  
დიდ გზას გამოვატარებ,  
დავურიგებ პატარებს.  
ბევრს შენ მოგცემ,  
ბევრს სხვას მივცემ,  
ბევრსაც მე დავიტოვებ.

*ნ. ჩაჩავა*

## მე-11 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „შინაური და გარეული ცხოველები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

• ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ინფორმაციის გადმოცემა, შინაურ და გარეულ ცხოველებზე ახალი ინფორმაციის მოსმენა, სურათის აღწერა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი;

- ლექსიკურ-ლოგიკური სააზროვნო ოპერაციები – შედარება, დიფერენცირება, კატეგორიზაცია;
- ენობრივი ერთეულების გამოცნობა;
- ლექსის დასწავლა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, ცხოველთა ფერადი სურათები, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – სიტუაციური თამაში: „ცხოველები და მათი ნაშიერები“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, წარმოიდგინონ სიტუაცია: დედამ სახლში იპოვა კნუტი ან ლეკვი, რომელიც სახლში მოიყვანა. ერთ-ერთი ბავშვი უნდა „გადაიქცეს კნუტად ან ლეკვად“. დანარჩენები მას მოეფერებიან, ეტყვიან რაც შეიძლება მეტ საალერსო სიტყვას, დააპურებენ და ა. შ.

#### **III. აქტივობა – სურათის აღწერა და გამოცანების გამოცნობა (9 წთ.)**

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს გამოცანებს შინაურ და გარეულ ცხოველებზე. მოსწავლეები ცდილობენ მათ გამოცნობას. აკვირდებიან წიგნში მოცემულ ილუსტრაციებს – შინაურ/გარეულ ცხოველებს და მათ ნაშიერებს. აღწერენ სურათებს, ახასიათებენ ცხოველებს, ახდენენ მათ დიფერენცირებას და კატეგორიზაციას, სწავლობენ ცხოველთა ნაშიერების სახელებს, სვამენ/უპასუხებენ შეკითხვებს.

#### **IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს მცირე ზომის ტექსტს პაუზებით, ნაწილ-ნაწილ.

მოსწავლეები ისმენენ ტექსტს, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას, გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, მეტყველებისას იცავენ მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს (ბგერებს გამოთქვამენ მკაფიოდ, სიტყვებს გამოყოფენ პაუზებით).

#### **V. აქტივობა – „მე ვიცი ხუთი ცხოველის სახელი“ (3 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს ხუთ სიტყვას, მათგან ოთხი ცხოველია, ერთი – არა. მოსწავლეებმა ტაში მხოლოდ ცხოველის დასახელებისას უნდა დაუკრან.

#### **VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (2 წთ.)**

თემის შესატყვისად შეირჩევა რამდენიმე სიტყვა. მოსწავლეები ამ სიტყვებს მარცვლავენ.

#### **VII. აქტივობა – წერისთვის მზადება (5 წთ.)**

მოსწავლეები მუშაობენ მოსწავლის რვეულში. აფერადებენ, ამთლიანებენ ფიგურებს, ასრულებენ მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს. მასწავლებელი საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს ამ მასალას.

**დამატებითი აქტივობები:**

#### **აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რომელ ცხოველს ვგავარ?“**

ბავშვებს ვთხოვთ, დახატონ ცხოველი, რომელსაც საკუთარ თავს ამსგავსებენ ხასიათით, გარეგნობით, რომელიმე თვისებით და ახსნან, რატომ.

## **აქტივობა – სიტუაციური თამაში: „ზოოპარკი“.**

კლასი იყოფა ორ ჯგუფად. საკლასო ოთახის ერთ კედელზე გაკრულია ფრინველების სურათები, მეორეზე – ცხოველებისა. პირველი ჯგუფიდან თითოეული მოსწავლე მიდის სურათებთან და იწყებს მის დათვალიერებას. დანარჩენები მას რომელიმე სურათთან ტაშისკვრით აჩერებენ. მოსწავლემ უნდა დაახასიათოს მითითებული ცხოველი ან ფრინველი. თამაში გრძელდება იქამდე, ვიდრე ყველა მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას.

## **საკითხავი მასალა**

### **საუზმის დროა**

საუზმის დრო დადგა. პატარა მარიამის მაგიდას მიუჯდა. ამ დროს გაისმა ძაღლის ყეფა:

– ჰამ, ჰამ, ჰამ!

– ვინ მოდის ჩვენთან – იკითხა მარიამმა.

– მე ვარ, თქვენი ერთგული ძაღლი, თქვენი მურიკელა. მთელი ღამე სახლს ვდარაჯობდი, ბევრი ვიშრომე, დავიღალე. დრო არ არის, ვისაუზმო?

– მე ვარ, თქვენი კრუტუნა კატა. საკუჭნაოს ვდარაჯობდი და ჩემი შიშით თავგს არ გაუჭაჭანია. ამდენი ვიშრომე, დავიღალე. დრო არ არის, ვისაუზმო?

– კა-კა-კა, კა-კა-კა!

– ეს ვინლაა?

– თქვენი ქოჩორა ქათამი. საქათმიდან მოვდივარ, არც მისვამს, არც მიჭამია, კვერცხი დაგიდეთ. დრო არ არის, ვისაუზმო?

მარიამმა კარი გააღო. დედამ ყველას ჩამოურიგა საჭმელი:

მურას – ჯამში,

კატას – ლამბაქზე,

ქათამს – ფეტვი მდელოზე,

მარიამს კი ფაფა მათლაფით – ღრმა თეფშით მიართვა.

*ს. კაპუტიკიანი*

### **კატა და თავუნია**

– ვინ ბრძანდება კატა-მატა? –  
იქადნება თავუნია.

კატა როცა გამოჩნდება,  
მაშინ სულგანაბულია.

კატა სოროს ჩაუვლის და, –  
მუშტს უღერებს თავუნია:

– ჯავრს იოლად შეგარჩენო?  
რა გული აქვს! რა გული აქვს!

ხმა რომ ისმის უცნაური,  
მკერდზე მუშტის ბაგუნია:

– გეშინოდეს, კატა-მატა,  
მე ვარ – გმირი თავუნია!

*ნ. კუპრავა*

## როლური თამაშისთვის

### ვის სად მიეჩქარება? (პიესად გადაკეთებული)

(მოდის დათვი ბაჯბაჯით)

#### პირველი ბავშვი

ჰეი, ბაჯბაჯა, ბაჯბაჯა,  
სად მიბაჯბაჯებ დათუნა?

#### დათვი

თაფლზე მივდივარ, გეთაყვა,  
ამას შეკითხვა რად უნდა!  
(მოცუნცულებს კურდღელი. მუსიკა იცვლება).

#### მეორე ბავშვი

ჰეი, ცანცალა ყურცქვიტა,  
სად მიცანცალებ ამ დილას?

#### კურდღელი

ბოსტანში მიმეჩქარება,  
სტაფილო მინდა სადილად.  
(მოცუნცულებს მელია. მუსიკა იცვლება).

#### მესამე ბავშვი

ჰეი, ცუნცულა, ცუნცულა,  
სად მიცუნცულებ მელია?

#### მელია

საქათმისაკენ ვიჩქარი,  
ვარია შემომელია.  
(მორბის ძალღი. მუსიკა იცვლება).

#### მეოთხე ბავშვი

ჰეი, ბროლივით ბროლია,  
საით იჩქარი ბროლია?

#### ძალღი

მინდა, მელია შემომხვდეს,  
ზურგზე ვადინო ბოლია.  
(მელია გაიპარება).

ერთს დათუნასაც შევუყეფ,  
თაფლი რომ უყვარს ტკბილია!  
(დათვი ბურტყუნით მიდის).

მერე ბოსტანში გადავალ,  
კურდღელს რომ გავკრა კბილია!  
(შეშინებული კურდღელი სწრაფად მიიმალება).

ჯ. ჩარკვიანი



\* \* \*

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა  
ხარო, სახემშვენიერო  
ჩვენს ნუგეშად მოვლენილო,  
ქედნაკურთხო, ღონიერო.  
*ხალხური*

\* \* \*

ირემო, რქებით მშვენარო,  
ყურებით ლამაზიანო,  
ნუ იარები ველადა,  
თავი არ დაიზიანო.  
*ხალხური*

\* \* \*

კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა  
პატარაა და ბრალია,  
თორემ მოგისევ მწევრებსა,  
ჩემი აღარა ბრალია.  
*ხალხური*

\* \* \*

კამეჩი ღონიერია,  
ულელსა ზიდავს ხისასა,  
გაუჭირდება, წაიღებს  
თავისასა და სხვისასა.  
*ხალხური*

\* \* \*

ირმისა ნუკრი პატარა  
მთიდან ჩამოჰყვია ნიავსა,  
მოიბალახა კორდები,  
პირი არ ახლო იასა.  
*ხალხური*

### გამოცანები

\*

წვერცანცარა, ეშმაკუნა  
შინაური ცხოველია.  
რძე აქვს მეტად მარგებელი,  
აბა, მითხარ, რომელია?  
*(თხა)*

\*

ყროყინა ცხოველზე  
უნდა ვთქვა ძვირი.  
მუდამ რომ ჯიუტობს,  
ბრძანდება...  
*(ვირი)*

\*

დილა-სალამოს ხან დედა,  
ხანაც ბებია წველის,  
გემრიელი რძე ხომ გვასვა?  
გვაგემა თავისი ყველიც.  
(ძროხა)

\*

ქათმების მტერია  
ეგ კუდაგრძელია,  
ბენვი აქვს ნითური  
და გახლავთ...  
(მელია)

\*

ის დარაჯია ერთგული  
ეზო-ყურე და სახლის,  
ადამიანის მეგობარს  
იცი, რა ჰქვია?  
(ძაღლი)

\*

თეთრქათიბა, მოკლეკუდა,  
მშიშარაა, ყურგრძელი,  
თვალეებს მუდამ შიშით ნაბავს,  
რა იქნება...  
(კურდღელი)

\*

ბუძგა, ბუძგა, ნემსეკალა,  
ახლოს ვერვინ მიეკარა.  
(ზღარბი)

\*

ჭიხვინა და პანანინა,  
მარდად დახტის დედის წინა.  
(კვიცი)

\*

წრუნუნა და მსუნაგია,  
ანადგურებს თხილს და კაკალს,  
მაგრამ კატას თუკი შეხვდა,  
შიშისაგან იწყებს კანკალს.  
(თაგვი)

\*

ზაფხულში თქვლევს ათ კილო თაფლს,  
ზამთარში კი თათს ილოკავს.  
(დათვი)

\*

ვარიებს რომ იპარავს,  
აბა, რა სათქმელია,  
არც თაგუნებს ახარებს,  
თქვი, რა ჰქვია? -----  
(მელია)

## მე-12 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „შინაური და გარეული ფრინველები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მონაწილეობა სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება – ინფორმაციის გადმოცემა შინაური და გარეული ფრინველების შესახებ, ახალი ინფორმაციის მოსმენა, – ილუსტრაციების აღწერა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი;
- ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- წერისთვის მზადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი სურათები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – სიტუაციური თამაში „ფრინველები“ (5 წთ.)

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გაათამაშებინოს სიტუაციები:

- \* მამალმა იყივლა და გათენდა.
- \* ინდაური გაფხორილი დადის.
- \* კრუხმა წინილები ეზოში გამოიყვანა.
- \* მერცხალი დაფრინავს და და ნისკარტით მწერები მიაქვს ბარტყებთან.
- \* კოდალა ხეს უკაკუნებს.

#### III. აქტივობა – სურათის აღწერა (7 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს გამოცანებს თემის შესატყვისად. მოსწავლეები ცდილობენ აღწერილი ფრინველების გამოცნობას.

აკვირდებიან და აღწერენ ილუსტრაციას. ასახელებენ დახატულ ფრინველებს, იხსენებენ სხვადასხვა. გადმოსცემენ ინფორმაციას ფრინველთა შესახებ, უსმენენ მასწავლებლის ინფორმაციას. შინაურ ფრინველებს წითელი ფანქრით შემოხაზავენ, გარეულებს – ლურჯით. ახდენენ საგანთა დიფერენცირებას, კატეგორიზაციას.

#### IV. წუთშესვენება (1 წთ.)

#### V. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (7 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს. მოსწავლეები უსმენენ, შემდეგ აანალიზებენ: სვამენ/უზასუხებენ შეკითხვებს, ხსნიან უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას, მარცვლავენ შერჩეულ სიტყვებს.

#### VI. აქტივობა – ლექსის კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი მითითებული ლიტერატურული მასალიდან მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს ლექსებს.

#### VII. აქტივობა – წერისთვის მზადება (8 წთ.)

დარჩენილი დრო დაეთმობა წერის მოტორიკის განმავითარებელი სამუშაოების შესრულებას.

## საკითხავი მასალა

### ოქროს წინილები

ერთმა ქრელმა ქათამმა კაკანით ლამის მთელი ეზო აიკლო:

– თქვენ რა, არ იცით? მე ჯადოსნური ქათამი ვარ. ოქროს კვერცხები უნდა დავდო, საიდანაც ოქროს წინილები გამოიჩეკებიან...

– სსსსსულელეა... – ასისინდნენ ბატები.

– ტყუი... ოქროს წინილებიც არავის უნახავს, – ბატებს იხვებიც აჰყვენენ, – არასოდეს!

ახლავე გაჩუმდი, – განრისხდა მამალი, – ოქროს კვერცხი ჯერ არც ერთ ქათამს არ დაუდვია...

ქათამი თავისას მაინც არ იშლიდა:

– იმიტომ, რომ მხოლოდ მე ვარ ჯადოსნური, მე ვერავინ შემედრება!

– დახეთ, როგორი თავმომწონია! – ინდაურიც კი განანწყენდა და ჯავრისგან სულ გაიფხორა.

– აბა რა, ოქროს კვერცხს მხოლოდ მე დავდებ, – თავისას არ იშლიდა ქათამი.

მაგრამ სასწაულს ვერც თვითონ ეღირსა, – ყველა კვერცხი თეთრად ქათქათებდა. ამის გამო საბუდარში სულ ტირილ-ტირილით ჩაჯდა.

– ასეთი თეთრი კვერცხებიდან ხომ თეთრი წინილები გამოიჩეკებიან! ვაი, სირცხვილო! ვაი, თავისმოჭრავე!

ოცდაერთი დღის შემდეგ თეთრი კვერცხებიდან ოქროსფერი ლაბუა და საყვარელი წინილები გამოიჩეკნენ. დედა სიხარულით ცას ეწია, – შვილები სასწრაფოდ გამოშალა ეზოში:

– მოდით, ნახეთ, მეზობლებო! მართლა ჯადოსნური ვყოფილვარ! მართლა ოქროს წინილები დაგჩეკე! აი, საოცრება!

მაგრამ ასეთი სასწაული ეზოშიც დახვდა, – ბატს ოქროს ქუკები დაჰყვებოდნენ, იხვს ოქროს ქუჭულები დასდევდნენ.

– ოქროს ქუკები! ოქროს ქუჭულები! – დაიკრიახა კრუხმა.

– სსს... სსსსსსსულელეა! – გაბრაზდა ბატი, – ახლავე გაჩუმდი! ოქრო რას მიქვია? ჩემი ყვითელი ბაჯ-ბაჯები მთელი ქვეყნის ოქროზე ძვირფასია! გინდ თეთრი, გინდ ოქროსფერი, დედისთვის შვილზე ძვირფასი რა უნდა იყოს?

კრუხს შერცხვა და გაჩუმდა. იმ დღიდან. ოქრო არასოდეს უხსენებია – თავისი ლაბუები მთელი ქვეყნის ოქროს ათასჯერ ერჩინა.

\* \* \*

ნეტამც არ დაგძინებოდა  
ჩიტო, ნიბლიავ, ნარზედა,  
ჩამოგიქროლებს ალალი,  
ნაგიყვანს მალლა მთაზედა.

*ხალხური*

\* \* \*

ამ პანანინა ბელურას  
ვერ შეაშინებს ავდარი,  
ზამთარშიაც კი ვერ დათმო  
უსაყვარლესი მთა-ბარი.

*ხალხური*

\* \* \*

შავი შაშვი ჩიოდა  
უხუცესი, მთავარი  
მთაი დაუთოვია  
გზა არა მაქვს სავალი  
ზედ მახეა მრავალი.

*ხალხური*

## გამოცანები

\*

პირზე ხორთუმი, კუდზე მარაო,  
გაფხორილია წარამარაო.

*(ინდაური)*

\*

ისე მიყვარს ყვინთაობა,  
ხანდახან თუ დავისვენებ,  
ვას-ვას, ვას-ვას, – წყალში ვცურავ,  
ისე, რომ ფრთას არც ვისველებ.

*(იხვი)*

\*

თავხერხა, ბოლონამგალა,  
დაჰყვება თავის ამალა.

*(მამალი)*

\*

შინ ჭია-მატლი თუ არის,  
კარს უკაკუნებს სტუმარი.

*(კოდალა)*

\*

ეს ფრინველი თავის სახელს  
ხიდან თვითონ გადმოგძახებს.

*(გუგული)*

\*

მგალობლებში პირველი  
არის ერთი ფრინველი,  
არაკრაკებს ენასა,  
ატკბობს ყურთა სმენასა.

*(ბულბული)*

\*

გაზაფხულზე შემოფრინდა  
გადმოლახა ზღვა და მთები  
სახურავექვემ ბუდეს იდგამს,  
უყვარს სახლის აივნები.

*(მერცხალი)*

## მე-13 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „საოცარი ცხოველები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ბუნების მრავალფეროვნების გაცნობა, – ინფორმაციის მოგროვება დედამიწაზე არსებულ ცხოველთა შესახებ;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, – სურათის აღწერა, მცირე ზომის ტექსტის მოსმენა და ანალიზი;
- ენობრივი ერთეულების გამოცნობა (სიტყვა, მარცვალი);
- მოტორიკის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის წერის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. წუთშესვენება – „კუ“ (5 წთ.)**

ბავშვები დგებიან მოპირდაპირე კედლებთან. ისინი პატარა „კუებს“ წარმოადგენენ. სიგნალზე მასწავლებლისაკენ უნდა დაიწყონ მოძრაობა, – მაგრამ ისე, რომ არც გაჩერდნენ და არც იჩქარონ. როცა მასწავლებელი ნიშანს აძლევს, მოსწავლეები ჩერდებიან. მოგებულია ის, ვინც ბოლოა.

#### **III. აქტივობა – სურათის აღწერა (7 წთ.)**

მასწავლებელი ბავშვს ესაუბრება, თუ როგორი მრავალფეროვანი, საოცარი და საკვირველია დედამიწაზე არსებულ ცხოველთა სამყარო.

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, ამოიცნობენ ცხოველებს, გადმოსცემენ ნაცნობ ინფორმაციას და იგებენ ახალს, სწავლობენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, მეტყველებისას იყენებენ წინადადების სხვადასხვა მოდალობებს (თხრობა, შეკითხვა).

#### **IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (7 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს დონალდ ბისეტის „პატარა პინგვინის“ მიხედვით. ტექსტის კითხულობს პაუზებით, ნაწილ-ნაწილ. მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ და საკონტროლო შეკითხვებს.

მოსწავლეები სვამენ/პასუხობენ შეკითხვებს, ამოიცნობენ პერსონაჟის მდგომარეობას.

ჰყვებიან, თუ რა დამატებითი ინფორმაცია იციან პინგვინების შესახებ, ისმენენ მასწავლებლის ინფორმაციას.

#### **V. წუთშესვენება – „ხმაური“ (3 წთ.)**

მოსწავლეები იყოფიან წყვილებად. თითოეული წყვილი ირჩევს რომელიმე ცხოველის ხმას, მაგ.: ძაღლის, კატასავით კნავის და ა. შ. წყვილები ერთმანეთს შორდებიან, დახუჭავენ თვალებს და იწყებენ კლასში მოძრაობას. ყველამ ის ხმა უნდა გამოსცეს, რომელიც მენწყვილესთან ერთად შეარჩია. წყვილები იქამდე არ ახელენ თვალს, ვიდრე ერთმანეთს არ იპოვიან.

#### **VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (2 წთ.)**

თემის მიხედვით შეარჩევენ რამდენიმე სიტყვას. მაგ.: სპილო, ავაზა, ყირაფი, ვეშაპი.

ერთ-ერთ სიტყვას მასწავლებელი მკაფიოდ, გარკვევით მარცვლავს. დანარჩენ სიტყვებს თავად მოსწავლეები მარცვლავენ.

#### **VII. აქტივობა – წერისთვის მზადება (10 წთ.)**

დარჩენილი დრო დაეთმობა ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულებას.

## საკითხავი მასალა

### პატარა პინგვინი

პანანინა პინგვინი, სახელად პრინცი, კვერცხში როცა იჯდა, სულ იმაზე ფიქრობდა, გარეთ როგორ გავიდეთ, – ერთი სული ჰქონდა, სხვა პინგვინებთან ეთამაშა.

ჯერ ნისკარტი ჰკრა კვერცხის ნაჭუჭს, მერე კი ფეხით მიანწვა:

– ტკაც! – ნაჭუჭი გატყდა.

– ვაშაა! ძლივს არ დავიბადე?

დედა პინგვინმა შვილს შეხედა და თვალს არ დაუჯერა:

– ეს რა უცნაურობაა! – გაიფიქრა მან, – ჩემი შვილი ყავისფერი რატომ უნდა იყოს? პინგვინს ხომ ზურგზე შავი ბუმბულები აქვს, მუცელზე კი – თეთრი... რომ გავბანო? იქნება, ყავისფერი გაუვიდეს და თეთრი დარჩეს.

ნისკარტი პატარას აუსვა და ჩამოუსვა, მაგრამ რა? – პრინცი ყავისფერი იყო და ყავისფერი დარჩა.

დედამ განჯინიდან ქილით თაფლი გამოიღო, შვილს თავით ფეხებამდე წაუსვა, მერე კი თეთრ დათვ ბუზლუნას დაუძახა – მოდი, ალოკე! იქნებ, ყავისფერი გადაეცალოსო.

ბუზლუნამ პატარა პინგვინი დიდი სიხარულით გალოკა, მაგრამ პრინცს მაინც არაფერი ეშველა.

მაშინ ბუზლუნამ დედას უთხრა:

– რა იქნება, პრინცი თოვლიან ფერდობზე დაგორდეს. იქნებ ყავისფერი თოვლმა გადააცალოს.

პრინცი გორაზე ავიდა და დაგორდა, მაგრამ რაც იყო, ისევ ის ფერი დარჩა.

– მოდი, შვილიკო, ბუსთან წავიდეთ! – გადანყვიტა დედა პინგვინმა, – ბუ ძალიან ქკვიანია, რაიმეს გვირჩევს...

მივიდნენ ბუსთან. ბუმ პრინცის დედას უთხრა:

– სასაცილოა! მაგოდენა პინგვინი ხარ და ნუთუ არ უნდა იცოდე, რომ ყველა პინგვინი ყავისფერი იბადება! მოიცადე, შენი შვილი წამოიზრდება, ზურგიც გაუშავდება და მუცელიც გაუთეთრდება!

მალე ასედაც მოხდა:

პრინცი წამოიზარდა, ჯერ გარუხდა, მერე კი... ზურგზე შავი ბუმბულები ამოუვიდა, მუცელზე – თეთრი.

### გამოცანები

\*

უზარმაზარია,  
ასობით კილოა,  
ტლანქი და უხემი,  
ხორთუმა...

(სპილოა)

\*

მზრუნველია და ფრთხილი,  
სულ ჩანთით დაჰყავს შვილი.

(კენგურუ)

\*

მას სასმელ-საჭმელის გუდა  
ზურგზე ჰკიდია მუდამ.

(აქლემი)

\*

შვენის ციცქნა რქები  
და სამოსი ქრელი,  
ფეხები აქვს მოკლე,  
კისერი კი – გრძელი.

(ყირაფი)

## მე-14 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „ზღაპრული არსებები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მონაწილეობა სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში, – შესაბამისად, სამეტყველო როლების ცვლა – მოსმენა, კითხვა, პასუხი, სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულების ამოცნობა;
- ნაცნობ თემაზე მარტივი ინფორმაციის გადმოცემა;
- მართლმეტყველების წესების დაცვა;
- მცირე მოცულობის ტექსტის მოსმენა, დამოკიდებულების გამოხატვა, გააზრება – თუ რა არის ზღაპარი. ილუსტრაციების შექმნა;
- მოტორიკის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** დაფა, ცარცი, სახატავი ქაღალდები, ფერადი ფანქრები და საღებავები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – სამეტყველო ეტიკეტის ფორმულების გამოყენება – რეპლიკები: „დილა მშვიდობისა“, „სალამო მშვიდობისა“, „შუადღე მშვიდობისა“ (2 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს წარმოუდგენს სიტუაციას:

– ვთქვათ, დილით, სახლიდან გამოსვლისას, შეგხვდათ თანაკლასელი. გარდა იმისა, რომ შეგეძლებათ უთხრათ „გამარჯობა“, კიდევ რა სიტყვით მიესალმებოდით? („დილა მშვიდობისა“).

თუ მოსწავლეებს კითხვაზე პასუხი გაუჭირდებათ, მასწავლებელი სხვადასხვა ვარიანტებს შესთავაზებს: – რას ეტყვიან? „მადლობა“, „ნახვამდის“ თუ „დილა მშვიდობისა“?

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გასეირნება ჯადოსნურ სამყაროში“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ, რომ ისინი ჯადოსნურ სამყაროში მიემგზავრებიან. ამ სამყაროში ყველაფერი უჩვეულოა, განსხვავებული. შეიძლება ნებისმიერი საგანი გაცოცხლდეს, ნებისმიერი რამ მოხდეს.

მასწავლებელი მოსწავლეებს დაბალი ხმით ესაუბრება. იგი ასახელებს ზღაპრულ არსებებს. ბავშვები კი იმის შესაბამის მოძრაობებს ასრულებენ, როგორც წარმოუდგენიათ ისინი, – ტაშით ხვდებიან ჯუჯებს, ფერიებს, დაფრინავენ ფასკუნჯებით, ეომებიან დევეებს და ა. შ.

შესაძლებელია ასევე წარმოვსახოთ „გასეირნება ჯადოსნურ ტყეში“.

**IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (8 წთ.)**

მასწავლებელი ნაწილ-ნაწილ, პაუზებით კითხულობს ტექსტს „ზღაპარი დაიწყო!“ ყოველი ნაწილის ნაკითხვის შემდეგ სვამს შეკითხვებს და ამონებს, როგორ გაიაზრებენ მოსწავლეები ნაკითხულს. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები, იმსჯელებენ, თუ რა არის ზღაპარი.

**V. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)**

შეკითხვებიდაისმება ნაკითხული ტექსტის მიხედვით. თუ აზრი დასაჯერებელია, ბავშვები პასუხობენ „მართალია“. თუ აზრი ზღაპრულია, დაუჯერებელი, იტყვიან „ტყუილია“.

– ბავშვები საღებავებით ხატავენ. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– ჯადოსნურმა ფუნჯმა არარსებული ცხოველი დახატა. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

– არარსებული ცხოველი ქაღალდზე დაშეფეხულმა საღებავმა გააჩინა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– ლუკამ ფუნჯით გასაოცარი გოგონა დახატა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– პანია დახატული გოგონა გაცოცხლდა და ნახატიდან გადმოხტა. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

– ბავშვებმა ზღაპარი, ანუ დაუჯერებელი ამბავი გაითამაშეს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)



## **VI. ნუთქსვენება – „დავიჭიროთ მოხეტიალე ღრუბელი“ (3 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ საკლასო ოთახში შემოიპარა მოხეტიალე, ძალიან მხიარული (წარმოსახვითი) ღრუბელი. „დავიჭიროთ იგი!“ – ამბობს ის. ბავშვები შეხტომით, აქტიური მოძრაობებით ცდილობენ, ღრუბელს მისწვდნენ და დაიჭირონ.

## **VII. აქტივობა – ხატვა თემაზე „საოცარი არსებები“ (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ხატავს უფორმო გამოსახულებას და ეკითხება ბავშვებს, რას აგონებთ იგი.

მასწავლებელი სუფთა ფურცელზე აშხეფებს საღებავს, ქალაქს მოკეცავს, შემდეგ გახსნის. მოსწავლეები მიღებულ უფორმო გამოსახულებას აკვირდებიან და ამბობენ, რას აგონებთ ქალაქზე გაჩენილი ფერადი ლაქა. დარჩენილ დროში მოსწავლეები ხატავენ ფერადი ფანქრებით, საღებავებით თემაზე: „საოცარი არსებები“.

შეიძლება ეს აქტივობა ჯგუფური მუშაობითაც გაიმართოს.

ჯგუფები აწყობენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენა-პრეზენტაციას.

დარჩენილი დრო დაეთმობა ხელის მოტოროვის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულებას.

## **საკითხავი მასალა**

### **ზღაპარი იწყება!**

ბავშვები მაგიდასთან ისხდნენ და საღებავებით ხატავდნენ. ძალიან უნდოდათ, უცნაური არსებები დაეხატათ, მაგრამ არ გამოსდიოდათ.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ასეთი საოცრება ლუკას ფუნჯმა თვითონვე დახატა. იცით, როგორ? – სახატავ ფურცელზე საღებავი დააშხეფა და... აი, სასწაული! – იმ ქალაქზე უცებ ზღაპრული არსება გაჩნდა, – არარსებული ცხოველი!

– ეს რა დაგიხატავს, ლუკა? – გაოცდა ნინო.

– ასეთი უცნაური ცხოველი არასოდეს მინახავს. ალბათ, არც არსებობს! – თქვა საბამ.

– ჯადოსნური ფუნჯი გვექონია! დაიძახეს გახარებულმა ბავშვებმა და სუფთა ქალაქზე საღებავები ლუკას ფუნჯით სათითაოდ დააშხეფეს, თანაც სულ სხვადასხვა ფერისა – წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი... თეთრი ფურცელი მალე ათასფერადი შუშუნებით სავსე ცას დაემსგავსა.

შემდეგ ლუკას ფუნჯმა გასაოცარი გოგონაც დახატა. პანია გოგონას ფრთებიც კი ჰქონდა, თავზე თმა პალმასავით ჰქონდა გადაშლილი და თითქოს ნახატიდან გადმოხტომას ცდილობდა.

ამ დროს დედაც დაბრუნდა სამსახურიდან. ჯადოსნური ფუნჯის ნახატები დედას ძალიან მოეწონა:

– რა მშვენიერი ფერებია! რა ლამაზი ნახატები! – თქვა მან, – ახლა შეგიძლიათ ზღაპარი მოიფიქროთ...

– ზღაპარი როგორ უნდა მოვიფიქროთ? – გაოცდნენ ბავშვები.

– ზღაპარი დაუჯერებელი ამბავია, – აუხსნა დედამ შვილებს, – ისეთივე... ისეთივე დაუჯერებელი, როგორც ეს პანანინა გოგონაა... თანაც, ზღაპარში ყველაფერი შეიძლება მოხდეს... აი, თუნდაც, ეს გოგონა გაცოცხლდეს.

აი, საოცრება! – ქალაქი ამოძრავდა, დახატულმა პანია გოგონამ კი ფრთები შეისხა.

– ერთი, ორი, სამი, ჰოპ! – ნახატიდან გადმოხტა და ლუკას ხელისგულზე დაუსკუპდა.

– ვინ ხარ? რა გქვია? – გაოცდნენ ბავშვები.

– ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! – გახარებული გოგონა ბიჭის ხელისგულზე დახტოდა.

– გამარჯობა, ჰოპ! – მიესალმა ლუკა.

დედამ შვილებს ხელი მოხვია, მოეფერა:

– მამ ასე, დაუჯერებელი ამბავი, ანუ ზღაპარი უკვე დაიწყო! ახლა კი გავაგრძელოთ... ამ ზღაპარს რა დავარქვათ? სათაურად რა შევურჩიოთ?

– ჰოპის ზღაპარი! – უცებ დაიძახეს ბავშვებმა.

– კარგი, ასე იყოს, – თქვა დედამ, – აბა, ვინ იქნება ყოჩალი? პანია გოგონას საოცარ თავგადასავალს ვინ მოიფიქრებს? ჰოპის ზღაპარი იწყება, ბავშვებო!

ბავშვები დაუჯერებელი ამბის, ანუ ზღაპრის მოფიქრებას შეუდგნენ.

ხომ არ გინდათ, თქვენც სცადოთ?

## მისამე კვირა

### მე-15 ბაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „სად ვცხოვრობთ?“ – ქალაქი და სოფელი.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ზეპირმეტყველების განვითარება, – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, სურათის აღწერა, კითხვა-პასუხი;
- მცირე მოცულობის ტექსტის მოსმენა და ანალიზი, დამოკიდებულების ფორმირება;
- მარტივი ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- წერისთვის მზადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – სამეტყველო ეტიკეტის ფორმულების ამოცნობა: „მოზრძანდით“, „დაბრძანდით“ (3 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მოუთხრობს სიტუაციას:

– დედა მაღაზიაში წავიდა საყიდლებზე, ნინო კი სახლში დატოვა. ამ დროს სტუმარი მოვიდა – დედას მეგობარი, დეიდა ელისო. როგორ ფიქრობთ, ნინო სტუმარს რას ეტყოდა?

სასურველია, ეს სიტუაცია კლასში გათამაშდეს.

#### **III. აქტივობა – პროვოცირება – საუბარი თემაზე: „სად ვცხოვრობთ?“ (8 წთ.)**

მასწავლებელი წარმართავს საუბარს იმის შესახებ, თუ სად ცხოვრობენ მოსწავლეები, რომელ ქალაქსა თუ სოფელში, სად არის მათი სკოლა. თუ სოფელში ცხოვრობენ, მასწავლებელი ეკითხება, როგორია მათი სახლი, კარ-მიდამო, აქვთ თუ არა ყანა, ვენახი, ხეხილის ბაღი, არის თუ არა სოფელში მაღაზია, რა ჰქვია ახლომდებარე მთას, წყაროს ან მდინარეს მათ სოფელში. ასევე ეკითხება, ყოფილან თუ არა რომელიმე ქალაქში, რა უნახავთ იქ საინტერესო და ახალი.

ქალაქელ ბავშვებს მასწავლებელი ჯერ მშობლიური ქალაქის შესახებ მოათხრობინებს, შემდეგ კი ეკითხება:

– რომელი თქვენგანი ყოფილა სოფელში? ვის აქვს სოფელში სახლი? და ა. შ.

შემდეგ სვამს კითხვას:

– თქვენი აზრით, რა განსხვავებაა სოფელსა და ქალაქს შორის?

– როგორი სახლებია სოფელში?

– როგორი სახლებია ქალაქში? და ა. შ.

შეკითხვები გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ბავშვები შეძლებისდაგვარად არ ამონურავენ სოფლისა და ქალაქის რეალიების აღწერას.

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, წარმოდგენილი სურათის მიხედვით აღწერენ სოფელსა და ქალაქს.

მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებმა საუბრისას დაიცვან მართლმეტყველების წესები: ბგერების მკაფიოდ გამოთქმა, წინადადებების პაუზით გამოყოფა და ა. შ.

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (10 წთ.)**

მასწავლებელი კითხულობს მცირე მოცულობის ტექსტს ნაწილ-ნაწილ, პაუზებით. ყოველი ნაწილის ნაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით. შეირჩევა სიტყვები: „სოფელი“, „ქალაქი“, „ქუჩა“, „მინდორი“, „ვენახი“. მოსწავლეები ვარჯიშობენ სიტყვების დამარცვლაში.

**VI. აქტივობა – მზადება წერისათვის (10 წთ.)**

დარჩენილი დრო დაეთმობა ხელის მოტოროკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულებას.

საკითხავი მასალა

**პატარა ქართველი**

მე პატარა ქართველი ვარ,  
კავკასიის მთების შვილი  
და განცხრომით სხვაგან ყოფნას  
მირჩევნია აქ სიკვდილი.

ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო,  
ყველა ჩემი სამშობლოა,  
საყვარელი საქართველო!  
*დუტუ მეგრელი*

## მე-16 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „ჩვენი სამშობლო“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ზეპირმეტყველების განვითარება, – საუბარი, თხრობა, ილუსტრაციების დათვალიერება, აღწერა, კითხვა-პასუხი, მართლმეტყველება, მცირე მოცულობის ლექსის დაზეპირება;
- მცირე მოცულობის ტექსტის მოსმენა-გააზრება;
- ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- წერისთვის მზადება (ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება).

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, ფერადი სურათები, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – ინფორმაციის გადმოცემა ნაცნობ თემაზე „ჩვენი სამშობლო“ (7 წთ.)**

მასწავლებელი საუბარს წარმართავს ჩვენი სამშობლოს – საქართველოს შესახებ. შეძლებისდაგვარად, სრულად ამოწურავს ამ თემაზე მოსწავლეთა ცოდნის გამომჟღავნების შესაძლებლობებს და აწვდის დამატებით მარტივ ინფორმაციასაც.

მოსწავლეთაგან ზოგი ქალაქში ცხოვრობს, ზოგი სოფელში, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი ქალაქი/სოფელიც საქართველოს ნაწილია.

#### **III. აქტივობა – საუბარი თემაზე: „სად ვცხოვრობთ?“ (7 წთ.)**

მასწავლებელი ბავშვებს უყვება სიტუაციას.

– საბამ და გიორგიმ ერთმანეთი ზღვაზე დასვენების დროს გაიცნეს. ზაფხული გავიდა. ბიჭუნები შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ. საბამ გიორგი სტუმრად დაპატიჟა. როგორ ფიქრობთ, რა უნდა იცოდეს გიორგიმ, რომ საბას ესტუმროს?

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით სწავლობენ სკოლის მისამართს, ამბობენ თავისას – ზუსტად მიუთითებენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს.

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (7 წთ.)**

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს „სად ვცხოვრობთ?“ ნაწილ-ნაწილ, პაუზებით. ყოველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს, – აკონტროლებს, გააზრეს თუ არა მოსწავლეებმა ტექსტი. ხსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს. ტექსტის შინაარსს მოსწავლეები პირად გამოცდილებასთან აკავშირებენ, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას.

#### **VI. აქტივობა – მზადება წერისთვის (10 წთ.)**

დარჩენილ დროს მოსწავლეები ანდომებენ ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულებას.

#### **დამატებითი აქტივობა**

#### **აქტივობა – „სად ვცხოვრობთ?“**

ცალკეული მოსწავლეები განასახიერებენ სოფლის ცხოვრებას, სხვები კი უნდა გამოიცნონ, მაგ.: ჭიდან წყლის ამოღება, შინაური ფრინველების დაპურება, ხენა, თოხნა, ხილის კრეფა, მდინარეში ბანაობა და ა. შ.

განასახიერებენ, რა ხდება ქალაქში. მაგ., მერხებშუა მწკრივი არის „ცენტრალური ქუჩა“. ერთ-ერთი მოსწავლე შუქნიშნის ფერების მონაცვლეობით „არეგულირებს მოძრაობას“. მოსწავლეთაგან ზოგი ვითომ მანქანას მართავს, ზოგი კი ქვეითად მოსიარულეა. ისინი მოძრაობენ შუქნიშნის სიგნალის შესაბამისად.

## საკითხავი მასალა

### სად ცხოვრობთ?

საბამ და გიორგიმ ერთმანეთი ქობულეთში გაიცნეს, – ზაფხულში დედებთან ერთად ზღვაზე ისვენებდნენ. ბიჭუნები მალე დამეგობრდნენ.

დრომ სწრაფად გაირბინა. საბა მშობლიურ ქალაქში უნდა დაბრუნებულიყო, გიორგი – მშობლიურ სოფელში. ბიჭები სკოლაში პირველად წელს მიდიოდნენ.

ბავშვებმა მოინყინეს, – გული სწყდებოდათ, ერთმანეთს რომ შორდებოდნენ.

– მისამართები გავცვალოთ, – ურჩია ბიჭებს საბას დედამ, – მალე სკოლაში წერას ისწავლით და შეგეძლებათ, ერთმანეთს წერილები მისწეროთ. ჯერჯერობით ჩვენ, დიდები დაგეხმარებით...

– ბიჭებო, ხომ იცით, სად ცხოვრობთ? – გაიღიმა გიორგის დედამ.

– საქართველოში! – ორივემ ერთად წამოიძახა.

– რა თქმა უნდა, საქართველოში... ოღონდ მისამართი უფრო ზუსტი უნდა იყოს! თქვენ გვითხარით, ჩვენ კი ჩავწერთ...

საბა და გიორგი ყოჩაღი ბიჭები არიან. საკუთარი მისამართი ორივემ ზეპირად ჩაარაკრაკა.

– ქალაქი თბილისი, ლეონიძის ქუჩა, მესამე კორპუსი, მეათე ბინა, – ჩამოთვალა საბამ.

მეგობარს არც გიორგი ჩამორჩა:

– საჩხერის რაიონი, სოფელი სხვიტორი, – დაიძახა ბიჭმა, – საბა, იცი, ჩემი სოფელი როგორი მშვენიერია? ჩამოდი რა, შენი თვალთ ნახე!

– ნეტა, შენ ჩვენი დედაქალაქი გაჩვენა! – უთხრა მეგობარს საბამ, – ჩამოდი, ნახე, როგორ მოგეწონება!

– ჩამოვალ, – დაჰპირდა მეგობარი, – ახლა ხომ ვიცი, შენ სადაც ცხოვრობ.

– მეც ჩამოვალ, – უთხრა საბამ, – მეც ვიცი, შენ სად ცხოვრობ.

– განა მეგობრები ერთმანეთს ვერ იპოვიან? – დააიმედეს დედებმა, – მთავარია, მუდამ ასეთი მოსიყვარულე ძმობილები იყოთ!

### ჩვენი სამშობლო

ჩვენი სამშობლო ქვეყანა  
რა ლამაზია, რა კარგი,  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი,  
ნაირფერებით ნაქარგი.

ჩემი სამშობლო ზურმუხტის  
და მარგალიტის სადარი,  
ამრიგად აყვავებული  
მხარე მეორე სად არის?

ლ. ასათიანი

\* \* \*

გვიყვარს, როგორც იავნანა,  
როგორც ტკბილი ზღაპარი  
საქართველოს ცა და მიწა,  
საქართველოს მთა-ბარი.

იგი ქვეყნის თვალი არის,  
ზურმუხტ-ლალი ჰფენია  
ალაგ – წითელ, ალაგ – ყვითელ  
ალაგ – ალისფერია.

გ. აბაშიძე

## მე-17 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „რას ვაკეთებთ?“

**გაკვეთილის მიზანი:**

• ზეპირმეტყველების განვითარება, – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, შეკითხვების დასმა უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად;

• მარტივი ინფორმაციის გადმოცემა ნაცნობ თემაზე, – საუბარი, თხრობა, სურათის აღწერა;

• მცირე მოცულობის ტექსტის მოსმენა და ანალიზი, დამოკიდებულების ფორმირება;

• ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება – წერისთვის მზადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – სამეტყველო ეტიკეტის ფორმულები: „თუ შეიძლება, მაჩვენეთ“, „ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ“ (3 წთ.)

მასწავლებელი გაათამაშებინებს სიტუაციებს, სადაც საჭირო იქნება თავაზიანი სიტყვების გამოყენება. მაგ.:

– შეხვედით მაღაზიაში და ერთ-ერთ თაროზე დაინახეთ თქვენთვის სასურველი წიგნი. რას ეტყვიტ გამყიდველს: „მაჩვენეთ ეს წიგნი“ თუ „თუ შეიძლება, მაჩვენეთ ეს წიგნი“?

– ვთქვათ, დგახართ ავტობუსების გაჩერებასთან. შემთხვევით უკან მდგომს ფეხზე ფეხი დააბიჯეთ. რას ეტყვიტ: „გაინიეთ“ თუ „ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ“?

#### III. აქტივობა – საუბარი თემაზე: „ვის უფრო უყვარს სამშობლო?“ (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– მე მოგიტხრობთ ამბავს. თქვენ ყურადღებით მოუსმინეთ და პასუხი გაეცით შეკითხვას: ვის უფრო უყვარს სამშობლო.

მასწავლებელი ბავშვებს მოუთხრობს:

– იყო ორი კაცი. ორივე სამშობლოს სიყვარულს იჩემებდა.

ერთ კაცი სამშობლოს ხშირად ლოცავდა, აქებდა, ადიდებდა, თანაც სულ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით:

– ჩემს ლამაზ, სულზე ტკბილ სამშობლოს გაუმარჯოს! სხვა მე არაფერი მინდა – ჩემი საყვარელი მამული გამიძლიერდეს, გამიბედნიერდეს!

ეს იყო და ეს. ქვეყნისათვის მას სხვა არაფერი გაუკეთებია.

მეორე კაცი თქმით არაფერს ამბობდა, მაგრამ მთელი დღე შრომობდა – ხნავდა, თესავდა, რგავდა, ამყნობდა, ვაზს შვილივით უვლიდა, ტყეს და წყალს უფრთხილდებოდა.

როგორ ფიქრობთ, ამ ორი კაციდან სამშობლო ვის უფრო უყვარდა?

მოსწავლეები მსჯელობენ სიტუაციის შესახებ. სვამენ ან პასუხობენ შეკითხვებს, ყურადღებას ამახვილებენ სიტყვებზე: „სამშობლო“, „მამული“. ასკვნიან, რომ სამშობლო მთელი გულით იმას უყვარს, ვინც მისთვის დაუზარებლად შრომობს.

#### IV. აქტივობა – სურათის აღწერა (5 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან და აღწერენ ილუსტრაციას, რომელზედაც გამოსახულია სხვადასხვა შრომა-საქმიანობა. მოსწავლეები საუბრობენ აღნიშნულ მოქმედებებზე, იხსენებენ სხვადასხვა, ავლენენ დამოკიდებულებებს და ასკვნიან, რომ ყოველგვარი შრომა საამაყოა, სასახელო, თუკი იგი მიმართულია ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებინებს მოსწავლეთა საქმიანობაზე – ბავშვები ბევრი სწავლობენ, რათა სასახელო მომავალი შეიქმნან და ქვეყანას, ადამიანებს გამოადგინონ.

მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება:

– ყველა პროფესიას აქვს თავისი სახელი. რა ჰქვია მას, ვინც ასწავლის? ვინც ავადმყოფს მკურნალობს? ვინც ქურბს ასუფთავებს? ვინც წესრიგს იცავს? და ა. შ.

### **V. წუთისგენება (2 წთ.)**

### **VI. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (7 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მეთოდით „პაუზებით კითხვა“ უკითხავს მცირე მოცულობის ტექსტს: „რას ვაკეთებდით?“ ეს ტექსტი სრულად იმეორებს ილუსტრაციის შინაარსს. მოსწავლეები უსმენენ კითხვას და სურათებს თვალს აყოლებენ.

მოსწავლეები ტექსტს აანალიზებენ. უპასუხებენ შეკითხვებს. მასწავლებელი ხსნის უცნობი სიტყვებსა და გამოთქმებს. გაკეთდება დასკვნა, რომ სწავლაც კი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთებაა.

### **VII. აქტივობა – ლექსის კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს ლექსს („როგორ გავალამაზოთ?“ გ. ჭიჭინაძე).

### **VIII. აქტივობა – წერისათვის მზადება (6 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ ხელის მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს.

## **საკითხავი მასალა**

### **რას ვაკეთებთ?**

ანანო პატარა გოგონაა, მაგრამ უნდა, დიდებით იმანაც ბევრი საქმე აკეთოს.

– მე მხოლოდ ვთამაშობ, – ეწუწუება დედას ანანო, – თქვენ კი ყველა მუშაობთ, ყველა რაღაცას აკეთებთ.

– ასედაც უნდა იყოს, შვილო, – ეუბნება დედა, – ქვეყანას ყველა თავისი შრომით უნდა გამოადგეს, საქმით უნდა გაახაროს.

ანანო იხსენებს... აი, რამდენი ვინმე ახარებს ქვეყანას:

კოტე პაპა სოფელში ცხოვრობს, – ის ბარავს, თოხნის, ხეხილს რგავს, ამყნობს, ვენახს უფლის, სიმინდი მოჰყავს... ქვეყანას ახარებს, აბა რა?

ძია თამაზი კი მშენებელია. ადამიანებს მის აშენებულ სახლში ცხოვრება ძალიან მოსწონთ.

ანანოს მამა მხატვარია. წელს მისი ნახატები დიდ გალერეაში გამოფინეს. იქ ერთხელ ანანოც იყო. ხალხი მამას ნახატებს ათვალიერებდა და მოწონებით ილიმებოდა.

ანანოს დედა ექიმია. ექიმები სულ იმაზე ზრუნავენ, ადამიანები ავად არ გახდნენ. თუ ვინმე ავად გახდება, მას მკურნალობენ.

დეიდა სარა მეფობდა. ქალაქში დილით ყველას ტკბილი ძილით სძინავს, მეფობეები კი ქურბს ადრიანად გვიან, სუფთა, კრიალა ქალაქში ცხოვრება ყველას რომ მოეწონოს.

ძია ნოდარი მეპურეა. ისიც მთელი დღე ადამიანებისათვის შრომობს. გემრიელი თონის პური ვის არ უყვარს? ანანოც სიამოვნებით მიირთმევს.

ნინო მასწავლებელიც დიდ საქმეს აკეთებს. ის ბავშვებზე მზრუნველი ქალია. პატარებს წერა-კითხვას, თვლას, ანგარიშს ასწავლის, საინტერესო ამბებს უკითხავს...

წელს ანანო სკოლაში შეიყვანეს. ჩვენი გოგონა უკვე პირველკლასელია.

– აი, ახლა შენც აკეთებ საქმეს! – ეუბნებიან გოგონას.

– რა საქმეს? – უკვირს ანანოს.

– როგორ, თუ რას? სწავლობ, რათა მომავალში შენც გამოადგე ქვეყანას. გგონია, სწავლა საკმე არა არის?

ანანოს უხარია:

– რა კარგია! ყველა ვმუშაობთ! ქვეყანას ყველა ჩვენი საქმეებით ვახარებთ!

### **როგორ გავალამაზოთ?**

როგორ გავალამაზოთ

ჩვენი დედულ-მამული?

ცამ თქვა: – ბროლის წვიმებით!

მზემ: – სხივების აღმურით!

კაცმა, სანამ იტყოდა,

ჯერ დალოცა გამჩენი

და მერე თქვა: – როგორ და

საკუთარი მარჯვენით.

*გ. ჭიჭინაძე*



## მე-18 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „ჩვენი ლამაზი დედამიწა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მოსწავლეებმა მოისმინონ მარტივი ინფორმაცია ტოლერანტობის შესახებ, გაიაზრონ, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გარეგნულად, აზროვნებით, კულტურით. ყოველი ადამიანი ისეთად უნდა მივიღოთ, როგორც არის;
- ზეპირმეტყველების განვითარება, სურათის აღწერა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, დამოკიდებულების გამოხატვა;
- მარტივ ენობრივ ერთეულებზე მუშაობა;
- წერისთვის მზადება.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – სიტუაციური თამაში: „ვინ ვარ მე?“ (5 წთ.)**

მასწავლებელს გამოჰყავს ერთ-ერთი მოსწავლე და სთხოვს, კლასისკენ ზურგშექცევით დადგეს. ამის შემდეგ ანიშნებს მოსწავლეებს, ცალ-ცალკე ადგნენ და დასვან კითხვა: „ვინ ვარ მე?“ ზურგშექცევით მდგარმა თავისი მეგობრები ხმით უნდა იცნოს და წარმოთქვას მათი სახელები.

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რით ვგავართ ერთმანეთს“ (10 წთ.)**

კლასი ზის წრიულად ან ჩვეულებრივად – მერხებთან. მასწავლებელი გამოდის ცენტრში და ასახელებს მოსწავლეს, რომელსაც მასთან რამით ჰგავს, მაგ., ერთნაირი ფერის თვალებით. დასახელებული მოსწავლე მასწავლებლის გვერდით დგება და ახლა თვითონ ასახელებს სხვას, ვისაც, მისი აზრით, მასთან რაღაც მსგავსება აკავშირებს. მაგ., თმის ფერი ან თუნდაც ის, რომ ისიც დედამიწის ბინადარია.

თამაში გრძელდება იქამდე, სანამ მთელი კლასი არ ჩაებმება.

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს. ის სთხოვს ბოლო მოსწავლეს, დაასახელოს ერთი რამ, რაც მას გვერდით მდგომისგან განასხვავებს. ასე გაგრძელდება იქამდე, ვიდრე თავად მასწავლებლის რიგი არ დადგება.

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ყოველი ადამიანი გარეგნულად, კულტურით ერთმანეთისგან განსხვავდება, მიუხედავად ამისა, ყველა თანასწორია.

დედამიწის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ადამიანები უფრო მეტად განსხვავებულები არიან ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის მრავალი მსგავსებაცაა. ერთ-ერთი ძირითადი კი ის არის, რომ ჩვენ ყველა ლამაზი დედამიწის ბინადრები ვართ.

#### **III. აქტივობა – სურათის აღწერა და ტექსტის მოსმენა (10 წთ.)**

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციას „ჩვენი ლამაზი დედამიწის მცხოვრებლები“. მასზე გამოსახული დედამიწის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ადამიანები დამახასიათებელი ჩაცმულობით.

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს „ჩვენი ლამაზი დედამიწა“. ერთმანეთს უკავშირებს მოთხრობის სათაურსა და ჩატარებულ აქტივობებს.

მოთხრობის კითხვას წარმართავს შემდეგნაირად – ყოველი პაუზის შემდეგ მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. პასუხის მოსმენის შემდეგ აგრძელებს კითხვას შემდეგ პაუზამდე. მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ტექსტისადმი, პერსონაჟებისადმი, – მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების საშუალებით.

#### **IV. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ამარცვლინებს სიტყვებს: დედამინა, ქართველი, ესკიმოსი, თეთრკანიანი, შავკანიანი...

წინადადების და სიტყვის სრული ანალიზი ამ ეტაპზე არ ხდება.

#### **V. აქტივობა – წერისთვის მზადება (5 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მოსწავლის რვეულში მოცემულ ხელის მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოს.

#### **დამატებითი აქტივობები**

##### **აქტივობა – „თანასწორები, მაგრამ განსხვავებულები“**

მასწავლებელი მოსწავლეებს გამოჰკითხავს: ვის რა მოსწონს, რითაა გატაცებული, სხვებისგან რითი გამოირჩევა...

ზოგი დინჯია, ზოგი ცელქი, მოუსვენარი. ზოგს უყვარს ხალხური სიმღერების მოსმენა, ზოგი ცეკვითაა გატაცებული...

მასწავლებელი – რა მოხდებოდა, ყველა ადამიანი რომ ერთმანეთს ჰგავდეს?

– შეიძლება თუ არა, ერთმანეთს არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ მაინც მართლები ვიყოთ?

მოსწავლეები მსჯელობენ ამ საკითხზე. საბოლოოდ დაასკვნიან, რომ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის განსხვავებულობას, ვინაიდან ყველა თანასწორი ვართ.

##### **აქტივობა – „რა შეიცვალა?“**

მასწავლებელს გამოჰყავს ორი მოსწავლე. ერთს სვამს სკამზე. მეორე იმახსოვრებს ამხანაგის გარეგნობას. მასწავლებელი მას ორიოდ წუთით გარეთ უშვებს, ამასობაში პირველის ჩაცმულობაში (ან ვარცხნილობაში) რაღაცას ცვლის. ან ამატებს ახალ ელემენტს. კლასში დაბრუნებულმა მოსწავლემ უნდა გამოიყოს, რა შეიცვალა თანაკლასელის გარეგნობაში.

### **საკითხავი მასალა**

#### **ჩვენი ლამაზი დედამინა**

ჩვენს სკოლაში პირველ კლასში ერთი გოგონა სწავლობს, სახელად გვანცა, რომელსაც თურმე უამრავი მეგობარი ჰყვლია, თანაც მარტო თანაკლასელები კი არა...

– ვინ არიან? სად ცხოვრობენ? შენ ვინ გაგაცნო? – ახმაურდნენ კლასში ბავშვები.

– მე მათზე დედამ მიაბზო. სად ცხოვრობენ? მთელ მსოფლიოში, ჩვენს ლამაზ დედამინაზე!

გოგონას მეგობრების გაცნობა ყველას მოუნდა, ამიტომ ერთხელ ჩვენმა პატარა მხატვარმა კლასში ნახატი მოიტანა. ამ სურათზე ის და მის მიერ დახატული მეგობრები ხელიხელჩაკიდებულები იდგნენ. თქვენც დაინტერესდით, არა? აი, ვინ არიან:

– ეს ავსტრალიელი აბორიგენია, სახელად ნიკი, – ხედავთ? ბიჭუნას შავი კანი, ხუჭუჭა თმა და ფართო ცხვირი აქვს. ნიკის სამშობლოში ძალიან ცხელა, ამიტომ ბიჭი წელზევით შიშველი დაიარება. იცით, ყველაზე ძალიან რა უყვარს? – ბუმერანგის სროლა.

– ნიკის გვერდით სოფი დგას – თეთრკანიანი, ქერათმიანი ფრანგი გოგონა. სოფი დიდ ქალაქში ცხოვრობს. მისი ოთახის ფანჯრიდან მსოფლიოში ცნობილი ეიფელის კოშკი მოჩანს.

– ეს კი ჩინელია, ლოუ, – ყვითელკანიანი, შავთმიანი ბიჭი. ლოუ ბამბუკის ლამაზ სახლში ცხოვრობს და მოხუც ბაბუას ბრინჯის ნათესის მოვლაში ეხმარება.

– ეს ბიჭი ესკიმოსია, მას კაიუში ჰქვია, – ნახეთ, რა ვიწრო თვალები აქვს, როგორი პირმრგვალია, ბე-

ნვის ტანსაცმელში როგორ ჩაფუთნულა. ეს იმიტომ, რომ ამ ბიჭუნას სამშობლოში მუდამ ცივა. კაიუშს უკვე საკუთარი შინაური ირემი ჰყავს. ირმით ჯირითი მისი საყვარელი გასართობია.

– ინდოელ რამიტას კი სათამაშოდ არ სცალია. მისი ოჯახი მრავალშვილიანია და გოგონა დედას პატარების მოვლაში ეხმარება. რამიტას ტანზე შემოხვეულ ქსოვილს სარის ეძახიან.

– ეს არის ჩვენი ლუი – მხიარული ზანგი ბიჭუნა. ლუი შავკანიანია, ხუჭუჭთმიანი. ამ საკრავს საქსოფონი ჰქვია. ლუი საქსოფონზე კარგად უკრავს. ის კარგი მოცეკვავეცაა.

– ამ ინდიელ გოგონას აილინი ჰქვია, მაგრამ მას უცნაურ სახელსაც ეძახიან – რადგან სიმღერა ძალიან უყვარს, მომღერალი ჩიტიც დაარქვეს.

აილინს მონთალო კანი აქვს და სწორი შავი თმა. როცა თავის საცხოვრებელს, ანუ ვიგვამს ალაგებს, სულ ჩიტივით გალობს.

– ეს ვინაა, ნეტავ? – ნინო მასწავლებელმა გვანცას ნახატზე ქართულ სამოსში გამონყოფილი გოგონასკენ მიუთითა.

– ეს მე ვარ! – გაიღიმა გვანცამ.

– აბა, რა, – თქვა მასწავლებელმა, – ჩვენი ლამაზი დედამინა ხომ ქართველებსაც ძალიან გვიყვარს? გვანცა მართალია, ბავშვებო, ჩვენ ყველა მეგობრები უნდა ვიყოთ. ეს ლამაზი დედამინა ჩვენი საერთო სახლია!

კლასი ახმაურდა. ყველა ახალ მეგობრებზე ოცნებობდა:

– გავიზრდები და ყველას გავიცნობ, აი, ნახავთ, – გამოგვიცხადა ჩვენმა გიორგიმ.

– მე ლოუს ბრინჯის ნათესის მოვლაში დავეხმარები, – გადანყვიტა თორნიკემ.

– მე კი რამიტას პატარების მოვლაში შევეშველები, – არ ჩამორჩა სალომე.

– რა კარგია! სოფის ვთხოვ, ეიფელის კოშკი დამათვალიერებინოს! – ხმამაღლა დაიძახა ეკამ.

– ნეტავი, შემეძლოს, რომ კაიუშს ცოტაოდენი ჩვენებური ზაფხული გავუნანილო, – ინატრა მეოცნებე ნინომ.

– ნიკის ვთხოვდი და ბუმერანგის სროლაში მავარჯიშებდა, – დაიძახა ვახომ.

– ნინო მასწავლებლო, ჩვენ ხომ მალე წერას ვისწავლით, – ახმაურდნენ ბავშვები, – მოდი მსოფლიოს ბავშვებს ჩვენი საქართველოს შესახებ მივწეროთ...

– მეგობრებისთვის დიდი ზეიმი გავმართოთ. ლუი საქსოფონზე დაუკრავს, მომღერალი ჩიტი კი იმღერებს...

– რატომ მარტო მომღერალი ჩიტი? – სიმღერა ჩვენს ლამაზ დედამინაზე ყველამ ერთად ვიმღეროთ!

ნინო მასწავლებელმა გვანცას ნახატი კედელზე გააკრა და ზედ რაღაც მიანწერა:

– ბავშვებო, გაინტერესებთ, რა დავწერე? – „ჩვენი უცნობი მეგობრები“. დაიმახსოვრეთ, ჩვენ ყველა განსხვავებულები ვართ, დედამინა კი ჩვენი საერთო სახლია!

## მე-19 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „სხვადასხვა ენა და დამწერლობები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- სიტუაციურ თამაშებში და ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა;
- ნაცნობ თემებზე მარტივი ინფორმაციის გადმოცემა;
- მცირე ზომის ტექსტის მოსმენა და ანალიზი;
- ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – სიტუაციური თამაში: „შეხვედრა ქუჩაში“ (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ასეთ სიტუაციის შესახებ მოუთხრობს:

– დღეს, როცა სკოლაში თქვენთან მოვდიოდი, ქუჩაში შემხვდა უცნობი, რომელიც თავის დაქნევით მომესალმა და რაღაც მკითხა. უცნობის შეკითხვა ვერ გავიგე და ამიტომ ქართულად ვკითხე, რა გნებავთ-მეთქი. ეტყობა, ვერც უცნობმა გაიგო ჩემი ნათქვამი.

თქვენ როგორ ფიქრობთ, – რატომ ვერ გავუგეთ ჩვენ ერთმანეთს?

მოსწავლეებს შორის აუცილებლად აღმოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც იტყვიან, რომ უცნობი უცხოელი იყო. მან არ იცოდა ქართული ენა.

მასწავლებელი ამბობს:

– მსოფლიოში ადამიანები სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, სხვადასხვაგვარად წერენ და კითხულობენ. ახსენებს წინა გაკვეთილის თემასაც:

ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ დედამიწაზე სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, – გარეგნობით, ჩაცმულობით, ჩვეულებებით... სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა ენაზე მეტყველებს, წერს და კითხულობს.

მსოფლიოს ყველა ხალხი თანასწორია. მათ აერთიანებთ ბევრი რამ, ერთ-ერთი მთავარი კი ისაა, რომ ყველანი დედამიწის ბინადრები ვართ. დედამიწა ჩვენი სახლია!

მასწავლებელი მოსწავლეებს გადააშლევინებს სახელმძღვანელოებს და მიუთითებს სხვადასხვა ენაზე დაწერილი ტექსტის ნიმუშებზე, რომელთა შორის არის ქართული ნაწერიც.

– თქვენი აზრით, ყველა ნაწერი ერთნაირია?

– ხომ დარწმუნდით, რომ სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარად წერს და კითხულობს?

– ჩვენ რა ენაზე ვწერთ და ვკითხულობთ?

– ამ ნაწერთა შორის ქართულ ნაწერს ვერ მიჩვენებდით?

მოსწავლეები გამოიცნობენ, ქართულ დამწერლობას, მაგრამ ვერ წაიკითხავენ. უკითხავს თავად მასწავლებელი:

– სწორია, ეს ქართული ნაწერია. აქ წერია: დედამიწა ჩვენი სახლია. იგივე წერია ყველა სხვა ნაწერშიც, მაგრამ დააკვირდით, თუ როგორი განსხვავებულია ეს ერთი და იგივე წინადადება, – ოღონდ სხვადასხვა ენაზე დაწერილი.

მასწავლებელი მიუთითებს, თუ რა და რა ენებზეა დაწერილი წარმოდგენილი წინადადება – ქართულად, სპარსულად, აზერბაიჯანულად, სომხურად, ჩინურად.

ამის შემდეგ ესაუბრება წერა-კითხვის მიმართულებებზე:

– გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად წერს, ისინი სხვადასხვა მიმართულებით კითხულობენ კიდევ. მაგ.: ირანელები ასეთი მიმართულებით წერენ და კითხულობენ (აჩვენებს – მარჯვნიდან მარცხნივ), იაპონელები და ჩინელები ასე... (აჩვენებს – ზევიდან ქვევით), ჩვენ, ქართველები, და მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობა ასეთი მიმართულებით ვწერთ და ვკითხულობთ... (აჩვენებს – მარცხნიდან მარჯვნივ).

წერისა და კითხვის გავრცელებულ მიმართულებას (მარცხნიდან მარჯვნივ) აჩვენებს სხვა წარმოდგენილი ნიმუშებითაც.

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უცხო ენების სწავლა მსოფლიოს ხალხთა დაახლოებისთვის.

### **III. წუთშესვენება (3 წთ.)**

### **IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და გააზრება (10 წთ.)**

ამ აქტივობისთვის ჩვენ გთავაზობთ ორ ლიტერატურულ ნიმუშს – მცირე მოცულობის მოთხრობას „მეც ვისწავლი!“ და ხუტა ბერულავას ლექსს „მე ყველაფერს მირჩევნია“. მასწავლებელს შეუძლია სურვილისამებრ იმოქმედოს – მოასმენინოს ტექსტი ან ზეპირად ასწავლოს ლექსი.

მასწავლებელი აანალიზებს მასალას და ხსნის უცნობი სიტყვებსა და გამოთქმებს.

### **V. აქტივობა – წერისთვის მზადება (10 წთ.)**

მოსწავლეები მუშაობენ მოსწავლის რვეულში. აფერადებენ, ამთლიანებენ ფიგურებს, ასრულებენ მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს. მასწავლებელი საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს ამ მასალას.

## **საკითხავი მასალა**

### **მეც ვისწავლი!**

მარიამს ახალი, სურათებიანი ზღაპრების წიგნი გულში ჩაეკრა და წუნუნებდა:

– ზღაპრები წამიკითხეთ, რა! ძალიან მაინტერესებს!

დედა და მამა სახლში არ იყვნენ. მარიამის დაიკო ეკა რაღაც სქელ წიგნს კითხულობდა და უმცროსი დის წუნუნი არც კი გაუგონია.

გოგონამ ამოიხვნეშა და წიგნი მაგიდაზე დადო. უცებ მაგიდაზე ლამაზად მოხატული ღია ბარათი შენიშნა, – გუშინ უყიდა დედამ.

კარგი იქნება, მარიამმა ამ ბარათით ლიკას დაბადების დღე მიულოცოს. მეგობარს ძალიან გაუხარდება! მაგრამ მარიამმა რომ წერა არ იცის!

გოგონა ბარათით ხელში ძმის ოთახისკენ გაქანდა. ძმას არ ეცალა, რაღაცას წერდა.

– გოგი, დამიწერე რა, ხვალ ლიკას დაბადების დღეა!

ძმამ მოიხედა და დას გაუჯავრდა:

– რამდენჯერ უნდა გითხრა, წერის დროს ხელს ნუ შემოშლი-მეთქი!

გოგონამ ოთახის კარი ნელა გამოიხურა, მაგრამ გული ამოუჯდა და ხმამაღალი ტირილი მორთო. დაიკოც უცებ გაჩნდა მასთან, ძამიკოც:

– რატომ ტირი, მარიამ?!

– ჩემთვის არავის გცალიათ... მეც მინდა, ვიკითხო! მეც მინდა, ვწერო!

პატარას მოეფერნენ, დაამშვიდეს:

– ახლავე დაგინერ, ახ-ლა-ვე! – უთხრა ძმამ.

– მე კი ზღაპრებს წაგიკითხავ! – დამ გულში ჩაიკრა.

– თანაც შენ ხომ სკოლაში მიდიხარ? იქ წერასაც ისწავლი, კითხვასაც.

– აბა რა, წიგნსაც თვითონ წაიკითხავ, წერილსაც თვითონ დანერ!

გოგონამ ტირილი შეწყვიტა:

– ახლა ვიცი, რატომაც უნდა ვიარო სკოლაში! წერასაც კარგად ვისწავლი, კითხვასაც! აი, ნახავთ!

## მე ყველაფერს მირჩევნია

აპრილს უყვარს ია ლურჯი,  
მაისს – წვიმა წანწკარა,  
კლდეს – მდინარის შეძახილი,  
ჯეჯილს – წყარო ანკარა.

ჭალას – სტვენა ბუღბულისა,  
ტყის შრიალში ჩართული,  
მე ყველაფერს მირჩევნია  
ჩემი ტკბილი ქართული!  
*ხ. ბერულავა*

## მე-20 გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „ჩვენი დედაენა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ნაცნობ თემებზე მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, ფაქტების თანმიმდევრულად გადმოცემა;
- მართლმეტყველების ელემენტარული ნესების დაცვა, – ბგერების მკაფიოდ წარმოთქმა, სიტყვების პაუზებით გამოყოფა, საკავშირებელი სიტყვების გამოყენება, თხრობა შესაბამისი ინტონაციით;
- მცირე ზომის ტექსტის მოსმენა და გააზრება;
- ხელის მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ყველაზე დაკვირვებული“ (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– გადაშალეთ ქართული ენის სახელმძღვანელოები.

საუბარი წარიმართება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით – მასწავლებელი განმარტავს, რომ პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს „დედაენა“ ჰქვია, თუ რატომ დაერქვა ანბანის წიგნს დედაენა, ვინ შეადგინა პირველად, რითაა ჩვენი ხალხისთვის დედაენა ასე გამორჩეული, ასე ძვირფასი.

ანვლის მარტივი ინფორმაციას დედაენის შემდგენლის – იაკობ გოგებაშვილის შესახებ, უჩვენებს მის ფოტოს.

მიუთითებს ანბანის პლაკატზე – ქართული ანბანის ასოებზე, ესაუბრება ქართული ენის შესახებ – მოკლედ, მარტივად.

გაიმართება დიდაქტიკური თამაში „ყველაზე დაკვირვებული“:

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ყურადღებით დააკვირდნენ „დედაენას“. მათ რაც შეიძლება ამომწურავად უნდა დაასახელონ წიგნის დეტალები: უნდა იცოდნენ: ყდა, გვერდი, ფურცელი, თავფურცელი, სარჩევი, გვერდების დანომვრა, სათაური, დანართი, ილუსტრაციები, ტექსტი, სათაური, ავტორის სახელი და გვარი...

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ისინი მალე დაიწყებენ შესწავლას, კითხვას, კითხვისას კი წიგნი სწორად, თვლებიდან სათანადო მანძილის დაშორებით უნდა ედოთ. კითხვისას ხელსაყრელი ხერხი გამოიყენონ, მაგ., თითის გაყოლება.

#### **III. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს თემატურად შერჩეულ ტექსტს დედაენის შესახებ. უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს. ხსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, ქმნის განწყობილებას საანბანო პერიოდზე გადასასვლელად.

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს წაუკითხოს გიორგი კაჭახიძის ლექსი „იაკობ გოგებაშვილი“ და ჩაატაროს მისი ანალიზისთვის საჭირო სამუშაოები და ამის შემდეგ მოსწავლეებს შერჩეული ლექსის სასურველი ნაწილი ზეპირად ასწავლოს:

ჯერ წაუკითხოს და გაამეორებინოს პირველი სტრიქონი, შემდეგ მეორე, შემდეგ კი ორივე ერთად. ასე გაგრძელდება სრულ დასწავლამდე.

#### **IV. წუთშესვენება (3 წთ.)**

#### **V. აქტივობა – მზადება წერისთვის (10 წთ.)**

მოსწავლეები მუშაობენ მოსწავლის რვეულში. აფერადებენ, ამთლიანებენ ფიგურებს, ასრულებენ მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს. მასწავლებელი საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს ამ მასალას.

## საკითხავი მასალა

### იაკობ გოგებაშვილი

ხალხის დიდი შვილი იყო,  
ხალხის დიდი მოამაგე,  
დიდებშიც და პატარებშიც  
შეჰხაროდა საქმით კარგებს.

თავის ლამაზ სამშობლოში  
დედა ენის ბურჯად იდგა,  
მისი კალმით, მისი ზრუნვით  
ენა ბევრმა ამოიდგა.

გზა ბევრს მისცა, დაანახვა  
ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხენა,  
ნათელს ჰფენდა საქართველოს  
მისი ტკბილი „დედაენა“.

*გ. კაჭახიძე*



## 21-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „წინასაანბანო პერიოდში მიღებული ცოდნის განმტკიცება-შეჯამება“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მიღებული ცოდნის განმტკიცება-შეჯამება;
- სათანადო ემოციური განწყობილების – ფონის შექმნა საანბანო პერიოდზე გადასასვლელად;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება.

**საჭირო რესურსები:** დაფა, ცარცი, ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცლები, პლასტილინი, სხვადასხვა თვალსაჩინოება – პლაკატები, სურათები.

### გაკვეთილის მსვლელობა

ვინაიდან გაკვეთილი არატიპურია, ჩვენ მხოლოდ სავარაუდო აქტივობებს შემოგთავაზებთ. მსგავსი გაკვეთილი მასწავლებელმა თავისი მოსწავლეების შესაძლებლობების და სურვილების გათვალისწინებით უნდა დაგეგმოს.

#### **I. აქტივობა – მუსიკალური ჩანაწერების მოსმენა.**

დედაენაზე, ანბანზე ბევრი სიმღერაა შექმნილი. მასწავლებელს შეუძლია მოიძიოს სასურველი და მოსწავლეებს მოასმენინოს.

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „პრეზენტატორი“**

აირჩევა მოსწავლეები – „ჟიური“ წევრთა სასურველი რაოდენობით. ისინი მოუსმენენ დანარჩენ თანატოლებს, რომლებიც წაიკითხავენ წინასაანბანო პერიოდში ნასწავლ ლექსებს. მასწავლებლის დახმარებით გამოავლენენ საუკეთესო დეკლამატორს და დააჯილდოებენ სამახსოვრო საჩუქრით.

თუკი სკოლას აქვს საჭირო სახსრები, სასურველია, ასეთი მოსწავლეები სხვადასხვა პრიზებით – საჩუქრებითაც წავახალისოთ.

#### **III. აქტივობა – „ხატვა თავისუფალ თემაზე“**

მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას, რომ მოსწავლეებმა შეძლებისდაგვარად დახატონ ის, რაც განსაკუთრებით მოეწონათ წინასაანბანო პერიოდში – ქალაქი, სოფელი, შემოდგომის სურათი, ფრინველები, ცხოველები... ნახატები გაიკვრება კედელზე და ჩატარდება პრეზენტაცია.

#### **IV. აქტივობა – „პლასტილინით მუშაობა“**

მასწავლებელი მოსწავლეებს დაავალებს პლასტილინით ძერწვას. მოსწავლეები ცდილობენ, შექმნან იმ საგანთა ფიგურები, რომლებიც წინასაანბანო პერიოდში განსაკუთრებით დაამახსოვრდათ.

ჩატარდება მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია.

#### **V. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „ტყუილია თუ მართალი?“**

მასწავლებელი შეარჩევს წინასაანბანო პერიოდში ნასწავლ სხვადასხვა თემას. ასახელებს აზრობრივად სწორ და მცდარ წინადადებებს. შესაბამისად, თუ აზრი სწორია, მოსწავლეები იტყვიან: „მართალია!“, თუ აზრი მცდარია, მოსწავლეები დაიძახებენ „ტყუილია!“.

ეს დიდაქტიკური თამაში შეიძლება ნებისმიერი შესწავლილი თემის განსამტკიცებლად გამოვიყენოთ.

#### **VI. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „აბა, გამოიცანი!“**

მასწავლებელი თემის შესატყვისად წინასწარ მომზადებულ პლაკატებზე უჩვენებს საგნებს, მოსწავლეები კი მათ აახელებენ. მაგ.: „შინაური და გარეული ფრინველები“, „შინაური და გარეული ცხოველები“, „სასწავლო ნივთები“ და ა. შ.

**VII. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „რა ჩაიფიქრე?“**

მასწავლებელი ჩაიფიქრებს ერთ-ერთ საგანს (თემის შესატყვისად). მოსწავლეებმა ეს საგანი უნდა გამოიციონ მასწავლებლისთვის კითხვების დასმით. მასწავლებელი მათ უპასუხებს მხოლოდ ან „დიახ“, ან „არა“.

მაგ.: საგანი ოთახშია? (დიახ), თეთრია? (არა), კედელზე კიდა? (დიახ), ჩარჩოშია ჩასმული? (დიახ) და ა. შ.

**VIII. აქტივობა – გრამატიკის ცოდნის განსამტკიცებლად**

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. ჯგუფები ერთმანეთს ეჯიბრებიან:

- 1) ერთმარცვლიანი სიტყვების შედგენაში;
- 2) ორმარცვლიანი სიტყვების და ა. შ. შედგენაში.

**IX. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „რატომ? საიდან? რისთვის?“**

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. სვამს შეკითხვებს შესწავლილი თემების შესატყვისად. მიიღებს ჯგუფი, რომელიც სწორად უპასუხებს კითხვების ნინასნარ განსაზღვრულ რაოდენობას.

**X. აქტივობა – ლექსის კითხვა**

მასწავლებელი მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს მითითებულ ლექსს.

**XI. აქტივობა – როლური თამაში – ინსცენირება თემის შესატყვისად.**

მასწავლებელს ნინასნარ შერჩეული აქვს ტექსტი ინსცენირებისთვის, ან კლასი მოიფიქრებს თემის შესატყვისად. გაიმართება როლური თამაში.

**XII. აქტივობა – მზადება წერისთვის (10 წთ.)**

მოსწავლეები მუშაობენ მოსწავლის რვეულში. აფერადებენ, ამთლიანებენ ფიგურებს, ასრულებენ მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს. მასწავლებელი საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს ამ მასალას.

**საკითხავი მასალა**

**დედაენა**

დედაენა – სიბრძნის ნიგნი,  
მოჩუხჩუხე ცხრანყარო,  
აი ია, აი თითი,  
აი მთელი სამყარო.

დედაენა – სიტყვის კონა,  
მზის სხივებით დართული,  
დაშაქრული, დათაფლული,  
დედაენა ქართული.

სულ უჭკნობი გაზაფხული,  
ყვავილების შრიალი,  
ბულბულების ფრთების გამლა,  
სალამურის წკრიალი...

დედაენა – სიბრძნის ნიგნი,  
მოჩუხჩუხე ცხრანყარო,  
აი ია, აი თითი,  
აი მთელი სამყარო.

ლ. ნუცუბიძე

## საანბანო პერიოდი

### 22-ე, 23-ე, 24-ე გაკვეთილები

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „ა“ და „ი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ასო-ბგერების „ა“-სა და „ი“-ს გაცნობა;
- წიგნთან მუშაობის სანყისი ჩვევების გამომუშავება;
- მუშაობა კითხვის ჩვევების გამომუშავებაზე;
- ასოების წერა შესაბამისი მიმართულებით, პროპორციებისა და ასოებს შორის მანძილის დაცვით.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოსწავლის რვეული, თვალსაჩინოება – ოთახის დეკორატიული ია, სურათები, აპლიკაციები, სლაიდები პროექტორით, მუსიკალური ჩანაწერი და და ა. შ. (სურვილისამებრ);

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „დამარცვლეთ და შეადგინეთ სიტყვები“ (სიტყვების მარცვლით ანალიზი) (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს ყვავილების სახელებს, გადაუგდებს ბურთს მოსწავლეებს და მან უნდა დამარცვლოს. შემდეგ მასწავლებელი მარცვლებად ამბობს სიტყვას და ბავშვმა უნდა დაასახელოს ეს სიტყვა მთლიანად. მაგალითად, ყაყაჩო, ვარდი, იასამანი, გვირილა და ა. შ.

#### III. აქტივობა – სურათის აღწერა (7 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ათავსებს თვალსაჩინოებას – იას (სურათს, აპლიკაციას, კომპიუტერულ მასალას). მიუთითებს კლასს ილუსტრაციაზე და ეკითხება:

– ეს რა არის?

შემდეგ ქვევით მიუწერს სიტყვას „იას“ და კლასს ეკითხება:

– ვინ მიხვდება, აქ რა ეწერება? (მიუთითებს სიტყვაზე)

მასწავლებელი ბავშვებს მოათხოვნიებს იის შესახებ. ისინი ახასიათებენ ყვავილს. ამბობენ, რომ ია გაზაფხულის მახარობელია.

#### IV. აქტივობა – დაფიდან სიტყვების ამოკითხვის სწავლება (10 წთ.)

მასწავლებელი სიტყვა „იას“ წინ მიუწერს სიტყვა „იას“ და კლასს ეკითხება: ვინ მეტყვის, რა დაწერე? თუ ვერ შეძლებენ, მასწავლებელი ამბობს, რომ დაწერა სიტყვა „იას“, აქვე განმარტავს, რომ „იას“ ნიშნავს მითითებას.

#### V. წუთშესვენება (1 წთ.)

#### VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერების „ა“ და „ი“ გაცნობა (10 წთ.)

მასწავლებელი საჩვენებელი ჯოხით კედელზე გაკრულ ანბანის პლაკატზე უჩვენებს ჯერ ასო „ა“-ს, შემდეგ ასო „ი“-ს, დაასახელებს და დაფაზე ფერადი ცარცით წერს ასო „ა“-ს. კლასს ეკითხება:

– ვინ დაასახელებს, ეს რა ასოა?

ასევე წერს ასო „ი“-ს სხვა ფერის ცარცით და კლასს ეკითხება:

– რომელიმე იცის, ეს რა ასოა?

სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ ასო ა და ი კედელზე გაკრული ანბანის პლაკატზე.

ავარჯიშებს კლასს ამ ასოების წაკითხვაში. ჯერჯერობით არ ხდება მათი სრული გრაფიკული ანალიზი. (ასო ა და ი ცალ-ცალკე მარცვლებია, მაგრამ მოსწავლეები მას აღიქვამენ, როგორც ერთ ფონემას, ამიტომ მაც სიტყვებში „აი“ და „ია“ ასოები „ა“ და „ი“ განსხვავებული ფერებით შეგნებულად არ იწერება).

## II ბაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის კითხვაში, – ინდივიდუალურად. ყურადღებას აქცევს, რომ მოსწავლეებმა გამოიმუშაონ წიგნთან მუშაობის ჩვევები, მიუთითებს, როგორ დისტანციაზე უნდა ედოთ წიგნი, კითხვისას გამოიყენონ შერჩეული ხერხი, მაგ, თითის გაყოლება.

#### **III. აქტივობა – სურათის აღწერა (5 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოს მე-17 გვერდზე მოცემულ ილუსტრაციას – „გაზაფხულის ყვავილები“. ისინი ჩამოთვლიან ყვავილებს, ახასიათებენ მათ, იხსენებენ ისეთებსაც, რომლებიც სურათზე არ არის, ვარჯიშობენ სიტყვების ზეპირად დამარცვლაში.

#### **IV. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **V. აქტივობა – ლექსის კითხვა (7 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს წინასწარ შერჩეულ ლექსს იაზე.

#### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

„ა“ და „ი“ ასო-ბგერის სრული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები მოსწავლის რვეულში წერით სავარჯიშოებს ასრულებენ. ამ ბაკვეთილზე იწერება მხოლოდ ასოები.

## III ბაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად.

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში – „რომელია ზედმეტი?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ჩამოუთვლის სიტყვათა მწკრივს, რომელშიც ერთი ზედმეტი სიტყვა ურე-  
ვია. ზედმეტი სიტყვაზე მოსწავლეები ტაშს უკრავენ.

მაგ.: ია, ენძელა, იასამანი, ვარდი, გვირილა, ტიტა, მიხაკი, ნაძვი (ტაში) – ყვავილების სახელები.  
არწივი, ამბავი, აჩიკო, ანი, ანაბანა, ანდაზა, ახალი, მოთხრობა (ტაში) – ა-ზე დაწყებული სიტყვები.

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – ლექსის კითხვა ან გამოცანის გამოცნობა (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მხატვრულად უკითხავს ლექსს (თუკი ეს სამუშაო დარჩენილია) ან უკითხავს გამოცანას.

#### **VI. აქტივობა – წერა (11 წთ.)**

მასწავლებელი ახდენს სიტყვის გრაფიკულ ანალიზს. იგი მიუთითებს მოსწავლეებს ასოებს შორის მან-  
ძილზე, ასოთა პროპორციებზე, წერის მიმართულებაზე.

## 25-ე, 26-ე, 27-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „თ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „თ“-ს გაცნობა;
- ტექსტში ფერად მარცვლებად დაწერილი სიტყვების ამოკითხვა;
- წინადადების ამოკითხვის სწავლება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა და ამ მარცვლებისგან სიტყვების შედგენა (5 წთ.)

მოსწავლეებს ზეპირად ამარცვლინებს სიტყვებს (თითი, თათი, ათი, თითა), თვითონ წარმოთქვამს სიტყვებს დამარცვლით, რომელიც მოსწავლეებმა მთლიანად უნდა წარმოთქვან.

#### III. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვის ამოკითხვის სწავლება (5 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „თათი“. მისი მოთხოვნით მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს „თა“. მარცვალს მასწავლებელი დიდი ასოებით წერს დაფაზე. შემდეგ ასახელებს მეორე მარცვალს „თი“ და განსხვავებული ფერით წერს დაფაზე.

მასწავლებელი წარმოათქმევინებს მოსწავლეებს ჯერ პირველ, შემდეგ მეორე მარცვალს. ბოლოს სახელდება ამ მარცვლებისგან შემდგარი სიტყვა.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვებს ფერადი მარცვლებით (თითი, ათი, თითა) და მოსწავლეებს სთხოვს ამ სიტყვების ამოკითხვას. რადგან მოსწავლეები მარცვლებს ადვილად იმახსოვრებენ, მათი უმრავლესობა სიტყვების ამოკითხვას კარგად ახერხებს. თუ რომელიმე გაუჭირდა, მასწავლებელი მასზე მაშინვე განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს.

#### V. აქტივობა – შემეცნებითი თამაში – „მიყვარს, არ მიყვარს“ (5 წთ.)

მასწავლებელი ამბობს:

– ახლა მე დაგისახელებთ თ-ზე დაწყებულ სიტყვებს, თქვენ კი ერთი ან ორი სიტყვით უნდა მიპასუხოთ – „მიყვარს“ ან „არ მიყვარს“. მაგ.: თხილი (მიყვარს), თავი (არ მიყვარს), თამაში (მიყვარს)...

#### VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (3 წთ.)

დაფაზე წერია უკვე შესწავლილი და ერთი ფერით დაწერილი ასოები (ა, ი). მასწავლებელი განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერას „თ“. უკითხავს ბავშვებს შესწავლილ ასოებს და სხვამს კითხვას:

– ხომ არ იცით, ეს რა ასოა?

აცნობს მოსწავლეებს ასო-ბგერა „თ“-ს, მოძრავი ანბანით უჩვენებს, მკაფიოდ, გარკვევით წარმოთქვამს მას და რამდენიმე მოსწავლეს ინდივიდუალურად ამეორებინებს.

#### VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი თავდაპირველად მოსწავლეებს მიუთითებს სახელმძღვანელოს ზედა ფერად ზოლში მოცემულ ახალ ასოზე, ნახატებზე და შესაბამის სიტყვებზე. ამოკითხვინებს ჩაჩრჩოში მოთავსებულ სიტყვებსაც.

### **VIII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მოსწავლეებს ტექსტიდან ამოაკითხვინებს მითითებულ სიტყვებს და წინადადებებს.

## **II ბაკვეთილი**

### **I. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად წინადადების დანერა და ამოკითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერად მარცვლებად წერს წინადადებას. წაიკითხავს სათანადო ინტონაციით. ამოაკითხვინებს მოსწავლეებს.

წინადადებას აცნობს პრაქტიკულად. ეუბნება, რომ ეს არის წინადადება, წინადადების ბოლოს კი დასმულია წერტილი. ეს წინადადებაში შემავალი სიტყვებია, ფერებით კი გამოსახულია მარცვლები. სიტყვის სრული ანალიზი ამ ეტაპზე არ ხდება.

### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტს წაკითხვას ბოლომდე, ინდივიდუალურად. რწმუნდება, რომ მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ ამოკითხვა საბოლოოდ, მასწავლებელი ტექსტს თვითონ კითხულობს თავიდან ბოლომდე – მკაფიოდ, გარკვევით, შესაბამისი ინტონაციით.

### **III. აქტივობა – სურათის აღწერა (6 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს ილუსტრაციაზე (ორი ხელი).

მოსწავლეებს ეუბნება:

- აბა, მაჩვენეთ მარჯვენა ხელი, მარცხენა.
- რამდენი თითი გაქვთ მარჯვენა ხელზე? მარცხენაზე?
- რამდენი თითი გაქვთ ორივე ხელზე?
- ხომ არ იცით თითების სახელები? რა ჰქვია მოკლე და მსხვილ თითს? და ა. შ.

### **V. წუთშესვენება (1 წთ.)**

### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებელი ისევ შეახსენებს მოსწავლეებს, თუ როგორ დაიჭირონ კალამი, როგორ უნდა ისხდნენ წერის დროს და აწყებინებს წერიტი სავარჯიშოს შესრულებას რვეულში (ასო „თ“-ს წერა).

## **III ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „სიტყვების დასრულება“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს თ ბგერით დაწყებულ მარცვალს და გადაუგდებს ბურთს რომელიმე მოსწავლეს. მოსწავლემ უნდა მოიფიქროს და დაასახელოს ისეთი მარცვალი/მარცვალთა ჯგუფი, რომ მიიღოს სიტყვა და ბურთი მასწავლებელს დაუბრუნოს.

მაგ.: მასწ. – თა...

მოსწ. – ვი

მიიღება სიტყვა – „თავი“.

### **III. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა „დამარცვლე სიტყვები“ (3 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს „თ“ ასობგერაზე. მთელმა კლასმა, ან ერთმა მოსწავლემ ეს სიტყვა უნდა დამარცვლოს ტაშის თანხლებით (თითო მარცვალზე თითო ტაში – ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ).

**IV. აქტივობა – კითხვა (7 წთ.)**

აკითხვინებს ტექსტს რამდენიმე მოსწავლეს ინდივიდუალურად და მთელ კლასს გუნდურად.

**V. აქტივობა – „რეზუსის გამოცნობა“ (3 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს სახელმძღვანელოში მოცემულ რეზუსზე – გვ. 19. მარცვალ „კუ“-ს მოსწავლეები ამოიცნობენ ნახატის საშუალებით, რომელზეც კუა გამოსახული, დაამატებენ შესწავლილ ასო-ბგერას და ნახატის მეშვეობით, რომელზეც ხეა გამოსახული, მიიღება სიტყვა – „კუთხე“.

**VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა – სიტყვების დაკავშირება შესაბამის ამხსნელ ნახატებთან (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ სიტყვები არეულადაა დაწერილი. მათ თითოეული სიტყვა უნდა ამოიკითხონ და დააკავშირონ შესაბამის ამხსნელ ნახატთან.

**VII. წუთშესვენება (1 წთ.)**

**VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

სრულდება სანერი სავარჯიშო მოსწავლის რვეულში. ამჯერად მოსწავლეები წერენ სიტყვას. წინადადების გამონერა ამ ეტაპზე არ ხდება.

## 28-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები ა, ი, თ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება);

**გაკვეთილის მიზანი:**

- მასალის გამეორება-განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება;
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;
- აქტიური სწავლა – კეთებითა და აღმოჩენებით.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი, დაფა, ფერადი ცარცი.

### რეკომენდაცია

ყოველკვირეულად ორი ასო-ბგერის გაცნობის შემდეგ მეშვიდე საგაკვეთილო საათი დაეთმობა კვირის განმავლობაში შესწავლილი მასალის განმტკიცება-შეჯამებას. სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილი საკუთარი კლასის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმოს, მრავალფეროვანი ფორმატის (ინდივიდუალური თუ ჯგუფური) შინაარსისა და მიზნების მქონე აქტივობების გამოყენებით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მოტივირებას შემდგომი სწავლის, თვითგანვითარებისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენისათვის.

სცენარებში ცოდნის შეჯამება-განმტკიცების გაკვეთილები არ იქნება ჩვენ მიერ დროში განერილი. აღნიშნული რეკომენდაცია გასათვალისწინებელია ამგვარი ტიპის თექვსმეტივე გაკვეთილისთვის. სცენარებში ჩვენ მხოლოდ დამატებით ლიტერატურულ მასალას შემოგთავაზებთ, საიდანაც მასწავლებელს მისთვის სასურველისა და მისაღების შერჩევა შეეძლება. ე. ნ. „პარასკევის გაკვეთილებზე“ ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან კლასში უნდა შეირჩეს და განხორციელდეს:

- თემის შესატყვისი მცირე მოცულობის ლიტერატურული ტექსტების მოსმენა და ანალიზი;
- მოსწავლეთა აზროვნების განსავითარებლად განკუთვნილი ტექსტების მოსმენა-ანალიზი (რუბრიკით „ვიმსჯელოთ ერთად“);
- მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ლექსის მხატვრული კითხვა ;
- როლური თამაშები;
- შემეცნებითი თამაშები; მაგ.: „ვინ უფრო მეტს გაიხსენებს“, „მე ვიცი ხუთი სახელი...“, „სიტყვათა მძივი“, „პატარა პრეზენტატორი“, „ტყუილია თუ მართალი?“, „სიტყვების ყულაბა“, „რა ჩავიფიქრეთ?“, „ყველაზე საზრიანი“...

(ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემეცნებითი თამაში განთავსებულია ჩვენს საგაკვეთილო სცენარებში);

- ხატვა მითითებულ თემებზე;
- აქტიური სწავლა კეთებით – პლასტილინის ფიგურების ძერწვა;
- საკლასო გამოფენები და პრეზენტაციები;
- საკლასო ვიქტორინები და შეჯიბრებები;
- საკლასო წარმოდგენები;
- შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან – მხატვართან, მწერალთან, მსახიობთან, ხელოვან მშობელთან და ა. შ.
- ინტერნეტით მოძიებული მასალის გამოყენება, გაკვეთილის ჩატარება საინფორმაციო ტექნიკის დახმარებით.



მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან მასწავლებელმა მხოლოდ რამდენიმე – მისთვის იმ დროს სასურველი და საინტერესო უნდა შეარჩიოს, მაგრამ ყოველი მათგანი მოსწავლეებში სხვადასხვაგვარ უნარ-ჩვევათა განვითარებას, ზნეობრივ თუ შემეცნებით ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულებების ფორმირებას, ინფორმაციის სხვადასხვა გზით მოპოვებასა და ინტერპრეტირებას, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ საქმიანობებში თანამონაწილეობას, მსჯელობასა და დასკვნების გამოტანას, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას უნდა ემსახურებოდეს.

## საკითხავი მასალა

ია

ველში ია ამოვიდა,  
მიიხედა, მოიხედა,  
„მწყურიო!“ – ჩუმად თქვა,  
დაძახება ვერ გაბედა.

ველში ია ცქრიალებდა,  
კლდეზე წყარო ჩქრიალებდა,  
მთა და ბარში გაზაფხულის  
უხვი მადლი ტრიალებდა.

შიო მღვიმელი

აი ია

აი ია,  
აი ია!  
რა ლამაზი ყვავილია!  
მინდორშიაც,  
ბაღშიაც,  
ჩემს წიგნშიაც  
ყვავის ია!  
სადაც თვალთ შემიხედავს,  
სადაც ფეხით გამივლია,  
ყველგან ვნახე და ყველგან ვთქვი;  
– აი ია!  
აი ია!  
ია თურმე დედის ცრემლზე  
ამოსული ყვავილია!

გ. წერეთელი

\* \* \*

დილით ავდგები მზიანსა  
ხევ-ხევ ჩავყვები ნიავსა,  
შიგ გულში ჩავეკონები  
ჯერ გაუშლელსა იასა.

ხალხური

## **ბურღუნა დათვი**

დაბურღუნებს დათვი,

თურმე სტკივა თათი.

– ასე დიდი თათუნა

რამ გატკინა, დათუნა?

იქნებ თოვლმა მოგსუსხა,

იქნებ ყინვამ ან ქარმა?

– სკიდან თაფლი ამოვსვლიპე

და მიკბინა ფუტკარმა.

ნ. ჩაჩავა

## **თვლა ისწავლა**

ანათიებს, ბანათიებს,

ციცქნა ანა ითვლის თითებს:

– ცერი და საჩვენებელი,

შუათითი, არათითი,

ეს პანანა – მესუთე კი

არის ანას ნეკათითი.

ითვლის, ითვლის გოგო თითებს,

მხიარულობს და ხითხითებს,

თვლა ისწავლა ჩვენმა ანამ,

არ შევაქოთ ახლა განა?

თვალა, თვალა ანამ თითი,

ანათითი – ბანათითი.

ნ. კუპრავა

## **დათუნიები**

ტყეში კურდღელმა ხეზე საქანელა ჩამოაბეს, არხეინად ქანაობდნენ და თან მღეროდნენ.

დათუნიებმა სიმღერა რომ გაიგონეს, მოირბინეს და ყურცქვიტებს ცქერა დაუნყეს.

– მოდი ერთი ისინი ჩამოვყაროთ და ჩვენ ვიქანაოთ! – უთხრა უფროსმა დათუნიამ უმცროსს.

– აბა, ახლავე წადით, თვალით აღარ დაგვენახოთ. თქვენმა სიმღერამ ყურები გამოგვიჭედა, – ებურღუნებოდნენ დათუნიები და თან კურდღლებს თათებით უმასპინძლდებოდნენ.

ჩამოყარეს ძირს სანყლები, შესხდნენ საქანელაზე და გახარებულები არხეინად ქანაობდნენ და ღრიალებდნენ.

იქვე ჩაცუცქული საბრალო კურდღლები კი იცრემლებოდნენ.  
უცებ საქანელა განყდა და დათუნიებმა ძირს მოადინეს ბრაგვანი.  
კურდღლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

*კ. გოგიაშვილი*

### **ანდაზები**

*თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.  
თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო.*

### **ენის გასატეხი**

*თეთრი თრიტინა თეთრ თრთვილზე თრთოდა.*

## 29-ე, 30-ე, 31-ე გაკვეთილები

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ს“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „ს“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მონაწილეობა სიტუაციურ თამაშებში და ჯგუფურ აქტივობებში;
- მარტივი ენობრივი ერთეულის ამოცნობა – მარცვალი.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „სიტყვის დასახელება და მისი დამარცვლა“ (წყვილებში) (5 წთ.)

მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად. წყვილიდან ერთ-ერთი მოსწავლე ასახელებს სიტყვას „ს“ ასო-ბგერაზე, შემდეგ მეორე, მესამე და ა. შ. ვინც ვერ მოიფიქრებს ახალ სიტყვას, უკვე ნათქვამს გაიმეორებს, ან არასწორად დამარცვლავს, თამაშს გამოეთიშება. გამარჯვებულ მოსწავლეს მასწავლებელი სიმბოლური ჯილდოთი წაახალისებს.

#### III. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვის ამოკითხვის სწავლება (3 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „თასი“. მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს, რომელსაც მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს. შემდეგ მარცვალს დაასახელებენ მოსწავლეები და მასწავლებელი წერს განსხვავებული ფერით.

მასწავლებელი მოსწავლეებს ამ მარცვლებს რიგრიგობით წარმოათქმევენებს. ბოლოს ისინი ასახელებენ ამ მარცვლებისგან შემდგარ სიტყვას.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს სიტყვებს: სასა, ასი, სია, აისი. ის მოითხოვს ამ სიტყვების ამოკითხვას, მოსწავლეები ცდილობენ ამოიკითხონ, მასწავლებელი კი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ მოსწავლეზე, რომელსაც ამოკითხვა გაუჭირდება.

#### V. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა – მარცვლების სინთეზი (5 წთ.)

– მე რიგრიგობით გეტყვით მარცვლებს და თქვენ უნდა გამოიცნოთ, რომელი სიტყვა ჩავიფიქრე.

მასწავლებელი მკაფიოდ, მცირე ინტერვალებით წარმოთქვამს მარცვლებს: სა ა თი... რომელიმე მოსწავლე ამოიცნობს სიტყვას „საათი“. შემდეგ ასევე დამუშავდება რამდენიმე სიტყვა. მაგ., თასი, სასა, აისი...

#### VI. წუთშესვენება (2 წთ.)

#### VII. აქტივობა – ახალი ასო-ბგერა „ს“-ს გაცნობა (3 წთ.)

დაფაზე მასწავლებელს ერთი ფერით აქვს დაწერილი უკვე შესწავლილი ასოები (ა, ი, თ). ის განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერა „ს“-ს. უკითხავს ბავშვებს უკვე შესწავლილ ასოებს და უსვამს შეკითხვებს:

– ვინმემ ხომ არ იცით, ეს რა ასოა?

ახალ ასო-ბგერას უჩვენებს მოძრავი ანბანით.

ამოკითხვინებს რამდენიმე მოსწავლეს ინდივიდუალურად, მთელ კლასს გუნდურად.

#### VIII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელოები შესაბამის გვერდზე. მიუთითებს ჯერ ზედა ფერად ზოლში მოცემულ ახალ ასოზე, ნახატებზე, შესაბამის სიტყვებზე და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებზე. შემდეგ ამოკითხვინებს სიტყვებსა და წინადადებებს – შერჩევით.

## II ბაკვეთილი

### **I. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კითხულობენ მოცემული ტექსტიდან წინადადებებს შერჩევით.

### **II. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დანერილი წინადადების ამოკითხვა (9 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს ერთ წინადადებას ფერადი ცარცით. შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ეს არის წინადადება და მის ბოლოს იწერება წერტილი.

შემდეგ მასწავლებელი ტექსტს კითხულობს მკაფიოდ, გარკვევით, შესაბამისი ინტონაციით.

მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში ინდივიდუალურად.

### **III. წუთშესვენება (1 წთ.)**

### **IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა „არეული მარცვლებისა“ და „არეული სიტყვების“ დალაგება (5 წთ.)**

მოსწავლეები მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებენ სავარჯიშოებს. ისინი გადაადგილებენ მარცვლებს ზეპირად და ასახელებენ სიტყვებს – სითა, სათია. ასევე გადაადგილებენ სიტყვებს და ასახელებენ წინადადებას – ის საათი თათიასია – ზეპირად.

### **V. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, როგორ უნდა იხსენებენ წერის დროს. მოსწავლეები წერენ ასო „ს“-ს.

## III ბაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „მარცვლები“ (6 წთ.)**

მასწავლებელი კლასს დაყოფს რამდენიმე გუნდად. გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან: მოიფიქრებენ და დაასახელებენ ერთმარცვლიან სიტყვებს; ორმარცვლიან სიტყვებს; სამმარცვლიან სიტყვებს.

### **III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი განამტკიცებს მოსწავლეებში უკვე შეძენილ კითხვის უნარებს. ნაკითხებს ტექსტს ინდივიდუალურად.

### **IV. აქტივობა – „რეზუსის გამოცნობა“ (2 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ახსნიან რეზუსს და შეადგენენ წინადადებას „ის თოჯინა იასია“.

### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა – სიტყვების დალაგება, ხაზით შესაბამის ნახატებთან დაკავშირება (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ სიტყვები არ წერია შესაბამისი ნახატის ქვეშ. მოსწავლეები ამ სიტყვებს ამოიკითხავენ და ხაზით დააკავშირებენ შესაბამის ნახატებთან.

### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები წერენ მოსწავლის რვეულში სიტყვას. წინადადების გამოწერა ამ ეტაპზე არ ხდება.

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ხ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „ხ“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- წერის უნარის ჩამოყალიბება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოძრავი ანბანი.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დაწერილი სიტყვის ამოკითხვის სწავლება (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „თხა“. სთხოვს მოსწავლეებს, დამარცვლონ ეს სიტყვა. რა თქმა უნდა, სიტყვა არ დაიმარცვლება. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ სიტყვა „თხა“ ერთმარცვლიანია, ერთმარცვლიანი სიტყვები კი არ იმარცვლება.

#### III. აქტივობა – აზრობრივი რუკა (5 წთ.)

დაფაზე უკვე დაწერილ სიტყვას „თხა“ მასწავლებელი სვამს წრეში, ამზადებს „აზრობრივ რუკას“.

მასწავლებელი კლასს ეკითხება:

– გინახავთ თხა?

– დავახასიათოთ ეს ცხოველი. როგორია იგი?

წრის ირგვლივ დახაზულ პატარა „სხივებთან“ თითოეული თვისების აღნიშვნის შემდეგ მასწავლებელი ხატავს სიმბოლურ ნიშანს, მაგ., ოთხკუთხედს, პატარა წრეს და ა. შ.

მოსწავლეები აუცილებლად გაიხსენებენ უამრავ სიტყვას, – თხა შეიძლება იყოს: შინაური, თეთრი, შავი, ჭრელი, გამხდარი, მსუქანი, დიდი, პატარა, გრძელბუნვა, წვერცანცარა, ეშმაკუნა, რქიანი, კუნტრუშა, ჯიუტი, თავნება, წვრილფეხა, ჩლიქიანი, გაუმადლარი...

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს სიტყვებს: თიხა, ხახა, ხასხასა. მოითხოვს მოსწავლეებისგან ამ სიტყვების ამოკითხვას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ბავშვებზე ამახვილებს, რომლებსაც ამ სამუშაოს შესრულება უჭირთ.

#### V. წუთშესვენება (3 წთ.)

#### VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელს დაფაზე ერთი ფერით აქვს დაწერილი უკვე შესწავლილი ასოები (ა, ი, თ, ს), რომელთაც ბავშვები კითხულობენ გუნდურად, შემდეგ განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერას (ხ) და კლასს ეკითხება:

– ხომ არ იცით, ეს რა ასო-ბგერაა?

კლასში აცილებლად აღმოჩნდება მოსწავლე, რომელიც ამ შეკითხვას უპასუხებს. მასწავლებელი მოძრავი ანბანითაც უჩვენებს ამ ასო-ბგერას და კლასს მის სწორად წარმოთქმაში ავარჯიშებს.

#### VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელოები შესაბამის გვერდებზე. კლასს ყურადღებას ამახვილებინებს ზედა ფერად ზოლში დაწერილ ასო-ბგერაზე, მიუთითებს ნახატებზე და ეუბნება, რომ ქვემოთ ჩამოწერილია ამ საგნების სახელები.

შერჩევით ნააკითხებს სიტყვებსა და წინადადებებს. ამოაკითხვინებს ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს.

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ტექსტიდან შერჩევით ამოიკითხავენ წინადადებებს.

### III. აქტივობა – ტექსტზე მუშაობა „რა არის სტრიქონი?“ (7 წთ.)

სასურველია, მასწავლებელს ეს ტექსტი დაწერილი ჰქონდეს დაფაზე ან ფორმატის ქალაქზე.

მასწავლებელი ხმამაღლა და მკაფიოდ კითხულობს ტექსტს და საჩვენებელი ჯოხით მიჰყვება ყველა სტრიქონს თანმიმდევრობით. კითხულობს სათანადო ინტონაციით.

ხელმეორედ ნელა კითხულობს ტექსტს. პირველი სტრიქონის ბოლოს ჩერდება და მოსწავლეებს ეუბნება:

– ეს არის სტრიქონი.

ასევე აჩვენებს სხვა სტრიქონებსაც და ბოლოს ეუბნება:

– ყველა ნაწერი შედგება სტრიქონებისგან.

– სტრიქონები თანმიმდევრობით უნდა წავიკითხოთ.

– მოდი დავთვალოთ, რამდენი სტრიქონია.

სასურველია, ასევე თვალსაჩინოდ აჩვენოს მეორე ტექსტიც – პატარა, მარტივი სიუჟეტური ამბავი. ეს საშუალებას მისცემს, სტრიქონები კლასს არეული თანმიმდევრობით წაუკითხოს და ყურადღება გაამახვილებინოს, რომ სტრიქონების არეულად წაკითხვის შემთხვევაში ამბავი გაუგებარი ხდება. აქედან აკეთებენ დასკვნას.

– კითხვისას არც ერთი სტრიქონი არ უნდა გამოვტოვოთ, წავიკითხოთ ერთმანეთის მიყოლებით – ჯერ პირველი, შემდეგ – მეორე და ა. შ.

### IV. წუთშესვენება (1 წთ.)

### V. აქტივობა – სურათის აღწერა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს სახელმძღვანელოს 23-ე გვერდზე მოთავსებულ ილუსტრაციაზე – თიხის ჭურჭელზე. მოსწავლეები ასახელებენ საგნებს.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს უჩვენოს თიხისგან დამზადებული ნივთები – დოქი, ჯამი, ქოთანა... გამოჰკითხოს ბავშვებს, ხომ არ უნახავთ თიხისგან საგნების დამზადება, სად უნახავთ ბევრი თიხის ჭურჭელი და ა. შ. მიაწოდოს მარტივი ინფორმაცია თიხის შესახებ (რომ თიხა არის წითელი მინა. იგი წყალს არ ატარებს, მოქნილია, ცეცხლგამძლე, გრილია, რადგან სითბოს არ ატარებს. თიხის წარმოებით საქართველოში განსაკუთრებით სახელგანთქმულია სოფელი შროშა).

### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ მოსწავლის რვეულში მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოს – წერენ ასო „ხ“-ს.

### III გაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „დაასრულეთ სიტყვები“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს „ხ“ ბგერით დაწყებულ მარცვალს და ბურთს გადაუგდებს რომელიმე მოსწავლეს. მოსწავლე დაასრულებს სიტყვას.

მაგ., მასწავლებელი – ხას...

მოსწავლე – ხასხასა და ა. შ.

#### III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტის მთლიანად კითხვაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა (7 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან არეულ მარცვლებს და ზეპირად ალაგებენ სიტყვებად – თიხა და ხასხასა.

ასევე მართებულად ალაგებენ წინადადებაში სიტყვებს, კითხულობენ წინადადებას – იას ათი თასი ხისაა.

აკვირდებიან რებუსს და ხსნიან – აი ხასხასა ფოთოლი.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

დარჩენილი დრო დაეთმობა მოსწავლის რვეულში სიტყვის გამოწერას.



## 35-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „ს“, „ხ“ (გამეორება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- ნასწავლი მასალის გამეორება-განმტკიცება;
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება; მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველების წესების დაცვა, ტექსტის მოსმენა და დამოკიდებულების გამოხატვა, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ლექსის მხატვრული კითხვა;
- აქტიური სწავლა-კეთებით, აღმოჩენით.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

მასწავლებელი მოქმედებს 28-ე გაკვეთილის სცენარში მოთავსებული რეკომენდაციის მიხედვით.

### საკითხავი მასალა

#### საათი

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ,  
იძახის და კედელზე ჰკიდია,  
დღე და ღამე ისრები  
მიდიან და მიდიან.  
მოვა დედა, შეხედავს,  
– აბა, ჩემო ოთარი,  
ცხრა საათი გამხდარა,  
შენი ძილის დრო არის –  
და ყველანი მტოვებენ,  
ჩემთვის არა სცალიათ,  
მე რომ დედა მაძინებს,  
სულ საათის ბრალია.

ნ. დუმბაძე

\* \* \*

თხას უთხრეს: მგელი მამკვდარა!  
თხამ ნავარდი ქნა, გაიქცა,  
– თხოო, ნუ გაგხარებია,  
განა სამგლეთი დაიქცა,  
იმას რომ დარჩა ლეკვები,  
ისინიც მგლებად მაიქცა.

ხალხური

## ჩვენი ბებოს თხა

ჩვენი ბებოს თხა ნაცარა,  
ხედავთ, რა მარჯვე გამხდარა?  
თურმე ფერდობზე ამხტარა,  
ნორჩი ბალახით დამტკპარა,  
რძით გაუვსია ჯიქანი,  
ვის სურს მიათვას? – ნინოსო,  
მარგებელი რძე დალიოს,  
იზარდოს, მოილხინოსო!

ნ. კუპრავა

## ვიმსჯელოთ ერთად

### მჩხავანა კატა

ერთ სახლში თავგები ძალიან გამრავლდნენ. სახლის პატრონმა იმათ გასაწყვეტად კატა გაიჩინა, მაგრამ ეს კატა ახირებული ზნისა გამოდგა: ისე ფეხს არ გადადგამდა, რომ ხმამალა არ დაეჩხავლა, ვითომ შემომხედეთ, რა გამრჯე ვარო.

თავგები ამის გამო აღრევე შეიტყობდნენ კატის მოახლოებას და იმალებოდნენ. კატამ კარგა ხნის განმავლობაში ვერცერთი თავგი ვერ დაიჭირა. სახლის პატრონი ადგა და მჩხავანა კატა გარეთ გააგდო.

ი. გოგებაშვილი

### გამოცანები

წვერი აქვს – კაცი არ არის,  
ბალახს ძოვს – ცხენი არ არის,  
რქები აქვს – ხარი არ არის.

(თხა)

ასეთი გვაქვს შინ ათასი,  
სასმისია, ჰქვია...

(თასი)

### ანდაზები

სწავლა სიბერემდეო.

სიფრთხილეს თავის არა სტკივაო.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

### ენის გასატეხი

ხევ-ხევ ხერხი მიცუხცუხებს,

აცახცახებთ ვერხვებს, მუხებს.

## 36-ე, 37-ე, 38-ე გაკვეთილები

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ო“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „ო“-ს გაცნობა;
- ტექსტში ფერად მარცვლებად დანერილი სიტყვების ამოკითხვა;
- ზეპირმეტყველების განვითარება;
- წერის ჩვევების განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი ან მარკერი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „სიტყვის გამოცნობა დასახელებული მარცვლების მიხედვით“ (5წთ.)

მასწავლებელი ჩაიფიქრებს სიტყვას და ამბობს ამ სიტყვის პირველ მარცვალს. მაგ., თო. მოსწავლე ასახელებს ამ მარცვალზე დაწყებულ სიტყვას. თუ ეს სიტყვა არ დაემთხვა ჩაფიქრებულს, მასწავლებელი მაინც შეაქებს მოსწავლეს (ყოჩაღ, ეს სიტყვა მართლაც თო-ზე იწყება, მაგრამ არ არის ჩემ მიერ ჩაფიქრებული სიტყვა). ასე გრძელდება სიტყვის გამოცნობამდე.

II ვარიანტი: მასწავლებელი ჩაიფიქრებს 3- ან 4-მარცვლიან სიტყვას და ამბობს ამ სიტყვის პირველ და ბოლო მარცვალს. სიტყვის გამოიცნობენ იმავე ხერხით.

#### III. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დანერილი სიტყვის ამოკითხვის სწავლება (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „თოხი“. სთხოვს მოსწავლეებს, დამარცვლონ ეს სიტყვა. განუმარტავს, რომ ეს სიტყვა ორმარცვლიანია. მოსწავლეებს ასახელებინებს პირველ მარცვალს „თო“ და დიდი ასოებით წერს დაფაზე. შემდეგ მეორე მარცვალს „ხი“ და განსხვავებული ფერით წერს დაფაზე.

წარმოათქმევენებს ჯერ პირველ, შემდეგ მეორე მარცვალს და ბოლოს სახელდება ამ მარცვლები-სგან შემდგარი სიტყვა „თოხი“.

მასწავლებელი კლასს ეკითხება (გონებრივი შტურმის მეთოდით): რა არის თოხი? რისთვის გამოიყენება?

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს.

შემდეგ მასწავლებელი აძლევს ინფორმაციას.

„თოხი მიწის გასაფხვიერებელი ბრტყელპირიანი რკინის სამუშაო იარაღია. საქართველოში თოხს უძველესი დროიდან ხმარობდნენ. თოხი საჭიროა იმისათვის, რომ მცენარეებმა უკეთ შეიწოვონ მიწიდან წყალი. თოხით მცენარეებს აცილებენ სარეველებს“.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დანერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (6 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს ფერადი მარცვლებით: ოთახი, სოსისი, ასო, სიო, ოთხი, სოია. იგი მოსწავლეებისგან მოითხოვს ამ სიტყვების ამოკითხვას. ყურადღებას ამახვილებს იმ მოსწავლეებზე, რომელთაც კითხვა განსაკუთრებით უჭირთ.

#### V. ნუთშესვენება (2 წთ.)

#### VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელს დაფაზე აქვს ჩამონერილი ერთი ფერით დანერილი უკვე შესწავლილი ასოები (ა, ი, თ, ს, ხ), ბავშვები ამ ასოებს კითხულობენ გუნდურად, შემდეგ განსხვავებული ფერით ეწერება ახალი ასო-ბგერა „ო“ და მასწავლებელი კლასს ეკითხება:

– ხომ არ იცით, ეს რა ასო-ბგერაა?

მასწავლებელი კლასს ავარჯიშებს ამ ასო-ბგერის წარმოთქმაში. ჯერ თვითონ წარმოთქვამს და რამდენიმე მოსწავლეს ინდივიდუალურად წარმოთქმევინებს.

### **VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გვერდზე და ყურადღებას ამახვილებინებს ზედა ფერად ზოლში დანერილ ასო-ბგერაზე. მიუთითებს ნახატებზე და მათ ქვემოთ მითითებულ ამ საგანთა სახელებზე და აკითხებს. ტექსტიდან შერჩევით ამოაკითხებს მითითებულ სიტყვებსა და წინადადებებს.

## **II ბაკვეთილი**

### **I. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი შერჩევით ამოაკითხებს მითითებულ სიტყვებსა და წინადადებებს.

### **II. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დანერილი წინადადებების ამოკითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს ერთ-ერთ წინადადებას ფერადი ცარცით. შეახელებს, რომ წინადადების ბოლოს იწერება წერტილი. მიუთითებს სიტყვებსა და მარცვლებზე.

საბოლოოდ, მასწავლებელი თვითონ კითხულობს თავიდან ბოლომდე ტექსტს სათანადო ინტონაციით. შემდეგ ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში ინდივიდუალურად.

### **III. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, როგორ დაიჭირონ კალამი, როგორ დასხდნენ წერის დროს. მოსწავლეები ასრულებენ წერით სავარჯიშოებს. ხდება გრაფიკული ანალიზი.

## **III ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „რამდენი მარცვალაა სიტყვაში“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, ბავშვები თითებით უჩვენებენ მარცვალთა რაოდენობას, მაგალითად: თოხი – ორი თითით, თხა – ერთი თითით.

### **III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტის მთლიანად კითხვაში.

**IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა (7 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან აკვარიუმში ჩაყრილ მარცვლებს და აწყობენ სიტყვებს ამ მარცვლების შეერთებით: (თასი, თათი, სოსისი, თოხი, თიხა, თითა, თითო). მოსწავლეები მართებული ალაგებენ არეულ სიტყვებს და კითხულობენ წინადადებას: ის ოთხი სოსისი ოთოსია. აკვირდებიან სიტყვების პირამიდას და კითხულობენ ჯერ ერთ მარცვალს ო, შემდეგ ორს ოთა, შემდეგ სამივეს ერთად ოთახი.

ამის შემდეგ მეორე პირამიდას, პირიქით, აკლებენ წინა მარცვლებს, თითო-თითოდ: ოთახი, თახი, ხი.

**V. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

დარჩენილი დრო დაეთმობა მოსწავლის რვეულში სიტყვის გამონერას. ახდენს გრაფიკულ ანალიზს.

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ე“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „ე“-ს გაცნობა;
- ტექსტში ფერად მარცვლებად დანერილი სიტყვების ამოკითხვა;
- წინადადების ამოკითხვის სწავლება;
- ახალი ასოს და სიტყვის წერა.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი ან მარკერი.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – საგნის დახასიათება – „აზრობრივი რუკა“ (5 წთ.)

მასწავლებელი ადგენს აზრობრივ რუკას. სვამს შეკითხვებს. რა ვიცი ხის შესახებ? როგორია ხე და რა სახის ხეები იცი?

წრეში იწერება სიტყვა ხე. მის ირგვლივ გავლებულია პატარა ხაზები (სხივები) და ხაზების ბოლოს იწერება წრეები – სიტყვების სიმბოლოები, რომლებსაც მოსწავლეები ხესთან კავშირში წარმოადგენენ. მაგ.: მწვანე, დიდი, ლამაზი, ფოთლოვანი, წიწვოვანი, დატოტვილი, ნაყოფებიანი, მერქიანი, ტყე და ა. შ.

#### III. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დანერილი მარცვლების კითხვის სწავლება (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „ხე“. მოსწავლეებს სთხოვს, დამარცვლონ ეს სიტყვა. ეს სიტყვა არ დაიმარცვლება. მასწავლებელი შეახსენებს სიტყვას „თხა“ და კვლავ განუმარტავს, რომ ისევე როგორც „თხა“, „ხე“-ც ერთმარცვლიანი სიტყვაა. ერთმარცვლიანი სიტყვა არ იმარცვლება.

#### IV. აქტივობა – ინფორმაციის გადაცემა (3 წთ.)

„მცენარე შეიძლება იყოს ბალახი, ბუჩქი ან ხე. ხეს აქვს ერთი მსხვილი ღერო, რომელზეც უამრავი ტოტია. ღეროსა და ტოტებს აქვს ქერქი. ტოტები დაფარულია ფოთლებით, რომელიც შემოდგომაზე ცვივა. ხეები სხვადასხვაგვარია – ზოგი უფრო მაღალია, ზოგი უფრო დაბალი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფოთლებით, ყვავილებითა და ნაყოფებით. დიდი ხეებია: სეკვოია, ევკალიპტი, ბაობაბი. ხეები არის წიწვიანიც და ფოთლოვანიც. წიწვიანები მარადმწვანე ხეებია.“

ხეს, რომელიც ხილს იძლევა, ხეხილს უწოდებენ. ხეს, გარდა იმისა, რომ ბუნებას ალამაზებს, დიდი სარგებლობაც მოაქვს. გამოყოფს ჟანგბადს, რითაც ყველა ცოცხალი არსება სუნთქავს. ხე გვიცავს ქარისაგან. ზოგიერთი ხის ფოთოლი, ყვავილი და ნაყოფი სამკურნალოდ გამოიყენება. ხე საშენი მასალაცაა და მისგან ქალაქებსაც ამზადებენ. ხეები ჩრდილს ქმნიან. ბევრ ხეს, ერთად აღებული, ტყე ჰქვია“.

#### V. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დანერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს სიტყვებს (სათითე, სახე, თეო). მოსწავლეები სვამს მოითხოვს ამ სიტყვების ამოკითხვას. ვისაც უჭირს, ეხმარება. უხსნის ამ სიტყვების მნიშვნელობას.

#### VI. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „რამდენი მარცვალია?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს რომელიმე ხეს და თან გამოყოფს მარცვლებს (მაგ., მუხა, ნაძვი, ვერხვი, ცაცხვი, ფიჭვი, ნეკერჩხალი) მოსწავლეებმა უნდა მოუსმინონ და დაასახელონ, რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში.

**VII. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VIII. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (3 წთ.)**

მასწავლებელს დაფაზე ერთი ფერით აქვს დანერილი უკვე შესწავლილი ასოები (ა, ი, თ, ს, ხ, ო), რომელთაც ბავშვები კითხულობენ გუნდურად. შემდეგ მასწავლებელი განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერას (ე) და კლასს ეკითხება:

– ხომ არ იცით, ეს რა ასო-ბგერაა?

რომელიმე უპასუხებს. მასწავლებელი კლასს ავარჯიშებს ამ ასო-ბგერის სწორად წარმოთქმაში.

**IX. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი ჯერ ყურადღებას ამახვილებინებს ზედა ფერად ზოლში დანერილ ასო-ბგერებზე, მიუთითებს ნახატებზე და სთხოვს, რომ ამოიკითხონ სურათებს ქვემოთ დანერილი საგნების სახელები. შემდეგ ამოაკითხვინებს ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს.

**II ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტიდან წინადადებების კითხვაზე შერჩევით (მთელი კლასი ჩართულია ინდივიდუალურ კითხვაში).

**III აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დანერილი წინადადების ამოკითხვა (10 წთ.)**

დაფაზე მასწავლებელი ფერადი ცარცით წერს ერთ-ერთ წინადადებას და ბავშვები ამოკითხავენ მას. ასევე არკვევენ წინადადებაში სიტყვათა რაოდენობას.

**IV. აქტივობა – „რამდენი სტრიქონია ტექსტში“ (8 წთ.)**

სასურველია, ტექსტი მასწავლებელს დაფაზე ჰქონდეს დანერილი. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს და საჩვენებელი ჯოხით მიჰყვება ყველა სტრიქონს. კითხულობს სათანადო ინტონაციით. შემდეგ ხელმეორედ ნელა კითხულობს ტექსტს, პირველი სტრიქონის ბოლოს ჩერდება და მოსწავლეებს ეკითხება: – გავიხსენოთ, რა არის ეს?

მოსწავლეები პასუხობენ: ეს სტრიქონია.

– დავითვალოთ, რამდენი სტრიქონია (მასწავლებელი აჩვენებს სტრიქონებს, მოსწავლეები ითვლიან).

**V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოებს და წერენ ასო „ე“-ს.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 ნთ.)

#### VII. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „მე ვიცი 5 ხის სახელი“ (5 ნთ.)

მოსწავლემ უნდა მოიფიქროს 5 ხის სახელი და თქვას: „მე ვიცი ხუთი ხის სახელი“. მაგ., ვაშლის ხე, ნაძვი, ჭადარი, ფიჭვი, აკაცია და ა. შ. (ჩაერთვება რამდენიმე მოსწავლე).

#### III. აქტივობა – კითხვა (10 ნთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში.

#### IV. წუთშესვენება (2 ნთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოების შესრულება (7 ნთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას და ასახელებენ ხეებს (პალმა, მუხა, ნაძვი, ვაშლის ხე).

თითოეულ მათგანზე მასწავლებელი სვამს კითხვებს:

– როგორ უნდა მოვუაროთ ხეებს?

– რა ვიცით ამ ხეების შესახებ? სად იზრდება? ისხამს თუ არა ნაყოფს? რა ჰქვია მის ნაყოფს? ფოთლოვანია თუ წიწვოვანი? ხეხილია თუ არა? (პალმა ტროპიკული ხეა, უყვარს სიცხე. მუხა ისხამს რკოს, ვაშლი ხეხილია, ნაძვი წიწვოვანია და მარადმწვანე). ყველა დანარჩენი ფოთლოვანია.

შემდეგ სავარჯიშოში სიტყვები დანერგულია არეულად. მოსწავლეები მათ ალაგებენ და ამოიკითხავენ: ეს ხის თასი თეოსია.

მასწავლებელი სვამს კითხვებს: რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში?

– რომელია პირველი? მეორე? და ა. შ.

#### VI. აქტივობა – წერა (10 ნთ.)

რვეულში გამოწერენ სიტყვას.



## 42-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები ო, ე (განვლილი მასალის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი უკვე შესწავლილ მასალასთან, ცოდნის განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება: ლექსიკის გამდიდრება, ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველების წესების დაცვა, ტექსტის მოსმენა და დამოკიდებულებების ფორმირება;
- ლოგიკურად მსჯელობის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება, – ხატვა, ძერწვა, ნამუშევრების წარდგენა...

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცლები, პლასტილინი;

რეკომენდაცია გაკვეთილის ორგანიზებისთვის იხილეთ 28-ე გაკვეთილის სცენარში.

## საკითხავი მასალა

### ხეების ბაასი

ხეები ერთმანეთს შეებნენ: არა მე ვჯობივარ, არა მეო. მუხამ სთხოვა: ყველაზედ უკეთესი მე ვარო, ფესვები ღრმად ჩამიშვია მიწაში, ღეროც მსხვილი მაქვს, ჩემი მაღალი ტოტები ცაში იცქირება და ქარიშხალი სხვა ხეებსავით თავს ვერ დამიდრეკსო.

ვაშლის ხემ ბალიდან გასძახა: ძმობილო, ტყუილად ტრაბახობ: შენს რკოს მარტო ღორები კადრულობენ და ჩემი წითელი ნაყოფი მეფის სუფრასაც კი ამშვენებსო.

ფიჭვმა ორივეს ასე უპასუხა: ძმობილო, თქვენ ორივენი ზამთარში საცოდავად ტიტვლდებით და მე კი მაშინაც ლამაზი და მწვანე კოკოჩანებით ვარ შემოსილიო. გლესს ბუხარსაც ვუხურებ, სახლებსაც ვუნათებ და სადგომსაც ვუნათებო.

ი. გოგებაშვილი

### ოთახი

სალომეს სახლში ყველაზე ძალიან ბებოს ოთახი უყვარს. ოთახის ოთხივე კუთხეში ბებო სალომესთვის სხვადასხვა სასუნთხავს ინახავს, – ხილს, კანფეტებს, ჩირს, ჩურჩხელებს... მაგიდაზე კი ნახატებიანი საბავშვო წიგნები აწყვია.

სალომე გაღვიძებისთანავე ბებოსკენ მიიჩქარის, – მის ოთახში ყოფნა მუდამ საინტერესოა და სახალისო.

– ეს იმიტომ, რომ ბებოს ოთახი ჯადოსნურია, – იცინის გოგონა, – იქ ხომ არასდროს არაფერი იღუვავა, – არც ტკბილეული, არც ზღაპრები... ბებო ჯადოსნურ ჯოხს აიქნევს და მორჩა, – ისევ ყველაფერი გაჩნდება.

ერთხელ ბებია რამდენიმე დღით სოფელში გაემგზავრა. სალომემ უტრიალა საყვარელი ბებოს ოთახს, უტრიალა, მაგრამ რად გინდა? გოგონამ მოიწყინა, მგონი ოთახმაც, – სულ დაავიწყდა, ჯადოსნური რომ იყო, თუმცა არც ტკბილეული გამოლევია და არც საბავშვო წიგნები.

გოგონა ახლა კი მიხვდა, – ეს ოთახი ყველაზე ძალიან იმიტომ უყვარს, რომ იქ თავისი ალერსიანი ბებო ეგულება.

დედამ ახარა, – ბებო ხვალ ჩამოდისო. სალომეს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა, მგონი ოთახსაც, – უცებ გახდა ისევ ჯადოსნური.

გოგონა ახლა ბებოს ოთახს ალაგებს. ის ჯერ პატარაა, ამიტომ დედაც ეხმარება. ძალიან უნდათ, ოთახი ბებოს სუფთად დაახვედრონ.

ბედნიერია პატარა სალომე, – ხვალიდან აქ ისევ საინტერესო ამბები დაიწყება. მგონი, ოთახიც ბედნიერია.

## ვიმსჯელოთ ერთად

### უსუნო ყვავილი

მინდორში გამლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი. ყმანვილს ძალიან მოეწონა, მოგლიჯა და თავის ვარდის კონაში ჩაარჭო. პატარა ხანს უკან ისევ ამოაძრო კონიდან, უსუნა და იგრძნო, რომ იმ უზრალო ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა. ყმანვილი დაფიქრდა და სთქვა: ჰო, ეხლა კი კარგად მივხვდი, რად მირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებში ყოფნასა.

ი. გოგებაშვილი

### ანდაზები

ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო.

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.

## 43-ე, 44-ე, 45-ე გაკვეთილები

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „უ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ასო-ბგერა „უ“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მონაწილეობა სიტუაციურ თამაშებსა და ჯგუფურ აქტივობებში;
- მარტივი ენობრივი ერთეულის ამოცნობა – მარცვალი;
- ასო-ბგერისა და სიტყვის გამონერა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „მივბაძოთ ოპერის მომღერლებს“ (3 წთ.)**

მასწავლებელი კლასს სთავაზობს, მიბაძონ ოპერის მომღერლებს და გუნდურად (ან მსურველებმა ინდივიდუალურად) იმღერონ ასოთა ჯგუფი ხუთივე ხმოვნის შემცველობით. ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდის მოთხოვნების გათვალისწინებით, მასწავლებელი ამ ეტაპზე არ განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ეს ასოები ხმოვანთა ჯგუფია, მაგრამ აძლევს საშუალებას, დააკვირდნენ და ივარჯიშონ მათ სწორად წარმოთქმაში.

ხმოვანთა ჯგუფები მასწავლებელს დაფაზე წინასწარ აქვს ჩამონერილი:

ა ე ი ო უ

ე ა ი ო უ

ი ა ე ო უ

ო ა ე ი უ

ა ე ი ო უ

#### **III. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა – მარცვლების სინთეზი (5 წთ.)**

მასწავლებელი რიგრიგობით, საკმაო პაუზებით უმარცვლავს მოსწავლეებს ასო უ-ზე დაწყებულ ან უ-ს შემცველ სიტყვებს. მოსწავლეები ამ სიტყვებს მთლიანად წარმოთქვამენ.

#### **IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვის ამოკითხვის სწავლება (5 წთ.)**

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს ამხსნელ სიტყვას „უთო“. მოსწავლეებს ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი. წერს „უ“-ს დაფაზე. მეორე მარცვალს „თო“-ს მიუწერს განსხვავებული ფერით.

მოსწავლეებს ავარჯიშებს ამ მარცვლების წარმოთქმაში. ამასხვორებინებს მათ, ბოლოს აკითხებს ამ მარცვლებისგან შემდგარ სიტყვას.

#### **V. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს სიტყვებს: ხუთი, თუთა, სოუსი. სთხოვს ამ სიტყვების ამოკითხვას, ყურადღებას აქცევს და ეხმარება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სიტყვების ამოკითხვა გაუჭირდებათ.

#### **VI. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **VII. აქტივობა – ახალი ასო-ბგერა „უ“-ს გაცნობა (3 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს ყველა შესწავლილ ასოს ერთი ფერით. მერე განსხვავებული ფერით წერს ახალ ასოს – უ-ს და კლასს ეკითხება:

– რომელი ასოები ვისწავლეთ?

– რომელი ასო არ გვისწავლია?

სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ ასო „უ“ კლასში კედელზე/დაფაზე გაკრულ ანბანის პლაკატზე.

ავარჯიშებს კლასს ამ ასოს წაკითხვაში.

### **VIII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს (გვ. 12), პირველ რიგში ამოაკითხვინებს ახალ ასოს და ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს, რომელთაც ახლავს შესაბამისი თვალსაჩინობა. უხსნის ბავშვებს, რომ მათ სიტყვის ნაკითხვაში ნახატიც დაეხმარება.

თუ მოსწავლეებს სიტყვის ამოკითხვა გაუჭირდებათ, შეიძლება ასეთი შეკითხვაც დასვას:

– თუ აქ თუთა ხატია, ქვემოთ რა ეწერება?

– აქ თუთა ხატია, აქ კი წერია სიტყვა „თუთა“. ეს არის სიტყვა.

ამის შემდეგ ამოაკითხვინებს სიტყვებს ჩარჩოჩიდან.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტიდან წინადადებების შერჩევით ამოკითხვაში.

### **III. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დაწერილი წინადადების ამოკითხვა (4 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს ერთ-ერთ წინადადებას ტექსტიდან. შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ეს წინადადებაა. წინადადების ბოლოს კი წერტილი იწერება. მიუთითებს სიტყვებზე, მარცვლებზე. ავარჯიშებს წინადადების ნაკითხვაში. შერჩევით, არათანმიმდევრულად აკითხებს ტექსტს – როგორც ცალკეულ სიტყვებს, ისე წინადადებებს.

შემდეგ ტექსტს კითხულობს თვითონ, შესაბამისი ინტონაციით. ხდება ტექსტის ანალიზი.

### **IV. აქტივობა – კითხვაში ვარჯიში (8 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში როგორც ინდივიდუალურად.

### **V. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **VI. აქტივობა – „დაალაგე მარცვლები“ (5 წთ.) (სახელმძღვანელო გვ. 13)**

სავარჯიშოს მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად. არეული მარცვლების სწორად დალაგებით (ზეპირად) ისინი მიიღებენ სიტყვებს: თუთა, ხუთი, სოსისი, ოთახი.

### **VI აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ „უ“ ასო-ბგერის სრული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ წერით სავარჯიშოს მოსწავლის რვეულში. ისინი წერენ ასოს.

## **III ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი მარცვალია სიტყვაში?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. მოსწავლეები ითვლიან სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას და ამის მიხედვით იმდენჯერ უკრავენ ტაშს, რამდენი მარცვალიცაა სიტყვეში.

### **III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი კლასს ავარჯიშებს ტექსტის ინდივიდუალურად ცალკეული სიტყვების ან ფრაზების წაკითხვაში, განამტკიცებს მოსწავლეების კითხვის უნარს.

**IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „დაიჭირო გაფრენილი ბუშტები (სიტყვები)“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, რომ ნიკას ფერადი ბუშტები ჰქონდა, რომელზეც სიტყვები იყო დანერილი. ქარმა დაუბერა და ბიჭუნას ბუშტები ხელიდან გამოსტაცა. დავიჭიროთ ფერადი ბუშტები და სიტყვები თანმიმდევრობით წავიკითხოთ – წინადადება „დავალაგოთ“.

მოსწავლეები ამოიკითხავენ წინადადებას – სოსოს თუთის ხეს ასხია.

**V. წუთშესვენება (1 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ მოსწავლის რვეულში მითითებულ სავარჯიშოს – გამონერენ სიტყვებს.

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „მ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „მ“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ასო-ბგერისა და სიტყვის გამოწერა;
- ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „იპოვე დაკარგული მარცვალი“ (5 წთ.)

მასწავლებელი ჩაიფიქრებს „მ“-ზე დაწყებულ ან „მ“-ს შემცველობის ორმარცვლიან სიტყვებს.

ამბობს მხოლოდ პირველ მარცვალს. მაგ., „მა“ და ბურთს მოსწავლეს გადაუგდებს. მოსწავლე ამატებს მარცვალს, წარმოთქვამს სიტყვას „მამა“ და ბურთს მასწავლებელს უბრუნებს. თამაში გაგრძელდება სხვა მოსწავლესთან.

#### III. აქტივობა – სიტყვების ზეპირი დამარცვლა (5 წთ.)

მასწავლებელი რიგრიგობით, პაუზებით უმარცვლავს მოსწავლეებს სიტყვებს. მოსწავლეები ამ მარცვლებს იმახსოვრებენ და წარმოთქვამენ სიტყვებს.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების ამოკითხვის სწავლება (5 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „მამა“ და მოსწავლეებს ეკითხება, თუ რომელია პირველი მარცვალი. წერს „მა“-ს დაფაზე. მეორე მარცვალს „მ“-ს მიუწერს განსხვავებული ფერით.

მოსწავლეებს ავარჯიშებს ამ მარცვლების წარმოთქმაში, წაკითხვაში.

წერს ამხსნელ სიტყვას „მთა“-ს ერთი ფერით და კლასს ეკითხება:

– რატომ დავწერეთ ეს სიტყვა მხოლოდ ერთი ფერით? (იმიტომ, რომ სიტყვა ერთმარცვლიანია).

ავარჯიშებს მოსწავლეებს ერთმარცვლიანი სიტყვების წარმოთქმაში.

#### V. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს სიტყვებს: მუხა, სამი, თასმა, მოსასხამი. მოსწავლეებისგან ითხოვს ამ სიტყვების ამოკითხვას.

#### VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერა „მ“-ს გაცნობა (3 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ერთი ფერით წერს ყველა შესწავლილ ასოს, განსხვავებული ფერით მიუწერს ასო „მ“-ს და კლასს ეკითხება:

– რომელი ასოები ვისწავლეთ?

– ხომ არ იცით, ეს რა ასოა? რომელი არ გვისწავლია?

სთხოვს მოსწავლეებს ასო „მ“ მოძებნონ კედელზე გაკრულ ანბანის პლაკატზე, ავარჯიშებს კლასს ახალი ასოს გამოთქმაში.

ამ ეტაპზე ასო-ბგერის სრული გრაფიკული ანალიზი მასწავლებელს არ მოეთხოვება.

#### VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი გადაამლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს. პირველ რიგში ამოაკითხებს ახალ ასოს და ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს.

მიუთითებს ამხსნელი სიტყვის ილუსტრაციაზე და კლასს ეკითხება:

– თუ აქ მთა ხატია, ქვემოთ რა ეწერება?

მოათხოვნიებს მოსწავლეებს მთების შესახებ. ეუბნება, რომ მთებსაც აქვთ სახელები. მოსწავლეები ასახელებენ მათთვის ცნობილ მთებს. მასწავლებელი მოკლე და მარტივ ინფორმაციას აწვდის კავკასიონის შესახებ.

ასევე გაამახვილებს ყურადღებას სხვა ნახატებზე. ნააკითხებს იმათ ქვეშ მოთავსებულ სიტყვებს.

მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს სიტყვებზე. ეუბნება, რომ სიტყვები წინადადებას შეადგენენ და რომ წინადადება – ეს პატარა ამბავია.

აღნიშნულ ტექსტში შვიდი წინადადებაა – ექვს სტრიქონში განთავსებული.

მასწავლებელი კლასს ეკითხება:

– დააკვირდით ჩარჩოს. ჩარჩოში სიტყვებია ჩანერილი.

– ქვემოთაც სიტყვებია. ეს სიტყვაა, ესეც. სიტყვები ადგენენ წინადადებას – ამბავს.

– მოდი, დავთვალოთ ამ წინადადებაში რამდენი სიტყვაა. ამაში?

– შეგახსენებთ, რომ ყოველი წინადადების დამთავრების ნიშანია წერტილი.

– ეს წერტილია. ესეც. კიდევ სადაა წერტილი?

– ახლა წინადადებები დავთვალოთ. (ითვლიან)

– რამდენი სტრიქონია?

– ამ სტრიქონში რამდენი წინადადებაა?

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს წინადადებებს შერჩევით.

## II ბაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტიდან წინადადებების შერჩევით ამოკითხვაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმ მოსწავლეებზე ამახვილებს, რომლებსაც ამოკითხვა გაუჭირდებათ.

### **III. აქტივობა – დაფიდან ფერად მარცვლებად დაწერილი წინადადების ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს ერთ-ერთ წინადადებას ტექსტიდან. მიუთითებს მოსწავლეებს სიტყვებზე, მარცვლებზე, წერტილზე. ამოაკითხებს მთლიანად.

მასწავლებელი ტექსტს მთლიანად, შესაბამისი ინტონაციით მხოლოდ ამის შემდეგ კითხულობს, აიხსნება უცნობი სიტყვები.

### **IV. აქტივობა – კითხვა (8 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს სახელმძღვანელოში მოყვანილი ტექსტის კითხვაში. ინდივიდუალურად აკითხებს ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს.

### **V. წუთშესვენება (1 წთ.)**

### **VI. აქტივობა – დაალაგე მარცვლები (5 წთ.)**

ამ სავარჯიშოს მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად. ისინი აკვირდებიან მოსასხამის კალთაზე დაწერილ „არეულ“ მარცვლებს და მათი სწორად დალაგებით მიიღებენ სიტყვას „მოსასხამი“.

### **VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

„მ“ ასოს სრული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები რვეულში ასრულებენ წერით დავალებას.

### III ბაკვეთილი

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (3 წთ.)**

#### **II აქტივობა – „დამარცვლე სიტყვები“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს ასო „მ“-ზე. მოსწავლეებმა უნდა დამარცვლონ ეს სიტყვები ტაშის თანხლებით – თითოეულ მარცვალზე ტაში ხან მარჯვნივ უნდა შემოჰკრან, ხან მარცხნივ.

სავარაუდო სიტყვები: მახე, მამალი, მერცხალი, მეგობარი, მელია, მარტორქა, მგელი, მწყერი, მდელო, მფრინავი, მანონი, მაკრატელი, მახათი, მწვანე.

#### **III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს კლასს კითხვაში – ინდივიდუალურად.

#### **IV. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **V. აქტივობა – „დაალაგე მარცვლები“ (2 წთ.)**

მოსწავლეები სიტყვებს „ალაგებენ“ – საჭირო მარცვლებს ერთმანეთთან ხაზით აკავშირებენ შესაბამისი ფორმებისა და ფერების მიხედვით.

#### **VI. აქტივობა – „დაალაგე წინადადება“ (2 წთ.)**

მოსწავლეები ალაგებენ სიტყვებს და მიიღებენ წინადადებას: „მაიას თამთას ხმა ესმის“.

#### **VII. აქტივობა – „დაალაგე მარცვლები“ (2 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან ნახატის – მთის კალთაზე დაწერილ მარცვლებს და მიიღებენ სიტყვას „მესხეთი“.

#### **VIII. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

სიტყვის გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ რვეულში მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოს – გამოწერენ სიტყვას;



## 49-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „უ“, „მ“ (განვლილი მასალის გამეორება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- შესწავლილი მასალის ცოდნის შეჯამება-განმტკიცება;
- ჯგუფური აქტივობების ორგანიზება;
- ზეპირმეტყველების განვითარება;
- ლოგიკურად მსჯელობის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების გამოვლენა-განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

საჭირო რეკომენდაცია იხილეთ 28-ე გაკვეთილის სცენარში.

### საკითხავი მასალა

#### ცხელი უთო

უთო არის ძალზე ცხელი,  
არ დაინვა, გოგო, ხელი!  
გაუსვი და გამოუსვი  
მოხდენილად, სწრაფად,  
დედოფალას მოუხდება  
გატკეცილი კაბა,  
დაჭმუჭნული ტანსაცმელით  
ხომ არ ივლის, აბა?

მ. ფოცხიშვილი

## ვიმსჯელოთ ერთად

### ჩხუბი არაფერზე

ორნი ძმანი გაიყარნენ. ერთი ქვევრი ღვინო უნდა გაეყოთ. შევიდნენ მარანში. მე ბევრი მერგებაო, – თქვა ერთმა. არა, მე უფრო მეტი უნდა წავილოო, – უთხრა მეორემ. მოუვიდათ სულელობა, გამართებს ჩხუბი. მოხადეს ქვევრი და ცარიელი კი დახვდათ.

### გამოცანა

მოუსვენრად, როგორც მაქო,  
უნიჩბოდ და უიალქნოდ,  
ნინ – ცხვირნამახვილებული,  
უკან – ზონარგამობმული,  
ხან შიშინა, ხან მფშეინავი  
მიდი-მოდის ერთი ნავი.  
(უთო)

### ანდაზა

მელამ თავისი კუდი მონმედ მოიყვანაო.

### ენის გასატეხი

უმაძღარა ღრუტუს უჩა  
უნაბს უყრის ბლუჯა-ბლუჯა.

## 50-ე, 51-ე, 52-ე გაკვეთილები

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ძ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერა „ძ“-ს გაცნობა;
- საანბანო პერიოდის II ეტაპის დაწყება: გადასვლა შავ-თეთრი ტექსტის – წინადადებების ამოკითხვაზე;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ხელის მოტორიკის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (3 წთ.)

##### VI აქტივობა – ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

სისტემურობის პრინციპი რომ დავიცვათ, მასწავლებელმა მოსწავლეებს პირველ რიგში უკვე შესწავლილი ასო-ბგერები უნდა შეახსენოს. საკმარისია ბოლო ხუთი.

მასწავლებელი დაფაზე ერთი ფერის ცარცით წერს ბოლოს შესწავლილ ასოებს – ხ, ო, ე, უ, მ. განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერა „ძ“-ს და მოსწავლეებს ეკითხება:

- ბოლოს რომელი ასო-ბგერები ვისწავლეთ?
- ვინმემ ხომ არ იცით, ეს რა ასოა?

წააკითხებს რამდენიმე მოსწავლეს ინდივიდუალურად, მთელ კლასს გუნდურად.

ამ ეტაპზე მასწავლებელი „ძ“ ასოს სრულ გრაფიკულ ანალიზს არ ახდენს.

##### II აქტივობა – სიტყვების მარცვლითი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი ამბობს:

– მე სიტყვებს დავმარცვლავ, მარცვლებს რიგრიგობით გეტყვით, თქვენ კი ეცადეთ, ეს მარცვლები სიტყვებად აქციოთ.

იგი მკაფიოდ, პაუზებით წარმოთქვამს მარცვლებს: ძუა, ძიძა, ძია, ეძახის, მძიმე. მოსწავლეები კი წარმოთქვამენ სიტყვებს.

##### III. აქტივობა – დაფიდან ფერად მარცვლებად დაწერილი სიტყვების ამოკითხვის სწავლება (3 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „ძუა“. მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს („ძუ“), რომელსაც მასწავლებელი ფერადი ცარცით დაფაზე დაწერს. მეორე მარცვალს განსხვავებული ფერით წერს.

მოსწავლეები რიგრიგობით წარმოათქმევენ მარცვლებს. შემდეგ ისინი ასახელებენ ამ მარცვლებს განსხვავებულ სიტყვას (ძუა). ამხსნელი სიტყვა განიხილება „გონებრივი იერიშის“ გზით (ახლოდან ხომ არ უნახავთ ცხენები? ხომ არ დაჰკვირვებიათ ცხენის კუდს, როგორია იგი, ხომ არ უნახავთ ძუაზე გამობმული ანკესი, ძუაზე აცმული მძივი და ა. შ.).

ასევე ხსნის მასწავლებელი სიტყვებს „ძიძა“ და „ძმა“. მოათხოვნილებს მოსწავლეებს. შეიძლება რომელიმე მათგანს ძიძა ჰყავდეს და კლასს მასზე მოუთხროს. გამოიკითხავს, რომელს ჰყავს ძმა, უფროსია თუ უმცროსი და ა. შ. ყურადღებას ამახვილებს, რომ სიტყვა „ძმა“ ერთმარცვლიანია.

##### IV. აქტივობა – დაფიდან ფერად მარცვლებად დაწერილი სიტყვების დამოუკიდებლად ამოკითხვა (5 წთ.)

დაფაზე უკვე დაწერილ მასწავლებელი ამატებს სიტყვებს: ძია, ეძახის, მძიმე.

მოსწავლეებს ავარჯიშებს ამ სიტყვების ამოკითხვაში, ყურადღებას ამახვილებს იმ მოსწავლეებზე, რომელთა კითხვის უნარი შესამჩნევად ჩამორჩება თანატოლებისას.

უხსნის მოსწავლეებს ამ სიტყვებს. მიუთითებს, რომ სიტყვა „მძიმე“ შეიძლება გაიგონ ორმაგი მნიშვნელობით. მაგ.: მძიმე ტვირთი და მძიმე – როგორც სასვენი ნიშანი. ყოველგვარი განმარტების გარეშე შეიძლება ეს სასვენი ნიშანი მოსწავლეებს დაფაზე დაუწეროს ან ტექსტში უჩვენოს და უთხრას: ეს მძიმეა.

## **V. ნუთშესვენება (2 ნთ.)**

### **VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (12 ნთ.)**

მასწავლებელი სახელმძღვანელოში ნააკითხებს ახალ ასოს, ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს.

#### **რეკომენდაცია**

ამ გაკვეთილზე იწყება საანბანო პერიოდის მეორე ეტაპი. მასწავლებელს კლასი გადაჰყავს შავ-თეთრი ტექსტის – წინადადებების ამოკითხვაზე. წინა ცხრა ასო-ბგერის შესწავლისას მოსწავლეებს უკვე დაუგროვდებოდათ ცოდნის გარკვეული მარაგი – დამახსოვრებდნენ საკმაო რაოდენობის მარცვლებს, გაუმდიდრდებოდათ ლექსიკა, ჩამოუყალიბდებოდათ მარცვლების ამოკითხვის გარკვეული უნარ-ჩვევა, კითხვის ტექნიკა. ახლა უფრო უკეთ შეეძლება ნაკითხულის გააზრება, ტექსტთან ილუსტრაციების დაკავშირება, პაუზის დაცვა წერტილთან – წინადადების საზღვრების შესაბამისად, სხვის მიერ დაწყებული კითხვის გაგრძელება, მასწავლებლის მიერ მითითებული სიტყვის ან წინადადების ამოკითხვა და ა. შ.

ჩვენი აზრით, კითხვის პრობლემების გარკვეული ნაწილი ამ ეტაპისათვის დაძლეული უნდა იყოს. ამაში მოსწავლეს ფერადი მარცვლების სისტემა მეტად ეფექტურ დახმარებას გაუწევს.

კითხვის პრობლემებზე ჩვენმა დაკვირვებამ და მის დასაძლევად ფერადი მარცვლების სისტემის გამოყენებამ დაგვარწმუნა, რომ ცხრა ასო-ბგერის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები ადვილად შეძლებენ შავ-თეთრი ტექსტის ამოკითხვას.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი მეთოდის მოთხოვნების შესაბამისად, მასწავლებელი იქამდე არ უკითხავს ტექსტს მთლიანად, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ მისი მოსწავლეები ნამდვილად კითხულობენ, მასწავლებლის კითხვისას დამახსოვრებულს არ იმეორებენ.

### **VIII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 ნთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ გადადიან შავ-თეთრი ტექსტებს კითხვაზე.

მოსწავლეებს ნააკითხებს წინადადებებს შერჩევით, არათანმიმდევრულად, ყოველგვარი ანალიზის გარეშე.

ამგვარი სამუშაო იმიტომ იმართება, რომ მოსწავლე ორიენტირებული იყოს უცნობი ტექსტის ამოკითხვაზე. მან დამახსოვრებული სიტყვა კი არ უნდა წარმოთქვას, არამედ თვითონვე ამოიკითხოს.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 ნთ.)**

#### **II. აქტივობა – დაფაზე ერთ ფერად დაწერილი წინადადების კითხვა (10 ნთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს ტექსტიდან შერჩეულ ერთ-ერთ წინადადებას. ახდენს ამ წინადადების არასრულ ანალიზს – მარცვლების ჩათვლით (რა არის ეს, რამდენი სიტყვაა, რომელია პირველი, მეორე, მესამე სიტყვა), ამარცვლინებს. ახდენს სინთეზს (მარცვალი, სიტყვა, წინადადება), მიუთითებს წერტილზე.

ამის შემდეგ ტექსტს კითხულობს გარკვევით, მკაფიოდ, შესაბამისი ინტონაციით.

მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში, აკითხებს მთლიანად, აგრძელებინებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას, მიუთითებს და ნააკითხებს ცალკეულ ადგილებს.

### **III. ნუთშესვენება (2 ნთ.)**

#### **IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „იპოვეთ ზედმეტი სიტყვა“ (2 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს ასო-ბგერა „ძ“-ზე დაწყებულ ან „ძ“-ს შემცველ სიტყვებს, რომლებსაც ერთ არასაჭიროს შეურევს. „ზედმეტი“ სიტყვის გაგონებისთანავე მოსწავლეები ტაშს შემოჰკრავენ.

მაგ.: ძალი, ძია, ძიძა, ძმა (ზედმეტია – ძალი).

#### **V. აქტივობა – „მარცვალთა მძივი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს სახელმძღვანელოში მოთავსებულ სავარჯიშოზე, ეუბნება მოსწავლეებს, რომ მძივზე მარცვლები თანმიმდევრობითაა ასხმული, მათგან სიტყვები მიიღება. მოსწავლეები აკვირდებიან „მძივს“ და მიიღებენ სიტყვებს: ძიძა, მახათი, მძიმე, სათითე.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს თავად სიტყვაზე „მძივი“. საუბრობენ საგნის შესახებაც.

#### **VI. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

წერასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე განსაკუთრებულად არაფერი იცვლება – მოსწავლეები არც ამჯერად წერენ წინადადებას.

მივიჩნევთ, რომ ამ ეტაპზე (16 ასო-ბგერის გაცნობამდე) მოსწავლე კარგად უნდა გაინაფოს ასოსა და სიტყვის გამონერაში, მისი ხელის მოტორიკა უფრო მეტად განვითარდეს.

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასო „ძ“-ს.

### **III ბაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი მარცვალა?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, მოსწავლეები მარცვლავენ და თითებით უჩვენებენ მარცვალთა რაოდენობას.

#### **III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი განამტკიცებს მოსწავლეთა კითხვის უნარს. აკითხებს ტექსტს.

#### **IV. აქტივობა – „დაიჭირო მარცვლები“ (5 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ სახელმძღვანელოში მოთავსებულ II სავარჯიშოს. ბავშვი ანკესით იჭერს თევზებს – საჭირო მარცვლებს სიტყვების შესადგენად. მიიღება სიტყვები: ასო, ძია, ძუა, მუზა, თასი, ძიძა. V. aqtivoba \_ „rebusi“ (2 wT.)

მოსწავლეები ამოხსნიან რებუსს და მიიღებენ წინადადებას: ეს შოთი ძიასია.

#### **VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მოსწავლის რვეულში მოთავსებულ სავარჯიშოს. ამჯერად ისინი გამონერენ სიტყვას.

## 53-ე, 54-ე, 55-ე გაკვეთილები

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „შ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერა „შ“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარების განვითარება;
- წერის უნარების განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი (ფერად, თეთრი), მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა (ანალიზი და სინთეზი) (3 წთ.)**

მასწავლებელი მარცვლავს სიტყვებს, რიგრიგობით, პაუზებით წარმოთქვამს მარცვლებს, მოსწავლეები მათ ამოლიანებენ და ადგენენ სიტყვებს. სასურველია, სიტყვები ინყებოდეს ან შეიცავდეს „ძ“ ასო-ბგერას.

#### **III. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „შოშია“ მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს „შო“, რომელსაც მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს. მეორე მარცვალს წერს განსხვავებული ფერით, მესამეს – პირველის მსგავსად (ფერადი მარცვლებით სიტყვების წერისას უნდა იყოს მხოლოდ ორი ფერის მონაცვლეობა).

წარმოათქმევინებს ამ მარცვლებს რიგრიგობით, შემდეგ ასახელებენ მიღებულ სიტყვას – შოშია. „გონებრივი იერიშის“ ხერხის გამოყენებით მასწავლებელი მოათხოვნიებს მოსწავლეებს შოშიას შესახებ. დამატებით ინფორმაციას კი მხოლოდ მას შემდეგ აწვდის, რაც სრულად ამონურავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

შეიძლება დაფაზე დაიხაზოს „აზრობრივი რუკა“, რომელზედაც განთავსდება სიმბოლოები, – სიტყვები, რომლებიც გამოხატავს ამ ფრინველის ნიშან-თვისებას.

შოშია მგალობელი ფრინველია. შეფერილია შავად, ყავისფრად, თეთრად. მისი შავი ბუმბული ლითონით ბზინავს.

ზამთარს ატარებს თბილ ქვეყნებში. ბრუნდება ადრე გაზაფხულზე. იკეთებს ბუდეს, მაგრამ შეუძლია იცხოვროს ადამიანის მიერ დამზადებულ ხის საშოშიეშიც.

შოშია სასარგებლო ფრინველია, მშრომელი, ანადგურებს მავნე მწერებს. უფრო მეტად სადამოს გალობს.

ასევე დამუშავდება სიტყვები: შეშა და შოთი (ეს სიტყვები წერია სახელმძღვანელოში ფერად ზოლებზე, გვ. 34).

#### **IV. აქტივობა – დაფიდან ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების კითხვა (5 წთ.)**

დაფაზე უკვე დაწერილსა და გაანალიზებულს მასწავლებელი ამატებს სიტყვებს: თამაში, თუშეთი, სათამაშო. ავარჯიშებს მოსწავლეებს სიტყვების ამოკითხვაში.

უხსნის ამ სიტყვების მნიშვნელობას, ცდილობს, ამაში თავად მოსწავლეები ჩართოს. მოათხოვნიებს, რა თამაში უყვართ ბავშვებს, რომელია მათი საყვარელი ან სასურველი სათამაშო, ხომ არ ყოფილა რომელიმე თუშეთში ან თავად ხომ არ არის თუში, მოკლე მარტივ ინფორმაციას აწვდის საქართველოს ამ მთიანი კუთხის შესახებ.

#### **V. აქტივობა – დიდაქტიკური თამაში „შინ და გარეთ“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს საგნებს. მოსწავლეები ერთხმად ამბობენ, დასახელებული საგანი შინაა თუ გარეთ.

მაგ.: მაცივარი (შინ), ტელევიზორი (შინ), სანოლი (შინ), ხე (გარეთ), კარადა (შინ), აუზი (გარეთ), მაგიდა (შინ), სკამი (შინ), საქანელა (გარეთ).

#### **VI. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **VII. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ერთი ფერის ცარცით წერს ბოლოს ნასწავლ ხუთ ასოს – ო, ე, უ, მ, ძ. განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერა „შ“-ს და კლასს ეკითხება:

- რომელია უკვე ნასწავლი ასო-ბგერები?
  - რომელმა იცის ახალი ასო-ბგერა?
- ამოაკითხვინებს მოსწავლეებს ინდივიდუალურად.

#### **VIII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (13 წთ.)**

მასწავლებელი ყოველგვარი წინასწარი წაკითხვის გარეშე (რათა თავის აარიდოს წაკითხულის დამახსოვრებას ბავშვების მიერ) სახელმძღვანელოდან ამოაკითხებს ახალ ასოს, ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს.

### **II გაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – დაფიდან ერთ ფერში დაწერილ წინადადების ამოკითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე თეთრი ფერის ცარცით წერს ერთ-ერთ წინადადებას ტექსტიდან, ახდენს მის არასრულ ანალიზს – მარცვლების ჩათვლით, შემდეგ სინთეზს.

ამის შემდეგ მკაფიოდ, შესაბამისი ინტონაციით კითხულობს ტექსტს.

მოსწავლეებს ავარჯიშებს სახელმძღვანელოში მოყვანილი შავ-თეთრი ტექსტის კითხვაში, იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას.

#### **III. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მე ვიცი ხუთი სახელი“ (5 წთ.)**

გამოძახებულმა მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ 5-5 ფრინველი.

– მე ვიცი ხუთი ფრინველის სახელი: შოშია, კოდალა, ბულბული, შაშვი, ბელურა.

#### **V. აქტივობა – „ამოვხსნათ კროსვორდი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს სახელმძღვანელოში მოთავსებულ I სავარჯიშოზე. კროსვორდის ამხსნელი სიტყვაა სათამაშო. ამ სიტყვის შემადგენელ მარცვლებზე მოსწავლეებმა ხაზით ან ზეპირად უნდა მიუთითონ. „გაფანტული მარცვლები“ შეკრიბონ და დაასახელონ სიტყვები; მარჯვნივ: სახე, თათი, შოშია, თასი. მარცხნივ: მამა, თასმა.

#### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასო „შ“-ს მოსწავლის რვეულში.

### III ბაკვეთილი

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში, განამტკიცებს მათ უნარ-ჩვევებს.

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ვინ გაიხსენებს?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ნელი ტემპით ასახელებს „შ“ ასო-ბგერით დაწყებულ რამდენიმე სიტყვას. გამოძახებულ-მა მოსწავლემ უნდა დაიმასხოვროს სიტყვათა თანმიმდევრობა და გაიმეოროს. ვინც ვერ დაიმასხოვრებს, ან გადაანაცვლებს ჩამოთვლილ სიტყვებს, თამაშიდან გამოეთიშება. მაგ.: შავი, შოთი, შვილი, შინდი, შაშვი.

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშო „დაალაგე წინადადება“ (2 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, ალაგებენ სიტყვებს და მიიღებენ წინადადებას: „თომას შოშიას ხმა შემოესმა“.

#### **VI. აქტივობა – „რეზუსის გამოცნობა“ (3 წთ.)**

მოსწავლეები ნახატებს უკავშირებენ სიტყვებს ან მარცვლებს და მიიღებენ სიტყვას „ბალიში“ და წინადადებას „ეს შოშიას ხის სახლია“.

#### **VII. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოს – გამოწერენ სიტყვას.



## 56-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „ძ“, „შ“ (განვლილი მასალის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი უკვე ნასწავლ მასალასთან – შეჯამება-განმტკიცება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველების წესების დაცვა, ტექსტის მოსმენა-ანალიზი, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ლექსის მხატვრული კითხვა;
- აზროვნების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარის განვითარება – ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, პრეზენტაცია.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

მასწავლებელი გაკვეთილს წარმართავს 28-ე საგაკვეთილო სცენარში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

### საკითხავი მასალა

#### ძუა

ერთხელ შინაურმა ცხოველებმა კამათი დაიწყეს, რომელი ჩვენგანია პატრონისთვის უფრო სასარგებლო. ყველა საკუთარ თავს აქებდა, ცხენი ფეხმარდა კი მათ უსმენდა. ბოლოს დაიჭიხვინა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეც ძალიან სასარგებლო ვარო. ამაზე ცხოველებმა ბევრი იცინეს.

სახლიდან და-ძმა, სოფიო და ნიკა, გამოვიდნენ, ეზოში მოფუსფუსე ბებოს მიაშურეს.

– იცი, ბებო? მძივი გამიწყდა, – დაიჩვილა სოფიომ, – როგორ ძაფზე უნდა ავაცვა?

– ძაფზე მაგარი ძუაა, – აუხსნა ბებომ, – ძუაზე ასხმული მძივი იშვიათად თუ განწყდება.

სოფიოს გაუხარდა.

– ბებო, ძუა ანკესის გასამართავად არ გამომადგება? – იკითხა ნიკამ. – ძიას სათევზაოდ მივყავარ.

– რა თქმა უნდა, გამოგადგება, – აუხსნა ბებომ, – თევზაობისას ყველაზე სათიმედო სწორედ ძუაზე გამობმული ანკესია... ახლა წადით, ითამაშეთ... მე ბევრი საქმე მაქვს – ფქვილი უნდა გავცრა, შოთები უნდა დაგიცხოთ...

– საცერი რომ გაგიფუჭდა? ფქვილს როგორღა გაცრი? – იკითხა ნიკამ.

– ამაშიც ძუა გამოგვადგება, – აუხსნა ბებომ, – პაპამ თქვა, საცრის ძირის დასაწნავად ძუას გამოვიძენებო. უკვე ამზადებს.

შინაური ცხოველების კამათი შეწყდა. აბა, რა იქნებოდა? ფეხმარდას გარდა, რომელს ეთქმოდა, პატრონისათვის ჩემი კუდიც კი გამოსადეგიაო.

#### შოშია

– რად მოფრენილხარ, შოშიავ,

შენ ასე ადრიანადა?

– რა ვქნა, ვერ ვძლებდი სხვა მხარეს,

ვიყავი დარდიანადა...

ვიცოდი, ზამთრის ნაწყვეტი  
აქ კიდევ დამიხვდებოდა,  
შემანუხებდა შიმშილი  
და კიდევ შემცივდებოდა.

მაგრამ მივენდე ილბალსა,  
არ შევუშინდი ზამთარსა,  
და მოვატანე კიდევცა  
ჩემი სამშობლოს მთა-ბარსა.

რ. ერისთავი

## ვიმსჯელოთ ერთად

### მუქთამჭამელა

იყო ერთი ზარმაცი და მუქთამჭამელა ბიჭი. ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული. იფიქრა, მოდი ძვირფას ტანსაცმელს ჩავიცვამ და პატივი დამეძებო. ასეც მოიქცა, მაგრამ უარესი დაემართა: ყველამ უფრო მეტად აიგდო მასხრად. მეზობელმა უთხრა: ბიჭო, ტანისამოსს კი ნუ იცვლი, ხასიათი გამოიცვალე, გაისარჯე და პატივი დაგეძებო.

ი. გოგებაშვილის მიხედვით

### ანდაზები:

ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო.

ძალა ერთობაშია.

შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო.

### ენის გასატეხები:

ძეძვის ძირს მიძინებულმა

ძლივს გაიღვიძა ენძელამ.

შურდულივით გაეშურა

შავი შაშვი შარა-შარა.

## 57-ე, 58-ე, 59-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „კ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერა „კ“-ს გაცნობა;
- მარტივი წინადადებებით შედგენილი ტექსტის ამოკითხვა;
- მოსწავლეთა ზეპირმეტყველებაზე მუშაობა, ილუსტრაციების ტექსტთან დაკავშირება, კითხვა-პასუხი, ახალი ინფორმაციის მოსმენა/გადმოცემა, მართლმეტყველებაზე მუშაობა;
- ასოებისა და სიტყვების მართებულად გამოწერა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „სიტყვათა ჯაჭვი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი კლასს აძლევს ინსტრუქციას: – სიტყვები ერთმანეთს ჯაჭვის რგოლებით უნდა გადავაბათ. მე ახლა დაგისახელებთ სიტყვას, ყოველმა შემდეგმა მოთამაშემ ახალი სიტყვა იმ მარცვლით უნდა დაიწყო, რომლითაც წინა მოთამაშემ დაამთავრა. სიტყვები ერთმანეთს ჯაჭვის რგოლებით გადავებმება.

მაგ.: კუ-კუთხე-ხელი-ლიმონი-ნიკა-კატა-ტახტი-ტილო-ლომი-მინა-წამალი-ლიზი.

#### **III. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა (ანალიზი და სინთეზი) (5 წთ.)**

მასწავლებელი მკაფიოდ, პაუზებით უმარცვლავს მოსწავლეებს „ძ“-ზე დაწყებულ ან „ძ“-ს შემცველ სიტყვებს. მოსწავლეები მარცვლებს ამთლიანებენ და ასახელებენ სიტყვებს.

#### **IV. აქტივობა – საანალიზო სიტყვების დამარცვლა და დაფაზე ფერადი ცარცით წერა (5 წთ.)**

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „სოკო“. ეკითხება მოსწავლეებს, რომელია პირველი მარცვალი. დაფაზე წერს დასახელებულ მარცვალს, რომელსაც განსხვავებული ფერით მიუწერს მეორე მარცვალსაც. წააკითხებს სიტყვას.

ასევე გააანალიზებს სიტყვებს „სკამი“ და „კუ“. აქვე განიხილება ჩარჩოში მოთავსებული სიტყვებიც.

#### **V. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)**

ახალი ასო-ბგერა აიხსნება წინა გაკვეთილების სცენარებში აღწერილი ხერხით. ე, უ, მ, ძ, შ ასო-ბგერების ამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე განსხვავებული ფერით წერს ახალ „კ“ ასოს და აცნობს მოსწავლეებს.

#### **VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს, წააკითხებს ფერად ზოლში და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს, ყურადღებას გაამახვილებინებს ილუსტრაციებზე. მოსწავლეებს, რომელთაც სიტყვების ამოკითხვა გაუჭირდებათ, მასწავლებელი ეკითხება:

- ეს რა საგანია?
- მაშ, რა ეწერება ამ საგნის ქვეშ?

ამის შემდეგ მასწავლებელი შერჩევით წააკითხებს ჩარჩოში მოთავსებულ, ფერადი მარცვლებით დაწერილ სიტყვებს. მოსწავლეებს ავალებს:

- ამოიკითხე მეორე სიტყვა პირველ სტრიქონში.
- ამოიკითხე ამ სიტყვის წითელი მარცვალი, ლურჯი მარცვალი.
- ამოიკითხე მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვა.
- ამოიკითხე ამ სიტყვის პირველი წითელი მარცვალი, მეორე წითელი მარცვალი, ლურჯი მარცვალი და ა. შ.

**VIII. აქტივობა – წინადადებების შერჩევით კითხვა (8 წთ.)**

მასწავლებელი შავ-თეთრი ფერის ტექსტიდან შერჩევით აკითხებს წინადადებებს – ყველას, მაგრამ არათანმიმდევრულად.

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – შერჩეული წინადადების დაფაზე გამოწერა და ანალიზი (3 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს ერთ-ერთ წინადადებას; ახდენს მის არასრულ ანალიზს – მარცვლების ჩათვლით. ავარჯიშებს მოსწავლეებს წინადადების ამოკითხვაში.

**III. აქტივობა – კითხვა (12 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ შავ-თეთრი ფერის ტექსტის კითხვაში. ამ დროს აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე, საჭირო ინტონაციით და პაუზების დაცვით.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა („მარცვალთა კიბე“) (5 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან „მარცვალთა კიბეს“.

პირველ შემთხვევაში ისინი ამატებენ თითო-თითო მარცვალს და ამოიკითხავენ სიტყვას – „მუსიკოსი“, მეორე შემთხვევაში კი სიტყვას თითო-თითოდ აკლებენ მარცვლებს და ამოიკითხავენ სიტყვა „სათამაშოს“ სანყის მარცვალს.

**VI. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „დაუმატე მეექვსე სიტყვა“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს ხუთ სიტყვას, რომლებიც იწყება ასო „კ“-ზე. მოსწავლემ ეს სიტყვები უნდა დაიმახსოვროს და ისე გაიმეოროს, რომ არც დააკლოს და არც გადაანაცვლოს, თანაც მეექვსე სიტყვა დაუმატოს.

**VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

სრული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები ახალ ასოს მოსწავლის რვეულში წერენ.

### III გაკვეთილი

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ჩააგდე მონეტა ყულაბაში“ (5 წთ.)**

მასწავლებელი რიგებს შორის ჩამოატარებს ე. წ. „ყულაბას“, რომელშიც მოსწავლეები სიმბოლურად ყრიან ამ გაკვეთილზე ნასწავლი მარცვლებით შედგენილ სიტყვებს – „ოქროს მონეტებს“.

„შევაგსოთ ყულაბა“ – ამბობს მასწავლებელი. მოსწავლეები კვლავ ებმებიან „ყულაბის“ „მონეტებით“ ავსებაში – სიტყვების მოფიქრებაში.

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – „დაალაგე წინადადება“ (2 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან, ზეპირად გადაადგილებენ სიტყვებს და მიიღებენ წინადადებას: „ეს ოთხი სოკო თავოსია“.

#### **VI. აქტივობა – „რეზუსის ამოხსნა“ (2 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან რეზუსს და მიიღებენ წინადადებას: „აი კაშკაშა ვარსკვლავი“.

#### **VII. აქტივობა – წერა (13 წთ.)**

მოსწავლეები წერენ სიტყვას მოსწავლის რვეულში.

## მე-60, 61-ე, 62-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ვ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერა „ვ“-ს გაცნობა;
- ზეპირმეტყველების განვითარება;
- მარტივი წინადადებების კითხვა, კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ასოსა და სიტყვის მართებულად წერა.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული, ბუნებრივი მასალა (თავთავი).

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „იპოვე შემდეგი მარცვალი“ (5 წთ.)

მასწავლებელი წინასწარ მოიფიქრებს ორმარცვლიან სიტყვებს. გადაუგდებს ბურთს მოსწავლეს და ეუბნება პირველ მარცვალს, მოსწავლემ სიტყვა უნდა დაასრულოს და ბურთი მასწავლებელს დაუბრუნოს. ამის შემდეგ თამაში ჩაებმება სხვა მოსწავლე.

სავარაუდო სიტყვები: ვაზი, ვარდი, ვაშლი, ველი, ვაკე, ვირი, ვახო, ვანო.

თამაშს შეიძლება შეჯიბრის სახეც მიეცეს.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „შეადგინე სიტყვები“ (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გარკვევით, პაუზებით უმარცვლავს ბგერა „ვ“-ზე დაწყებულ ან „ვ“-ს შემცველ სიტყვებს, მოსწავლეები უსმენენ, მარცვლებს ამთლიანებენ და მიიღებენ სიტყვებს.

#### IV. აქტივობა – საანალიზო სიტყვების დამარცვლა და დაფაზე ფერადი ცარცით დაწერა (5 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „იხვი“. მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს (იხ), რომელსაც მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით დაწერს, მეორე მარცვალს (ვი) დასახელების შემდეგ წერს განსხვავებული ფერით.

ამ აქტივობაში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს „გონებრივი იერიშის“ ან „აზრობრივი რუკის“ მეთოდი. ასეთივე სამუშაო ჩატარდება სიტყვებზე „თავთავი“ და „შაში“. შეიძლება კლასს ვუჩვენოთ ბუნებრივი მასალაც – ხორბლის ღეროები, თავთავი.

#### V. აქტივობა – დაფიდან კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს.

ავარჯიშებს მოსწავლეებს ამ სიტყვების კითხვაში. შერჩევით მიუთითებს სიტყვებს, ფერით განსხვავებულ მარცვლებს და სთხოვს, ამოიკითხონ.

– ნაიკითხე პირველი სტრიქონის მესამე სიტყვა.

– ნაიკითხე ამ სიტყვის პირველი წითელი მარცვალი, მეორე...

#### VI. წუთშესვენება (2 წთ.)

#### VII. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

დაფაზე დაინერება ხუთი ნაცნობი ასო (უ, მ, ძ, შ, კ) და ერთი ახალი (ვ). მასწავლებელი კლასს ეკითხება:

– რომელი ასოები შევისწავლეთ?

– რომელია ახალი?

### **VIII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (7 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს შერჩევით წაკითხვებს სიტყვებსა და წინადადებებს – ყოველგვარი წინასწარი კითხვისა და ახსნა-განმარტების გარეშე (რათა თავიდან აიცილოს ტექსტის დამახსოვრება და ე. წ. „ზეპირად კითხვა“).

ამ დროს აიხსნება მოსწავლეთათვის გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები. ბავშვები დასვამენ შეკითხვებს უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – შერჩეული წინადადების დაფაზე გამოწერა და ანალიზი (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს ერთ-ერთ წინადადებას. ახდენს არასრულ ანალიზს – ასოებამდე. წაკითხვებს სიტყვებს, მარცვლებს, ახდენს სინთეზს, მიუთითებს წერტილზე.

ამის შემდეგ ტექსტს კითხულობს მთლიანად, მკაფიოდ, საჭირო ინტონაციით. ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტის კითხვაში.

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „იპოვე დაკარგული მარცვალი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ჩაიფიქრებს სამმარცვლიან სიტყვებს, იტყვის პირველ მარცვალს და ბურთს გადაუგდებს მოსწავლეს, რომელიც ამოიცნობს დანარჩენ მარცვლებსაც, დაასახელებს სიტყვას და ბურთს მასწავლებელს დაუბრუნებს.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა („როგორ წავიკითხოთ?“) (5 წთ.)**

მასწავლებელი კლასს მიუთითებს პირველ სავარჯიშოზე. ყურადღებას ამახვილებს ილუსტრაციაზე, ასაუბრებს მოსწავლეებს ზამთარზე, პირველი თოვლის მოსვლით გამოწვეულ სიხარულზე.

შეიძლება ჩაატაროს სიტუაციური თამაში.

– პატარა ნიკამ დილით ადრე გაიღვიძა, ფანჯარას გახედა თუ არა, თოვლის ფანტელები დაინახა. ბიჭუნა სანოლიდან წამოხტა. ქუჩა თოვლით გადათეთრებულიყო, პირველი თოვლი მოსულიყო.

– როგორ გამოხატავდა პატარა ბიჭი სიხარულს? რა შეიძლებოდა მას წამოეძახა?

მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ერთსიტყვიან წინადადებაზე, სასვენ ნიშნებზე. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ეუბნება, რომ ესენია კითხვის ნიშანი და ძახილის ნიშანი. მათ წერის დროს ვიყენებთ. ერთი კითხვას გამოხატავს, მეორე – შიშს, სიხარულს, გაოცებას. მასწავლებელი მათ საჭირო ინტონაციით კითხულობს.

ავარჯიშებს კითხვითი და ძახილის წინადადებების სათანადო ინტონაციით წაკითხვაში.

ადგენენ მსგავს წინადადებებსაც, რომელთაც საჭირო ინტონაციით წარმოთქვამენ (მაგ.: ნვიმს! ქარია!).

### **VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

„ვ“ ასოს სრული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ რვეულში.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (9 წთ.)

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ამბობს თემის შესატყვის ნინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ „მართალია“, თუ მცდარია, ამბობენ: „ტყუილია“.

- იხვი წყალში დაცურავს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)
- იხვის ნაშიერს ჭუჭული ჰქვია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

- შაში შინაური ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)
- შაში თეთრია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)
- ინდაურის ნაშიერს ჭუკი ჰქვია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)
- წინილა კვერცხიდან იჩეკება. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)
- წინილა ქათმის ნაშიერია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)
- არწივი შინაური ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)
- გარეული იხვებიც არსებობენ. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)
- ბატი მტაცებელი ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

თამაშის დროს მოსწავლეები მცდარ ვერსიებს ასწორებენ. მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებინებს კითხვით ნინადადებაზე.

#### IV. აქტივობა – ინტონაციით კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელს შედგენილი აქვს კითხვითი და ძახილის ნინადადებები. ავარჯიშებს მოსწავლეებს სწორი ინტონაციით მათ წარმოთქმაში.

#### V. ნუთშესვენება (1 წთ.)

#### VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რომელი მარცვალა საჭირო?“ (5 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, მზის სხივებზე დანერგულ დაუსრულებელ სიტყვებს, პოულობენ საჭირო მარცვალს (ვი) და ჩასვამენ მზის გულში.

მიიღებენ სიტყვებს: შაში, ავი, შავი, სხივი, თავთავი, თავი, ხახვი, იხვი.

#### VI. აქტივობა – წერა (9 წთ.)

მასწავლებლის სათანადო ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ სიტყვას.



## 63-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „კ“, „ვ“ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი შესწავლილ მასალასთან, შეჯამება-განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ლექსის მხატვრული კითხვა. მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა;
- აზროვნების განვითარება;
- შემოქმედებითი უნარის განვითარება – ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

სასწავლო პროცესი წარიმართება 28-ე გაკვეთილის სცენარში მითითებული რეკომენდაციის შესაბამისად.

### საკითხავი მასალა

#### ქორი და იხვი

ერთმა ქორმა ერთი იხვი დაიჭირა და შეჭმას უპირებდა. ამ დროს ზევდან მონადირისგან შემინებულმა კაკაბმა ჩამოუქროლა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო; იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა. ვერც კაკაბი დაიჭირა ქორმა და იხვიც დაკარგა.

ი. გოგებაშვილი

#### ცხვირს მალლა ვინ ინევს

მამა და შვილი ყანის პირას იდგნენ. შვილი დააცქერდა ყანას და ჰკითხა: „მამილო, ეს რისგან არის, რომ ზოგი თავთავი ძირს არის დაშვებული, ზოგი კი ზევით აშვერილიაო?“

მამამ უპასუხა: „რომელი თავთავიც სავსეა მარცვლებით, ის თავდაღუნული არისო, და ცარიელი ფშუტა თავთავი კი ზევით არის აშვერილიო“.

– ჰო, ახლა კი მივხვდი ზოგი უფიცი ადამიანი ცხვირს მალლა რად ინევსო, – თქვა ბავშვმა.

ი. გოგებაშვილი

#### სოკოები

წვიმიანში დავიბადეთ,  
ჯერ სველი გვაქვს ხალათები,  
მალე ციდან მზე დაგვხედავს,  
წითელ-ყვითლად გავნათდებით.  
აბა, სოფლის გოგოებო,  
გაამზადეთ კალათები.

გ. ქიქინაძე

## გამოცანა

ოკო, ოკო, ოკო, ოკო...

ტყეში ეძებს ბიჭი, გოგო,

ცალფეხაა და ცალქუდა,

გამოცნობას წამი უნდა.

(სოკო)

## ანდაზები

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „გ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერა „გ“-ს გაცნობა;
- ზეპირმეტყველების განვითარება;
- კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავება-განვითარება;
- ხელის მოტორიკის განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი ან მარკერი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი მარცვალი გემის?“ (3 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვას. თან მარცვლავს. მოსწავლეებმა თითოეობით უნდა აჩვენონ, რამდენი მარცვალია დასახელებული. მაგ., გზა, თავ-ვი, გოგ-რა, გო-ში-ა, გუ-შა-გი, გუ-გუ-ლი, გა-ზაფ-ხუ-ლი (ძირითადად ისეთი სიტყვები, რომლებიც ასო-ბგერა „გ“-ს შეიცავს).

#### III. აქტივობა – კითხვებზე პასუხი (5 წთ.)

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

– რა იცით გემის შესახებ? რისთვის გამოიყენება გემი?

მოსწავლეები სავარაუდო პასუხებს ამბობენ. შესაძლებელია, დაფაზე მასწავლებელმა დახატოს გემი.

მასწავლებელი გამოიკითხავს: ვინმეს თუ უმგზავრია გემით?

ასევე აიხსნება სიტყვები: „გოშია“ – პატარა ძაღლი, „თავი“ – მღრღნელი, „გუშაგი“ – შეიარაღებული მცველი, დარაჯი.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების ამოკითხვა (3 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „გემი“. მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს „გე“, რომელსაც მასწავლებელი ფერადი ცარცით წერს დაფაზე. მეორე მარცვალსაც ასახელებენ „მი“ და განსხვავებული ფერით იწერება დაფაზე.

მარცვალს მოსწავლეები რიგრიგობით წარმოთქვამენ. შემდეგ ასახელებენ ამ მარცვლებისგან შემდგარ სიტყვას „გემი“. დამოუკიდებლად ამოაკითხებს სიტყვებს: გოშია, თავი, გუშაგი.

#### V. წუთშესვენება (1 წთ.)

#### VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

პირველ რიგში მასწავლებელი შეახსენებს შესწავლილ ასო-ბგერებს. იგი დაფაზე ერთი ფერის ცარცით წერს ბოლოს შესწავლილ ასოებს – მ, ძ, შ, კ, ვ. განსხვავებული ფერით წერს ახალ ასო-ბგერას „გ“ და მოსწავლეებს ეკითხება:

– ბოლოს რომელი ხუთი ასო-ბგერა ვისწავლეთ?

– ხომ ვერ მეტყვი, ეს რა ასოა? (მიუთითებს ახალ ასოზე. ამოაკითხებს რამდენიმეს ინდივიდუალურად და მთელ კლასს გუნდურად).

ამ ეტაპზე არ ხდება „გ“ ასოს სრული გრაფიკული ანალიზი.

**VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (გოშია, თავვი, გუშაგი) (5 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს ამ სიტყვების ამოკითხვაში.

**VIII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

ფერად ზოლში მოთავსებული სიტყვების განხილვის შემდეგ მასწავლებელი აკითხებს სიტყვებსა და წინადადებებს შერჩევით.

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დაწერილი წინადადებების კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს ტექსტიდან შერჩეულ ერთ-ერთ წინადადებას. ახდენს ამ წინადადების არასრულ ანალიზს – მარცვლების ჩათვლით (რა არის ეს, რამდენი სიტყვაა, რომელია პირველი, მეორე, მესამე სიტყვა და ამარცვლინებს. ახდენს სინთეზს: მარცვალი, სიტყვა, წინადადება. აქვე მიუთითებს წერტილზე).

ამის შემდეგ ტექსტს კითხულობს გარკვევით, მკაფიოდ, შესაბამისი ინტონაციით.

მოსწავლეებს ნააკითხებს ტექსტს მთლიანად (სხვადასხვა მოსწავლეს სხვადასხვა წინადადებას). აგრძელებინებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას, ამოაკითხვინებს ცალკეულ ადგილებს.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს წინადადებებს. თუ აზრი სწორია, ბავშვები იტყვიან „მართალია“, თუ არასწორია, იტყვიან „ტყუილია“. მაგალითად:

გემი წყლის ტრანსპორტია. (მართალია)

თვითმფრინავი ხმელეთის ტრანსპორტია. (ტყუილია)

ავტობუსი ხმელეთის ტრანსპორტია. (მართალია)

მატარებელი საჰაერო ტრანსპორტია. (ტყუილია)

**IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ეს საგანი ვისია?“ (2 წთ.)**

განიხილება სახელმძღვანელოს შემდეგ გვერდზე მოცემული სავარჯიშო. მოსწავლეები მოცემულ ნივთებს სხვადასხვა სახელებს დაუკავშირებენ და შეადგენენ წინადადებებს საერთო სიტყვის „ეს“ გამოყენებით.

მაგ.: ეს მანქანა გოგასია.

ეს ქოლგა იასია.

ეს უთო თეოსია.

ეს ჩანთა მათესია.

ეს ნავი მიხასია.

ეს მძივი მაიასია.

**V. ნუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს.

**III ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „შინ თუ გარეთ“ (3 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს საგნებს, რომლებიც შეიძლება იყოს სახლში ან გარეთ. მაგ.: უთო (შინ), ქოლგა (გარეთ), ნავი (გარეთ), ფარდა (შინ).

**III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

**IV. აქტივობა – „წინადადებაში სიტყვების დალაგება“ (5 წთ.)**

შემდეგი სავარჯიშოს შესრულების წინ მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

– რამდენი სიტყვაა ამ სტრიქონში?

– რომელია პირველი სიტყვა? მეორე? და ა. შ. ამოაკითხვინებს ამ სიტყვებს.

– ახლა ეს სიტყვები სწორად დავალაგოთ და აზრიანი წინადადება მივიღოთ.

შედეგა წინადადება: „მამამ მათეს ხის სათამაშო გემი გაუკეთა“.

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რეზუსები“ (5 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები ამოიკითხავენ წინადადებებს: „ეს მეგის თაიგულია“, „სოსო მათეს მეგობარია“.

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლის რვეულში ასრულებენ სავარჯიშოს. გამონერენ სიტყვას.

## 67-ე, 68-ე, 69-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ფ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- შავ-თეთრი ტექსტიდან წინადადების ამოკითხვა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ხელის მოტორიკის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი (ან მარკერი), მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა – ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

– მე დავმარცვლავ სიტყვებს, რიგრიგობით გეტყვით მარცვლებს, თქვენ ეს მარცვლები სიტყვებად უნდა აქციოთ.

მასწავლებელი ზეპირად პაუზებით წარმოთქვამს მარცვლებს: ო ფო ფი, თეფ ში, ფა ფა, ძა ფი, ფშა ვი, ფე ხი, ფეს ვი, თო ფო. მოსწავლეები წარმოთქვამენ შესაბამის სიტყვებს.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ფრინველები“ (10 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს გარეულ ფრინველთა სახელებს, აჩვენებს სურათებს (თუ ეს შესაძლებელია). მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ფრინველის აღმნიშვნელი სიტყვა შეიცავს „ფ“ ასო-ბგერას და ტაში დაუკრან. ბულბული, ბელურა, მოლალური, არწივი, შაშვი, ბუ, ოფოფი, ნიბლია. მოსწავლეები ტაშს დაუკრავენ სიტყვაზე ოფოფი.

მასწავლებელი სვამს კითხვას:

- რამდენჯერ მეორდება ამ სიტყვაში „ფ“ ასო-ბგერა?
- ვინ მეტყვის, როგორი ფრინველია ოფოფი?
- გარეგნულად რით გამოირჩევა სხვა ფრინველებისგან?

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ოფოფის შესახებ უყვება: „უცნაური ფრინველია, განსხვავებული გარეგნობა აქვს. ჭრელია და თავზე მარაოს მაგვარი სავარცხელი აქვს, გრძელნიკარტიანია. ის მინაზე გოგმანით დადის, ჰაერში კი ტალღისებურად დაფრინავს. როცა ეშინია, მისი სავარცხელი იშლება. ის კოდალასავით გრძელი ნისკარტით მოიპოვებს საკვებს და იძახის: „ოფ-ოფ!“ ცხოვრობს ტყეში, ბუდეს ფულუროში იკეთებს. მამალს თავზე ჭრელი ბუმბული აქვს. ოფოფი შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში მიფრინავს“.

ასევე აიხსნება სხვა სიტყვები.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ვინ არის ფშაველი? ყოფილა თუ არა რომელიმე მათგანი ფშავეში?

ასაუბრებს ადამიანის სხეულის ნაწილების შესახებ:

- ჩამოთვალეთ ადამიანის სხეულის ნაწილები.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად მარცვლავს სიტყვას „ოფოფი“. მოსწავლეები ასახელებენ პირველ

მარცვალს (ო). მასწავლებელი ამ მარცვალს ფერადი ცარციტ ნერს დაფაზე, მეორე მარცვალს განსხვავებული ფერით ნერს, მესამე მარცვალს კი იმავე ფერით, როგორცაც პირველს.

მოსწავლეები რიგრიგობით წარმოთქვამენ მარცვლებს. შემდეგ კითხულობენ ამ მარცვლებისგან შემდგარ სიტყვას. ასევე გააანალიზებს სიტყვებს „თეფში“ და „ძაფი“.

## **V. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **VI. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ერთი ფერის ცარციტ (ან მარკერით) ნერს ბოლოს შესწავლილ 5 ასოს – ძ, შ, კ, ვ, გ. განსხვავებული ფერით ნერს ახალ ასო-ბგერას „ფ“ და მოსწავლეებს ეუბნება:

– ჩამოთვალეთ ბოლოს შესწავლილი 5 ასო-ბგერა.

შემდეგ ეკითხება:

– ხომ არ იცით, ეს რა არის? და მიუთითებს ასოზე „ფ“.

ამოაკითხვინებს რამდენიმეს ინდივიდუალურად, მთელ კლასს – გუნდურად. ამ ეტაპზე არ ხდება „ფ“-ს სრული გრაფიკული ანალიზი.

### **VII. აქტივობა – სახელმძღვანელოდან საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელოები შესაბამის გვერდზე. ამოაკითხვინებს ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს.

## **II ბაკვეთილი**

### **I. აქტივობა – შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი ამოაკითხვინებს ყველა წინადადებას არათანმიმდევრულად, ყოველგვარი ანალიზის გარეშე.

### **II. აქტივობა – დაფაზე ფერად მარცვლებად დაწერილი წინადადებების კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარციტ ნერს ტექსტიდან შერჩეულ ერთ-ერთ წინადადებას. ახდენს ამ წინადადების არასრულ ანალიზს (მარცვლების ჩათვლით), მიუთითებს წინადადებაზე და ეკითხება:

– რა არის ეს? რამდენი სიტყვაა? რომელია პირველი, მეორე, მესამე სიტყვა?

ამარცვლინებს სიტყვებს, ახდენს სინთეზს (მარცვალი, სიტყვა, წინადადება). მიუთითებს ნერტილზე. უჩვენებს სტრიქონს და სვამს კითხვას: სულ რამდენი სტრიქონია ამ ტექსტში? მოსწავლეები ითვლიან სტრიქონებს (8 სტრიქონი).

ამის შემდეგ მასწავლებელი ტექსტს მთლიანად, საჭირო ინტონაციით კითხულობს. აიხსნება სიტყვა „ფუსფუსა“ – საქმიანი, მშრომელი.

ავარჯიშებს მოსწავლეებს ტექსტის კითხვაში, აკითხებს მთლიანად, აგრძელებინებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას, ამოაკითხვინებს ცალკეულ ადგილებს (მითითებით) და ა. შ.

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „იპოვე ზედმეტი სიტყვა“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს 5 სიტყვას, რომელთაგან 1 განსხვავებულია, დანარჩენი კი საერთო ნიშნით ხასიათდება. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ განსხვავებული, ზედმეტი სიტყვა და ტაში დაუკრან. მაგ.: თეფში, ჭიქა, ჩანგალი, ჩანთა, კოვზი (ზედმეტია ჩანთა – ტაშს დაუკრავენ).

**IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „მოცემული მარცვლებისგან შეადგინე სიტყვები“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს სახელმძღვანელოში შემდეგ გვერდზე მოცემულ სავარჯიშოზე. მუხის ღეროზე მოცემულია საერთო მარცვალი, რომელიც ფესვებზე დაწერილ მარცვლებს უნდა დაუკავშირონ და სიტყვები შეადგინონ. მიიღებენ სიტყვებს: თო ფი, თო მა, თო ხი, თო თო, თო კი.

**V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები წერენ ასო „ფ“-ს.

**III ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „დაიმახსოვრე, გაიმეორე“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ნელა ასახელებს „ფ“ ასოზე დაწყებულ 5 სიტყვას: ფანქარი, ფიფქი, ფული, ფულურო, ფარშავანი. ყველა მოსწავლემ უნდა დაიმახსოვროს და მოცემული თანმიმდევრობით გაიმეოროს. ვინც ვერ გაიმეორებს და სიტყვებს გადაანაცვლებს, თამაშიდან გადის.

**III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი განამტკიცებინებს ტექსტის კითხვას.

**IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „შეადგინე წინადადებები“ (5 წთ.)**

სახელმძღვანელოში მოცემული შემდეგი სავარჯიშოებზე მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას:

დაუკვირდით მოცემულ ფიგურებს, რომლებშიც სიტყვებია ჩანერილი. ჯერ ამოვიკითხოთ ერთნაირ ფიგურებში ჩანერილი სიტყვები.

მაგ.: სამკუთხედში რა სიტყვებია ჩანერილი?

ახვევს, სოფიო, ძაფს.

ახლა დავალაგოთ ეს სიტყვები ისე, რომ აზრიანი წინადადება მივიღოთ (სოფიო ძაფს ახვევს).

ახლა წავიკითხოთ წრებში ჩანერილი სიტყვები: მეგი, ეძახის, ფისოს. დავალაგოთ სწორად (მეგი ფისოს ეძახის).

რამდენი წინადადება მივიღეთ? რამდენი სიტყვაა პირველ წინადადებაში? რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე? რამდენი სიტყვაა მეორე წინადადებაში? რომელია პირველი? მეორე? მესამე? ე. ი. ორივე წინადადება სამსიტყვიანია.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: ჰყავთ თუ არა სახლში ფისო? რა ჰქვია? როგორ უვლიან მას?

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რებუსი“ (4 წთ.)**

მოსწავლეები ამოიცნობენ რებუსებს და წაიკითხავენ.

1) ბალიში ფაფუკია. 2) ეს მეფე ლომია.

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მოსწავლის რვეულში მოცემულ სავარჯიშოს. ისინი გამოწერენ სიტყვას.



## 70-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „გ“, „ფ“ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- შეძენილი ცოდნის შეჯამება-განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველების წესების დაცვა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა, ლიტერატურული პერსონაჟებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ლექსის მხატვრული კითხვა;
- ლოგიკურად მსჯელობის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი ინტერესების აღძვრა და განვითარება;
- მოსწავლეთა მოტივირება – მათი ცნობისმოყვარეობის გაზრდა, ცოდნის შეძენისა და თვითგანვითარების სურვილის გაღვივება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, ფერადი ქაღალდები, პლასტილინი.

სასწავლო პროცესი წარიმართება 28-ე გაკვეთილის სცენარში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

## საკითხავი მასალა

### გემები

ერთ ნავსადგურში ორი გემი ცხოვრობდა – დიდი და პატარა. დიდი გემი სულ შორეულ ქვეყნებში დაცურავდა, პატარა – ახლომახლო, თუმცა ისიც შორეულ ნაოსნობაზე ოცნებობდა.

– მეც წამიყვანე სამოგზაუროდ, – სთხოვა ერთხელ დიდ გემს, – აი ნახავ, სულაც არ შეგანუხებ, მხოლოდ შენს ქაფიან ნაკვალევს გამოვყვები!

დიდმა გემმა პატარას დამცინავად გადმოხედა, პასუხიც კი არ აღირსა.

ერთხელ ქარიშხალი ამოვარდა. ზღვაში გასულმა მეთევზეებმა ნაპირზე გამოსვლა ვერ მოასწრეს. პატარა გემი მაშინვე ზღვის სიღრმეში შეცურდა, მეთევზეების საშველად მთისოდენა ტალღებს შეება. დიდი გემი კი არც განძრეულა.

პატარას ტალღებთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდა. კიდევ კარგი, მეთევზეებს დროულად მიუხსნო. გადარჩენილები გემბანზე ამოცოცდნენ.

გაბრაზებულმა ქარიშხალმა ძალა მოიკრიბა, პატარა გემს შეასკდა, ლამაზი ანძა ძირში გადაუტეხა და ღია ზღვაში მოისროლა.

– არაფერია, – თქვა უშიშარმა გემმა, – მთავარი მაინც ისაა, რომ ადამიანები გადარჩნენ!

და ნავსადგურისკენ ძლივძლივობით გაცურდა.

პატარა გემის სანახავად მეორე დღეს მთელი ქალაქი ნავსადგურში შეიკრიბა. მაღლიერმა მეთევზეებმა გემი შეაკეთეს და ახალთახალი ანძაც დაუყენეს.

კაპიტანმა მამაცი გემი ფრიალა აღმით დააჯილდოვა. ტაშმა იგრილა. ხალხი პატარა გემს ესალმებოდა. დიდ გემს ეს ამბავი გაუკვირდა, მაგრამ იფიქრა, იფიქრა და ისე შერცხვა, ნავსადგურიდან გაპარვაც კი მოუნდა. მიხვდა პატარა გემი ხალხს ასე ძალიან რატომაც შეუყვარდა.

## ოფოფი

ეს ოფოფი გაჩეჩილი,  
ყური უგდეთ, რაზე ჩივის:  
– სავარცხელი არ მაქვსო,  
მიველ, ვთხოვე მამალსო,  
დახმარების მაგივრად  
საყვედურით ამავსო.  
ასე მითხრა: შე სულელო,  
ჩვენი წესი რად არ იცი?  
ჯაგრისი და სავარცხელი  
ყველასა აქვს თავ-თავისი.

გ. ჭიჭინაძე

## ვიმსჯელოთ ერთად

### ძალის და ჩრდილის

ძალის ხიდზე გადადიოდა. პირში ხორცი ეჭირა. ჩაიხედა წყალში და თავისი ჩრდილი დაინახა. ეგონა, იქ სხვა ძალის მიაქვს ხორციო. გადანწყვიტა, იმ ძალისთვის საჭმელი წაერთმია, დააგდო თავისი ნადავლი და ჩახტა წყალში. იქ რაღას იპოვიდა? თავისი საჭმელიც წყალმა წაიღო და დარჩა ასე პირცარიელი.

ეზოპე

## გამოცანა

ეს ფრინველი თავის სახელს  
ხიდან თვითონ გადმოგდახებს.

(გუგული)

## ანდაზა

ფრინველსა ფრთები ამშვენებს, ადამიანს – გონებაო.

## ენის გასატეხი

გოგლამ გოგრა გააგორა,  
გოგრა გორავს გორაზე.

## 71-ე, 72-ე, 73-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ნ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერა „ნ“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;

• ზეპირმეტყველების განვითარება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველების წესების დაცვა;

- სწორი წერის ჩვევის დაუფლება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – სიტყვების ზეპირად დამარცვლა (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– მე რიგრიგობით გეტყვით მარცვლებს, თქვენ კი ყურადღებით მოუსმინეთ და დაასახელეთ სიტყვა.

სასურველია, შერჩეული სიტყვები იყოს სამ- და მეტმარცვლიანი. მაგ.: ვე ნა ხი, ი ავ ნა ნა, ი ა სა მა ნი, სვა ნე თი, ო კე ა ნე...

მოსწავლეები სმენით კრებენ მარცვლებს და ადგენენ სიტყვებს.

#### III. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერილი სიტყვების ამოკითხვა (7 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ ამბობს სიტყვას „ნაძვი“. მოსწავლეებს ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი. დასახელებულ მარცვალს „ნა“ მასწავლებელი დაფაზე წერს. მომდევნო მარცვალს განსხვავებული ფერით წერს.

მოსწავლეები საუბრობენ ნაძვზე. მასწავლებელი კლასს დამატებით ინფორმაციასაც მიანვდის, უჩვენებს სურათებს, შეიძლება ინტერნეტით მოძიებული ვიდეომასალაც უჩვენოს (შესაძლებლობისა და სურვილის გათვალისწინებით).

ასევე დამუშავდება სიტყვები: ნავი, აივანი.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს ასოებს – შ, კ, ვ, გ, ფ. განსხვავებული ფერით წერს ახალ ასოს და კლასს ეკითხება:

– ბოლოს რომელი ასოები შევისწავლეთ?

– ხომ არ იცნობთ ახალ ასოს?

ავარჯიშებს მოსწავლეებს ახალი ბგერის წარმოთქმაში. შეიძლება შეადგინოს „ნ“-ს შემცველი მარცვლების სხვადასხვა კომბინაცია.

#### VI. აქტივობა – საანალიზო სიტყვების ამოკითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გადაამლევიანებს სახელმძღვანელოებს. მიუთითებს ილუსტრაციებზე:

– თუ აქ ნაძვის სურათია, ქვემოთ რა ეწერება? და ა. შ. ავარჯიშებს ჩარჩოში მოთავსებული ფერად-მარცვლიანი სიტყვების ამოკითხვაში.

- წამიკითხე პირველი სიტყვის წითელი მარცვალი; ლურჯი მარცვალი. რა სიტყვა მიიღე?
- ამომიკითხე მეოთხე სიტყვა, წითელი მარცვალი, ლურჯი მარცვალი...

**VII აქტივობა შერჩევით კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი წინადადებებს აკითხებს შერჩევით, არათანმიმდევრულად, ყოველგვარი წინასწარი ასხნა-განმარტების გარეშე. ამ დროს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

შემდეგ მასწავლებელი ტექსტს კითხულობს თვითონ, სანიმუშოდ, სათანადო ინტონაციის დაცვით. შეიძლება წააკითხოს მოსწავლესაც, რომელიც კარგად კითხვულობს.

**VIII. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რომელია ზედმეტი?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს რამდენიმე სიტყვას, რომელთაგან ერთ-ერთი განსხვავებულია. მაგალითად: ნაძვი, ფიჭვი, მუხა, ყოჩივარდა, ჭადარი – ამ საგნებიდან ოთხი ხემცენარეა, ყოჩივარდა კი ბალახოვანი მცენარეა.

ნეკერჩხალი, არყი, თელა, ტყე, ტირიფი (ზედმეტია ტყე)

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს კითხვაში. აკითხებს ინდივიდუალურად მითითებულ ადგილებს, აგრძელებინებს დაწყებულ კითხვას. ყურადღებას ამახვილებინებს ინტონაციაზე, პაუზების დაცვაზე.

მოსწავლეებს ასაუბრებს თემის შესატყვისად – ვინმეს ხომ არ მიუღია ამანათი? უნახავთ გემი? რომელიმე ბავშვი ხომ არ მჯდარა გემში? ხომ არ არის რომელიმე სვანი ან ყოფილა სვანეთში? ხომ არ მოგვიყვებოდა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის შესახებ?

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „იპოვე დაკარგული მარცვალი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი წარმოთქვამს ერთ ან რამდენიმე მარცვალს და ბურთს რომელიმე მოსწავლეს გადაუგდებს. მოსწავლემ უნდა დაასრულოს სიტყვა და ბურთი მასწავლებელს დაუბრუნოს. თამაში გრძელდება სხვა მოსწავლესთან. მაგალითად:

ნი...კა, ნე...კი, ნა...მი, ნო-მე...რი, ნუ...ნუ, ნი-გო...ზი, ნა-ყო...ფი, ნემ...სი, ნი-ო...რი, ნა-გა...ზი, ნამ-ცე...ცი.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „როგორია საგანი?“ (7 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, კითხულობენ ჩამონათვალს და საგნებს შესაბამის სიტყვებთან ზეპირად აკავშირებენ. საბოლოოდ ერთმანეთს უკავ-

შირდება საგნები და მათი თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები: ხასხასა ფოთოლი, კაშკაშა ვარსკვლავი, მძიმე უთო, ავი ძაღლი, შავი შაშვი, ფუსფუსა გოგონა, სუფთა თეფში.

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები ასოს მოსწავლის რვეულში წერენ.

**III ბაკჰეტილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის სწორად კითხვაში.

**III. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რამდენი მარცვალა?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს მკაფიოდ, დამარცვლით. მოსწავლეები თითოეობით უჩვენებენ ან ასახელებენ მარცვალთა რაოდენობას.

**IV. წუთშესვენება (3 წთ.)**

**V. აქტივობა – „რეზუსის გამოცნობა“ (3 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან რეზუსებს და ამოიკითხავენ: „ნამცხვარი“, „აი, ხის კენწერო“.

**VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „წავიკითხოთ წინასწარ“ (3 წთ.)**

„წინასწარების ხერხით“ მოსწავლეები გამოიცნობენ (ზეპირად) უცნობ ასო-ბგერას და მიიღებენ სიტყვებს: ვეფხვი, მზე, კოვზი.

**VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ზ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- საანბანო პერიოდის ახალ ეტაპზე გადასვლა – წინადადების სრული ანალიზი და სინთეზი (ასო-ბგერების ჩათვლით);
- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- გრაფიკული სავარჯიშოების გართულება – წინადადების წერა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოსწავლის რვეული.

### რეკომენდაცია

საანბანო პერიოდის III ეტაპი იწყება „ზ“ ასო-ბგერის გაცნობით.

წინა ორ ეტაპზე ჩატარებული სამუშაოს შედეგად, დაკვირვებებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს უკვე შეეძლებათ მცირე მოცულობის ტექსტების მთლიანი სიტყვებით (ან დამარცვლით) ამოკითხვა, ექნებათ საკმარისი გამიჯნობის უნარი, განაფიქრებენ იქნებიან მარცვლებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპური სავარჯიშოების შესრულებაში.

მოსწავლეებს ექნებათ საკმარისი განვითარებული კითხვის უნარ-ჩვევა. მათ შეეძლებათ კითხვა სათანადო ინტონაციებით, აგრეთვე სასვენ ნიშნებთან პაუზების დაცვა, სხვის მიერ დაწყებული კითხვის გაგრძელება, მითითებული ადგილების ამოკითხვა, წინადადების ანალიზი მარცვლების ჩათვლით.

ყოველივე ზემოთქმული ადვილად მიიღწევა ფერად მარცვალთა სისტემის გამოყენებით, მასწავლებლის მონდომებით, სურვილით, მის მოსწავლეებს ჰქონდეთ კითხვის კარგი ტექნიკა, შეეძლოთ ნაკითხულის ღრმად გააზრება და ნასწავლის პირად ცხოვრებაში გამოყენება.

მოსწავლეთა ხელის მოტორიკა უკვე საკმარისი იქნება განვითარებული. ამჯერად მათთვის ძნელი არ იქნება წინადადებების გამოწერა.

III ეტაპზე სახელმძღვანელოში შრიფტის ზომები შემცირებულია. დაცულია ფერად ზოლში სიტყვათა გათვალისწინების პრინციპი, ასევე ჩარჩოში გამოტანილი სიტყვების ფერად მარცვლებად წარმოდგენა, წინადადებები შავ-თეთრია, მაგრამ გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა მათ მხატვრულ ღირებულებას. ვეცადეთ, ტექსტი ყოფილიყო სიუჟეტური, საინტერესო. სიტყვების ანალიზი მოხდება სრულად: სიტყვა დაიშლება მარცვლებად, მარცვლები – ასო-ბგერებად. აღინიშნება, რამდენი ასო-ბგერაა ამა თუ იმ მარცვალში, მთლიანად სიტყვაში, რომელი ასო-ბგერა რომელ პოზიციაზეა. შემდეგ მოხდება სინთეზი: ასო-ბგერებისგან – მარცვლების, მარცვლებისგან – სიტყვების, სიტყვებისგან წინადადების აწყობა.

შესაბამისად, სახელმძღვანელოში მრავლად იქნება ასო-ბგერების გამოცნობასთან დაკავშირებული სავარჯიშოები: „არეული ასოების დალაგება“, ასოთა დამატებით სიტყვების მიღება, კროსვორდები, ასოთა ჩასმა სიტყვებში, წინსწრების ხერხით უცნობი ასოს გამოცნობა...

მასწავლებლის წიგნში მოთავსდება ასო-ბგერებზე ორიენტირებული შემეცნებითი სავარჯიშოები.

ამ ეტაპზე მოსწავლეები უფრო განავითარებენ თავიანთ ზეპირმეტყველებას, გაამიჯნობენ ლექსიკურ მარაგს, დაიცავენ მართლმეტყველების წესებს.

მოსწავლეები შეძლებენ წინადადებების გამოწერას. მათ არ გაუძნელდებათ მოცემული სიტყვებიდან წინადადებების აწყობა და მათი დაწერა.

მოსწავლეები შეძლებენ ნაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შეფასებასაც. შეეძლებათ მსჯელობა, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ და რატომ.

კითხვის სწავლების მეტად მოქნილი სისტემა, რომელიც ჩვენ შევარჩიეთ, კვლავაც ეფექტურ დახმარებას გაგვინებს მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებაში.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (3 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი იყენებს ჩვეულებრივ ხერხს – დაფაზე ერთი ფერით წერს ბოლოს შესწავლილ ხუთ

ასოს – კ, ვ, გ, ფ, ნ, რომლებსაც განსხვავებული ფერით მიუმატებს ერთსაც – გასაცნობ ასო-ბგერას „ზ“ ავარჯიშებს კლასს ასოების წარმოთქმაში, ეკითხება, ხომ არ ცნობენ ახალ ასო-ბგერას.

გაკვეთილის ამ მონაკვეთში ასოს სრული გრაფიკული ანალიზი არ ხდება.

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გაიმეორე სიტყვები“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

- „ზ“ ბგერით დაწყებულ სიტყვებს;
- „ზ“ ბგერის შემცველ სიტყვებს;
- სიტყვებს, რომლებიც ორ „ზ“ ბგერას შეიცავს.

მოსწავლეები იმეორებენ.

### **IV. აქტივობა – სიტყვის ზეპირი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ზეპირად, მკაფიოდ, საკმაო პაუზით უმარცვლავს სიტყვას – თევ ზი. მოსწავლეები ზეპირად კრებენ მარცვლებს და ასახელებენ სიტყვას „თევზი“. ასევე დამუშავდება სიტყვები „ზაზუნა“, „მზე“. მიეთითება, რომ სიტყვა „მზე“ ერთმარცვლიანია.

### **V. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დანერილი სიტყვების მიხედვით მარცვალში ბგერების გარკვევა (5 წთ.)**

დაფაზე ფერადი მარცვლებით დაინერება ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები. მაგ., მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს სიტყვას „თევზი“ და ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი. მოსწავლეები ასახელებენ მარცვალს „თევ“, რომელსაც მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარციტით წერს. შემდეგ ასახელებენ მარცვალს „ზი“, რომელიც დაინერება განსხვავებული ფერით.

მასწავლებელი კლასს ეკითხება:

რომელი ბგერები გესმის მარცვალში „თევ“?

– რამდენი ასოა წითელ მარცვალში? ლურჯში?

ასევე განიხილება ჩარჩოში მოთავსებული სხვა სიტყვებიც. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ერთმარცვლიან სიტყვებზე: „გზა“ და „მზე“.

### **VI. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **VII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს გადააშლევინებს სახელმძღვანელოებს. ეკითხება, რა განსხვავებას ხედავენ წინა გვერდებთან შედარებით (შრიფტის ზომა დაპატარავდა), მიუთითებს ფერად ზოლში მოთავსებულ ილუსტრაციებსა და შესაბამის სიტყვებზე. ამოაკითხვინებს მათ მოსწავლეებს. ჯერ ჩარჩოში ჩასმულ ფერადმარცვლიან სიტყვებს აკითხებს, შემდეგ წინადადებებს.

ისევე, როგორც წინა გაკვეთილებზე, ტექსტი იკითხება შერჩევით, მაგრამ ახლა შეირჩევა არა ცალკეული წინადადებები, არამედ აბზაცები, რადგან ამ ტექსტიდანვე წინადადებები უკვე შინაარსობრივად დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი ცალ-ცალკე ამოკითხვა სრული უაზრობა იქნებოდა.

ამის შემდეგ ტექსტს მთლიანად, სათანადო ინტონაციით კითხულობს თავად მასწავლებელი. სანიმუშოდ აკითხებს კითხვაში განაფულ ერთ ან ორ მოსწავლესაც. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (3 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს კითხვაში. სვამს კითხვებს – ეხმარება ტექსტის გააზრებაში.

აკითხებს ინდივიდუალურად, მიუთითებს და ამოაკითხებს ცალკეულ ადგილებს, აგრძელებინებს კითხვას.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რომელია ზედმეტი? (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. თუ რომელიმე სიტყვა „ზ“ ბგერას არ შეიცავს, მოსწავლეები ტაშს შემოჰკრავენ – ერთხელ ან ორჯერ. მაგ.:

კრაზანა, ზოლი, ზებრა, ზუზუნი, აბეზარი, ბზული, გაზაფხული, შემოდგომა (ტაში);

ზაზა, ზმული, ზამთარი, ზაფხული, აუზი, მეთევზე, მზია, ნია (ტაში);

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „დაალაგე „არეული“ ასოები და სიტყვა ნახატთან ხაზით დააკავშირე“ (5 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, ზეპირად გადაადგილებენ მარცვლებს და დასახელებულ სიტყვას ამოიკითხავენ. ეს სიტყვებია: ნიგოზი, ზაზუნა, მუზეუმი, ნაგაზი.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

სათანადო გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

## III ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (3 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს სწორად კითხვაში. სვამს კითხვებს, ასაუბრებს მოსწავლეებს.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ვინ უკეთ დაიმახსოვრებს“ (5 წთ.)

მასწავლებელი ნელა ასახელებს „ზ“ ბგერით დაწყებულ 6 სიტყვას. მოსწავლეები ამ სიტყვებს იმახსოვრებენ და მოცემული თანმიმდევრობის შენარჩუნებით იმეორებენ. მაგ.:

ზეთი, საზომი, ზეზვა, ვაზი, ზუთხი, აუზი;

ზომა, საგზალი, გაზეთი, კოვზი, ზეიმი, ეზო;



**IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გესმით თუ არა ბგერა?“ (2 წთ.)**

მასწავლებელი სიტყვას ასახელებს. თუ სიტყვა შეიცავს „ზ“ ბგერას, მოსწავლეები ჩუმად არიან, თუ არ შეიცავს, ტაშს შემოჰკრავენ – ერთხელ ან ორჯერ.

**V. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რეზუსები“ (3 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან რეზუსებს, შეადგენენ და ასახელებენ სიტყვას „ბუზი“, წინადადებას – „მზია მანანას მეზობელია“, „ზაზამ ნიგოზი ნახა“, „ნაგაზი ეზოშია“.

**VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის სათანადო ინსტრუქციის შემდეგ რვეულში წერენ წინადადებას.

## 77-ე გაკვეთილი

### გაკვეთილის მიზანი:

- საანბანო პერიოდის I და II ეტაპის დასრულების საზეიმოდ აღნიშვნა;
- სწავლების სტილის მრავალმხრივობა, მოსწავლეთა აქტიურად ჩართვა მრავალფეროვანი შინაარსისა და მიზნების მქონე აქტივობებში;
- მოსწავლეთა მოტივირება – ინტერესების აღძვრა შემდგომი ცოდნის შეძენისა და თვითგანვითარებისთვის (ვიქტორინების, შეჯიბრების, გამოფენების, კონცერტის, საკლასო წარმოდგენის ორგანიზებით).

### რეკომენდაცია

მეთექვსმეტე ასო-ბგერის – „ნ“-ს გაცნობით საანბანო პერიოდში სრულდება მეტად მნიშვნელოვანი ციკლი – სიტყვათა ანალიზი მარცვლების დონეზე, მარცვალთა დიდი ჯგუფის ამოკითხვა-დამახსოვრება, ცოდნის აქტიური მარაგის დაგროვება, რაც ეფექტურად შეუწყობს ხელს საანბანო პერიოდის III ეტაპის წარმატებით დაძლევას – წინადადების, სიტყვის სრულ ბგერით ანალიზსა და სინთეზს, აქტიურ კითხვას, წინადადებების გამოწერას, ტექსტების აღქმას, ანალიზს, დამოკიდებულებათა ფორმირებას, გრამატიკული ერთეულების ამოცნობას, კითხვის ტექნიკის დახვეწას, კითხვის პრობლემემატიკის ეტაპობრივად დაძლევას – სტანდარტის მიმართულებებთან შესაბამისობაში.

სასურველია, მასწავლებელი საგანგებოდ მოემზადოს და საინტერესოდ დაგეგმოს მსგავსი გაკვეთილები – კლასის ინტერესების გათვალისწინებით, მოინვიოს მშობლები და შერჩეულ აქტივობაში ჩააბას. კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის შეიმუშავებს ერთობლივ აქტივობას ვიქტორინის, კონკურსის, შემეცნებითი თამაშის და ა. შ. სახით. შესაძლებელია, მოინვიოთ საპატიო სტუმარი, რომელიც თავად მიიღებს მონაწილეობას საინტერესო საკლასო აქტივობის ორგანიზებაში.

ამ პერიოდისათვის კლასში დაგროვილი იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები: ნახატები, ნაძერწები, აპლიკაციები, კალიგრაფიული ნიმუშები... სასურველია, მოენყოს სხვადასხვაგვარი გამოფენები, მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხონ ლექსები, ერთმანეთს შეეჯიბრონ გამოცანების გამოცნობაში, ანდა ზეზის გახსენებაში, ენის გასატეხების წარმოთქმაში და ა. შ.

საჭირო დახმარებას გააჩნევთ კომპლექტს თანდართული აუდიოდიკიც, რომელშიც ერთ-ერთი სიმღერა ხმოვნებზეა. თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს ამ სიმღერას წინასწარ, საგანგებოდ ამ შემაჯამებელი გაკვეთილისთვის შეასწავლის, მისი შესრულებით საკლასო ღონისძიებას გაახალისებს და გაამრავალფეროვნებს. რა თქმა უნდა, შეუძლია დამატებით მოიძიოს და გამოიყენოს სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებიც, მაგ.: რევაზ ლალიძის „ჰიმნი დედაენას, ნ. თუშიშვილის „შენ, მშობლიურო ანბანო!“, სიმღერები დედაენაზე „ბასტი-ბუბუს“ ალბომიდან („თუ-თუ-თუ“, „გამოიცანი“).

რჩევები და მასალები, რომლებსაც ამ სცენარში გთავაზობთ, სიმბოლურია. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ტიპის გაკვეთილი მასწავლებელმა ინდივიდუალურად, საკუთარი შემოქმედებითი უნარის გამოყენებით დაგეგმოს და განახორციელოს.

## საორიენტაციო მასალა

### სიმღერა სმოვნებზე

ეს სიმღერა არის რაზე?  
ეს სიმღერა არის ვისზე?

რა თქმა უნდა, ასო ა-ზე!  
რა თქმა უნდა, ასო ი-ზე! (ორჯერ)

რა ლამაზი ბგერებია!  
საოცარი ფერებია!

დაიხსომებ, ადვილია:  
აი ია, აი ია. (ორჯერ)

### მისამღერი:

რა სიტყვა გსურს, არ ერიოს  
ია,  
უა,  
აე,  
იო... (ორჯერ)

განა მარტო ი-ზე, ა-ზე?  
კიდევ ე-ზე, უ-ზე, ო-ზე.

არ დაგძალოს სიზარმაცემ,  
შეისწავლე თავის დროზე. (ორჯერ)

რომ არ იყოს ეს ბგერები,  
დედას ვერ მოეფერები.

დედასავით ლამაზია,  
ეს ბგერებიც ამაზეა!

### მისამღერი:

რა სიტყვა გსურს, არ ერიოს  
ია,  
უა,  
აე,  
იო...

ვ. გულეური

## საქართველო გვიყვარდეს!

ეს ანბანი, ეს წიგნები,  
ნაწერები ქართული,  
მათი შუქი, მათი მწუხრი  
გულის ძარღვში ჩართული,  
ვარძია და უფლისციხე,  
იყალთო და გელათი,  
გალავნები, გუმბათები,  
ჩუქურთმები ფერადი,  
თქმულებები, ძილშიც სიზმრად  
გაყოლილი დილამდე,  
ყველაფერი გვეუბნება:  
– საქართველო გვიყვარდეს!

გ. კაჭახიძე

\* \* \*

გვიყვარს, როგორც იავნანა,  
როგორც ტკბილი ზღაპარი,  
საქართველოს ცა და მიწა,  
საქართველოს მთა-ბარი!

იგი ქვეყნის თვალი არი,  
ზურმუხტ-ლალ ჰფენია,  
ალაგ – წითელ, ალაგ – ყვითელ,  
ალაგ – ალისფერია!

ანკი როგორ არ გვიყვარდეს  
ხალხი სახელგანთქმული,  
ვაჟკაცების დედაენა,  
დედაენა ქართული!

გ. აბაშიძე

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „რ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ზეპირმეტყველების განვითარება;
- გრაფიკული ჩვენების განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

აქტივობა წარმართება წინა გაკვეთილებზე აღწერილი ხერხით.

#### III. აქტივობა – სიტყვების ზეპირი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მოსწავლეები ახდენენ სიტყვების: „ირემი“, „რკო“, „მერხი“ ანალიზსა და სინთეზს.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით სიტყვების წერა (5 წთ.)

მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით დაფაზე ფერად მარცვლებად დაინერება სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე ჩარჩოში ჩასმული სიტყვები. მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვას, ამარცვლინებს მოსწავლეებს, აგრეთვე ეკითხება:

– რამდენი ასო-ბგერაა მარცვალში? რომელია პირველი, მეორე, მესამე მარცვალში?

#### V. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გამოიცანი სიტყვა“ (7 წთ.)

მასწავლებელს წინასწარ შერჩეული აქვს ორ- ან სამმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც იწყება ან შეიცავს „რ“ ასო-ბგერას. ასახელებს ამ სიტყვების პირველ და ბოლო ასო-ბგერას, მოსწავლეები კი ცდილობენ, ეს სიტყვა გამოიცნონ. თუ თავს ვერ გაართმევენ, მასწავლებელი კიდევ ერთ ასო-ბგერას და მის პოზიციას გაუმხელს. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მოსწავლეები ჩაფიქრებულ სიტყვას არ გამოიცნობენ.

ამ თამაშის წამყვანად შეიძლება რომელიმე მოსწავლე ავირჩიოთ.

#### VI. წუთშესვენება (1 წთ.)

#### VII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი აკითხავს ჯერ ფერად ზოლში მოთავსებულ გათვალსაზრისწოდებულ სიტყვებს, შემდეგ ფერადმარცვლიან სიტყვებს ჩარჩოში, ბოლოს კი შერჩევით აკითხავს შავ-თეთრი ტექსტს.

აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

„ირემი ძუძუმწოვარა ცხოველია. აქვს გრძელი, წვრილი ფეხები, მოკლე კუდი და ოვალური ყურები.

ბინადრობს საქართველოს ტყეებსა და ნაკრძალებში. იკვებება ბალახით, ფოთლებით, სოკოთი, ნაყოფით, ყლორტებით. დაახლოებით 20 წელს ცოცხლობს.

რქებს ყოველწლიურად იცვლის. გონიერია, უწყინარი, მფრთხალი, მაგრამ სწრაფად დარბის, მტაცებლებისგან თავს სისწრაფით თუ გადაირჩენს.

ირემზე ნადირობა აკრძალულია. ეს უწყინარი ცხოველი ბუნების მშვენიერებაა.

ირმის ნაშიერს ნუკრი ჰქვია. ჩვენს ტყეებში გავრცელებულ სახეობას კეთილშობილ ირემს ეძახიან“.

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (3 წთ.)

### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ამბობს წინასწარ შერჩეულ წინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები იტყვიან „მართალია“, თუ არასწორია, ამბობენ „ტყუილია“.

მაგალითად:

მუხა ისხამს რკოს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

რუ დიდი და ჩქარი მდინარეა. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

ფრინველებს აქვთ ხელები. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

ლომს აქვს ფრთები. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

ძერა მტაცებელი ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ძროხა შინაური ცხოველია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ხევსურეთი მთიანი მხარეა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

იმერეთი და გურია საქართველოს მხარეებია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ირემი მტაცებელი ცხოველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

ირმის ნაშიერს ნუკრი ჰქვია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

### IV. ნუთშესვენება (2 წთ.)

### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „წინადადების შედგენა“ (5 წთ.)

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები შეადგენენ წინადადებას „მუხას რკო ასხია“. მასწავლებელი დაფაზე არეულად წერს სავარჯიშოში მითითებულ ასოებს და საჩვენებელი ჯოხით მითითებს ასოებს ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს წინადადების აწყობა.

### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოსა და სიტყვას.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გაიმეორე და დაუმატე“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს ხუთ სიტყვას, რომლებიც „რ“ ბგერით იწყება. მოსწავლეები მათ იმახსოვრებენ, თანმიმდევრობით ასახელებენ და თვითონაც უმატებენ ერთ სიტყვას.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რეზუსები“ (7 წთ.)

მოსწავლეები მოისმენენ მასწავლებლის ინსტრუქციას და შეადგენენ რეზუსებს: „ეს სოფლის სათამაშო იხვია;“ „ვირი შავმა ნაგაზმა შეაშინა“; „მაიმუნი ხეზე ზის“.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

I. მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად მოსწავლეები რვეულში წერენ წინადადებას.

II. მოსწავლეები შეავსებენ „კროსვორდს“, რომლის „გამხსნელი“ სიტყვაცაა „ირემი“. კროსვორდის შევსებაში მათ დაეხმარებათ ირგვლივ განლაგებული ილუსტრაციები. კროსვორდი შეივსება სიტყვებით: „იხვი“, „ვირი“, „კენგურუ“, „მაიმუნი“, „ხარი“.

## 81-ე, 82-ე, 83-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ჩ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის ტექნიკის განვითარება, ნაკითხულის გააზრება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – თხრობა, კითხვა/პასუხი, ილუსტრაციების აღწერა;
- წერის კულტურის განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი ახალ ასო-ბგერას მოსწავლეებს აცნობს წინა გაკვეთილების სცენარებში აღწერილი ხერხით.

#### III. აქტივობა – სიტყვის ზეპირი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

უმარცვლავს წიგნის შესაბამის გვერდზე ფერად ზოლში მოთავსებულ ერთეულებს, მოსწავლეები კრებენ და ასახელებენ სიტყვებს.

#### IV. აქტივობა – დაფაზე ფერადი მარცვლებით დანერილი სიტყვების მიხედვით მარცვალში ბგერების გარკვევა (7 წთ.)

დაფაზე ფერადი მარცვლებით დაინერება შესაბამის გვერდზე ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები. მოსწავლეები ვარჯიშობენ მათ ამოკითხვაში. ხდება სიტყვის სრული ანალიზი. მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– რომელია პირველი მარცვალი? რამდენი ასო-ბგერაა წითელ მარცვალში, ლურჯ მარცვალში?

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს თვალსაჩინოებას და უამბობს იმ საგნების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია წიგნში.

#### V. წუთშესვენება (1 წთ.)

#### VI. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რა ჩავიფიქრე?“ (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ჩაიფიქრა „ჩ“ ბგერით დაწყებული ერთი საგანი. ეს საგანი მათ საკლასო ოთახში ბევრია. მოსწავლეებმა უნდა დასვან შეკითხვები ამ საგნის შესახებ, მასწავლებელმა კი უპასუხოს „დიახ“ ან „არა“.

სავარაუდოდ მოსწავლეები მასწავლებელს ეკითხებიან:

– ჩაფიქრებული საგანი სხვადასხვა ფერისაა? (დიახ)

– ჩაფიქრებული საგანი კედელზე კიდეა? (არა)

– საგანი მოძრაობს? (არა)

– ეს საგანი ყველა ჩვენგანს აქვს? (დიახ)

– ამ საგანში წიგნები აწყვია? (დიახ)



მოსწავლეები გამოიცნობენ, რომ ჩაფიქრებული საგანი არის ჩანთა.

შეიძლება მასწავლებელს კლასში ჰქონდეს „ჩ“ ასო-ბგერაზე დაწყებული რაიმე საგნები (მაგ.: ჩოხა, ჩოგანი, სურათის ჩარჩო) და მოსწავლეებს ისინი გამოაცნობინოს.

### **VII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ჯერ აკვირდებიან და კითხულობენ ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს, შემდეგ შერჩევით კითხულობენ ჯერ ფერადმარცვლიან სიტყვებს, შემდეგ შავ-თეთრი ფერის ტექსტს – წინა-დადებებს.

მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის თავიდან ბოლომდე კითხვაში: აკითხებს ინდივიდუალურად, ცალკეულ აბზაცებს გუნდურად, აგრძელებიებს დაწყებულ კითხვას და ა. შ.

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რომელ მარცვალშია „ჩ“ ბგერა?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომლებიც შეიცავს „ჩ“ ბგერას. მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ და თქვან, რომელ მარცვალშია „ჩ“ ბგერა. სავარაუდო სიტყვები: სარჩევი, ბაჩანა, დაიჩივლა, საჩივარი, აჩვენა, გააჩერა, ყაყაჩო, ყანჩა, ჩურჩხელა, არჩევანი, ბუჩქი, ოღოროღორო, დრუნჩა, მოკბიჩა, კამეჩი, ჩოჩორი, ჩამიჩუმი, გამოჩეკა, გოჩა, ჩანჩურა.

მოსწავლეები ჯერ დამარცვლავენ სიტყვებს, შემდეგ იტყვიან, რომელ მარცვალშია „ჩ“ ბგერა.

#### **IV. ნუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „არეული“ მარცვლებისა და ასოების დალაგება (5 წთ.)**

მოსწავლეები მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად ზეპირად „ალაგებენ“ მარცვლებს და ასახელებენ სიტყვას „ჩონგური“. „ალაგებენ“ ასოებს და ასახელებენ სიტყვას „ჩინეთი“. შემდეგ ამ სიტყვებს შლიან ჯერ მარცვლებად, შემდეგ ასო-ბგერებად.

#### **VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მოსწავლეები კითხულობენ, პასუხობენ შეკითხვებს.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „არის თუ არა ბგერა?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს ბგერა „ჩ“-ზე დაწყებულ ან „ჩ“-ს შემცველ სიტყვებს. თუ მათში ზედმეტი სიტყვა გამოერია, მოსწავლეები ტაშს შემოჰკრავენ – ერთხელ ან ორჯერ.

მაგ.: ჩურჩხელა, ჩირგვი, აჩიკო, ჩურჩული, კამეჩი, ზაქი (ტაში).

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რეზუსი“ (5 წთ.)

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები აკვირდებიან რეზუსს 51-ე გვერდზე და ასახელებენ წინადადებას: კრუხმა წინილა გამორეკა.

#### VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „წიკითხე წინასწარ“ (2 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს, სიტყვის ნაწილებს (წითელი ფერით აღნიშნული ასოს გამოტოვებით) და დაასახელებენ სიტყვებს: ობობა, ბუხარი, ბებია.

ამ ეტაპისათვის მოსწავლეებს შესწავლილი არა აქვთ ასო-ბგერა „ბ“. ვიყენებთ ე. წ. „წინსწრების მეთოდს“. კერძოდ, ილუსტრაციებზე დაკვირვებით მოსწავლეები წარმოთქვამენ სიტყვებს ისე, რომ ასო-ბგერა „ბ“-ს შესახებ ახსნა-განმარტებას არ ვაძლევთ.

#### VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)

სათანადო განმარტების შემდეგ მოსწავლეები წერენ წინადადებას.

## 84-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები რ, რ.

**გაკვეთილის მიზანი:**

- აქტიური სწავლა – კეთებით, აღმოჩენით;
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველება, ტექსტის მოსმენა და ანალიზი;
- აზროვნების განვითარება;
- შემოქმედებითი ინტერესების გამოვლენა და უნარის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფერადი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

სასწავლო პროცესი წარიმართება 28-ე გაკვეთილის სცენარში მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ან მასწავლებლის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

## საკითხავი მასალა

### ნაძვი

დგას ტყის პირას ტანაყრილი,  
ნორჩი, პანანინა,  
ხან ნიავი უაღერსებს,  
ხან შხაპუნა ნვიმა.  
დგას პანია, ნორჩი ნაძვი,  
თავს ინონებს ტყეში,  
სულ მწვანეა თბილ დარშიაც  
და თოვლიან დღეშიც.  
ლ. მეგრელიძე

### ანდაზები

ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.  
ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო.

### ენის გასატეხი

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,  
ზარმაც ზაზუნას დასცა თავზარი.

### ორი ირემი

ორი ირემი ძოვდა მაღალი ბალახით შემოსილ მინდორზე. ერთმა მოგლიჯა მთელი ბლუჯა საუკეთესო ბალახი, გაუშვირა მეორეს და შესთავაზა. მეორემ უთხრა: რად ირჯები, ძმობილო, ხომ ხედავ, ბალახი მეც თავზე საყრელად მაქვსო. – ვიცი, რომ არც შენ გაკლია, მაგრამ ერთმანეთის გულის მოგებააო, – უპასუხა პირველმა.

## მეგობარი

ირემმა ირემს  
ბალახი გაუნოდა,  
ირემმა ირემს  
ნეტა რა უნოდა?  
– მეგობარი.  
ნინილამ ნინილას  
საკენკი დაუყარა,  
ნინილამ ნინილას  
ნეტა რა გაუთბო?  
– გული.  
მარტოკა დარჩენილ  
მარტორქას ართობდა  
ბელურა...  
ბელურას რა უთხრა  
მარტორქამ?  
– მადლობა.  
მ. ფოცხიშვილი

## ვიმსჯელოთ ერთად

### გვრიტი და მტრედი

გვრიტი გალიის მსგავს მახეში მოჰყვა და იწყო საბრალოდ ფრთხილი. ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქით, ეგებ როგორმე თავი დავაღწიოო. დაინახა ეს მტრედმა და დახმარების მაგივრად დაუნყო გულმოსაკლავი დაცინვა: „არა გრცხვენია, შუადღისას მახეში გაებიო; მე ასე ადვილად ვერ მომატყუებდნენო“. თურმე იქვე ძუის მახე იყო გაბმული. დამცინავმა მტრედმა ვერ შენიშნა და შიგ გაიხლართა.

### ანდაზები

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.  
ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

### გამოცანა

ზამთარში ვართ  
საჭმელი,  
ხმელი ხილის  
ნაჭრები,  
გვამჯობინებ  
ჩურჩხელას,  
ისე ტკბილად  
დავჭკნებით.  
(ჩირი)

## 85-ე, 86-ე, 87-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ბ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის ტექნიკის განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება;
- გრაფიკული ჩვენების განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

ბოლოს შესწავლილი ხუთი ასო-ბგერის შეხსენების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ახალ ასო-ბგერა „ბ“-ს.

#### III. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი უმარცვლავს „ამხსნელ“ სიტყვას „ბურთი“ მოსწავლეები ასახელებენ მთლიანად.

მასწავლებელი პაუზებით მკაფიოდ უსახელებს მარცვლებს ო ბო ბა. მოსწავლეები ასახელებენ ამ მარცვალში შემავალ ბგერებს. ასევე აანალიზებენ სიტყვას „საბურავი“.

#### IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ვინ უფრო მეტს მოიფიქრებს“ (5 წთ.)

მასწავლებლის ინსტრუქცია ასეთია: მოსწავლეებმა მოიფიქრონ:

- „ბ“ ბგერით დაწყებული სიტყვები;
- „ბ“ ბგერის შემცველი სიტყვები;
- „სიტყვები, რომლებშიც ორი „ბ“ იქნება;

სავარაუდო სიტყვები:

- ბურთი, ბიძა, ბუხარი, ბუ, ბავშვი, ბესო, ბარტყი, ბაჩო;
- ანბანი, ხოხობი, კიბე, მეგობარი, გუბე, ჩიბუხი, შობა, მურაბა;
- ბამბა, ბატიბუტი, ბებია, ბაბუა, ბარბარე, ბუბუნი, ობობა, ეჩხუბება.

#### V. აქტივობა – დაფიდან კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, მოსწავლეები – მარცვლებს, რომლებსაც მასწავლებელი დაფაზე ორი ფერის მონაცვლეობით წერს. ხდება დაწერილი სიტყვების სრული ანალიზი.

- რომელია პირველი მარცვალი? წითელ მარცვალში რამდენი ასოა? ლურჯში? მთლიანად სიტყვაში? დაფაზე ინერება სიტყვები: ბურთი, ობობა, საბურავი.

#### VI. წუთშესვენება (2 წთ.)

**VII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (12 წთ.)**

მასწავლებელი ათვალთვლებს ფერად ზოლში მოთავსებულ ილუსტრაციებს. აკითხებს შესაბამის სიტყვებს, შემდეგ შერჩევით აკითხებს ჯერ ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს, შემდეგ შავ-თეთრი ფერის ტექსტს – წინადადებებს.

**II ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „შეავსე ყულაბა მონეტებით“ (5 წთ.)**

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ რიგებშია ჩამოტარებულ „ყულაბას“ ავსებენ „ოქროს მონეტებით“ – „ბ“ ბგერაზე დაწყებული სიტყვებით. რა თქმა უნდა, ისინი „მონეტებს“ – სიტყვებს „ყულაბაში“ სიმბოლურად, წარმოსახვით ჩააგდებენ.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „დაუმატე თითო ასო-ბგერა“ (5 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად მოსწავლეები „ადიან კიბეზე“ – თითოეულ საფეხურზე ამატებენ თითო ასოს და აკვირდებიან, როგორ მიიღება სიტყვა, შემდეგ, პირიქით, „ჩამოდიან კიბიდან“ – სიტყვას თითო წინა ასოს აკლებენ და ბოლო საფეხურზე მხოლოდ ერთს ტოვებენ.

**VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

**III ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს კითხვაში.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ერთი და ბევრი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი დაასახელებს ერთ საგანს, მაგ., „წიგნი“ და მოსწავლეს ბურთს გადაუგდებს. მოსწავლემ იგივე სიტყვა მრავლობით რიცხვში – ბევრის მნიშვნელობით – უნდა დაასახელოს: თქვას სიტყვა

„ნიგნები“ და ბურთი მოსწავლეებს დაუბრუნოს. თამაში სხვა მოსწავლესთან გაგრძელდება. სასურველია, შერჩეული სიტყვები კუმშვადი არ იყოს, როგორც, მაგ., „ბუხარი – ბუხრები“.

#### **IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ერთი და ბევრი“ (5 წთ.)**

ამ სავარჯიშოს ვფიქრობთ, მოსწავლეები თავს ადვილად გაართმევენ. სავარჯიშოში ზოგი საგანი სიტყვიერადაა მოცემული, ზოგი – ილუსტრაციით. კითხულობენ სიტყვებს: ბავშვი-ბავშვები; ობობა-ობობები. შემდეგ აკვირდებიან ილუსტრაციებს და ასახელებენ სიტყვებს: სოკო- სოკოები; ბურთი- ბურთები.

#### **V. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ვისი ხმაა?“ (3 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, რომელშიც ზოგი საგანი სიტყვიერადაა მოცემული, ზოგი – სურათით, რომელთა ქვემოთ არათანმიმდევრულადაა ჩამონერძილი „ხმები“. „ხმების“ გამომსახველი სიტყვები მოსწავლეებმა შესაბამისი საგნების სახელებთან ან ფიგურებთან ზეპირად უნდა დააკავშირონ და წარმოთქვან წინადადებები: „ბატი სისინებს“; „კატა კნავის“; „ფუტკარი ზუზუნებს“.

#### **VII. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ნაიკითხე წინასწარ“ (2 წთ.)**

ვაგრძელებთ „წინასწარების მეთოდით“ სიტყვების დასახელებას. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს, მოცემული სიტყვის ნაწილებს (წითელი ფერით აღნიშნული ასოს გამოტოვებით) და დაასახელებენ სიტყვებს:

#### **VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

სათანადო ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

## 88-ე, 89-ე, 90-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „დ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
  - მარტივი წინადადებებით შედგენილი ტექსტის კითხვა და გააზრება;
  - ზეპირმეტყველების განვითარება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ილუსტრაციების აღწერა, კითხვა/პასუხი, მარტივი ინფორმაციის გადმოცემა;
  - მართლმეტყველების წესების დაცვა;
  - გრაფიკული ჩვენების განვითარება.
- საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

დაფაზე იწერება ბოლოს შესწავლილი ხუთი ასო-ბგერა, რომლებსაც ემატება განსხვავებული ფერით დაწერილი ასო „დ“. მასწავლებელი მოსწავლეებს ბგერა „დ“-ს წარმოთქმაში ავარჯიშებს. შეიძლება შედგეს მარცვალთა კომბინაციები „დ“ ასო-ბგერის შემცველობით.

ახალ ასო-ბგერას მოსწავლეები ეძებენ კედელზე გაკრულ ანბანის პლაკატზე.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ვინ მეტ სიტყვას მოიფიქრებს“ (5 წთ.)

მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ:

- „დ“ ბგერით დაწყებული სიტყვები;
- „დ“ ბგერის შემცველი სიტყვები.

სავარაუდო სიტყვები: დაფა, დედა, დათვი, დარი, დიდი, დრო, დანა, დედაენა, დათო, დეიდა, დროშა, და, დიდება, დოდო;

ბოდიში, გოდორი, კარადა, ზარდახშა, ბინდი, შემოდგომა, ჩაიდანნი, შინდი, ამინდი, რადიო, ხიდი, ვარდი, სახედარი, შვიდი.

#### IV. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი და სინთეზი (8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მკაფიოდ უსახელებს მარცვლებს **ჩ ა ი და ნ ი**, მოსწავლეები მას კრებენ და ასახელებენ სიტყვას „ჩაიდანნი“. შემდეგ ასახელებენ მარცვლებში ბგერათა რაოდენობას.

მასწავლებელი ცალკეული ბგერებით მკაფიოდ უსახელებს სიტყვას **დაფა**, რომელსაც მოსწავლეები კრებენ და ასახელებენ სიტყვას „დაფა“. ანალოგიურად გაანალიზდება მარცვალში ბგერათა რაოდენობაც.

ანალოგიურად გაანალიზდება სიტყვა „ზარდახშა“.

#### V. აქტივობა – დაფიდან ფერადმარცვლიანი სიტყვების კითხვა, ბგერითი ანალიზი (5 წთ.)

მასწავლებელი მარცვლავს სიტყვას „დედა“. მოსწავლეებს ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი. მოსწავლეები ასახელებენ მარცვალს „დე“, რომელსაც მასწავლებელი დაფაზე ფერადი ცარცით წერს, ასახელებენ მეორე მარცვალს – „და“, მასწავლებელი მას დაფაზე განსხვავებული ფერით წერს.

შემდეგ სიტყვას, მაგ., „დედაენა“, მასწავლებელი ბგერებით წარმოთქვამს. მასწავლებელი კითხულობს, რომელია პირველი ასო-ბგერა. ამ სიტყვას მასწავლებელი ფერადი მარცვლებით წერს დაფაზე.

ასევე გაანალიზდება შესაბამის გვერდზე ჩარჩოში მოთავსებული სხვა სიტყვებიც.



## **VI. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს, ათვალთვინებს ილუსტრაციებს და ფერად ზოლში აკითხებს შესაბამის სიტყვებს. თუ შესაძლებლობა აქვს, შეიძლება აჩვენოს დამატებითი თვალსაჩინოებებიც, მაგ.: ზარდახშა.

შერჩევით აკითხებს ჯერ ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს (ოლონდ ყველას), შემდეგ შავ-თეთრ ტექსტს – წინადადებას.

აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. ბავშვები ისაუბრებენ მუზეუმის შესახებ. შეიძლება კლასში აღმოჩნდეს მოსწავლე, ვინც მუზეუმი ყოფილა და ამის შესახებ თანატოლებს მოუთხროს, შეიძლება კლასმა დაგეგმოს კიდევ რომელიმე მუზეუმში წასვლა.

დამატებით ინფორმაციას აწვდის მასწავლებელიც.

## **II გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს კითხვაში. იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას.

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გამოიცანი!“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ჩაიფიქრებს საგნის აღმნიშვნელ სიტყვებს (მაგ., დაფა, კარადა). ორივე საგანი საკლასო ოთახშია. მოსწავლეები სვამენ შეკითხვებს, მასწავლებელი კი მოკლედ პასუხობს: „დიახ“, „არა“. თუ გამოცნობა გაუჭირდათ, გაუმხელს საგნის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რა აწერია ხიდის მოაჯირს?“ (5 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, ზეპირად ყოფენ და ასახელებენ სიტყვებს: ბადე, მადა, ბუდე.

### **VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

## **III გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს კითხვაში ავარჯიშებს.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „დაამატე ერთი სიტყვა“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს ხუთ სიტყვას, რომლებიც „დ“ ბგერით იწყება. მოსწავლე ამ სიტყვებს იმახსოვრებს, იმეორებს თანმიმდევრობით და ერთს ამატებს.

მაგ.: დაფა, დარბაზი, დოლი, დოქი, დერეფანი... დედა;

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა “შეადგინე სიტყვები”

ილუსტრაციითა და მოცემული სიტყვებით მოსწავლეები ადგენენ რთულ სიტყვებს: “დედაენა”, “დედაბოძი”, “დედამინა”.

VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა “ასოციაციური რუკა”

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე მოსწავლეები მუშაობენ „ასოციაციური რუკის“ გამოყენებით და პასუხობენ კითხვაზე: “როგორია დედა?”

**VII. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: წინადადებაში „არეული“ სიტყვების დალაგება (2 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, ალაგებენ „არეულ“ სიტყვებს მითითებული წუმერაციის მიხედვით დაზეპირად და ასახელებენ წინადადებას: დედამ მაგიდაზე ფაიფურის ჩაიდანი დადგა.

**VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

რვეულში მოცემულია ორი კროსვორდი, რომელთა „გამხსნელი“ სიტყვებია დედა და მამა. მოსწავლეები აკვირდებიან უჯრებს და კოროსვორდებს ოჯახის წევრთა სახელებით ავსებენ:

I კროსვორდი – და, დეიდა, დიდედა, პაპა;

II კროსვორდი – ძმა, ბებია, მამიდა, ბაბუა.

## 91-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის მიზანი:** ასო-ბგერები „ბ“, „დ“ (ცოდნის განმტკიცება-შეჯამება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – ტექსტის მოსმენა-ანალიზი, თხრობა, მართლმეტყველების წესების დაცვა;
- აზროვნების განვითარება;
- მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფურ აქტივობაში;
- სწავლა კეთებით – პლასტილინის ფიგურების ძერწვა, ხატვა, აპლიკაციების დამზადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი, ფერადი ქაღალდები;

გაკვეთილი დაიგეგმება 28-ე გაკვეთილის სცენარში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად ან მასწავლებლის სურვილისამებრ.

### საკითხავი მასალა

#### მეგობარი

პატარა გოგამ ბებოსთან მიიღბინა:

- ბებო, ბებო, ბურთი მინდა!
- აკი ახლა გაიტანე ბურთი!
- იმ ბურთით ზალიკო თამაშობს, – უპასუხა გოგამ.
- ვინ არის ზალიკო?
- ვინ არის და ჩემი მეგობარია!
- ჰოდა, შვილო, ზალიკო თუ მართლა შენი მეგობარია, ერთი ბურთიც გეყოფათ, – უთხრა ბებიამ.

ვ. კახაძე

\* \* \*

ვარდმა გასძახა ბულბულსა:

ეგ ბალი დამიცალეო,  
განა სხვა ბალი არ არის,  
რა ჩემზე მოიცალეო?

ხალხური

## საყვარელო ბულბულო!

ჩვენს წყნარ ბალებს დაეჩვიე,  
სტვენ და გალობ საამოდ;  
სტვენით ხვდები გათენებას,  
სტვენით ხვდები სალამოს.

რა კარგი ხარ!  
ქვას ვინ გესვრის,  
ვინ იქნება უგულო!  
სულ იმღერე, ენატკბილო,  
საყვარელო ბულბულო!  
გ. კაჭახიძე

## ვიმსჯელოთ ერთად

### ბავშვი და ჩიტა

ერთ დედა ჩიტს ტყეში ბუდე ჰქონოდა. ბავშვმა მიაგნო ჩიტის ბუდეს და ბარტყების ამოსხმა მოინდომა, დაიწყო ხეზე აცოცება. ჩიტმა რომ დაინახა, შვილების გადარჩენის ხერხი საჩქაროდ მოიფიქრა: ამოფრინდა ბუდიდან, თავი ისე მოიმკვდარუნა, ვითომ დარეტიანებული იყო.

ბავშვმა იფიქრა: ბარტყები სად წამივლენ, მოდი ჯერ ამ დასუსტებულ დედა ჩიტს დავიჭერო. ჩამოცოცდა ხიდან და ჩიტს დაედევნა, – იმას ეგონა, საცაა დავენწევო.

ჩიტმა ბავშვი ოსტატურად გაიტყუა და როცა ბუდეს კარგა მანძილზე მოაშორა, თვითონ ცქვიტად აფრინდა ცაში.

ბავშვს უნდოდა, ბუდე მინც ეპოვნა, ბევრი ეძება, მაგრამ რაღას იპოვიდა? – უკვე შორს იყო.

ი. გოგებაშვილი

### გამოცანა

ფართიფურთი, ფართიფურთი,  
საჭიროა ასო ხუთი,  
არც ფეხი აქვს და არც თვალი,  
არის კობტა, არის მრგვალი,  
დახტის, დაჰქრის, დატრიალებს,  
სცემენ, მაგრამ არ ღრიალებს.

(ბურთი)

## ანდაზები

ბუზი ბევრი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო.  
დღემეხვალე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო.

## ენის გასატეხები

ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყბაყდევივით ბაყბაყებს.

დიდი დათვი დრუნჩიანი,  
დუდლუნა და დანდალაო,  
დილით ადრე წამომდგარა,  
თაფლის ჭამით დამთვრალაო.  
დამთვრალა და და, და, და, და!  
რა დიდგულა გამხდარაო!

## 92-ე, 93-ე, 94-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ლ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მარტივი ენობრივი ერთეულების გამოცნობა;
- წერის ჩვევის განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს ბოლოს შესწავლილ ხუთ ასოს – ზ, რ, ჩ, ბ, დ. განსხვავებული ფერით დანერს გასაცნობ ასოს – „ლ“. კლასს ეკითხება:

- ბოლოს რომელი ასო-ბგერები შევისწავლეთ?
- რომელიმე ცნობს ახალ ასო-ბგერას?

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს ახალი ასო-ბგერის წარმოთქმაში. შეიძლება „ს“ ბგერის გამოყენებით მარცვალთა კომბინაციები შეადგინოს და მოსწავლეები მათ წარმოთქმაში ავარჯიშოს.

#### III. აქტივობა – სიტყვების ანალიზი და სინთეზი (2 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ, საკმაო პაუზებით, სათითაოდ ბგერებით წარმოთქვამს ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს. მოსწავლეები მათ კრებენ და სიტყვებს მთლიანად ასახელებენ.

#### IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რომელ მარცვალშია „ლ“ ბგერა?“ (3 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს რამდენიმე სიტყვას, რომლებიც „ლ“ ბგერას შეიცავს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, სიტყვაში რომელ მარცვალშია „ლ“ და მასწავლებელს უპასუხონ.

#### V. აქტივობა – დაფაზე სიტყვების ფერადი მარცვლებით წერა (10 წთ.)

მასწავლებელი ბავშვებს მთლიანად უსახელებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვას „ზღარბი“. ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი. მარცვალს „ზღარ“ ფერადი ცარცით წერს დაფაზე. მარცვალს „ბი“ განსხვავებული ფერით მიუწერს. ეკითხება: – რამდენი ასო-ბგერაა წითელ მარცვალში? ლურჯში? მთლიანად სიტყვაში?

ასევე დაიწერება ფერად ზოლში მოთავსებული სხვა სიტყვებიც: „კოლო“, „ნილაბი“. კლასი საუბრობს „ამხსნელ“ სიტყვაზე.

წავუკითხოთ გამოცანა:

– ბუძგა, ბუძგა, ნემსეკალა,

ახლოს ვერვინ მიეკარა.

(ზღარბი)

#### VI. წუთშესვენება (3 წთ.)

**VII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ათვალთვლებს სურათებს ფერად ზოლში, აკითხებს შესაბამის სიტყვებს.

შემდეგ თანმიმდევრულად აკითხებს ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს (ვფიქრობთ, საკმაოდ განვითარებული კითხვის უნარის წყალობით მოსწავლეები ამ ეტაპზე არ შეეცდებიან ე. წ. „ზეპირად კითხვას“ და სიტყვების ამოკითხვას შეძლებენ).

შავ-თეთრ ტექსტს კი მასწავლებელი მოსწავლეებს ჯერაც შერჩევით აკითხებს, მაგრამ არა ცალკეულ წინადადებას, არამედ აბზაცებს (წინადადებები ერთმანეთთან აზრობრივადაა დაკავშირებული).

ამ დროს აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „ფულურო“, „ლუზა“, „ნილაბი“, „სორო“, „თავდაღმა ეკიდება“, „ლამურა“...

ამის შემდეგ მასწავლებელი ტექსტს მთლიანად, სათანადო ინტონაციის დაცვით კითხულობს.

**II ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (12 წთ.)**

მასწავლებელი განამტკიცებს მოსწავლეთა კითხვის უნარს.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ერთი და ბევრი“ (5 წთ.)**

სათანადო ინსტრუქციის მიცემის შემდეგ მასწავლებელი დაასახელებს „ღ“-ზე დაწყებულ ან „ღ“-ს შემცველ სიტყვას და ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს გადაუგდებს. მოსწავლემ ეს სიტყვა მრავლობით რიცხვში უნდა თქვას და ბურთი მასწავლებელს დაუბრუნოს.

მაგ.: ზღარბი – ზღარბები; ლამურა – ლამურები; ღამე – ღამეები; ბელურა – ბელურები; ღობე – ღობეები; ღუზა – ღუზები; ღელე – ღელეები; ზღვა – ზღვები.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „შეადგინე სიტყვები“ (5 წთ.)**

მოსწავლეები რიგრიგობით აერთებენ ასო-ბგერებს დაბოლოებასთან „არი“ და ასახელებენ მიღებულ სიტყვებს: ხარი, ბარი, ზარი, ღარი, კარი, დარი. ცალკე ასახელებენ ისეთ ასო-ბგერებს, რომელთა დართვით სიტყვა არ მიიღება (გ, ძ).

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს წინადადებებს და კითხულობს: „ტყუილია თუ მართალი?“ თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ „მართალია“, თუ მცდარია, ამბობენ: „ტყუილია“.

ზღარბს ეკლიანი ჯავშანი აქვს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

აღმართს დაღმართი მოსდევს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ბუ ფულუროში ცხოვრობს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ღამურა არასოდეს იძინებს, ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

ღორს რკო უყვარს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

დღისით ბუ ნადირობს. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

დათვი ლულუნებს. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ვინ რა ხმას გამოსცემს?“ (5 წთ.)

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეები კითხულობენ მარცხნივ ჩამონერილ სიტყვებს, ზეპირადაკავშირებენ შესაბამის საგნებთან და ასახელებენ შესაბამის წინადადებებს.

„ძროხა ბლავის, მტრედი ლულუნებს, ლომი ღმუის, დათვი ბურდლუნებს, კაცი მღერის“.

#### VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რეზუსი“ (1 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან რეზუსს, სიტყვის ნაწილს „ღრუ“ უერთებენ საგნის სახელს „ბელი“ და ასახელებენ სიტყვას „ღრუბელი“.

#### VII. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „წაიკითხე წინასწარ“ (1 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან ნახატებს, კითხულობენ ნაცნობ ასოებს და სურათების შესაბამისად, წინასწარების მეთოდით ამოიცნობენ სიტყვებს: „ლეღვი“, „ლილი“, „ძაღლი“. ისინი ხვდებიან, რომ ახალი ერთეული „ლ“ ასო-ბგერაა.

#### VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები წერენ წინადადებას.



გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ლ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მარტივი ენობრივი ერთეულების გამოცნობა;
- წერის ჩვევის განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი (ან მარკერი), მოსწავლის რვეული.

## გაკვეთილის მსვლელობა

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს ბოლოს შესწავლილ 5 ასოს – რ, ჩ, ბ, დ, ლ და განსხვავებული ფერით წერს ახალ ასოს „ლ“. კლასს ეკითხება:

- ბოლოს რომელი ასო-ბგერები შევისწავლეთ?
- ხომ ვერ მეტყვი, ეს ახალი ასო-ბგერა როგორ წავიკითხოთ?

ავარჯიშებს ახალი ასო-ბგერის წარმოთქმაში. შეიძლება „ლ“ ბგერის გამოყენებით შეადგინოს მარცვლები: ლა, ლე, ლი, ლო, ლუ და მოსწავლეები მათ წარმოთქმაში ავარჯიშოს.

### III. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი-სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ, პაუზებით, სათითაო მარცვლებად წარმოთქვამს ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს. მოსწავლეები ამთლიანებენ მარცვლებს და ასახელებენ სიტყვებს, შემდეგ თითოეულ მარცვალს შლიან ბგერებად.

### IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „არის თუ არა „ლ“ ბგერა“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. თუ სიტყვა შეიცავს „ლ“ ბგერას, ტაშს შემოჰკრავენ, თუ არა – გაჩუმდებიან. მაგ.: ვეფხვი, კურდღელი, ფოთოლი, ბუნება, გაზაფხული, ვაზი, ბულბული და ა. შ. (სასურველია, სიტყვები ტექსტიდან იყოს)

### V. აქტივობა – დაფაზე სიტყვების ფერადი მარცვლებით წერა, ბგერითი ანალიზი (4 წთ.)

მასწავლებელი ბავშვებს უსახელებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს. მაგ., ამბობს „ლოკოკინა“ და ეკითხება: რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში? რომელია პირველი მარცვალი? დაფაზე ფერადი (წითელი ფერის) ცარცით წერს მათ მიერ წარმოთქმულ მარცვალს „ლო“, შემდეგ ათქმევინებს მომდევნო მარცვალს „კო“ და წერს სხვა ფერის ცარცით (ლურჯით). შემდეგ მარცვალს „კი“ კვლავ წითელი ფერის ცარცით წერს, ბოლო მარცვალს „ნა“ – ლურჯი ფერით.

ამის შემდეგ ეკითხება: – რამდენი ასო-ბგერაა წითელ მარცვალში? ლურჯში? მთლიან სიტყვაში?

ასევე დაინერება ფერად ზოლში მოთავსებული სხვა სიტყვებიც: „ლომი“ და „კურდღელი“.

### VI. წუთშესვენება (2 წთ.)

### VII. აქტივობა – ამხსნელი სიტყვების ანალიზი (4 წთ.)

ლოკოკინა მოლუსკებს მიეკუთვნება. მას რბილტანიანსაც უწოდებენ, რადგან რბილი ტანი აქვს. აქვს საცეცები, ე. წ. რქები, რომლებზეც განლაგებულია თვალები.

ნიჟარა თავის დასაცავად სჭირდება, საფრთხის დროს შიგ იმალება. ლოკოკინა ნესტიან ადგილებში ცხოვრობს. იკვებება მცენარეთა ფოთლებით. იზრდება ნიჟარასთან ერთად. საქართველოში უფრო გავრცელებულია ვაზის ლოკოკინა.

ლომი მტაცებელი ცხოველია. ის ტყეში ცხოვრობს. მას ცხოველთა მეფეს უწოდებენ, რადგან სხვა ცხოველებზე ძლიერია და მეფური შესახედაობა აქვს. ლომს დიდი თავი, ფაფარი და ფუნჯით დაბოლოებული კუდი აქვს. მამალს ხვადი ჰქვია, დედალს – ძუ. ფაფარი ხვადს აქვს, რომელიც მას მეფურ იერს აძლევს. ლომი ბინადრობს აფრიკაში, ინდოეთში. ლომის შვილს ბოკვერი ჰქვია.

## **VII. აქტივობა – საანალიზო სიტყვების კითხვა (7 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს, შემდეგ ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს, თანმიმდევრულად. აიხსნება უცნობი სიტყვები:

ბულბული – მონაცრისფრო პატარა ჩიტი, განთქმულია საამო გალობით;

სამშობლო – ქვეყანა, სადაც ადამიანი იზადება და იზრდება;

მსოფლიო – მთელი დედამიწა;

კუნძული – ხმელეთის ნაწილი, რომელსაც ოთხივე მხრიდან წყალი აკრავს;

სამეგრელო – საქართველოს ერთ-ერთი კუთხე.

## **II. გაკვეთილი**

### **I. აქტივობა – შერჩევით კითხვა (8 წთ.)**

მასწავლებელი შავ-თეთრი ტექსტიდან მოსწავლეებს ჯერ შერჩევით აკითხებს წინადადებებს, შემდეგ მთლიან აბზაცებს (აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებებს). იგი ამუშავებს ტექსტს. ამ დროს ხსნის უცნობ სიტყვებსა, რომლებიც ტექსტშია მოცემული:

ბილიკი – ვიწრო გზა;

მიიზლაზნება – ნელა მიდის;

ხეხილი – ხე, რომელიც ხილს ისხამს.

ვაზი – მცენარე, რომელიც ისხამს ყურძენს.

საამურად – სასიამოვნოდ. შემდეგ მასწავლებელი ტექსტს კითხულობს მთლიანად, სათანადო ინტონაციით.

### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „წინადადების შედგენა“ (5 წთ.)**

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ორსიტყვიანი წინადადების შედგენას ტექსტის მიხედვით.

ამბობს სიტყვას და მოსწავლეები ასრულებენ წინადადებას.

მაგ.: ვაზს (სხლავენ); ხეხილს (უვლიან); ბულბულები (გალობენ); ლოკოკინა (მიიზლაზნება).

### **III. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „როგორია?“ (5 წთ.)**

მოსწავლეები კითხულობენ მარცხნივ ჩამონერილ სიტყვებს, ზეპირად აკავშირებენ მარჯვნივ მოთავსებულ საგნებთან და სიტყვებთან და უპასუხებენ კითხვას: „როგორია?“ ძლიერია – ლომი; მსუნაგია – მელა; მგალობელია – ბულბული; საშიშია – მგელი; მშრომელია – ფუტკარი.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „სიტყვაში ასოების დალაგება“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოცემულ საგანზე და სვამს კითხვას:

– თქვენი აზრით, რა არის ეს?

შეიძლება მოსწავლე მიხვდეს, რომ ეს არის დედოფალი.

მასწავლებელი დაფაზე წერს ამ სიტყვის პირველ და ბოლო ასოებს და გამოტოვებს შუა ასოებს: დ . . . . . ი. მოსწავლეები ამოიცნობენ სიტყვას.

– რამდენი მარცვალაა ამ სიტყვაში? 4. მოსწავლეები ითვლიან და ასახელებენ ასო-ბგერებს თითოეულ მარცვალში.

ამის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ამ სიტყვაში ასოები აირია. ისინი უნდა მიხვდნენ, რა სიტყვა იყო აქ მოცემული (დედოფალი) და ეს ასოები თანმიმდევრობით წაიკითხონ.

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

**III ბაკვეთილი**

**I. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

**II. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რეზუსი“ (5 წთ.)**

მოსწავლეები ამოიკითხავენ სიტყვას: ყვავილი; წინადადებას: ფუტკარი თავფს გვიმზადებს.

მასწავლებელი სვამს კითხვას:

– რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? რომელია პირველი? მეორე? მესამე?

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „შეადგინე სხვა სიტყვები“ (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს, ამ სიტყვებში მოცემული ასო-ბგერებით სხვა სიტყვები შეადგინონ. მაგ., ლომი – ომი; მამალი – მამა; ალი; კურდღელი – კუ; დღე; ბულბული – ბუ.

ამის შემდეგ მიუთითებს სავარჯიშოზე, სადაც ასევე მოცემულია სიტყვები. მათგან განსხვავებული სიტყვები უნდა ამოიკითხონ.

მოსწავლეები თავდაპირველად ამოიკითხავენ სიტყვებს „გოლიათი“, „დაბალი“. შემდეგ მათში მოცემული ასო-ბგერებით სხვა სიტყვებსაც: გოლი, ათი; და, ბალი.

**IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „გამოიცანი უცნობი ასო წინსწრების მეთოდით“ (5 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან შემდეგ სავარჯიშოს და სურათების შესაბამისად კითხულობენ სიტყვებს: აქლემი, ფანქარი, მანქანა. მოსწავლეები ხვდებიან, რომ ახალი ასო-ბგერა არის „ქ“.

**V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები წერენ წინადადებას.

## 98-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის მასალა:** ასო-ბგერები „ღ“, „ლ“ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი შესწავლილ მასალასთან (განვლილი მასალის გამეორება-შეჯამება);
  - ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის თანმიმდევრულად გადმოცემა, ტექსტის მოსმენა-ანალიზი;
  - მონაწილეობა სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში;
  - სწავლა კეთებით – პლასტილინის ფიგურების ძერწვა, ხატვა, აპლიკაციების დამზადება.
- სასწავლო პროცესი დაიგეგმება 28-ე გაკვეთილის სცენარში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

### საკითხავი მასალა

#### ზღვა

პატარა ანანო ზღვისპირა ქალაქში ცხოვრობს. მას ძალიან უყვარს ზღვა. ზღვასაც უყვარს ანანო, დაინახავს თუ არა გოგონას, მაშინვე ტაპით ესალმება. ტალღები ცელქი ლეკვებზევით გამოვლიან, ანანოსთან რომ ითამაშონ, თოლიებიც ყვილ-ხივილით ეგებებიან.

ზღვა ანანოს ლამაზი ნიჟარებით ხშირად ასაჩუქრებს, მაგრამ უფრო მთავარი ისაა, რომ იქ გოგონას გულითადი მეგობარი – დელფინიც ცხოვრობს. ზღვა მარტო ბევრი წყალი როდია – იგი ზღვის ბინადრების დიდი სახლიცაა.

დელფინი ჯერ პატარაა, მაგრამ ძალიან ჭკვიანი და კეთილი. ის სულ ანანოს ირგვლივ დაცურავს – გოგონას უფრთხილდება, თანაც სასაცილოდ ჭყვიტინებს.

ერთხელ გოგონა ტალღებთან თამაშში ისე გაერთო, ნაპირს საკმაოდ დაშორდა, მაგრამ მეგობარმა აიძულა, უკან გაეცურა, თან სულ ეჭყვიტინებოდა:

– შენ რა, დაგავინწყდა, პატარა რომ ხარ? ზღვა კი, ნახე, როგორი უზარმაზარია! სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მეგობარო!

ჩვენი ანანო მალე გაზრდაზე ოცნებობს. ძალიან უნდა, მსოფლიოს გარშემო დიდი თეთრი გემით იმოგზაუროს. ზღვებში თურმე უამრავი ლამაზი კუნძულია, გოგონას კი სურს, საკუთარი თვალით ნახოს, რომელია მათში ყველაზე მშვენიერი. ანანოს თეთრი გემი სწორედ იმ კუნძულთან ჩაუშვებს ლუზას.

ასეთ ოცნებას მეგობარს როგორ არ გაანდობს? პატარა დელფინი გახარებულია:

– უჰ, რა კარგია, ანანო! იმ შენს გემს ცურვა-ცურვით გავეკიდები! მეც მაინტერესებს, მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი კუნძულის ირგვლივ გავცურო!

თოლიებს რას გამოაპარებ? სანაპიროზე ერთი ყვილ-ხივილი ატეხეს:

– ნეტავი ოცნება აისრულოთ! სულ ფრენა-ფრენით გამოგყვებით! აი, ნახავ!

#### ყველას არგუნებს

*ახუნძლილი ვაშლები*

*ნეტავ საით გარბიან?*

*ზურგზე ვაშლებასხმული*

*ეს ხომ დედა ზღარბია.*

*ვაშლს უზიდავს ზღარბუნებს,*

*ყველას, ყველას არგუნებს.*

*მ. მრეკლიშვილი*

\* \* \*

კაცად მაშინ ხარ საქები,  
თუ ეს წესი წესად დარგე,  
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,  
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?  
*ი. ჭავჭავაძე*

### **არ იციან გაქცევა**

*ციხე დააქვს ლოკოკინას,  
მაგარია, როგორც რკინა.  
კუს ჯავშანი აცვია,  
ზღარბს – ეკალი ქაცვია.*

*აბა, რა ქნან, აბა, რა?  
არ იციან გაქცევა,  
მტერს დახვედრა სჭირდება  
და პასუხის გაცემა.*

*გ. წერეთელი*

### **ვიმსჯელოთ ერთად**

#### **ორი სახნისი**

ერთი სამჭედლოდან ორი ერთნაირი სახნისი გამოვიდა. ერთი სულ ხვნაში იყო, მეორე კუთხეში უქმად ეგდო. კარგა ხნის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ. ერთს ლაპლაპი გაჰქონდა, მეორე კი ფანგით იყო შეჭმული. ფანგიანმა ჰკითხა: მეგობარო, ეგრე რამ გაგამშვენიერაო? – შრომამაო, მიუგო ლაპლაპამ.

*ი. გოგებაშვილი*

#### **გამოცანა**

*თავგსაც ვგავარ, ჩიტსაცა,  
არც თავვი, არც ჩიტი ვარ,  
ლამე დავფრენ, დღისით კი  
ჭერში თავქვე ვკიდევარ.*

*(ლამურა)*

#### **ანდაზა**

*ღარიბი კაცის პურის ჭამა მაღლიაო.*

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ქ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დაზუსტება, ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა;
- გრაფიკული ჩვენების განმტკიცება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

ბოლოს შესწავლილი ხუთი ასო-ბგერის შეხსენების შემდეგ მასწავლებელი აცნობს ახალ ასო-ბგერა „ქ“-ს წინა სცენარებში აღწერილი ხერხით.

#### III. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი ამბობს სახელმძღვანელოში ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს. მოსწავლეები მარცვლავენ და ასახელებენ ბგერებს თითოეულ მარცვალში და მათ რაოდენობას.

#### IV. აქტივობა – დაფიდან ფერადმარცვლებიანი სიტყვების ამოკითხვა. ბგერითი ანალიზი (5 წთ.)

მოსწავლეთა მიერ დასახელებულ მარცვლებს – ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს მასწავლებელი ორი სხვადასხვა ფერით დაფაზე წერს. ეკითხება, რომელ მარცვალში რამდენი ასო-ბგერაა. ავარჯიშებს მათ ამოკითხვაში.

#### V. წუთშესვენება (3 წთ.)

#### VI. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „აავსე სიტყვების ყულაბა“ (2 წთ.)

მასწავლებელი რიგებშია ჩამოათარებს „ყულაბას“. მოსწავლეები ხელის მოძრაობით „ყულაბაში“ „ჩაადებენ“ ოქროს მონეტებს – სიტყვებს:

- რომლებიც იწყება „ქ“ ბგერით;
- რომლებიც შეიცავს „ქ“ ბგერას;

„ქოლგა, ქალაღი, ქარი, ქორი, ქვეყანა, ქოხი, ქათამი, ქართველი, ქართლი, ქეთი, ქუდი, ქოში, ქალი, ქელი“;

საქართველო, მოქალაქე, ფანქარი, მანქანა, ბეჭა, ჩქარი, მოქარგა, ლაშქარი, მსუქანი, შუქი, ბოქლომი, ფიქრი“.

#### VII. აქტივობა – წინადადების ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე ფერადი მარცვლებით წერს ტექსტიდან შერჩეულ ერთ-ერთ წინადადებას. მაგ.: „საქართველო ჩვენი სამშობლოა“. მოხდება ამ წინადადების სრული ანალიზი და სინთეზი (რა წერია? რამდენი სიტყვაა? რომელ სიტყვაში რამდენი მარცვალია? რომელ მარცვალში რამდენი ასო-ბგერაა? მთლიანად სიტყვაში რამდენი ასო-ბგერაა? და პირიქით).

#### VIII. აქტივობა – შერჩევითი კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გადააშლევინებს სახელმძღვანელოებს. ჯერ აკითხებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს. ყურადღებას გაამახვილებინებს ილუსტრაციებზე. კლასი საუბრობს „ამხსნელ“ სიტყვებზე.

აკითხებს ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახ-

ვილებინებს მარცვლებზე (ამოიკითხეთ ერთმარცვლიანი სიტყვა, მოძებნეთ ორმარცვლიანი სიტყვები, წამოიკითხეთ მესამე სიტყვის პირველი წითელი მარცვალი, მეორე წითელი მარცვალი, ლურჯი მარცვალი, მთლიანად სიტყვა).

შავ-თეთრ ტექსტს აკითხებს აზრების შეჩვევით. შემდეგ ტექსტს თვითონ კითხულობს სათანადო ინტონაციით. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება სიტყვები და გამოთქმები: „ლექსი მიუძღვნა“, „ქართლელი“, „იმერელი“, „დედაქალაქი“, „ქათქათა“, „ხასხასა“, „მდელო“, „აქეთ“, „იქით“...

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

### II. აქტივობა – „ასოციაციური რუკა“ (10 წთ.)

მასწავლებელი ატარებს საუბარს ჩვენი სამშობლოს – საქართველოს შესახებ. მოსწავლეები ჰყვებიან თავიანთ კუთხეებზე, იმაზე, თუ როგორია მათი თვალით დანახული ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია და ა. შ. რითაა განსაკუთრებით გამორჩეული მათი ქალაქები, სოფლები, მათი რომელი ნათესავები ცხოვრობენ ამ მხარეებში.

მასწავლებელი დაფაზე დანერს: „ჩვენი სამშობლო – საქართველო“, რომლის ირგვლივ განლაგდება სამშობლოსთან მოსწავლეთა მიერ ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები – სიმბოლოები (პატარა წრეები ან სხვადასხვა ფიგურები). მოსწავლეები გადმოსცემენ ყველაფერს, რაც კი გაახსენდებათ სამშობლოსთან დაკავშირებით.

მოსწავლეები გაიხსენებენ წინასაანბანო პერიოდში შესწავლილ დუტუ მეგრელის ლექსს „პატარა ქართველი“ და ზეპირად იტყვიან.

მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას აუცილებლად ეცოდინება სხვადასხვა დროს ნასწავლი ლექსები სამშობლოზე. სასურველია, მათ ეს ლექსები წაიკითხონ.

### III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის კითხვაში. სვამს შეკითხვებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებინებს ტექსტის ბოლო ნაწილზე – ერთსტროფიან ლექსზე, რომელიც, ფაქტობრივად, წამოჭრილი თემის გამაერთიანებელია, ერთგვარი დასკვნაა.

### IV. ნუთშესვენება (2 წთ.)

### V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „წაიკითხე სიტყვები“ (2 წთ.)

ორ ჯგუფად წარმოდგენილი ყველა სიტყვა ოთხ ასო-ბგერას შეიცავს. „გახსნილია“ I და IV ასოები – „ქ“ და „ი“.

მოსწავლეები ასახელებენ შესაძლო ვარიანტებს და მიიღებენ სიტყვებს მაგალითად:

I ჯგუფი: ქარი, ქალი, ქაფი;

II ჯგუფი: ქობი, ქონი, ქორი;

### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

### III ბაკჰეტილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმტკიცებს კითხვის უნარ-ჩვევას და ეცდება, ნაკითხული ტექსტი თხრობითაც გადმოაცემინოს (ტექსტი უკვე იძლევა ამის საშუალებას). მოსწავლეებს „დამხმარე“ კითხვებს მიაშველებს. ზეპირად ათქმევინებს ლექსს და ა. შ.

#### III. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა (10 წთ.)

თითოეულ შესასრულებელ სავარჯიშოს ეთმობა 2-2 წთ.

1. „დალაგე წინადადებაში არეული სიტყვები“ – მოსწავლეები კითხულობენ თითოეულ სიტყვას, ასახელებენ სხვადასხვა ვარიანტს და საბოლოოდ მიიღებენ წინადადებას: „ქართლი და იმერეთი საქართველოს მხარეებია“.

2. „აანყვე წინადადება“

ღრუბლებში გაფანტული ასოების მიხედვით ააწყობენ წინადადებას: „ჩვენი სამშობლო ლამაზია“

3. „რეზუსი“.

სიტყვებისა და ნახატის (კამეჩი) კომბინაციით მოსწავლეები მიიღებენ წინადადებას: „ზაქი კამეჩის ნაშიერია“ და სიტყვას „ბოქლომი“.

4. „წაიკითხე ანდაზა“.

მოსწავლეები ამოიკითხავენ ანდაზას: „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო“. ეს ანდაზა იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ასო-ბგერა „ქ“ რამდენჯერმე მეორდება. რა თქმა უნდა, ანდაზის შინაარსი აიხსნება.

5. „წაიკითხე წინასწარ“.

„წინასწარების მეთოდით“ მოსწავლეები გამოიცნობენ ასო-ბგერა „ყ“-ს და წაიკითხავენ სიტყვებს: „წყინი“, „ყვავილი“, „ბაყაყი“.

უცნობი ბგერის ამოცნობაში მათ დაეხმარება სურათები.

#### IV. წუთშესვენება (1 წთ.)

#### V. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მოიფიქრე სიტყვები“ (3 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეთა რიგებს (ჯგუფებს) ერთმანეთს შეაჯიბრებს „ქ“ ასო-ბგერით დაწყებული ან ამ ასო-ბგერის შემცველი ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი სიტყვების მოფიქრებაში.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

1. მასწავლებლის სათანადო ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები რვეულებში წერენ მარტივ წინადადებას.

2. ასრულებენ წერით სავარჯიშოს- მოცემულია სიტყვათა სამეული. თითოეული სიტყვა ოთხ ასო-ბგერას შეიცავს. „გახსნილია“ I და IV ასოები – „ქ“ და „ი“. მოსწავლეები უჯრებში ასოების ჩანერით მიიღებენ სიტყვებს. მაგალითად: ქული, ქედი, ქოში.

3. ასრულებენ წერით სავარჯიშოს-სახელებს აკავშირებენ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებთან: „ქარი ქრის“, „ქეთო ქარგავს“, „ქათამი კაკანებს“.

4. ასრულებენ წერით სავარჯიშოს-„დაასრულე სიტყვები“.

სიტყვების ერთნაირ ნაწილს „ქართ“ მოსწავლეები დაასრულებენ სხვადასხვა ვარიანტით (უჯრათა რაოდენობის გათვალისწინებით): „ქართლი“, „ქართული“, „ქართველი“.



## 102-ე, 103-ე, 104-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ყ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, კითხვა/პასუხი, მართლმეტყველების წესების დაცვა;
- გრაფიკული ჩვევის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (2 წთ.)

ხუთი ასოს (ბ, დ, ლ, ლ, ე) გახსენების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე განსხვავებული ფერით დაწერს ახალ ასო-ბგერა „ყ“-ს. მოსწავლეებს ეკითხება:

- ბოლოს რომელი ასო-ბგერები შევისწავლეთ?
- რომელიმე თქვენგანი ახალ ასო-ბგერას თუ ცნობს?

ავარჯიშებს მოსწავლეებს ბგერის სწორად წარმოთქმაში. შეიძლება შეადგინოს მარცვალთა კომბინაციები „ყ“ ბგერის შემცველობით და მოსწავლეები მათ წარმოთქმაში ამეცადინოს.

ამ ეტაპზე ახალი ასო-ბგერის გრაფიკული ანალიზი აუცილებელი არ არის.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი ბგერაა?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს „ყ“ ბგერით დაწყებულ ან შემცველ სიტყვებს, მოთამაშებმა თითოეული უნდა უჩვენონ, რამდენი ბგერაა დასახელებულ მარცვალში.

მაგ.: ყური, ყელი, ყვივის, მაყვალი, ყაყაჩო, ლოყა, მაყვალი, ბაყაყი, ყმუის, ყეფს, ყვავი, ყდა, საყდარი, ყბა, ყველი, მუყაითი, ყრუ, ყანჩა, ყინული.

#### IV. აქტივობა – მარცვლის ბგერითი ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე ფერად ზოლში მოთავსებულ თითოეულ სიტყვას მასწავლებელი მკაფიოდ, პაუზებით, მარცვალ-მარცვალ ასახელებს. მოსწავლეები მათ ამთლიანებენ და სიტყვას წარმოთქვამენ. შემდეგ ითვლიან მარცვალში ასოთა რაოდენობას.

#### V. აქტივობა – ფერადმარცვლიანი სიტყვების დაფიდან კითხვა, ბგერითი ანალიზი (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვას. მოსწავლეებს ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი, მეორე, მესამე... დასახელებული მარცვლები დაფაზე ორი ფერის მონაცვლეობით იწერება. მოსწავლეები აკვირდებიან და ასახელებენ, რომელ მარცვალში რამდენი ბგერაა. ვარჯიშობენ დაფიდან წაკითხვაში.

#### VI. აქტივობა – ფერადმარცვლიანი სიტყვების წიგნში კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი გადააშლევინებს სახელმძღვანელოს. ჯერ აკითხებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს, რომელთაც ახლავს შესაბამისი სურათი. შემდეგ არათანმიმდევრულად, შერჩევით კითხულობენ ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს და საუბრობენ მათზე.

## **VII. აქტივობა – წინადადების ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)**

მასწავლებელი ტექსტის პირველი აბზაციდან რომელიმე წინადადებას შეარჩევს, ფერადი მარცვლებით დაფაზე დაწერს და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით წარმართავს ანალიზსა და სინთეზს (სიტყვა, მარცვალი, ასო-ბგერები და პირიქით).

მაგ.: „ყაყაჩო ყანას ამშვენებს“.

## **VIII. აქტივობა – შავ-თეთრი ტექსტის კითხვა (10 წთ.)**

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი შავ-თეთრი ტექსტისთვის შერჩევით კითხვა არ გამოდგება, ვინაიდან იგი საკმაოდ რთულია, დიალოგებისგან შედგება და ზუსტი ინტონაციებით კითხვას მოითხოვს.

ვფიქრობთ, დროდადრო ასეთი ცვლილებით არაფერი დაშავდება, რადგან ფერად მარცვალთა სისტემის ეფექტური დახმარების შედეგად ამ დროისთვის მოსწავლეებს კითხვის საკმაოდ კარგად განვითარებული ტექნიკა ექნებათ.

ტექსტს მკაფიოდ, სათანადო ინტონაციით კითხულობს თავად მასწავლებელი. ბავშვები პრაქტიკულად, ახსნა-განმარტების გარეშე სწავლობენ, როგორ იკითხება თხრობითი, კითხვითი, ძახილის წინადადებები, როგორი ინტონაციით გამოიხატება კითხვა-ძახილის ნიშანი.

შემდეგ მოსწავლეებს აბზაცების შერჩევით აკითხვებს ტექსტს. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „ბრძენი“, „კამათი“, „მკვიდრი“, „ყინულეთი“, „უდაბნოთა ქვეყანა“, „მშვენიერი“, „ვერ შეთანხმდნენ“.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს ტექსტის თავიდან ბოლომდე კითხვაში (ფერადი ზოლი, ჩარჩო, შავ-თეთრი ტექსტი). იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას: კითხვის გაგრძელება, ინდივიდუალურად კითხვა (მაგრამ არა მთლიანად), შერჩევით კითხვა...

მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს, ამონებებს, რამდენად გაიაზრეს ტექსტი.

მოსწავლეები ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებებს წაკითხულ ტექსტთან: მოეწონათ თუ არა, რატომ? რომელ ბრძენს ეთანხმებიან? რატომ? არის თუ არა ბოლო აბზაცში გამოხატული დასკვნა სწორი, სამართლიანი, რატომ? თვითონ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ?

#### **III. აქტივობა – „აზრობრივი რუკა“ (5 წთ.)**

მოსწავლეებმა წინასაანბანო პერიოდებიდან იციან, რომ დედამიწაზე მრავალი ქვეყანაა, სადაც განსხვავებული ადამიანები ცხოვრობენ (თემა „ჩვენი ლამაზი დედამიწა“).

დგება „აზრობრივი რუკა“. მასწავლებელი ოვალში ან დაფაზე დახატულ მზეში წერს სიტყვას „დედამიწა“. მოსწავლეები გაიხსენებენ მათთვის ნაცნობ ქვეყნებს, რომელთაც მასწავლებელი „მზის“ ირგვლივ სიმბოლური ნიშნებით განათავსებს.

იმართება საუბარი. ხდება ჩამოთვლილის დიფერენცირება. მასწავლებელი მიუთითებს, რომ ამ ქვეყნებიდან ზოგი ცივი ჰავით გამოირჩევა, ზოგი – მეტად ცხელით, ზოგი – ზომიერით, ზოგი ქვეყანა ზღვებთან და ოკეანეებთან მდებარეობს... მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით კეთდება დასკვნა, რომ ყველა ქვეყანა თავისებურად მშვენიერია და ძვირფასი.

#### **IV. ნუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ვინ რა ხმას გამოსცემს?“ (5 წთ.)**

სავარჯიშოში მარცხნივ ჩამონერილია სიტყვები, მარჯვნივ კი განლაგებულია საგნები. მოსწავლეები სიტყვებს ზეპირად აკავშირებენ შესაბამის სიტყვასთან და წაიკითხვენ მიღებულ წინადადებებს – იმის მიხედვით, რომელი არსება რა ხმას გამოსცემს: „ძალი ყეფს. მამალი ყივის. მგელი ყმუის. ბაყაყი ყიყინებს. ვირი ყროყინებს“.

#### **VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

### **III ბაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს რამდენჯერმე აკითხებს ტექსტს, შემდეგ მოათხოვნიებს. ბავშვები ეჩვევიან გაბმულ თხრობას, იცავენ მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს – მკაფიოდ გამოთქვამენ ბგერებს სიტყვაში, იცავენ პაუზებს, მეტყველებენ სათანადო ინტონაციით, თავს არიდებენ პარაზიტი ჩანართების გამოყენებას.

შეიძლება ამ თემაზე სახელდახელოდ როლური თამაშიც მოვანყოთ.

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ერთი შენც დაუმატე“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ჩამოთვლის მსოფლიოს ოთხ ქვეყანას. მოსწავლე მათ თანმიმდევრულად იმახსოვრებს და ერთს თვითონაც ამატებს.

მაგ.: მასწ. – საქართველო, თურქეთი, სომხეთი, იტალია;

მოსწ. – საქართველო, თურქეთი, სომხეთი, იტალია, გერმანია.

#### **IV. ნუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ვის რა უყვარს“ (5 წთ.)**

მოსწავლეები საუბრობენ, არკვევენ, რომელ ცხოველს რის ჭამა უფრო უყვარს და ზეპირად ადგენენ წინადადებებს. VI. აქტივობა – „წინსწრების მეთოდით“ მოსწავლეები ამოიცნობენ ასო „პ“-ს და წაიკითხვენ სიტყვებს: პალმა, სპილო, პომიდორი.

#### **VII. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

## 105-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „ქ“, „ყ“ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი განვლილ მასალასთან, შეჯამება-განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, თანმიმდევრულად თხრობა, მართლმეტყველების წესების დაცვა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, დამოკიდებულების გამოხატვა;
- ლოგიკურად მსჯელობის უნარის განვითარება;
- მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებსა და სიტუაციურ თამაშებში;
- სწავლა კეთებით – პლასტილინის ფიგურების ძერწვა, ხატვა, აპლიკაციების დამზადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცლები, პლასტილინი, ფერადი ქაღალდები.

სასწავლო პროცესი დაიგეგმება 28-ე გაკვეთილის სცენარში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

### საკითხავი მასალა

#### თუთიყუში თუთი

ბუზღუნა და ბრაზიან მოხუც ჯადოქარს – ჯღუნას თუთიყუში ჰყავდა, სახელად თუთი. თუთი სულ მონყენილი იყო, რადგანაც ბავშვებთან თამაში და გართობა ენატრებოდა, ჯღუნა კი ბავშვებს ვერ იტანდა.

ერთხელ ეზოში მოთამაშე ბავშვების ყივილ-ხივილმა ჯღუნას ძილი დაუფრთხო. მოხუცი საშინლად გაბრაზდა:

– მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! – არც აცია, არც აცხელა, მაშინვე თავისი ჯადოსნური შუშუნა დააძრო:

– ახლავე ავანთებ ჯადოსნურ შუშუნას! ახლავე ვინატრებ, რომ ეს სულელი ბავშვები შორეულ, უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდნენ! ახლავე დაიფრქვევა ნაპერწკლები!

– ვაიმე! – დაიძახა თუთიმ. – რას აკეთებ? შეჩერდი!

მაგრამ ჯღუნამ მხოლოდ გაიცინა. ჯადოსნური შუშუნა აინთო და ნაპერწკლები გადმოყარა:

– ჯადოსნურო შუშუნა, ვნატრობ, რომ ყველა ბავ...

მაგრამ ნატვრის დასრულება თუთიმ დაასწრო:

– ვნატრობ, რომ ჯღუნა კეთილი ბაბუა გახდეს!

ჯღუნამ თავისი ნატვრის დასრულება ვერ მოასწრო. ან რაში სჭირდებოდა?! – უცებ მსოფლიოში ყველაზე კეთილი, ყველაზე ალერსიანი ბაბუა გახდა.

თავის დიდ სახლში ბავშვთა გასართობი ცენტრი გახსნა. უფროსად თუთი დანიშნა.

რომ იცოდეთ, ჯღუნას სახლში ყოფნა რა კარგი იყო! ბავშვები მხიარულობდნენ, ჯღუნას ჯადოსნური შუშუნათი ცაში ფერად-ფერად შუშუნებს ისროდნენ.

ჯღუნას სახლთან რამდენჯერ ჩამივილია. თუთის ნატვრაც რამდენჯერ გამიგონია:

– ჯადოსნურო შუშუნა, გაუჩინე რა ბავშვებს ბევრზე ბევრი სათამაშო!

– ჯადოსნურო შუშუნა, ბავშვებს ბევრი გემრიელი ნაყინი მიართვი!

– ჯადოსნურო შუშუნა, მსოფლიოში ყველა ბავშვი ბედნიერი გახადე!

აი, რა კარგია, თუთიყუშს რომ ლაპარაკი შეუძლია! ეგ რომ არა, ვინ იცის, რა მოხდებოდა! უჰ, უჰ, გაფიქრებაც კი მაშინებს!

დონალდ ბისეტის მიხედვით

## ყაყაჩო

ეს რა დაატყდა თავსაო,  
ყაყაჩოს, მინდვრის ქალსაო,  
წითელი ქუდი ლამაზი  
წაურთმეფია ქარსაო.  
დგას თავშიშველი ყანის პირს,  
ცრემლი სდის საცოდავსაო.  
გ. ჭიჭინაძე

## ვიმსჯელოთ ერთად ვანო და ქვევრი

ვანო ახდელი ქვევრის პირთან იდგა და ილანძლებოდა. ქვევრი ცარიელი იყო, ამიტომ ყველა ლანძღვა უკან უბრუნდებოდა.

ვანომ დედას შესჩივლა:

– ამ წყეულმა ქვევრმა ლანძღვით ამიკლოო.

დედამ უპასუხა:

– შენი თავი შენვე გაგილანძღავს; რაც ჩაგიძახნია, ქვევრს იგივე ამოუძახნიაო.

ი. გოგებაშვილი

## გამოცანა

ეს ცალფეხა მეგობარი –  
აბა, გამოიცან –  
სიცხეა თუ ავდარია,  
თავს მადგას და მიცავს.  
(ქოლგა)

## ანდაზები

ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო.  
ყველი და პურიო – კეთილი გულიო.  
რასაც დათესავ, იმას მოიმკიო.

## ენის გასატეხები

ქარი დაქრის ბაქიბუქით,  
ქოხში გაქრა ჭრაქის შუქი.

ყანჩა-ყუდა აყლაყუდა  
რიყე-რიყე წალაყუნდა,  
აყიყინდნენ ბაყაყები:  
– გადაგველაპავს ბაყბაყდევნი!

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „პ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- გრაფიკული ჩვევების განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (3 წთ.)

დაფაზე დაწერილი ხუთი ასოს – დ, ლ, ლ, ქ, ყ–ს შეხსენების შემდეგ მასწავლებელი კლასს აცნობს განსხვავებული ფერით დაწერილ ასო „პ“-ს. გრაფიკული ანალიზი ამ მომენტისთვის აუცილებელი არ არის.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი სავარჯიშო: „იპოვე ზედმეტი სიტყვა“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს ხუთ სიტყვას, რომლებიც იწყება ან შეიცავს „პ“ ბგერას. მათ ერთ განსხვავებულს შეურევს. მოსწავლეებმა განსხვავებული სიტყვა უნდა იპოვონ.

მაგ.: აპრილი, ზღაპარი, ვეშაპი, ზებრა, სელაპი (ზედმეტია ზებრა).

#### IV. აქტივობა – ასახსნელ სიტყვებში ბგერითი ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ ასახელებს თითოეულ სიტყვას მარცვალ-მარცვალ (ფერადი ზოლიდან და ჩარჩოდან), მოსწავლეები მარცვლებს ამთლიანებენ და ასახელებენ სიტყვას, შემდეგ მარცვლებში ასოთა რაოდენობას.

#### V. აქტივობა – დაფაზე დაწერილი ფერადმარცვლიანი სიტყვების კითხვა, ბგერითი ანალიზი (5 წთ.)

მასწავლებლის მიერ დასახელებულ სიტყვებს მოსწავლეები მარცვლავენ. მასწავლებელი დასახელებულ მარცვლებს დაფაზე ფერადი ცარცით წერს. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომელ მარცვალში რამდენი ასო-ბგერაა. ვარჯიშობენ მარცვლებისა და ასო-ბგერების ამოცნობაში, სიტყვების წაკითხვაში.

#### VI. აქტივობა – წიგნში ფერადმარცვლიანი სიტყვების კითხვა (5 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს, კითხულობენ ჯერ ფერად ზოლში, შემდეგ ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს. მასწავლებელი ამბობს:

– რა ჰქვია ამ არსებას? (პინგვინი). ცხოველია თუ ფრინველი? (ფრინველი).

– წავიკითხოთ და გავიგოთ, მართლა პინგვინია თუ არა.

საუბრობენ პინგვინზე, პეპელაზე. მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციასაც. შესაძლებელია „ამხსნელ“ საგნებზე აზრობრივი რუკის შედგენაც.

#### VII. წუთშესვენება (2 წთ.)

### **VIII. აქტივობა – შავ-თეთრი ტექსტის კითხვა (10 წთ.)**

შავ-თეთრ ტექსტს სათანადო ინტონაციით კითხულობს ჯერ მასწავლებელი, შემდეგ მოსწავლეებს აკითხებს აბზაცების შერჩევით. აიხსნება უცნობი სიტყვები: „ულამაზესი“, „ზღვისპირა“, „პალმა“, „შიმპანზე“...

## **II გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (7 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ პაუზების დაცვით, სათანადო ინტონაციით. მასწავლებელი იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას.

### **III. აქტივობა – საუბარი თემაზე: „ზოოპარკი“ (10 წთ.)**

მასწავლებელი კითხვებით არკვევს, იცინა თუ არა მოსწავლეებმა, რა არის ზოოპარკი.

ბუნებრივია, ბავშვთა დიდი უმრავლესობა ნამყოფი იქნება თბილისის ზოოპარკში, სხვებს ნანახი ექნებათ ტელევიზიით და საუბარში ჩაბმას მაინც შეძლებენ.

– ვინ ყოფილა ზოოპარკში?

– რა არის ზოოპარკი?

– ზოოპარკში ცხოველები თავისუფლად სეირნობენ თუ ჩაკეტილები არიან?

– სად ათავსებენ ცხოველებს? (გალიაში)

– მტაცებელ ცხოველთა გალიებს თუ დაკვირვებისხართ?

– რომელი ცხოველებია ზოოპარკში?

– რომელი ცხოველი უფრო მოგეწონათ?

– რომელი ფრინველი დაგამახსოვრდათ?

– პეპლები თუ გინახავთ?

– ბეჭემოთის გალიას თუ დაკვირვებისხართ? შეგიძლიათ, აღწეროთ ბეჭემოთის საცხოვრებელი ზოოპარკში?

– დღევანდელ საკითხავ ტექსტში მოხსენიებული ცხოველებიდან რომელი არ იმყოფება თბილისის ზოოპარკში? (პინგვინი, პანდა, ვეშაპი...)

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „მარცვლებით სიტყვების შედგენა“ (5 წთ.)**

ოვალში ჩასმულ მარცვლებს მოსწავლეები ზეპირად აკავშირებენ სამკუთხედში ჩასმულ მარცვალთან და ასახელებენ სიტყვებს: ჩქარი, ყური, ძვრი, მორი, პირი, გმირი, ბზარი (ორი მარცვლიდან „ფხუ“ და „ლი“ სიტყვა არ შედგება).

### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვებზე პასუხის გაცემა (10 წთ.)

მასწავლებელი ტექსტიდან გამომდინარე სვამს კითხვებს. მოსწავლეები ზეპირად პასუხობენ. მაგ.:  
სად გაისეირნეს ლიზიკომ და პაპუნამ?

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სხვადასხვა წინადადებას. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ: „მართალია“. თუ არასწორია, ამბობენ: „ტყუილია“.

„სპილოს აქვს ხორთუმი. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ჟირაფს მოკლე კისერი აქვს. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

მგელი მტაცებელია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ზოგი აქლემი ორკუზიანია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

თუთიყუში ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ზებრა ზოლიანია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ბეჭემოთი მომცრო ტანის ცხოველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

ფარშავანგი მტაცებელი ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

კენგურუს მუცელზე ჩანთა აქვს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ლამას გრძელი კისერი აქვს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

ირემი ქორბუდაა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა (7 წთ.)

მოსწავლეები კითხულობენ სავარჯიშოს პირობას. აკვირდებიან ასოებს, რომლებიც იქ დახატულ პინგვინებს უჭირავთ და ასახელებენ სიტყვას „პარასკევი“.

აკვირდებიან რებუსს და ასახელებენ წინადადებას: „ხაჭაპური გემრიელია“.

წინსწრებით გამოიცნობენ ახალ ასო-ბგერა „ც“-ს და ასახელებენ სიტყვებს: „ცხვარი“, „ცხენი“, „მერცხალი“.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.



## 109-ე, 110-ე, 111-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ც“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;

• ზეპირმეტყველება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, თანმიმდევრულად თხრობა, ილუსტრაციების აღწერა, კითხვა/პასუხი;

- გრაფიკული ჩვენების განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (3 წთ.)

ბოლოს შესწავლილი ხუთი ასოს (ლ, ლ, ქ, ყ, კ) შეხსენების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე განსხვავებული ფერით წერს ახალ ასოს – „ც“-ს, ადგენს მარცვალთა სხვადასხვა კომბინაციებს და მოსწავლეებს მათ წარმოთქმაში ავარჯიშებს.

#### III. აქტივობა – მარცვლის ბგერითი ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. მოსწავლეები მარცვლავენ და ასახელებენ მარცვალში ბგერებს და მათ რაოდენობას.

#### IV. აქტივობა – ფერადმარცვლებიანი სიტყვების დაფიდან კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს „ამხსნელ“ სიტყვებს. მოსწავლეები სიტყვებს მარცვლავენ. მასწავლებელი მათ ორი განსხვავებული ფერის მონაცვლეობით წერს. ავარჯიშებს მოსწავლეებს ფერადი მარცვლების კითხვა-დამახსოვრებაში. ეკითხება, რომელ მარცვალში რამდენი ასო-ბგერაა.

#### V. აქტივობა – ფერადმარცვლებიანი სიტყვების წიგნიდან კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გადააშლევინებს სახელმძღვანელოებს, აკითხებს ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს. ეკითხება:

– რომელი ცხოველია სურათზე გამოსახული? (ციყვი)

– ახლა წავიკითხოთ, მართლა ციყვია თუ არა.

მოსწავლეები საუბრობენ ციყვზე, მერცხალზე. შესაძლებელია „აზრობრივი რუკის“ შედგენაც. მასწავლებელი დამატებით ინფორმაციას აწვდის კლასს.

#### VI. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მოვიფიქროთ სიტყვები“ (5 წთ.)

რიგების მიხედვით დაჯგუფებული მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან:

– ორმარცვლიანი სიტყვების დასახელებაში;

– სამმარცვლიანი სიტყვების დასახელებაში;

(რა თქმა უნდა, ყველა სიტყვა უნდა იწყებოდეს ან შეიცავდეს „ც“ ბგერას).

**VII. აქტივობა – შერჩეული წინადადების ანალიზი (2 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე მარცვლებით წერს საკითხავი ტექსტიდან შერჩეულ წინადადებას.

მაგ.: „ცქრიალა პეპელა ყვავილებს ეცეკვება“.

ხდება წინადადების სრული ანალიზი და სინთეზი. მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ფერადი მარცვლების ნაკითხვა-დამახსოვრებაზე.

**VIII. წუთშესვენება (2 წთ.)**

**IX. აქტივობა – შერჩევით კითხვა (8 წთ.)**

ტექსტი საშუალებას იძლევა, რომ მასწავლებელმა ის შერჩევით წააკითხოს მოსწავლეებს. მოსწავლეები კითხულობენ ყოველგვარი წინასწარი ახსნა-განმარტების გარეშე, არათანმიმდევრულად. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

საბოლოოდ ტექსტს მკაფიოდ, სათანადო ინტონაციით კითხულობს თვითონ მასწავლებელი.

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები კითხულობენ მთლიან ტექსტს ინდივიდუალურად, კითხვის გაგრძელებით, გამოკრებით.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: მე ვიცი ხუთი სახელი“ (3 წთ.)**

მოსწავლეები ასახელებენ ხუთ-ხუთ სიტყვას/სახელს მასწავლებლის მიერ მითითებული სახეობებიდან.

მაგ.: მე ვიცი ხუთი გარეული ცხოველი: ციყვი, დათვი, მელია, სპილო, მარტორქა;

მე ვიცი ხუთი შინაური ცხოველი: ცხვარი, ღორი, ძროხა, კამეთი, ცხენი;

მე ვიცი ხუთი გარეული ფრინველი: შოშია, შაშვი, ბელურა, ქორი, მერცხალი; და ა. შ.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა (4 წთ.)**

მოსწავლეები თანმიმდევრობით „აკრეფენ“ „ვარსკვლავებს/ასოებს“ და მიიღებენ სიტყვას „ციცი-ნათელა“.

**VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა (5 წთ.)**

თანხმოვანთა ჯგუფს „ცხ“ მოსწავლეები მარცხნივ და მარჯვნივ შერჩეულ მარცვლებთან ერთად წაიკითხავენ და მიიღებენ სიტყვებს: მარცხენა, ცეცხლი, კვერცხი, ფოცხვერი, მერცხალი, სიცოცხლე, ცოცხი.

**VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

**III გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. სვამენ/პასუხობენ შეკითხვებს.

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს სახალისო ლექსს „ნამცხვარი“ (სახელმძღვანელოს 67-ე გვერდზე). აიხსნება უცნობი სიტყვები. ვარჯიშობენ ლექსის კითხვაში.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი ბგერაა მარცვალში?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი სათითაოდ ასახელებს სიტყვებს. მოსწავლეებმა თითებით უნდა უჩვენონ, რამდენი ბგერაა თითოეულ მარცვალში.

**IV. ნუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „დანყვილე სიტყვები“ (5 წთ.)**

მარცხნივ მოცემულ ზედსართავებს მოსწავლეები შეუსაბამებენ მარჯვნივ არეულად დანყობილ ილუსტრაციებს და მიიღებენ სიტყვებს: „მოციმციმე ვარსკვლავი“, „მცხუნვარე მზე“, „ცელქი გოგონა“.

**VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა (2 წთ.)**

მოსწავლეები განიხილავენ სიტყვათა დალაგების სხვადასხვა ვარიანტს და საბოლოოდ იღებენ წინადადებას: „ცეროდენა ნუციკო ცისანა ბებოს ეხმარება“.

**VII. აქტივობა-„ნაიკითხე წინასწარ“**

მოსწავლეები „წინსწრების მეთოდით“ ასახელებენ სიტყვებს: ტიტა, ტორტი, ტაფა.

**VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

1. სათანადო ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

2. მოსწავლეები აკვირდებიან ნიმუშს და უჯრებში ჩაწერენ ასოებს. ჩამოწერილ სახელებს მხოლოდით რიცხვში შეურჩევენ იმავე საგნებს მრავლობით რიცხვში.

„ციგა – ციგები“, „ციცინათელა – ციცინათელები“, „ცოცხი – ცოცხები“.

## 112-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „პ“, „ც“ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი შესწავლილ მასალასთან (გამეორება-განმტკიცება);
- ზეპირმეტყველების განვითარება – ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველება, ტექსტის მოსმენა-ანალიზი, დამოკიდებულების გამოხატვა;
- მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებსა და სიტუციურ თამაშებში;
- სწავლა კეთებით – ხატვა, ძერწვა, აპლიკაციების დამზადება...

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, სახატავი ფურცლები, ფერადი ქაღალდები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

ეს სასწავლო პროცესი დაიგეგმება 28-ე საგაკვეთილო სცენარში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

### საკითხავი მასალა

#### ყმანვილი და პეპელა

ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა;  
მას მიეპარა ყმანვილი, დაიჭირა და იამა.  
ალერსით უთხრა პეპელას: „თავს რითი ირჩენ შენაო?  
როგორ არ გღალავს მთელი დღე მოუსვენარად ფრენაო?“  
პეპელამ უთხრა: მინდორში ვცხოვრობ მე უზრუნველადო;  
იქ ყვავილები გაშლილა ჩემ საზრდოდ, სანუნნელადო.  
რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ, ჩემს ნებაზედაც დავფრენო;  
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ, გამიშვი, ნულარ მაცდენო.  
ყმანვილმა ხელი გაუშვა, გაფრინდა ნაზი პეპელა,  
და, თითქოს ნიშნად მადლობის, თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

ა. წერეთელი

#### მერცხლის სიმღერა

დავჩეკე წვრილი ბარტყები,  
დამეზრდებიან მალეო!  
იფრენენ, იჭიკჭიკებენ  
ლალად დღესა თუ ხვალეო!

კატავ, შე ამოსაგდებო,  
ცოტა ხანს დამაცალეო!  
რა გინდა, რას მეპარები?  
დედა ვარ, შემბრალო!

*ვაჟა-ფშაველა*

## ვიმსჯელოთ ერთად

### მკვებარა ქოთანი

ქოთნები ერთად შეგროვილიყვნენ. ერთი უფრო მაღალი ქოთანი შუაში ჩამდგარიყო და იკვებნიდა:  
– მე თქვენისთანა როდი ვარ, მე ოქროს ძირი მაქვსო.  
უცებ თავს წაადგა ციცხვი. მკვებარა ქოთანს შერცხვა და ხმა გაკმინდა.

*ი. გოგებაშვილი*

\* \* \*

კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი,  
თავს ნუ დაუნყებ ქებასა,  
კარგი ჩვენც მოგვეწონება,  
ცუდი – არც თავის დედასა.  
*ხალხური*

### გამოცანები

ალათა, ბალათა, წითლად შემომანათა,  
ამოვავსე კალათა, დავამზადე სალათა.

*(პომიდორი)*

ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა.

*(ციცინათელა)*

### ანდაზა

ცდა ბედის მონახევრეაო.

### ენის გასატეხები

პანია პეპელა

ჭრელჭრულა პეპლებთან

დაფარფატებდა ველზე.

დაიჭირა და პაპუნამ პეპელა

დაისვა პატარა ხელზე.  
ტანად პატარას დიდი და  
ფუმფულა კუდი ამკობს,  
ტოტიდან ტოტზე დახტუნავს,  
რა არის, ჩემო კარგო?

(ციყვი)

კონცერტია, მოცეკვავე  
ციყვუნის გაეცანით –  
ცერულს ცეკვავს  
ციყვი ცუცქნა,  
ციყვი ცელქას  
ტყუპისცალი.

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ტ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის ტექნიკის გამომუშავება;
- ზეპირმეტყველება – თხრობა, საუბარი, კითხვა/პასუხი, ილუსტრაციების აღწერა, მართლმეტყველება;
- სწორად წერის ჩვევის განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

ბოლოს ნასწავლი ხუთი ასო-ბგერის (ლ, ქ, ყ, პ, ც) გამოცდების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე განსხვავებული ფერით დაწერს ახალ ასოსაც – „ტ“. ადგენს მარცვალთა სხვადასხვა კომბინაციას და მოსწავლეებს ავარჯიშებს მათ წარმოთქმაში.

#### III. აქტივობა – მარცვლის ბგერითი ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ, პაუზებით წარმოთქვამს ცალკეულ ბგერებს, რომელთაც მოსწავლეები ყურადღებით ისმენენ, ამთლიანებენ და ასახელებენ სიტყვებს.

#### IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „დაასრულე სიტყვა“ (3 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს „ტ“ ბგერით დაწყებულ მარცვალს და რომელიმე მოსწავლეს ბურთს გადაუგდებს. მოსწავლემ ისეთი მარცვლით უნდა დაასრულოს, რომ სიტყვა მიიღოს, ბურთი კი მასწავლებელს დაუბრუნოს. თამაში სხვა მოსწავლესთან გაგრძელდება.

მაგ.: ტალ-ლა, ტან-კი, ტა-ხი, ტა-რი, ტა-რო, ტაქ-სი, ტექ-სტი, ტი-ტი, ტი-ვი, ტი-ლო, ტი-ტა, ტი-რის, ტორ-ტი, ტო-ლი, ტო-ვებს, ტო-რი, ტო-ნა, ტურ-რა, ტურ-ჩი.

#### V. აქტივობა – დაფიდან ფერადმარცვლიანი სიტყვების კითხვა, ბგერითი ანალიზი (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს ცალკეულ სიტყვებს. მოსწავლეები მათ მარცვლავენ, მარცვლებს ცალკეულ ბგერებად წარმოთქვამენ (მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით). მასწავლებელი დაფაზე წერს ფერადმარცვლიან სიტყვებს. ავარჯიშებს მოსწავლეებს ცალკეული მარცვლების დასწავლა-დამახსოვრებაში, ეკითხება, რომელ მარცვალში რამდენი ასო-ბგერაა, მერამდენია მარცვალში „ტ“ ასო.

#### VI. აქტივობა – წიგნში ფერადმარცვლებიანი სიტყვების კითხვა (5 წთ.)

ფერადმარცვლებიანი სიტყვებს მასწავლებელი წიგნიდანაც აკითხებს. ყურადღებას ამახვილებს „ამხსნელი“ სიტყვის ილუსტრაციებზე. მოსწავლეებს ეკითხება:

- რა მწერია სურათზე გამოსახული? (ფუტკარი)
- აბა, წავიკითხოთ, მართლა ფუტკარია თუ არა და ა. შ.

მოსწავლეები ჰყვებიან ამ სასარგებლო მწერის შესახებ. თვითონაც აწვდის დამატებით ინფორმაციას, ოღონდ მარტივად. შეიძლება, ბავშვებს პროექტორით უჩვენოს ინტერნეტით მოძიებული მასალა – სურათები, ნაწყვეტები შემეცნებითი ფილმიდან ტყის შესახებ.

ესაუბრება ტყის მნიშვნელობის, მისი დაცვის აუცილებლობაზე. შეიძლება, ტყის თემაზე „ზრობრივი რუკაც“ შეადგენინოს.

#### VII. წითშესვენება (2 წთ.)

#### VIII. აქტივობა – წინადადების ანალიზი (3 წთ.)

მასწავლებელი ტექსტიდან შეარჩევს ერთ-ერთ წინადადებას და დაფაზე ფერადი მარცვლებით დაწერს. მაგ.: „ფუტკრები ტკბილ თაფლს ამზადებენ“. მოხდება ამ წინადადების სრული ანალიზი და სინთეზი.

## **IX. აქტივობა – შავ-თეთრი ტექსტის შერჩევით კითხვა (7 წთ.)**

წარმოდგენილი ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა ის შერჩევით წაიკითხონ. მასწავლებელი აკითხებს მითითებულ ადგილებს, წინადადებებს. რწმუნდება, რომ მოსწავლეები „ზეპირად“ არ კითხულობენ – დამახსოვრებულ წინადადებებს არ იმეორებენ. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. ყურადღებას ამახვილებინებს პატარა, ენის გასატეხის მაგვარ ლექსზე „პატარა ტოტი“. აკითხებს გუნდურად.

ბოლოს ტექსტს თავიდან ბოლომდე, სათანადო ინტონაციით კითხულობს თვითონ მასწავლებელი.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (7 წთ.)**

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს კითხვაში. ყურადღებას აქცევს, როგორ გამოიმუშავეს მოსწავლეებმა წინგთან მუშაობის ჩვევა, უწყვიათ თუ არა წიგნები სწორად და სათანადო დისტანციაზე, რა ხელსაყრელ ხერხს იყენებენ კითხვის დროს (მაგ., თითის გაყოლება).

მოსწავლეები კითხულობენ ხმამაღლა: მთლიანად თუ დამარცვლით. კითხვის დროს დაშვებულ შეცდომებს თვითონვე ასწორებენ – არასწორად წაკითხვის შემთხვევაში სიტყვებს თავიდან კითხულობენ.

#### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მერამდენა?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს „ტ“ ბგერის შემცველ სიტყვებს. მოსწავლეებმა უნდა თქვან, მერამდენა „ტ“ ასო-ბგერა მოცემულ მარცვალში.

მაგ.: კატა, რტო, ჩიტი, მხატვარი, კიტრი, ბარტყი, ფუტკარი, ზღმარტლი, კანფეტი, პატარა, მულტფილმი, მტერი, სიტყვა, ავტორი, ბოროტი, მარტივი, ილუსტრაცია, შრიფტი, გამომხატველი, ტაძარი.

შიგადაშიგ ისეთ სიტყვებსაც გაურევს, რომლებიც „ტ“ ბგერას საერთოდ არ შეიცავს.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „შეადგინე სიტყვები“ (5 წთ.)**

სავარჯიშო რებუსის ტიპისაა. მარცხნივ და მარჯვნივ დაჯგუფებული მარცვლების გამაერთიანებელი არის სიტყვა/მარცვალი „ტყე“. ამ გამაერთიანებელ მარცვალთან სხვა ერთეულების დაჯგუფებით მიიღება სიტყვები: ბარტყები, მეტყევე, ცისარტყელა, სარტყელი, სატყემლე.

#### **VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რა არის?“ (5 წთ.)**

სავარჯიშოში განლაგებულია სიტყვების და სურათების ჯგუფი – „ბოსტნეული“. სიტყვები მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ და თითოთ აჩვენონ შესაბამისი ილუსტრაცია.

### **VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები დაწერენ ასოს და სიტყვას.

## **III ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი აკითხებს ტექსტს, შემდეგ სვამს კითხვებს. მოსწავლეები პასუხობენ. ყურადღებას აქცევს, რომ მოსწავლეებმა დაიცვან მართლმეტყველების მარტივი წესები.



### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყე“ (5 წთ.)**

მოსწავლეები მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ბევრ ხეს, ერთად აღებული, ტყე ჰქვია. ტყე ცხოველებისა და ფრინველების თავშესაფარია. ხე წმენდს ჰაერს, გამოიმუშავებს ჟანგბადს, ალამაზებს გარემოს, გამოიყენება საშენ და სათბობ მასალად. ზოგი სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა.

ტყე აჩენს წყაროებს, გვიფარავს ქარისგან, მენყრისგან, ზვავისგან. ტყეს უნდა მოვუაროთ.

თამაშის ინსტრუქცია კი შემდეგია:

მოსწავლეები იხსენებენ, რა შეიძლება იყოს ტყეში. მათ უნდა მოიფიქრონ და დაასახელონ ხუთ-ხუთი ხის, ფრინველის, ცხოველის, მწერის სახელი. მაგ.,

- მე ვიცი ხუთი ხის სახელი: ნაძვი, მუხა, ცაცხვი, ფიჭვი, აკაცია;
- მე ვიცი ხუთი ფრინველის სახელი: გუგული, კოდალა, ბუ, ოფოფი, ბელურა;
- მე ვიცი ხუთი ცხოველის სახელი: მელია, მგელი, ტურა, დათვი, ტახი;
- მე ვიცი ხუთი მწერის სახელი: ფუტკარი, ჭიამაია, კოლო, კრაზანა, ჭრიჭინა.

### **IV. ნუთმესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ნაიკითხე და გაიაზრე ანდაზა“ (2 წთ.)**

მოსწავლეები ნაიკითხავენ და გაიაზრებენ ანდაზას: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“. ასახელებენ მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან, რითაც დასტურდება ანდაზის ჭეშმარიტება.

#### **VI. აქტივობა-„ნაიკითხე წინასწარ“ (5წთ.)**

მოსწავლეები წინასწარების მეთოდით ასახელებენ სიტყვებს: წინილა, წიგნი, წინაკა.

#### **VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

1. მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

#### **2. სავარჯიშოზე მუშაობა: „დაასრულე სიტყვები“**

მოსწავლეები უკვე დაწერილ მარცვლებს (ტა, ტე, ტი, ტო, ტუ) უერთებენ სხვა მარცვლებსაც უფრათა რაოდენობის მიხედვით და მიიღებენ სიტყვებს: ტაფა, ტელევიზორი, ტიტა, ტორტი, ტუჩი.

## 116-ე, 117-ე, 118-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „წ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მარტივი ენობრივი ერთეულების გამოცნობა;
- წერის ჩვევის განვითარება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ფერადი ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს ბოლოს შესწავლილ ხუთ ასოს: ქ, ყ, პ, ც, ტ. განსხვავებული ფერით დაწერს ასახსნელ ასოს – „წ“. კლასს მიმართავს: – ჩამოთვალეთ, ბოლოს რომელი ასო-ბგერები შევისწავლეთ?

– რომელიმე ცნობს ამ ასო-ბგერას?

ავარჯიშებს ახალი ასო-ბგერის წარმოთქმაში. შეიძლება „წ“ ბგერის გამოყენებით მარცვალთა კომბინაციები შეადგინოს და მოსწავლეები მათ წარმოთქმაში ავარჯიშოს (ზეპირად).

#### III. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

მასწავლებელი სიტყვებს უსახელებს – მარცვლებით, მკაფიოდ, პაუზებით სათითაოდ წარმოთქვამს ფერად ზოლსა და ჩარჩოში მოთავსებულ სიტყვებს, მოსწავლეები მარცვლებს კრებენ და სიტყვებს მთლიანად ასახელებენ. შემდეგ ითვლიან და ასახელებენ მარცვალში ბგერათა რაოდენობას.

#### IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მერამდენაა „წ“ ბგერა?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს რამდენიმე სიტყვას, რომლებიც შეიცავენ „წ“ ბგერას. მოსწავლეებმა უნდა გამოიციონ მარცვალში მერამდენაა „წ“. შეიძლება სიტყვა იწყებოდეს „წ“ ბგერით.

#### V. აქტივობა – დაფაზე სიტყვების ფერადი მარცვლებით წერა (10 წთ.)

მასწავლებელი ბავშვებს მთლიანად უსახელებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვას „ბრონეული“. ეკითხება, რომელია პირველი მარცვალი. მარცვალს „ბრო“ დაფაზე ფერადი ცარცით წერს, მარცვალს „წე“ განსხვავებული ფერით მიუწერს. აგრძელებს მარცვლების ფერადად დაწერას. შემდეგ ეკითხება, რამდენი ასო-ბგერაა წითელ მარცვალში? ლურჯში? წითელში? ლურჯში? მთლიანად სიტყვაში რამდენი მარცვალი გამოვიდა? სიტყვაში რამდენი ასო-ბგერაა?

ასევე დაიწერება ფერად ზოლში მოთავსებული სხვა სიტყვებიც (წიგნი, დედამიწა).

კლასი საუბრობს ამხსნელ სიტყვებზე.

შეიძლება წავუკითხოთ გამოცანა ან ლექსი.

#### VI. წუთშესვენება (1 წთ.)

## **VII. აქტივობა – შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ათვალთვლებინებს ფიგურებს ფერად ზოლში, აკითხებს შესაბამის სიტყვებს. შემდეგ თანმიმდევრობით აკითხებს ჩარჩოში მოთავსებულ ფერადმარცვლიან სიტყვებს.

შავ-თეთრ ტექსტს კი მასწავლებელი მოსწავლეებს შერჩევით აკითხებს, მაგრამ არა ცალკეულ წინადადებებს, არამედ – აბზაცებს (წინადადებები ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული).

ამ დროს აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „წინვი“, „კენწერო“, „სანახელი“, „უნილადა“, „წყალს დაენაფა“, „ეპკურება“.

ამის შემდეგ მასწავლებელი ტექსტს მთლიანად, სათანადო ინტონაციით კითხულობს.

## **II გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (12 წთ.)**

მასწავლებელი ვარჯიშით განამტკიცებს მოსწავლეთა კითხვის უნარს.

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ერთი და ბევრი“ (5 წთ.)**

სათანადო ინსტრუქციის მიცემის შემდეგ მასწავლებელი დაასახელებს „წ“-ზე დაწყებულ ან „წ“-ს შემცველ სიტყვას და ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს გადაუგდებს. მოსწავლემ ეს სიტყვა მრავლობით რიცხვში უნდა თქვას და ბურთი მასწავლებელს დაუბრუნოს. მაგ.: წერო – წეროები, წინვი – წინვები, არწივი – არწივები და სხვ.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „შეადგინე სიტყვები“ (5 წთ.)**

მოსწავლეები რიგრიგობით აერთებენ ასო-ბგერებს დაბოლოებასთან „ელი“, მაგ., წელი-ხელი-ბელი-გელი-წელი-ველი და ასახელებენ მიღებულ სიტყვებს. ცალკე ასახელებენ ისეთ ასო-ბგერებს, რომელთა დართვით სიტყვა არ მიიღება (ზ, ჩ, ფ).

### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

## **III გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა 10წთ.)**

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს წინადადებებს და კითხულობს: „ტყუილია თუ მართალი?“ თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ „მართალია“, თუ მცდარია, ამბობენ „ტყუილია“.

ბროწეული ხილია. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

წიგნი ცოდნას გვაძლევს. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

დედამინა ოთხკუთხედიანია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

წერო მწერია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

წვიმა არ ასველებს. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

არწივი მგალობელი ფრინველია. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

#### **IV. შესვენება (1 ნთ.)**

#### **V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „გამოიცანი, ვინაა?“ (3 ნთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეები კითხულობენ მარცხნივ ჩამოწერილ წინადადებებს. მათ ევალებათ, გამოიცნონ პასუხები და ილუსტრაციის მიხედვით დაასახელონ შესაბამისი საგნები.

ეს ფრინველი წყლის პირას ბუდობს – ნერო.

ეს პანანა არსება ქათმის ნაშიერია – წინილა.

ეს მწერი ყვავილების წვეს წუნის – ფუტკარი.

ამ ხილის წვენი ძალიან სასარგებლოა – ბრონეული.

ეს ხილი ადრე მნიფდება – ბალი.

#### **VI. აქტივობა – ლექსის კითხვა (5 ნთ.)**

მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ლექსს რამდენჯერმე. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გაიმეორონ (სურვილისამებრ). შეიძლება მოსწავლეებმა ამ ლექსის ნაკითხვისას წერო განასახიერონ კიდეც.

#### **VII. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „გამოიცანი“ (2 ნთ.)**

მასწავლებელი ნაკითხვებს მოსწავლეებს გამოცანას. სვამს კითხვებს, რათა მოსწავლეებს გაუადვილოს გამოცნობა:

რა შეიძლება იყოს შვიდფერი?

რა წარმოიქმნება წვიმისა და მზის შემდეგ? ცისარტყელა.

#### **VIII. წუთშესვენება (1 ნთ.)**

#### **IX. აქტივობა-„ნაკითხე წინასწარ“(3ნთ.)**

მოსწავლეები „წინასწარების მეთოდით ამოიკითხავენ სიტყვებს: ფანჯარა, ფინჯანი, ჯეჯილი.

#### **X. აქტივობა – წერა (5 ნთ.)**

მოსწავლეები წერენ წინადადებებს.

#### **სავარჯიშოზე მუშაობა – შეარჩიე შესაბამისი წინა მარცვალი „ნა“ თუ „ნი“?**

ჩარჩოში ზედა და ქვედა რიგში წერია სიტყვები, რომლებსაც წინა მარცვალი აკლია. ჩასასმელი მარცვლები შუა რიგში განსხვავებული ფერით წერია. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ხაზით დააკავშირონ მარცვლები ისე, რომ სიტყვა გამთლიანდეს. წინაკა, წინილა, , წამი,წამალი .

## 119-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები „ტ“, „წ“ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- უკუკავშირი შესწავლილ მასალასთან;
- ზეპირმეტყველების გამდიდრება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-დამახსოვრება, მართლმეტყველების წესების დაცვა, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, დამოკიდებულებათა გამოხატვა;
- აზროვნების განვითარება;
- სწავლა კეთებით და აღმოჩენებით – ძერწვა, ხატვა, აპლიკაციების დამზადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფერადი ქაღალდები, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი.

ამ გაკვეთილის ორგანიზებისთვის უნდა გაითვალისწინოთ 28-ე სცენარში მოცემული რეკომენდაცია.

### საკითხავი მასალა

#### ფუტკრები საშოვარზე

დადგა გაზაფხული. თოვლი მზემ გააქრო. მინდვრებში ჩნდებოდა ნორჩი და მწვანე ყლორტები, ხეებზე იშლებოდა კოკრები და ფოთლები...

ფუტკრებმა გაიღვიძეს. დაინახეს, რომ მზე ანათებს და ყველგან თბილა. გამოძვრნენ სკებიდან და გასწიეს ვაშლის ხესთან ბზუილ-ბზუილით:

– ვაშლო, ვაშლო, – შესძახეს მათ, – სანყალი ფუტკრებისთვის არაფერი გაქვს? ჩვენ ხომ მთელი ზამთარი ვშიმშილობდით.

– ჯერ არა, – უპასუხა ვაშლმა, – ჩემი ყვავილები ჯერ კიდევ კოკრებშია დამალული...

ფუტკრები ბალთან მიბზუილდნენ:

– საყვარელო ბალო, ყვავილი ხომ არ გექნება ფუტკრებისთვის?

– ხვალ იკითხეთ, – უპასუხა ბალმა, – დღეს არც ერთი ყვავილი არა მაქვს გაშლილი...

ფუტკრებმა ტიტასთან გასწიეს, მაგრამ ტიტა სუნსაც მოკლებული იყო და წვეწასაც.

დაღონებული და დამშეული ფუტკრები შინ დაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ ამ დროს ჩირგვის ქვეშ ნაზი ყვავილი დაინახეს. ეს იყო ია. იამ გადაუშალა ფუტკრებს თავისი ყვავილი, რომელიც სავსე იყო მშვენიერი სუნით და ტკბილი წვენი.

სვეს, ჭამეს ჩვენმა ფუტკრებმა და გახარებულებმა გასწიეს შინისაკენ.

ი. გოგებაშვილი

## გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,  
აგერ მერცხალიც ჭყივის,  
ბალში ვაზი ობოლი  
მეტის ლხენითა სტირის.  
აყვავებულა მდელო,  
აყვავებულა მთები,  
მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები?

*ი. ჭავჭავაძე*

## წვიმავ, მოდი, მოდი!

წვიმავ, მოდი, მოდი,  
მინა დაასველე!  
წვიმა უნდა ბოსტანს,  
ყანას, ტყეს და ველებს.  
წყალი უნდა ფოთოლს,  
მოზრდილსა და თოთოს,  
წყალი უნდა ფესვებს,  
წყალი უნდა ღეროს,  
უნელოდ რომ არ გახმეს,  
ყელი მოიღეროს.  
როცა მოხვალ, წვიმავ,  
და გააძღებ ველებს,  
ჩვენ არ დაგვივიწყო,  
ჩვენაც დაგვასველე!

*ნ. ჩაჩავა*

## ვიმსჯელოთ ერთად

### მეფე და მხატვარი

იყო ერთი ცალთვალა მეფე. ჰყავდა ერთი ხელოვანი მხატვარი. ერთხელ მეფემ იფიქრა: უნდა რამე მიზეზი ვუპოვო ამ ჩემს მხატვარს და დავსაჯო. უბრძანა: ჩემი სახე უნდა დახატო. თქვა მხატვარმა თავის გულში: „ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე: ცალთვალა რომ დავხატო, მომკლავს, როგორ მკადრეო, ორთვალა რომ დავხატო, თავს მომჭრის, მე როდი მგავსო“. იფიქრა, იფიქრა და ეს ხერხი მოი-

გონა: დახატა შორს მინდორზე ირემი, აქეთ კი მეფე, მისცა თოფი ხელში, ბრმა თვალი დაუხუჭა და სალი თვალით ირემი მიზანში ამოაღებინა. სურათი რომ დახატა, მეფეს მიაართვა. მეფემ მიზეზი ველარ უპოვა და გადარჩა მხატვარი.

ს.-ს. ორბელიანის მიხედვით

### გამოცანები

სულ პატარა მწერი არის, ფუსფუსა და მშრომელია,  
სხვა დროს შრომობს, ზამთარს არა, აბა, მითხარ, რომელია?  
(ფუტკარი)

დაეკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი.

(წყალი)

### ანდაზები

ფრინველსა ფრთები ამშვენებს, ადამიანს გონებაო.  
ნინა კაცი უკანა კაცის ხიდიო.

### ენის გასატეხი

#### ბრონეული

ძონი, ძონი, ძონეული,  
შემობრწყინდა ბრონეული,  
პანანინას მისანდომად  
მინამდეა დანეული.

## 120-ი, 121-ი, 122-ი გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ჯ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
- კითხვის ტექნიკის გამომუშავება;
- ზეპირმეტყველება – თხრობა, კითხვა/პასუხი, ინფორმაციის გადმოცემა, ილუსტრაციების აღწერა;
- ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- სწორად წერის ჩვევის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

ბოლოს შესწავლილი ხუთი ასო-ბგერის შეხსენების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე განსხვავებული ფერით წერს ახალსაც – ასო-ბგერა „ჯ“-ს და კლასს ეკითხება:

- რომელი ასო-ბგერები ვისწავლეთ ბოლოს?
- რომელიმე ხომ არ ცნობთ ახალ ასო-ბგერას?

შეიძლება შეადგინოს მარცვალთა კომბინაციები და მოსწავლეები ამეცადინოს მათ წარმოთქმაში.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ვინ მეტ სიტყვას გაიხსენებს“ (5 წთ.)

კლასი იყოფა ჯგუფებად. ჯგუფში ჯერ ერთი მოსწავლე ასახელებს სიტყვას, რომელიც იწყება ან შეიცავს „ხ“ ბგერას. ვინც გაიმეორებს ან ახალ სიტყვას ვერ მოიფიქრებს, თამაშს გაეთიშება. საბოლოოდ გაიმარჯვებს ჯგუფი, სადაც მოსწავლეთა მეტი რაოდენობა დარჩება.

#### IV. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი და სინთეზი (3 წთ.)

მასწავლებელი სიტყვებს ასახელებს მარცვლებად და ბგერებად. მოსწავლეები კრებენ ამ მცირე ერთეულებს და ასახელებენ სიტყვებს.

საანბნაო პერიოდის ბოლო ოთხ ასოზე ტექსტებს აქვს ერთ ფერში დანერგილი სათაური. თავად ტექსტები პატარა მოთხრობებია.

#### V. აქტივობა – დაფაზე ფერადმარცვლიანი სიტყვებისა და წინადადების წერა (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს თითოეულ სიტყვას, მოსწავლეები მათ მარცვლავენ. დაფაზე დაინერება ფერადმარცვლებიანი სიტყვები. მასწავლებელი ამეცადინებს მარცვლების ამოცნობა-დამახსოვრებაში.

ასევე მოხდება სათაურის – „თოჯინების მეჯლისი“ – სრული ანალიზი და სინთეზი.

#### VI. აქტივობა – ფერადმარცვლიანი სიტყვებისა და წინადადების წიგნში კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს, მიუთითებს ფერად ზოლში მოთავსებულ სურათებზე, ეკითხება:

- ეს რა საგანია? (თოჯინა)



– მოდი, ნავიკითხოთ მართლა თოჯინაა თუ არა.

მოსწავლეები საუბრობენ „ამხსნელი“ სიტყვებით წარმოდგენილ საგნებზე. დამატებით ინფორმაციას აწვდის მასწავლებელიც.

## **VII. წუთშესვენება (1 წთ.)**

## **VIII. აქტივობა – შავ-თეთრი ტექსტის კითხვა (10 წთ.)**

წარმოდგენილი ტექსტი არ იძლევა საშუალებას, რომ შერჩევით კითხვა გაიმართოს. სასურველი არ არის, მოთხრობის სიუჟეტი მოსწავლეებმა ფრაგმენტულად აღიქვან.

მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ კითხვას და მოთხრობას კითხულობს სანიმუშოდ, სათანადო ინტონაციით.

მოსწავლეები იხსენებენ და პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვას. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „უსაყვარლესი“, „მეჯლისი“, „ჯუჯების შეჯიბრი“, „ჯადოქარი“, „ჯადოსნური ჯოხი“, „დაეჯაჯგურა“, „ჯილდო“.

შეიძლება მასწავლებელმა კლასს ასეთი დავალება მისცეს: ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები.

ტექსტს წაიკითხავს კითხვაში განაფული მოსწავლეც.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს კითხვაში: ინდივიდუალურად კითხვით, გაგრძელებით კითხვით, გამოკრებითი კითხვით.

აანალიზებენ ტექსტს. მოსწავლეები კითხვებზე პასუხით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ნაწარმოების პერსონაჟებისადმი. მოსწავლეებმა შეიძლება აღწერონ გოგონების სათამაშოები, შეადარონ თავიანთ თოჯინებს, შეაფასონ მოთხრობის გმირები, მაგ.: როგორია ჯამბაზი, ჯადოქარი, ხის ჯარისკაცი.

მასწავლებელი სთავაზობს მოთხრობის გაგრძელებას. მოსწავლეებმა შეიძლება განსხვავებული ვარიანტები შემოგვთავაზონ.

### **III. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე დაკვირვება (5 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტს აკვირდებიან და ასახელებენ ორმარცვლიან, სამმარცვლიან, ოთხმარცვლიან და ა. შ. სიტყვებს.

### **IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „საინტერესო თოჯინები“ (5 წთ.)**

მაგიდაზე აწყვია მოსწავლეთა მიერ შინიდან მოტანილი რამდენიმე თოჯინა. ერთ-ერთი მოსწავლე ჰყვება, რა იცის ამ თოჯინას შესახებ, ამბობს, რატომ შეარჩია ის. აფასებენ თოჯინას მთლიანად ან მის რომელიმე დეტალს.

**V. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა (5 წთ.)**

მოსწავლეები კითხულობენ ჯუჯას შესახებ, ალაგებენ სიტყვაში არეულ მარცვლებს და ასახელებენ მისალმებებს: „გამარჯობა! დილა მშვიდობისა!“

მოსწავლეები კითხულობენ ჯარისკაცის შესახებ. ნერტილების ნაცვლად ასახელებენ ასობს და წაიკითხავენჯილდოს: „ჯადოსნური ფუნჯი“.

**VII. აქტივობა – წერა (7 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

**III ბაკჰეითილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვებზე პასუხის გაცემა (10 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტის მიხედვით ზეპირად პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ერთი და ბევრი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი დაასახელებს ერთი ისეთი საგნის სახელს, რომელიც იწყება ან შეიცავს „ჯ“ ბგერას და ბურთს გადაუგდებს მოსწავლეს, რომელმაც იგივე საგანი მრავლობით რიცხვში უნდა დაასახელოს, ბურთი კი მასწავლებელს დაუბრუნოს.

მაგ.: ჯოხი – ჯოხები, ჯაგრისი – ჯაგრისები, თოჯინა – თოჯინები, ჯუჯა – ჯუჯები, ჯარისკაცი – ჯარისკაცები, ჯილდო – ჯილდოები, ჯიხვი – ჯიხვები, მსაჯი – მსაჯები, ფუნჯი – ფუნჯები.

**IV. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა (5 წთ.)**

II. „შეცვალე პირველი ასო“ – მოსწავლეები ცვლიან სიტყვა „ჯოხი“-ს პირველ ასოს და მიიღებენ სიტყვებს: თოხი, ნოხი, ქოხი.

**V. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა – ენის გასატეხი (3 წთ.)**

მოსწავლეები კითხულობენ ენის გასატეხს: „ჯუჯა ჯადოქარი ჯოხს მარჯვედ იქნევს“.

**VI. წუთშესვენება (1 წთ.)**

**VII. აქტივობა – „წაიკითხე წინასწარ“ (5 წთ.)**

მოსწავლეები „წინსწრების მეთოდით“ ასახელებენ სიტყვებს: ჭიქა, ჭიანჭველა, ჭა

**VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

I. მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

II. „დაასრულე სიტყვები“ – მოსწავლის რვეულში მოსწავლეები უჯრებში ათავსებენ სიტყვის დასასრულე მარცვლებს. მიიღება სიტყვები: ჯიბე, ჯიხვი, ჯილდო, ჯამი, ჯაგრისი.

III. „მიიღე ახალი სიტყვა“-საწყისი თანხმონის შეცვლით მიიღებენ ახალ სიტყვებს, მაგალითად: ჯოხი-ქოხი-ნოხი-თოხი; ნელი-ხელი-ბელი-ცელი; ტარი-ქარი-ჯარი-ბარი.

გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ჭ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერის გაცნობა;
  - კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
  - ზეპირმეტყველების განვითარება;
  - გრაფიკული ჩვენების განვითარება.
- საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

ბოლოს შესწავლილი ახალი ასო-ბგერის დაფაზე დაწერის შემდეგ მასწავლებელი განსხვავებული ფერით წერს ახალსაც – ასო-ბგერა „ჭ“-ს. კლასს ეკითხება:

- ბოლოს რომელი ასო-ბგერები ვისწავლეთ?
- რომელიმე თქვენგანი ხომ არ იცნობს ახალ ასო-ბგერას?

შეიძლება, შეადგინოს მარცვალთა კომბინაციები „ჭ“ ბგერის შემცველობით და მოსწავლეები მათ წარმოთქმაში ამეცადინოს.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „გესმით თუ არა ბგერა „ჭ“?“ (3 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს, რომელთა შორის არის „ჭ“ ბგერით დაწყებული ან მისი შემცველი სიტყვები. მოსწავლეებმა უნდა მოუსმინონ და ტაში შემოჰკრან, როცა ასეთ სიტყვებს გაიგონებენ.

#### IV. აქტივობა – მარცვლის ბგერითი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს მარცვლებად და მარცვლებს – ბგერებად. მოსწავლეები უსმენენ, კრებენ და ასახელებენ სიტყვებს.

#### V. აქტივობა – ფერადმარცვლებიანი სიტყვების და წინადადების დაფაზე წერა (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სიტყვას. მოსწავლეები მარცვლავენ. მარცვლები დაფაზე ფერადი ცარცით იწერება.

- მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, რომელ მარცვალში რამდენი და რომელი ასო-ბგერებია.
- დაფაზე იწერება სათაური ერთი ფერით: „ჭიამაია ამინდის მაცნეა“. ხდება მისი ანალიზი და სინთეზი.

#### VI. აქტივობა – ფერადმარცვლებიანი სიტყვებისა და წინადადების წიგნში კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გადააშლევინებს სახელმძღვანელოს და მიუთითებს ფერად ზოლში მოთავსებულ სურათებზე:

- ეს რა საგანია? (ჭიამაია, ჭიშკარი, გოჭი);
- მოდი, წავიკითხოთ, მართლა ჭიამაიაა თუ არა და ა. შ.

აკითხებს ფერადმარცვლებიან წინადადებას.

## **VII. წუთშესვენება (2 წთ.)**

## **VIII. აქტივობა – კითხვა (8 წთ.)**

ტექსტი სიუჟეტურია. მისი კითხვა შერჩევით, ფრაგმენტულად მიზანშეწონილი არ არის. ტექსტს თავდაპირველად კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ – კითხვაში განაფული მოსწავლე.

აიხსნება უცნობი სიტყვები: „ჭიშკარი“, „დარი“, „ნაილილინა“.

## **II გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

### **III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „სიტყვათა მძივი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვას, ყოველმა შემდეგმა მოსწავლემ ახალი სიტყვა იმ ბგერით უნდა დაიწყო, რომლითაც წინა დამთავრდა. მაგ.: ჭიამაია – აჭრიალებს – სკა – ანძა – ანიკო – ორი – ია – ამშვიდებენ – ნუნუ – უთუოდ – დათვი და ა. შ.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **V. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა (5 წთ.)**

1. მოსწავლეები ჩამოთვლიან საგნებს, ნაიკითხავენ საგნების აღმნიშვნელ სახელებს და ზეპირად დააკავშირებენ შესაბამის სიტყვებთან: „ჭიამაია და ჭიანჭველა მწერები არიან, წერო დაოფოფი ფრინველები არიან“.

2. „ამოიკითხე საქართველოს ორი კუთხის სახელი (2 წთ.)

მოსწავლეები წრეებში ჩანერილ ასოებს ორად აჯგუფებენ (ზეპირად) და მიიღებენ საქართველოს ორი კუთხის სახელს: „აჭარა“, „რაჭა“.

### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გრაფიკული ანალიზის შემდეგ მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

## **III გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი ბგერა გესმით?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს „ჭ“ ბგერით დაწყებულ ან ამ ბგერის შემცველ სიტყვებს, მოსწავლეებმა

უნდა თქვან, რამდენ მარცვალს შეიცავს ეს სიტყვა და „ჭ“ ბგერა რომელ მარცვალშია.

მაგ.: გოჭი, ჭამს, ჭია, ჭყვივის, ჭრიჭინა, ჭინჭარი, ჭა, ჭადარი, ჭაობი, ჭანჭიკი, ჭიჭყინა, ჭალა, ჭალარა, ჭრიჭინებს, ჭიხვინებს, ჭიკჭიკებს, ჭიანჭველა, რაჭა, ჭალი, ჭკუა, აჭარა, ჭრელი.

### **III. ნუთმესვენება (2 ნთ.)**

#### **IV. აქტივობა – სავარჯიშოებზე მუშაობა (5 ნთ.)**

1. მოსწავლეები სურათზე გამოსახული საგნის (ჭის) აღმნიშვნელ სიტყვას უერთებენ მარცვალთა ჯგუფებს და მიიღებენ სიტყვებს: ჭაობი, ჭალა, ჭალარა, ჭარხალი, ჭანჭიკი, ჭადარი.

#### **V. აქტივობა-„ნაიკითხე წინასწარ“.**

მოსწავლეები აკვირდებიან სურათებზე გამოსახულ საგნებს. ისინი „წინასწარების ხერხით“ ასახელებენ გამოსაცნობ ასოს – „ჟ“-ს სიტყვებში: „ჟონგლიორი“, „ჟოლო“.

#### **VI. აქტივობა – წერა (12 ნთ.)**

I. მოსწავლეები წერენ მარტივ წინადადებას.

#### **II. აქტივობა-„შეაერთე მარცვლები და შეადგინე სიტყვები“**

სავარჯიშოში მოცემული მარცვლებით: ჭი, ჭა, ჭე, ჭო ჭუ მოსწავლეები შეადგენენ სიტყვებს: ჭია, ჭერი, ჭიქა, ჭერამი, ჭალი, ჭოტი, ჭალა, ჭუკი.

## 126-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერები ჯ, ჭ (ცოდნის შეჯამება-განმტკიცება).

**გაკვეთილის მიზანი:**

- შესწავლილი მასალის გამეორება-განმტკიცება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – ინფორმაციის თანმიმდევრულად გადმოცემა, უცნობი სიტყვებითა და გამოთქმებით ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ტექსტის მოსმენა და ანალიზი, მცირე მოცულობის ლექსის ზეპირად დასწავლა;
- აზროვნების განვითარება;
- სწავლა კეთებით – ძერწვა, ხატვა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, ფერადი ქაღალდები, სახატავი ფურცლები, ფანქრები, პლასტილინი.

ამ ტიპის გაკვეთილის ჩასატარებლად სასურველია გამოიყენოთ 28-ე სცენარში მოცემული რეკომენდაცია.

### საკითხავი მასალა

#### მაია და ჭიამაია

მაიას წითელი კაბა ეცვა, წინწკლებიანი. მოღზე ციცქნა მწერი ნახა – ისიც წითელი და დაწინწკლული.  
– დედა, დედა, ნახე, ჩემისთანა კაბა აცვია! – ასძახა მაიამ დედას.  
– ეგ, შვილო, ჭიამაიაა, – მიუგო დედამ.  
– შენც მაია, მეც მაია, მოდი, ერთად ვითამაშოთ! – უთხრა გოგონამ ჭიამაიას და დაიწყეს თამაში. მაია ბალახის ქოხებს აგებდა, ჭიამაია კი ლეროდან ლეროზე დაცოცავდა.  
ამასობაში დაღამდა. გოგონა მაია შინ წაიყვანეს. წითელწინწკლებიანი კაბა გახადეს და დააძინეს. ჭიამაიას კაბა არ გაუხდია, კაბიანად ჩაეძინა მრავალძარღვას ფოთოლზე.

თ. ჩხაიძე

#### ჭა

გუშინ ჭაში ჩაახედა  
ნუნუ ბებომ ჩვენი კახა;  
წყლის სარკეში თურმე კახამ  
საკუთარი თავი ნახა.

– მე დამხმარედ მიგულეო! –  
ონინარმა დაუძახა, –  
აივსოო უკვე სათლი,  
ამოსწიე, ბიჭო კახა!

## ჭიანჭველა

ჭიანჭველა ჭინჭარას  
ზურგზე პური ჰკიდია,  
პური ჭიანჭველაზე  
ოთხჯერ უფრო დიდია.  
გ. ნერეთელი

## ვიმსჯელოთ ერთად

### მეზობლები

ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში გადავიდა. მეზობელი გაბრაზდა, დაიჭირა ცხენი და ივანეს ზარალი ერთისამად გადაახდევინა.

გავიდა რამდენიმე დღე. მეზობლის ხბო ივანეს ბოსტანში გადავიდა და მწვანელი სულ გაუოხრა. ივანემ დაიჭირა ხბო, პატრონს მიჰგვარა და უთხრა:

– აი, შენი ხბო, ჩემი ბოსტნიდან მოგიყვანე, ჩაიბარე. მეზობლებს ჩხუბი არ შეშვენითო.

შერცხვა მეზობელს და უთხრა:

– ჩინებული კაცი ყოფილხარ, ივანე! გთხოვ, უკანვე დაიბრუნო შენი ფული და ვიცხოვროთ მეგობრულად, როგორც კარგ მეზობლებს შეშვენითო.

ი. გოგებაშვილი

### ჰაუ, ჰაუ!

ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ  
ჩვენს ეზოში დილ-დილასა,  
ვერ მომტაცებ, არ გაგატან  
ჩემს პატარა წინილასა.

## გამოცანები

ლობეში ხელი შეეყავი, ბომბორა ძალღმა მიკბინა.

(ჭინჭარი)

განა სიზმარში, ცხადად  
ციცქნა ვიხილე ქალი,  
მის კოპლებიან კაბას  
ვერ მოვაცილე თვალი.  
ჩამიჩურჩულა ყურში  
ამბავი მთის და ბარის.  
მერე გაფრინდა უცებ  
საითაც ქროდა ქარი.

(ჭიამაია)

შვენის ციცქნა რქები  
და სამოსი ჭრელი,  
ფეხები აქვს მოკლე,  
კისერი კი გრძელი.

(ჟირაფი)

## ენის გასატეხი

თვალყუყუნა ჟუჟუმ გუშინ  
მჟავე ხილი იგუნება,  
ჩვენც გვინდაო, ჟუჟუს ხიდან  
უფიჟივეს ჩიტუნებმა.

## ანდაზები

ჯერ ძილო, მერე სიზმარო.  
ჭირს გაძლება უნდაო.



გაკვეთილის თემა: ასო-ბგერა „ჟ“.

გაკვეთილის მიზანი:

- ახალი ასო-ბგერა „ჟ“-ს გაცნობა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა;
- მარტივი ენობრივი ერთეულების გამორჩევა – სიტყვა, მარცვალი, ასო-ბგერები;
- წერის უნარის განვითარება – ასო, სიტყვა, მარტივი წინადადება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული, ბუნებრივი მასალა (თავთავი).

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს უკვე შესწავლილ ხუთ ასოს: ც, ტ, ნ, ჯ, ქ-ს ერთი ფერით. განსხვავებული ფერით წერს ასო „ჟ“-ს. მოსწავლეებს ეკითხება:

- ბოლოს რომელი ასო-ბგერები ვისწავლეთ?
- რომელიმე იცის, ეს რა ასოა?

ავარჯიშებს მოსწავლეებს „ჟ“ ბგერის წარმოთქმაში.

#### III. აქტივობა – მარცვლების ბგერითი ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად ამარცვლინებს სიტყვებს: ჟირაფი, ჟოლო, ჟონგლიორი. ყოველ სიტყვაში გამოაყოფინებს ცალკეულ ბგერებს, შემდეგ კეთდება სინთეზი: ბგერა, მარცვალი, სიტყვა.

#### IV. აქტივობა – დაფიდან კითხვა (5 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ მარცვლავს სიტყვას „ჟირაფი“. მოსწავლეები ასახელებენ პირველ მარცვალს „ჟი“ და ამბობენ, რამდენი ასოა ამ მარცვალში. მასწავლებელი მარცვალს დაფაზე ფერადი ცარცით წერს. მოსწავლეები ასახელებენ მომდევნო მარცვლებსაც, რომლებიც დაფაზე ფერთა მონაცვლეობით იწერება. მოსწავლეები ვარჯიშობენ მარცვლების ამოკითხვაში. შემდეგ გამოიყოფა ასოები. მოსწავლეები ასახელებენ, რომელი ასო რომელ ადგილზეა.

ამის შემდეგ მოსწავლეები ცდილობენ, დაახასიათონ ჟირაფი. შეიძლება შედგეს „აზრობრივი რუკა“ – წრის ირგვლივ, რომელშიც ჩანერილია სიტყვა „ჟირაფი“, განლაგდება სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებმა ამ ცხოველთან დაკავშირებით დაასახელეს.

მასწავლებელი თვითონაც მიანვდის დამატებით ინფორმაციას:

„ჟირაფი დედამიწის ყველაზე მაღალი ცხოველია. იგი ძუძუმწოვარია. აქვს მოკლე ტანი და გრძელი კისერი. მისი წინა ფეხები უკანაზე გრძელია. გრძელ კისერზე პატარა თავი აბია. აქვს დიდი თვალები, მოკლე ყურები, პატარა რქები. ტანი აჭრელებული აქვს. ცხოვრობს აფრიკის სავანაში.

ჟირაფებს ჯგუფებად უყვართ ცხოვრება. ჯგუფში ზოგჯერ 70-მდე ჟირაფიც კი არის გაერთიანებული. იკვებებიან ფოთლებით, ტოტებით. აქვთ კარგი მხედველობა და სმენა.

საქართველოში ჟირაფი არ ბინადრობს“.

მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს პროექტორით უჩვენოს ინტერნეტით მოძიებული მასალა.

ასევე გაანალიზდება სიტყვები „ჟოლო“ და „ჟონგლიორი“.

მასწავლებელი მოსწავლეებს გადააშლევინებს სახელმძღვანელოებს, ათვალერებინებს ილუსტრაციებს და აკითხებს ფერად ზოლში მოთავსებულ სიტყვებს.

#### V. აქტივობა – წინადადების ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი მკაფიოდ, გარკვევით წარმოთქვამს სათაურს: „წვიმიანი დღე“. მოსწავლეები ასახელებენ

პირველ, მეორე სიტყვას. მარცვლავენ მათ ზეპირად, გამოყოფენ ბგერებს.

იგივე ხდება წერილობითაც. მასწავლებელი ფერადი მარცვლებით დაფაზე წერს წინადადებას, მოსწავლეები ახდენენ მის სრულ ანალიზსა და სინთეზს.

**VI. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VII. აქტივობა – წინადადების შერჩევით კითხვა (12 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს ტექსტში აბზაცებზე. მოსწავლეები ითვლიან და ასახელებენ, რამდენი აბზაცია ამ ტექსტში.

მიუთითებს ცალკეულ წინადადებებზე აბზაცებში. მოსწავლეები წინადადებებს კითხულობენ შერჩევით, წინასწარი ახსნა-განმარტების გარეშე (რათა თავი ავარიდოთ ტექსტის დამახსოვრებას).

ამ აქტივობის შემდეგ თავად მასწავლებელი კითხულობს ტექსტს სათანადო ინტონაციით. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება სიტყვები და გამოთქმები.

**II ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ინდივიდუალურად, შეიძლება ცალკეული აბზაცები წაიკითხონ გუნდურადაც. მიმდინარეობს ე. წ. „გამოკრებიითი კითხვაც“.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მოისმინე ბგერა“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. თუ დასახელებული სიტყვა „ჟ“ ბგერას არ შეიცავს, მოსწავლეები ტაშს შემოჰკრავენ.

მაგ.: ჟირაფი, მჟავე, ჟოლო, ლომი (ტაში), ჟურნალი, ჟუჟუნა, შხაპუნა (ტაში), ჟრიამული, ჟივჟივი, ჟონგლიორი, ნიორი (ტაში).

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „რა როგორია?“ (5 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს. მარცხნივ დაჯგუფებულია საგნები, მარჯვნივ – ზედსართავი სახელები.

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეები კითხულობენ სიტყვებს, საგნებს ზეპირად აკავშირებენ მათი თვისებების აღმნიშვნელ სიტყვებთან. საბოლოოდ მიიღება რა როგორია: გზა გრძელი, მზე კაშკაშა, ტყე შრიალა, წვიმა ჟუჟუნა, ზღვა ღრმა.

**VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მოსწავლეები მოსწავლის რვეულში წერენ ასოს და სიტყვას.

**III ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ამოიკითხავენ ცალკეულ აბზაცებს, პასუხობენ შეკითხვებზე.

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მოისმინე და თქვი!“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. მოსწავლეები უსმენენ და ასახელებენ, რომელ ადგილზეა „უ“ ბგერა გამოყოფილ მარცვალში.

მაგ.: ფოლო, მჟავე, მჟაუნა, ფურნალი, ბეჟანი, ვაჟიკო, ეჟვანი, რიჟრაჟი, ფუჟუნა, შეყუჟული, ჟივჟივი.  
მაგ.: ფო-ლო. „ფო“ სიტყვაში პირველ ადგილზეა.

**IV. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „ნაიკითხე წინადადება“ (2 წთ.)**

მოსწავლეები ალაგებენ ასოებს სიტყვებში და მიიღებენ წინადადებას: „ფუჟუნა წვიმა მოვიდა“.

**V. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „დაასრულე სიტყვები“ (5 წთ.)**

სიტყვებში გამოტოვებულია ასოები. მოსწავლეები აკვირდებიან და ამოიკითხავენ სიტყვებს: ფოლო, ფურნალი, ჟირაფი, ჟონგლიორი.

**VI. აქტივობა – სავარჯიშო „ნაიკითხე წინასწარ“ (2 წთ.)**

მასწავლებელი იყენებს „წინსწრების ხერხს“, მოსწავლეებს მიუთითებს ილუსტრაციებზე და შესაბამისად ამოაკითხვინებს სიტყვებს „ჰამაკი“ და „ჰალსტუხი“. ეს არის წინასწარი მზადება „ჰ“ ასო-ბგერის გასაცნობად.

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

- I. მოსწავლის რვეულში მოსწავლეები წერენ წინადადებას.
- II. მოსწავლეები აკვირდებიან უჯრათა რაოდენობას, წერენ შესაბამისი რაოდენობის საჭირო მარცვლებს და მიიღებენ სიტყვებს: ფოლო, ფურნალი, ჟრამული, ჟონგლიორი.

## 130-ე, 131-ე, 132-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ასო-ბგერა „ჰ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- საანბანო პერიოდის დასრულება – ბოლო ასო-ბგერის გაცნობა;
- მცირე მოცულობის სიუჟეტური ტექსტის კითხვა, კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მართლმეტყველების წესების დაცვა, ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა;
- მარტივი წინადადების გამოწერა.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული, ინტერნეტით მოძიებული მასალა (სურვილისამებრ).

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი ანბანის ბოლო ასო-ბგერას გაეცნობიან. ულოცავს ბავშვებს, ეკითხება, რა მოეწონათ მათ ანბანის შესწავლის პერიოდში, რა არ მოეწონათ, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და ა. შ.

#### II. აქტივობა – ახალი ასო-ბგერის გაცნობა (7 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს ბოლო ხუთ ასოს – ტ, ნ, ჯ, ჭ, ჟ, რომლებსაც განსხვავებული ფერით მიუწერს ახალსაც – „ჰ“-ს. წააკითხებს შესწავლილ ასოებს, ეკითხება, ხომ არ ამოიცნობენ ახალ ასოსაც. ავარჯიშებს მოსწავლეებს ბგერის სწორად წარმოთქმაში. ზეპირად შეადგენინებს „ჰ“ ბგერის შემცველ მარცვლებს.

#### III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რამდენი ბგერაა?“ (5 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს „ჰ“ ბგერის შემცველ სიტყვებს, მოსწავლეები კი თითოებით აჩვენებენ, რამდენი ბგერა დათვალეს ამ სიტყვაში.

სიტყვები: ჰაერი, ჰავა, ჰამაკი, ჰქვია, ჰქონია, რეჰანი, ჰალვა, ჰიმი, ჰგავს.

#### IV. აქტივობა – სიტყვების ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

შერჩეული სიტყვები თავდაპირველად ზეპირად იმარცვლება: ბეჰემოთი, ჰამაკი, რეჰანი. აღინიშნება მარცვალთა რაოდენობა, გამოიყოფა ბგერები.

მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვას „ბეჰემოთი“. ეკითხება კლასს, რომელია პირველი მარცვალის. ორი ფერის მონაცვლეობით წერს დანარჩენ მარცვლებსაც. ავარჯიშებს მარცვლების სწორად წარმოთქმაში, გამოაყოფინებს ასოებს, ეკითხება, რომელია პირველი, მეორე, მესამე და ა. შ.

ეკითხება, რა იციან ბეჰემოთის შესახებ. სურვილისამებრ, ამ აქტივობის განსახორციელებლად იყენებს „გონებრივ იერიშს“ ან „აზრობრივ რუკას“. მოსწავლეები ახასიათებენ ამ ცხოველს, დამატებით ინფორმაციას აწვდის თავად მასწავლებელი. თუ შესაძლებელია, უჩვენებს კომპიუტერულ მასალასაც – სურათებს, ნაწყვეტს შემეცნებითი ფილმიდან და ა. შ.

ასევე განიხილება სიტყვები: ჰამაკი, რეჰანი. „რეჰანი ბოსტნეულია. იგი ბოსტანში ხარობს, მაგრამ ზოგი ველურადაც იზრდება. ჩვენთვის ნაცნობია ერთწლოვანი, ბალახოვანი რეჰანი, თუმცა ბუჩქოვანი რეჰანიც არსებობს, რომელიც 1 მ-მდე იზრდება და მრავალ წელს ხარობს.

რეჰანი სასარგებლო მცენარეა. ჩვენში ძირითადად იყენებენ კულინარიაში, განსაკუთრებით სალათების მომზადების დროს. რეჰანი თესლით მრავლდება“.

#### V. წუთშესვენება (2 წთ.)

#### VI. აქტივობა – სიტყვების ანალიზი და სინთეზი (5 წთ.)

მასწავლებელი ფერადი მარცვლებით წერს: „ჰიპო-ჰიპოელი ბეჰემოთი“. ტარდება დაფაზე დაწერილის სრული ანალიზი ასო-ბგერების ჩათვლით.

იმავეს ამოაკითხვინებს სახელმძღვანელოშიც – ჩარჩოდან. ამჯერად ჩარჩოში მოთავსებულია ტექსტის – პატარა მოთხრობის სათაური.

### **VII. აქტივობა – წინადადებების შერჩევით კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს აბზაცებზე, რომლებსაც მოსწავლეები ითვლიან და ასახელებენ.

შემდეგ მიუთითებს ცალკეულ წინადადებებზე აბზაცების მიხედვით. მოსწავლეები კითხულობენ შერჩევით. როცა მასწავლებელი დარწმუნდება, რომ ისინი დამახსოვრებულს არ იმეორებენ, თავად უკითხავს ტექსტს მთლიანად, სათანადო ინტონაციის დაცვით.

მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. ამბავი სიუჟეტურია, საინტერესო. ბავშვები ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას ტექსტთან.

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ ჩარჩოში ჩასმული სიტყვები მოთხრობის სათაურია.

მოსწავლეები სათაურს გუნდურად კითხულობენ.

## **II. გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

– მოდი, ახლა თქვენ თვითონ წაიკითხეთ. ჯერ წაიკითხეთ სათაური. ვინ დაინწყებს?

– ვინ გააგრძელებს კითხვას?

– ვინ ამოიკითხავს, რა ჰქვია პატარა ზღაპრულ ტბას?

– ამოიკითხეთ, როგორია ბეჰემოთი? რას აკეთებს იგი დილაობით?

– მოძებნეთ სათანადო ადგილი და ამოიკითხეთ, რატომ ატირდა უზარი?

– მოძებნეთ და ამოიკითხეთ, რას მიხვდა პატარა გოგონა?

– რა ყოფილა უზარის გვარი? რას ნიშნავს უზარმაზარი?

– გინახავთ ბეჰემოთი? სად? მეთანხმებით, რომ ის მართლა უზარმაზარია?

– როგორი გოგონაა პატარა ქრისტინე?

– მოგეწონათ თუ არა მოთხრობა? რატომ?

– შეეფერება მოთხრობას ეს სათაური? სხვა სათაურს ხომ არ შეურჩევდით? რას?

– ხომ არ გააგრძელებდით ამ მოთხრობას? რა შეიძლებოდა კიდევ მომხდარიყო?

– თქვენ თუ სეირნობთ დილაობით სუფთა ჰაერზე ისე, როგორც უზარი?

– თქვენ გივარჯიშიათ ჰულა-ჰუპით? გაქვთ რომელიმეს? მოგწონთ თუ არა ჰულა-ჰუპით ვარჯიში? რისთვისაა საჭირო სპორტული ვარჯიშები?

– რომელი თქვენგანი დადის რაიმე სპორტზე? სპორტის რომელ სახეობაში ისურვებდით ვარჯიშს?

#### **III. წუთშესვენება (3 წთ.)**

(სასურველია, ჩატარდეს აქტიური ფიზკულტურული ვარჯიშები მუსიკის თანხლებით)

– მოდი, ახლა ჩვენც უზარს მივბაძოთ და ვივარჯიშოთ.

#### **IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ყველაზე დაკვირვებული“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს რიგრიგობით აჩვენებს ორ სრულიად განსხვავებულ საგანს – სათამაშო მანქანას და წიგნს. ბავშვები ცდილობენ, დაასახელონ ის დეტალები, რომლებიც საგანზე დაკვირვებით შეამჩნიეს.

მანქანას ექნება: კარები, ფარები, ნომრის აბრა, საბურავები, სავარძლები, კარის შუშა, საქარე მინა, საწმენდები...

ნიგნზე დაკვირვებით კი მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ: ყდა, გვერდები, ფურცლები, სარჩევი, გვერდების ნომრები, წარწერა ყდაზე, ილუსტრაციები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სათაურები, ნიგნის სანიშნი და ა. შ.

**V. აქტივობა – „გამოიცანი“ მოსწავლეები წაიკითხავენ გამოცანის ტექსტს და გამოიცნობენ სიტყვას: „ჰამაკი“.**

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები წერენ ასოს და სიტყვას.

### III გაკვეთილი

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

– მოდი, ისევ წავიკითხოთ მოთხრობა. ჯერ წავიკითხოთ სათაური. ვინ დაინწყებს? ვინ გააგრძელებს?

**III. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „სიტყვათა მძივი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

– მოდი, მძივივით ავასხათ სიტყვები. მე დაგისახელებთ ერთ სიტყვას, რომელიმე თქვენგანმა კი იმ ბგერით უნდა დაინწყოს ახალი სიტყვა, რომლითაც წინა დასრულდა.

მაგ.: ჰალვა – ატამი – ირემი – ილო – იფიქრე – ენა – ანათებს – სათაური – ისარი.

**IV. წუთშესვენება (1 წთ.)**

**V. აქტივობა-სავარჯიშოზე მუშაობა „უპასუხე კითხვას“ (2 წთ.)**

მოსწავლეები პასუხობენ სავარჯიშოში მოცემულ კითხვებს: რას ჰქვია ჰიპო-ჰიპო? ჰატარა ტბას. ვინ ცხოვრობს ჰიპო-ჰიპოში? ბეჭემოთი უზარი.

**VI. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა: „აბა, გამოიცანი“ (2 წთ.)**

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოს, უჯრებში ჩანერილ ასოებს და მიიღებენ სიტყვას: ჰამბურგერი.

**VII. აქტივობა-რეზუსი (3 წთ.)**

მოსწავლეები წაიკითხავენ რეზუსს: „ბეჭემოთი უზარი ჰამაკშია..“

**VII. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

I. მოსწავლის რვეულში წერენ წინადადებებს.

**II. სავარჯიშოზე მუშაობა-„შეავსე წინადადებები“**

მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, მოსწავლეები აკვირდებიან I სავარჯიშოს და ცარიელ უჯრებს ასოებით ავსებენ. მიიღება წინადადებები: „მასწავლებელმა ბავშვებს გაკვეთილი გამოჰკითხა. ჩვენს წიგნს დედაცა ჰქვია. ლომს ბოკვერი ჰყავს. კენგურუს მუცელზე ჩანთა ჰქონია. მზესუმზირა მუდამ მზეს შეჰყურებს“.

**III. სავარჯიშოზე მუშაობა-„აბა, გამოიცანი“**

მოსწავლეები აკვირდებიან უჯრებში ჩანერილ ასოებს. ჩანერენ გამოტოვებულ ასოებს და მიიღებენ სიტყვას-რეზუსს.

**IV. სავარჯიშო-„უპასუხე კითხვას“**

ჩაიხსენე ბეჭემოთი ყოველ დღით რით ვარჯიშობს? ჰულა-ჰუპით.

## 133-ე გაკვეთილი

### შემაჯავებელი გაკვეთილი „ანბანთქება“

#### გაკვეთილის მიზანი:

- ანბანის სადღესასწაულო აღნიშვნა;
- მოსწავლეთა აქტიურად ჩართვა მრავალფეროვანი ფორმატის შინაარსისა და მიზნების მქონე აქტივობებში, სწავლების სტილის მრავალმხრივობა;
- მოსწავლეთა მოტივირება შემდგომი სწავლისათვის, თვითგანვითარებისათვის (ვიქტორინაში, შეჯიბრებაში, გამოფენაში, კონცერტში მონაწილეობით);
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის გამოვლენა.

ამ გაკვეთილით სრულდება საანბანო პერიოდი. შემაჯავებელი გაკვეთილი „ანბანთქება“ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღებითა და ძალისხმევით უნდა დაგეგმოს. ეს დღე დასამახსოვრებელი უნდა იყოს ყველა პირველკლასელისათვის.

პროცესის დასაგეგმავად შეგიძლიათ გაითვალისწინოთ 77-ე გაკვეთილის სცენარში მოთავსებული რეკომენდაცია, მაგრამ ეს აქტივობა უფრო საინტერესო მაშინ იქნება, თუკი მასწავლებელი მას საკუთარი შემოქმედებითი უნარის გამოყენებით დაგეგმავს, გამოიყენებს მშობელთა შემოქმედებით პოტენციალს, სხვადასხვა რესურსს და პატარების აქტიური მონაწილეობით შთამბეჭდავ საკლასო ღონისძიებას განახორციელებს.

მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ ჩვენს სასწავლო კომპლექტს თანდართული აუდიოდისკიც. სასურველია, დისკზე ჩანერილი მეორე სიმღერაც – ანბანზე – მასწავლებელმა ბავშვებს წინასწარ ასწავლოს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშები მხოლოდ საორიენტაციოა, დანარჩენს მასწავლებელი თავად მოიძიებს.

#### საორიენტაციო მასალა

##### სიმღერა დედანაზე

კითხვას ვსწავლობთ, რა კარგია,  
უკვე ვიცით ანბანი.  
გვინდა, რომ თქვენც მოისმინოთ  
მხიარული ამბავი.

ანბანს წინ რომ მიუძღვება, ასო-ბგერა ანია,  
ამაყია, და-ძმები რომ მასთან ერთად არიან.

აბა-დელა, დელი-დელა,  
ამ სიმღერას მღერის ყველა. (ორჯერ)

ია-ია ხატულებმა მორცხვად თავი დახარეს,  
ილიმიან და ლიმილით გაზაფხული გვახარეს.

თითქოს ზეცა გაიხსნება, დარი დგება მზიანი,  
თუკი ვინმე შემოგხვდება ზრდილი, თავაზიანი.

სიკეთით და სიყვარულით მუდამ ერთად ვიაროთ,  
სიმღერებით ველ-მინდორი უნდა ავაზმიანოთ.

ხელთუპყარი ყველა საქმეს თავს ანებებს მაშინვე,  
ხელმარჯვეს და მოხერხებულს არაფერი აშინებს.

აბა-დელა, დელი-დელა,  
ამ სიმღერას მღერის ყველა. (ორჯერ)  
**წ**რი კაცი გუთანს მისდევს, ოროველას მღერიან,  
**მ**ტროველა ბანს გასძახის, ოდელია-დელია!..

**წ**რთი კაცის ნათქვამია ჭკვიანური აზრიო:  
**წ**ნა უფრო კარგად გაჭრის, ვიდრე ხმალი ბასრიო.

აბა-დელა, დელი-დელა,  
ამ სიმღერას მღერის ყველა. (ორჯერ)  
**შ**ლამაზეს სიმღერებად იქცევიან ბგერები,  
**შ**კეთესად თუ მოუსმენ, თუკი მოეფერები.

**მ**ადლიანი კაცის ხელმა „დედაენა“ გვაჩუქა,  
**მ**ის ფურცლებზე ცხრათვალა მზის სხივმა გამოაშუქა.

აბა-დელა, დელი-დელა,  
აბა დელა, დელია.

აბა-დელა, დელი-დელა,  
ამ სიმღერას მღერის ყველა. (ორჯერ)

ვ. გულეური

### ანბანი

მე ვარ ასო – ანი,  
მე გახლავართ – ბანი,  
მე კი ასო – განი,  
მერე მოსდევს – დონი!  
სხვა და-ძმებიც გვეყვანან –  
ჩვენი მომდევნონი!

ანი, ბანი, განი!  
განი, ბიჭო, განი!  
ჩამომწკრივდით, ნახეთ, –  
დონს მიჰყვება ენი...  
თვალის გასანაფი,  
ენის მოსალხენი.

ოცდაცამეტნი ვართ  
სულ დები და ძმები,  
ყველას შეიყვარებ,  
როცა გაიზრდები!

მ. მრეელიშვილი



\* \* \*

ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,  
განა სიტყვები – ნატვრისთვლებია,  
თუ დაივინყე ენა ქართული,  
მაშ, საქართველო არ გყვარებია.

ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,  
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული,  
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,  
გულში გაკლია ცეცხლი ქართული...

ჩვენ კარგად ვიცით აზრი ხალასი,  
რაც გვიანდერძა წიგნმა ნათელმა,  
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,  
თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.

ა. გურგენიძე

\* \* \*

როგორც მერცხლის კობტა ბუდე  
შვენის სახლებს აივნიანს,  
ისე შვენის წიგნის ფურცელს  
„აი ია“, „აი ია“.

საქართველოს უკვდავება  
მოჩქეფს, განა დაილია,  
დედასავით შევიყვარეთ  
„აი ია“, „აი ია“.

მომავალი თაობები  
აივლიან, ჩაივლიან,  
სულ იქნება ჩვენს მამულში  
„აი ია“, „აი ია“.

ა. გურგენიძე

## ანბანისუქმდგომი პერიოდი

### 134-ე, 135-ე, 136-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „ლიზიკოს წერილი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მოსწავლემ განივითაროს კითხვის უნარ-ჩვევა;
- განივითაროს ზეპირმეტყველება – გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე;
- განივითაროს წერიტი უნარი.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული წერილების ნიმუშები, სახატავი ფურცლები ან ალბომები, ფერადი ფანქრები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – პროვოცირება – რამდენიმე ასოს მიხედვით სიტყვის გამოცნობა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ექვს უჯრას, რომლებშიც წერია პირველი და ბოლო ასოები – ნ და ი.

– თქვენ უნდა გამოიცნოთ, რა სიტყვა ჩავიფიქრე?

მოსწავლეები სხვადასხვანაირად პასუხობენ.

მასწავლებელი კლასს უადვილებს ამოცანას – მე-3 უჯრაში უმატებს ასო რ-ს. ასე გრძელდება, სანამ უჯრებში არ ჩაინერება სიტყვა „წერილი“.

მასწავლებელი კლასს ეკითხება:

– თქვენ თუ მიგიღიათ ვინმესგან წერილი?

– რომელიმე თქვენგანს ხომ არ დაუწერია?

– თქვენ ხომ აქამდე წერა არ იცოდით, გიცდიათ თუ არა სათქმელი ნახატებით გადმოგეცათ?

მასწავლებელი კლასს უკითხავს სხვადასხვა მარტივი და საინტერესო წერილის ნიმუშს. უხსნის მოსწავლეებს, როგორ იგზავნებოდა წერილები, უჩვენებს კონვერტს, მარკას. ელაპარაკება ფოსტის, საფოსტო ყუთის შესახებ, თანამედროვე ელექტრონული შეტყობინებების შესახებ – სატელეფონო გზავნილზე – მე-სიჯზე, ელექტრონულ წერილზე...

#### **II. აქტივობა – ტექსტის კითხვა (15 წთ.)**

მასწავლებელი გადააშლევინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს შესაბამის გვერდზე და ხმამაღლა, გარკვევით უკითხავს ტექსტს „ლიზიკოს წერილი“, შემდეგ აკითხებს რამდენიმე მოსწავლეს.

სვამს კითხვებს:

– ამოიკითხე ტექსტიდან – სად ცხოვრობს ლიზიკო? ბებია?

– რაზე წუხს ლიზიკო?

– რა ურჩია მამამ გოგონას?

– რამდენი სურათი დახატა ლიზიკომ?

– დააკვირდი ნახატებს: ბებომ ლიზიკოს ნახატებით რა გაიგო?

– შენი აზრით, დღეს რა უფრო მოსახერხებელია – წერილების ფოსტით გაგზავნა თუ სატელეფონო გზავნილი – მესიჯი?

– შენ თუ გაგიგზავნია ვინმესთვის წერილი? რა ამბავი აცნობე მას?

– რომელია მოთხრობის სათაური?

#### **III. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **IV. აქტივობა – ტექსტიდან ამოკითხვა (8 წთ.)**

სავარჯიშოების ბლოკში მოცემული კითხვები მოსწავლეებს ავალებს ტექსტში შესაბამისი ადგილების მოძებნას და ამოკითხვას. მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები დავალებას ასრულებენ.

## II ბაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 ნთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (8 ნთ.)**

მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევის განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას.

#### **III. აქტივობა გამოტოვებული სიტყვებით შეადგინე წინადადება(5 ნთ.)**

მოსწავლეები იხსენებენ მოთხრობის შინაარსს. ტექსტის შესაბამისად, მოცემული წერტილების მიხედვით ასახელებენ გამოტოვებულ სიტყვებს- ბებიას,წერილი,სურათი და ადგენენ წინადადებებს.

#### **IV. აქტივობა – ტექსტის მოსმენა და ანალიზი („ხმოვნები და თანხმოვნები“) (8 ნთ.)**

ამ ეტაპისათვის მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ სიტყვის ბგერითი და ასოითი ანალიზი. პრაქტიკულად მათ უკვე შეუძლიათ ხმოვნებისა და თანხმოვნების დიფერენცირება, ხვდებიან განსხვავებას მათ შორის.

ეს აქტივობა ემსახურება იმას, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ, რას ნიშნავს ქართული ანბანი, რამდენი ხმოვანია, რამდენი თანხმოვანი, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან.

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს მცირე მოცულობის ტექსტს „ანბანის სახლის სიმღერები“ ნაწილ-ნაწილ, პაუზებით. ყოველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს, ამონებს მოსწავლეთა ყურადღებას, ტექსტის გააზრების პროცესს. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. კეთდება სათანადო დასკვნა.

#### **V. წუთშესვენება (2 ნთ.)**

#### **VI. აქტივობა შეადგინე წინადადება (3 ნთ.)**

ამ სავარჯიშოს დახმარებით განიმტკიცებენ ხმოვნებსა და თანხმოვნებზე მიღებულ ცოდნას. მოსწავლეები კითხულობენ თანხმოვნებს, გამოტოვებულ ადგილებს ხმოვნებს შეუსაბამებენ და მიიღებენ წინადადებას: „ლიზიკომ თავისი გასაჭირი მამას შესჩივლა“.

#### **VII. აქტივობა – წერა (7 ნთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მოსწავლის რვეულში შესაბამის გვერდზე მოცემული წერიტი სავარჯიშოების ნაწილს.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: ნახატების დახმარებით მისწერონ წერილი მათთვის სასურველ ადამიანებს – თანატოლებს, მეგობრებს, ახლობლებს.

## III ბაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 ნთ.)**

#### **II. აქტივობა – „ჩემი პირველი წერილი“ (7 ნთ.)**

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ სურვილის მიხედვით, ზეპირად გადმოსცენ იმ წერილის შინაარსი, რომლის დაწერაც სურთ.

#### **III. აქტივობა – ტექსტის თხრობა (10 ნთ.)**

საგაკვეთილო ტექსტს მოსწავლეები თხრობით გადმოსცემენ. მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვას.

#### IV. ნუთშესვენება (2 ნთ.)

#### V. აქტივობა – წერა (8 ნთ.)

I. მოსწავლეები წერენ რვეულის შესაბამის გვერდზე მოთავსებული სავარჯიშოების II ნაწილს.

##### II. მოსწავლეები რვეულში ასრულებენ წერით სავარჯიშოს- „ჩასვი გამოტოვებული სიტყვები“

იხსენებენ მოთხრობის შინაარსს. ტექსტის შესაბამისად წინადადებაში სვამენ გამოტოვებულ სიტყვებს: „კონვერტი“, „მარკა“, „ბებოს“.

III. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს: „შემოხაზე სწორი პასუხი“

მოცემული სამი წინადადებიდან ილუსტრაციებზე დაყრდნობით შემოხაზავენ სწორ პასუხს: „ლიზა სკოლაში წავიდა“.

### საკითხავი მასალა

#### ანბანის სახლის სიმღერები

ჩვენი ანბანი ასო-ბგერების უძველესი სახლია. ამ დიდ და მშვენიერ სახლში ოცდაცამეტი და-ძმა ცხოვრობს. მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი და ასეთ ლამაზ სიტყვებს ამიტომაც ქმნიან. და-ძმებში ხუთი – ა, ე, ი, ო, უ მომღერალა. მათ ხმოვნებს ეძახიან, ყველა დანარჩენს კი – თანხმოვნებს. შეგიძლია, ახლავე შეამოწმო: სიტყვას ვერ იპოვი, შიგ რომელიმე ხმოვანი არ ერიოს.

ძველად, ძალიან ძველად, უხსოვარ დროში, ხმოვნები და თანხმოვნები თურმე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ხმოვნები ამბობდნენ: ჩვენ მომღერლები ვართ და ერთად ცხოვრება უფრო გვეხალისებაო.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხმოვნებს თანხმოვნების გარეშე უსიტყვოდ სიმღერა თუ შეეძლოთ. თანხმოვნების უსიმღერო ლაპარაკი კი არავის ესმოდა. შეძლებ, ადვილად გაიგო, რას ნიშნავს ნბნ, სხლ და სმლრ? – რა თქმა უნდა, არა.

ამიტომაც გადაწყვიტეს ხმოვნებმა და თანხმოვნებმა ანბანის დიდი, ლამაზი სახლის აშენება.

დაიმახსოვრე, ასო-ბგერების დიდებული საცხოვრებელი მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმეა, მათგან ერთ-ერთი კი ჩვენია, ქართულია. ხომ მართლა საამაყოა?

ახლა, როცა ჩვენი ანბანის ხმოვნები და თანხმოვნები ერთად ცხოვრობენ, ალბათ, უკვე მიხვდი, რომ ნბნ – ანბანია, სხლ – სახლია, სმლრ კი – სიმღერა.

ჩვენი ანბანის სიმღერების მოსმენას ამქვეყნად არაფერი შეედრება! იცი, რატომ? ის ჩვენია, მშობლიურია!

**გაკვეთილის თემა:** „თხა და გიგო“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება (სწორი, გააზრებული კითხვა);
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ზეპირმეტყველების განვითარება – ილუსტრაციების აღწერით, უცნობი სიტყვების ახსნით, კითხვა/პასუხით;
- სწორად წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება (7 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– მოდი, დავაკვირდეთ სურათებს. რა არის პირველ სურათზე გამოსახული? (ბიჭი მორზე ზის, ხელში წიგნი უჭირავს, ბუჩქნარიდან თხა იცქირება).

– ახლა მეორე სურათი აღვწეროთ. თქვენი აზრით, ბიჭი წიგნს მართლა კითხულობდა? (ბიჭს ეძინება, ბუჩქნარიდან გამოსული თხა კი მას უახლოვდება).

– დააკვირდით მესამე სურათს და მიპასუხეთ: რა შეემთხვა ბიჭს? (ბიჭი მორიდან გადავარდნილა. ცხადია, მას თხა დაეჯახა).

– თქვენი აზრით, ეს ბიჭი ზარმაცია თუ ბეჯითი? რატომ გგონიათ ასე? რას ნიშნავს „ბეჯითი“?

– ბიჭს რა სახელს დაარქმევდით?

– მოთხრობა, რომელსაც დღეს შევისწავლით, იაკობ გოგებაშვილმა დაგვიწერა (ამ პერიოდისთვის მწერლისა და „დედაენის“ შემდგენლის შესახებ მოსწავლეებმა უკვე თითქმის ყველაფერი იციან). არ გაინტერესებთ, მწერალმა ბიჭს რა დაარქვა? ამას მოთხრობის კითხვისას გავიგებთ. ეცადეთ, ყურადღებით იყოთ.

#### III. აქტივობა – მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო ტექსტის კითხვა (8 წთ.)

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს სათანადო ინტონაციის დაცვით. აქტივობას იგი წარმართავს ე. წ. „პაუზებით კითხვით“. პირობითად მოთხრობა სამ ნაწილად გაიყოფა:

I – „შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო“.

II – „ასკილივით დაიწყო თავის ქნევა“.

III – „ყირამალა გადატრიალდა ჩვენი თავმომწონე გიგო“.

მასწავლებელი პირველი ნაწილს ნაკითხვისთანავე ითხოვს პასუხს შეკითხვაზე (ავტორს ბიჭისთვის გიგო დაურქმევია). ეკითხება, როგორაა შესაძლებელი ამბის განვითარება, რა შეიძლება მოხდეს?

ამ აქტივობის დროს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აიხსნება უცნობი სიტყვები და გა-  
მოთქმები: „ძილი მოერია“, „ასკილივით თავის ქნევა“, „ყირამალა“, „თავმომწონე“.

#### **IV. ნუთშესვენება (3 წთ.)**

#### **V. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის კითხვაში – ინდივიდუალურად, წყვილებში, კითხვის გაგრძელებით, გამოკრებით.

#### **VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას მიმართავს შერჩეული წინადადებებისკენ, ეკითხება, რამდენი სიტყვაა წინადადებაში, მითითებულ სიტყვაში რამდენი მარცვალა, მარცვალში რამდენი ასო-ბგერაა, რამდენია მთლიანად სიტყვაში, რა წერია წინადადების ბოლოს (ნერტილი). ვინმემ ხომ არ იცის, რატომ უნდა ეწეროს ნერტილი? (მზადება შემდგომი გაკვეთილისთვის).

### **II გაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (10 წთ.)**

მოსწავლეები კითხვებზე პასუხით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. კითხვები თანდათან რთულდება, მთავრდება შეფასებით და სათანადო დასკვნის გაკეთებით.

სასურველია, მასწავლებელმა ხშირად მოითხოვოს პასუხების ტექსტიდან ამოკითხვა – სადაც ეს შესაძლებელია.

- რა თქვა ერთხელ გიგომ? – ამოიკითხეთ.
- რა ქნა ბიჭმა?
- როგორ ედო ბიჭს წიგნი? – ამოიკითხეთ.
- რა ეგონა თხას?
- რა ქნა თხამ? – ამოიკითხეთ
- როგორი ბიჭია გიგო?
- რას ნიშნავს თავმომწონე? შეიძლება ადამიანი თავმომწონე იყოს? რატომ? საიდან ჩანს, რომ ბიჭი თავმომწონეა?
- თქვენი აზრით, ბიჭმა თავი მოიწონა თუ შეირცხვინა? რატომ ფიქრობთ ასე?
- გაიხსენეთ მოთხრობის სათაური.
- ვინ არის ავტორი?
- მოგეწონათ მოთხრობა თუ არ მოგეწონათ? რატომ?

#### **III. აქტივობა – ლექსის ნაკითხვა და ანალიზი (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოთხრობის ბოლოს მოთავსებული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშზე. სასურველია, ტექსტი კითხვაში განაფულ მოსწავლეს ნაკითხოს. აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები: „ვაჟი“, „მარდი“, „წელი გწყდება“. მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „ქება“ ირონიის, დაცინვის შემცველია. რა თქმა უნდა, სიზარმაცე საქებარი არაა.

- უქნარას საქმეზე წელი სწყდება... ვთქვათ ერთი სიტყვით (ეზარება).
- როგორ გესმით, „პურის ჭამაზე მარდი ხარ“? (ჭამაში ყოჩალი და სწრაფი ხარ).
- არის თუ არა გიგოს საქციელი ქების ღირსი?

– როგორ ადამიანს თვლით ქების ღირსად?

მოსწავლეები დაასკვნიან, რომ გიგოს საქციელი ქებას არ იმსახურებს.

**IV. წუთშესვენება (1 წთ.)**

**V. აქტივობა – კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი კლასს ავარჯიშებს ლექსის სწორად, გააზრებულად და საჭირო ინტონაციით წაკითხვაში.

**VI. აქტივობა – წერა (12 წთ.)**

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები წერენ მოსწავლის რვეულში.

**III ბაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – ტექსტის თხრობა (13 წთ.)**

მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ საგაკვეთილო ტექსტის შინაარსს. კითხულობენ ლექსს.

**III. აქტივობა – „შეადგინე წინადადება“ (3 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტის შესაბამისად, მოცემული წერტილების მიხედვით ასახელებენ გამოტოვებულ სიტყვებს: „ზარმაცი“, „ტყუილად“ და ადგენენ წინადადებებს.

**IV. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)**

შესრულებული სავარჯიშოს ორივე წინადადება დაფაზე იწერება. მოსწავლეები ახდენენ მათ ანალიზსა და სინთეზს.

**V. წუთშესვენება (1 წთ.)**

**VI. აქტივობა – „რომელია სწორი პასუხი?“ (2 წთ.)**

მოსწავლეები განიხილავენ სამივე სავარაუდო პასუხს, შეარჩევენ სწორ ვარიანტს – „ძილი მოერია“.

**VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

სათანადო მითითების შემდეგ მოსწავლეები წერენ.

**გაკვეთილის თემა:** უზარი დაბადების დღისთვის ემზადება

**გაკვეთილის მიზანი:**

- გააზრებული კითხვისა და წერის ჩვევის დაუფლება;
- ნიმუშზე დაყრდნობით მარტივი პრაგმატული ტექსტის შედგენა;
- წერიტი დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- ტექსტში წერტილის დანიშნულების ახსნა და გააზრება (წინადადების დასრულება პაუზით, წერტილით);
- მართლმეტყველების წესების დაცვა – სიტყვების ერთმანეთისგან პაუზით გამოყოფა, პაუზები სასვენი ნიშნებთან და წინადადებების საზღვრების შესაბამისად;
- მარტივი ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- სწორი წერის ჩვევის დაუფლება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება (მოტივირება) (8 წთ.)

წერტილის დანიშნულების მარტივად ასახსნელად გთავაზობთ შემდეგ სავარჯიშოს:

მასწავლებელი დაფაზე წერს მარტივი წინადადებებით შედგენილ ნებისმიერ პატარა მოთხრობას, რომელშიც წერტილები საგანგებოდ იქნება გამოტოვებული. სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი. მოსწავლეები მიხვდებიან, რომ საჭიროა წინადადებების გამიჯვნა წერტილით, სხვა შემთხვევაში აზრი გაუგებარი იქნება. წერტილები დაისმება. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ კითხვისას საჭიროა წერტილებთან მცირე ხნით შეჩერება – პაუზის გაკეთება.

პაუზით ერთმანეთისგან გამოიყოფა სიტყვები, გამოიხატება წინადადების დასრულება, მას ვიცავთ სასვენი ნიშნებთან.

ყოველივე ამის ასახსნელად, სასურველია, მასწავლებელმა ტექსტი დაფაზე მიჯრით დაწეროს (სადაც არ იქნება დაცული არც სიტყვების, არც წინადადებების საზღვრები). მოსწავლეები აკვირდებიან ტექსტს, ხვდებიან, რომ საჭიროა სიტყვების ერთმანეთისგან მცირე მანძილით დაცილება, წინადადებების გამიჯვნა წერტილით, კითხვისას კი ყოველივე ამის პაუზებით გამოხატვა.

#### III. აქტივობა – ტექსტის კითხვა და ანალიზი (10 წთ.)

მასწავლებელი ტექსტს წააკითხებს კითხვაში განაფულ ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს. სვამს კითხვებს ტექსტის მიხედვით:

რისთვის ემზადება უზარი?

რა მისწერა ბიბიმ მეგობარს?

რა უსურვა რინომ უზარს?

რით იწყებენ მისალოცი ბარათის წერას? რით ამთავრებენ?



**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – “მისალოცი ბარათის ნიმუშები“ (12 წთ.)**

საწყის ეტაპზე მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მისალოცი ბარათს აქვს სხვადასხვა ფორმა/სტრუქტურა და შინაარსი. უჩვენებს შესაბამისი ტიპის მისალოცი ბარათის მოდელებს, ყურადღებას გაამახვილებს ამ ბარათების სტრუქტურულ ელემენტებზე (მიმართვა, ძირითადი ტექსტი და დასასრული) მოსწავლეებს უჩვენებს მისალოცი ბარათის ორ ნიმუშს და სთხოვს გამოიცნონ, ვინ შეიძლება იყვნენ ამ ბარათების ადრესატები. ასწავლის კონვერტის გაფორმების წესსაც.

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – “მარტივი მისალოცი ბარათის შექმნა“ (15 წთ.)**

მასწავლებელი საყრდენად იყენებს მარტივი მისალოცი ბარათის ნიმუშს და მოსწავლეებს შეადგენინებს მარტივ ტექსტს ბარათისათვის. აქტივობაში მონაწილეობას იღებს მთელი კლასი და მისალოცი ბარათებს ადგენენ ინდივიდუალურად.

ძვირფასო-----  
-----  
-----

შენი მეგობარი (სახელი)

**III. აქტივობა – “ხმოვნები და თანხმოვნები“** მასწავლებელი განამტკიცებს მოსწავლეთა ცოდნას ქართული ანბანის ასო-ბგერებზე – ხმოვნებსა და თანხმოვნებზე.

იხსენებენ, რამდენი ასო-ბგერაა ქართულ ანბანში, რამდენია ხმოვანი, თანხმოვანი. მოისმენენ პატარა ტექსტს ხმოვნებზე:

**საინტერესო აღმოჩენა**

ერეკლე უკვე პირველკლასელია. მან კითხვაც კარგად ისწავლა, წერაც და თვლა-ანგარიშიც. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ერეკლე დაკვირვებული ბიჭიცაა. ის უკვე საინტერესო აღმოჩენის ავტორია.

პირველკლასელი ბიჭუნა ხმოვნებს დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ **ა ე ი ო უ** ბგერების წარმოთქმისას ღია პირი თანდათანობით იხურება, პატარავდება, ტუჩები კი ვიწროვდება, მრგვალდება. აბა სცადეთ, თვითონვე წარმოთქვით ხმოვნები ასეთი თანმიმდევრობით: **ა ე ი ო უ**.

ახლა მაინც ხომ მეთანხმებით, რომ ჩვენი ერეკლე მართლა დაკვირვებული ბიჭი ყოფილა?

მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს ხმოვნების სწორად წარმოთქმაში.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები წერენ რვეულში მითითებულ სავარჯიშოს ტექსტს მისალოცი ბარათისათვის (ნიმუშის მიხედვით).

**გაკვეთილის თემა:** „თქმა ვინ იცის არაკისა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება (გააზრებული კითხვა);
- ზეპირმეტყველების განვითარება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მართლმეტყველება, ლექსის წაკითხვა შესატყვისი ინტონაციით;
- ენობრივ მასალაზე მუშაობა;
- სწორი წერის ჩვევის დაუფლება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

**I. აქტივობა – საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (მოტივირებისთვის) (6 წთ.)**

მასწავლებელი წარმოთქვამს აზრობრივად სწორ და არასწორ წინადადებებს. შესაბამისად, მოსწავლეები პასუხობენ, შეიძლება თუ არა, სწორი იყოს წინადადებაში გამოთქმული აზრი:

- თევზმა მაღალ მთას გადაუფრინა. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)
- დედამ ნამცხვარი გამოაცხო. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)
- ჭიამიამ ბუდე გაიკეთა. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)
- ქეთის თოჯინა სკოლაში სწავლობს. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)...

მასწავლებელი დასვამს კითხვებს:

- თქვენი აზრით, რა იქნება არაკი?
- რა ხდება არაკში?

(არაკში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. არაკი ზღაპრული შინაარსის, მცირე მოცულობის ამბავია. მასში გადმოცემულია გამოგონილი ამბები).

- ახლა კი გავარკვიოთ, არაკად თქმულ ლექსში ავტორმა (მაყვალა მრევლიშვილმა) რა გამოიგონა?

მასწავლებელი მოკლედ ისაუბრებს ნაწარმოების ავტორის შესახებ. შეიძლება, რომელიმე მოსწავლემ იცოდეს და თქვას კიდევაც მაყვალა მრევლიშვილის რომელიმე ცნობილი ლექსი.

**III. აქტივობა – კითხვა (7 წთ.)**

ამ პატარა ტექსტს შესატყვისი ინტონაციით კითხულობს თავად მასწავლებელი. ნაკითხვებს კითხვაში განაფულ ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს.

**V. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (7 წთ.)**

აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „კისა“, „ბარაქა“, „არაკი“... შეიძლება მათი გამოყენებით მოსწავლეებს წინადადებებიც შევადგინოთ.

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ლექსის პერსონაჟებს, გვერდით კი – წინადადებებს ტექსტიდან. სთხოვს მოსწავლეებს, ტექსტის შინაარსის მიხედვით გასცენ პასუხი კითხვაზე: „რას აკეთებენ?“ (ტექსტის მიხედვით) ამავე სავარჯიშოს მოსწავლეები რვეულშიც ასრულებენ.

ციყვი
ხოჭო
კურდღელი
კალმახი
იხვი

მოსწავლეები წინადადებებს შესატყვის სახელებთან ტექსტის მიხედვით აკავშირებენ. აკვირდებიან ზღაპრულ სიუჟეტებს.

**VI. აქტივობა „უბასუხე“**

მოსწავლეები მსჯელობენ, რას აკეთებენ ეს არსებები სინამდვილეში. ჩამოთვლილ პერსონაჟთა გვერდით ახლა ისეთი წინადადებები დაინერება, რომლებშიც რეალური ამბები იქნება ასახული. მაგ.:

ციყვი ხეზე დახტის.

ხოჭო მინაზე დაცოცავს.

კურდღელი სოროში იმალება.

კალმახი წყალში ცურავს.

იხვი გუბეში ჭყუმპალაობს.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეთა მეტყველებას. ავარჯიშებს მათ ლექსის მხატვრულად კითხვაში.

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ლექსს მხატვრულად კითხულობენ. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს შესატყვისი ინტონაციის დაცვაზე.

**III. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (6 წთ.)**

შეიძლება მუშაობა სხვადასხვა ენობრივ სავარჯიშოზე. მაგ.: წინადადების ანალიზი, ორსიტყვიანი წინადადების გავრცობა, თხრობითი და კითხვითი წინადადებების შედგენა, ხმოვნებისა და თანხმოვნების ამოცნობა, საგნის ნიშან-თვისებათა გამომხატველი სიტყვების მოფიქრება, საგნის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის გამოცნობა და ა. შ.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – თხრობა (5 წთ.)**

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, ხომ არ წაუკითხავთ ან მოუსმენიათ რაიმე იგავ-არაკი. მსურველებს მოაყოლებს, თანაც ეხმარება, რომ გამართულად იმეტყველონ.

ან თავად მოუთხრობს არაკს, შემდეგ კი მოსწავლეებს მოათხრობინებს.

ავალებს მოსწავლეებს, მოიფიქრონ რაიმე ზღაპრული სიუჟეტის მქონე არაკი (შეძლებისდაგვარად).

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულში მითითებულ სავარჯიშოს.

**გაკვეთილის თემა:** „ცრუ“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მოსწავლემ განივითაროს კითხვის უნარ-ჩვევა;
- შეძლოს მარტივი ინფორმაციის გადმოცემა მისთვის ნაცნობ თემაზე;
- გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- განივითაროს წერითი უნარი, შეძლოს ტექსტიდან მარტივი წინადადებების გადანერა. შეადგინოს მარტივი წინადადებები.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი შესწავლილი ტექსტიდან ამბობს წინადადებებს. თუ ეს წინადადება ტექსტის შესაბამისია, მოსწავლეები ამბობენ: „მართალია“, თუ არასწორია, ამბობენ: „ტყუილია“.

მასწავლებელი ამბობს: – გავიხსენოთ ნასწავლი მოთხრობები და ლექსი. თუ სწორად ვიტყვი წინადადებას, რომელიც ამ ტექსტში იყო მოცემული, მეტყვი: „მართალია“, თუ არა – „ტყუილია“.

ციყვი ცაში გალობს. (ტყუილია)

გიგო ბეჯითი ბიჭია. (ტყუილია)

ხოჭოს ადგას უღელი. (მართალია)

ლიზიკო სოფელში ცხოვრობს. (ტყუილია)

ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: – რა არის სიცრუე? თუ ვერ მიხვდნენ, ეტყვის, რომ იგივე ტყუილია.

#### **II. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

– მოდი, ნავიკითხოთ და გავიგოთ, რა მოხდა ამ მოთხრობაში.

მასწავლებელი უკითხავს ტექსტს ხმამაღლა, მკაფიოდ, შემდეგ აკითხებს კითხვაში განაწულ რამდენიმე მოსწავლეს. ახსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს:

ყანა – მარცვლეულის ნათესი.

მახლობლად – ახლოს.

დავაფეთებო – შევაშინებო.

ყვირილი მორთო – აყვირდა.

ყურიც არ ათხოვეს – არ მოუსმინეს.

თავს უშველა – გაიქცა.

დაერია – თავს დაესხა.

დავაფეთებ-შევაშინებ

#### **III. აქტივობა – „ამოიკითხე ტექსტიდან“ (10 წთ.)**

ამოიკითხეთ ტექსტიდან:

- რას აკეთებდა ბიჭი?
- რა იფიქრა ბავშვმა?
- რამდენჯერ მოატყუა ბიჭმა გლეხები?
- რატომ არ დაუჯერეს გლეხებმა ბიჭს?
- რა მოჰყვა ბიჭის ტყუილს?
- რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „ცრუ“?
- ხომ არ გაიხსენებდით შემთხვევას, როცა ტყუილი გითქვამთ?

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – დასკვნა (3 წთ.)**

- დავახასიათოთ ბიჭი: მატყუარა, წინდაუხედავი.
- როგორი საქციელია ტყუილის თქმა? მოსაწონია ბიჭის საქციელი? რატომ?
- შეიძლება თუ არა მატყუარა ადამიანის გამართლება?

**II ბაკჰეითილი**

**I. აქტივობა – ენობრივი ერთეულების ამოცნობა (10 წთ.)**

**II. აქტივობა – ფრაზეოლოგიური გამონათქვამის ახსნა „რომელია სწორი პასუხი?“ (3 წთ.)**

- „ყური არ ათხოვეს“
- მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას:
- შეარჩიეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხი:
- ყური არ თხოვეს, ე. ი. აღარ მოუსმინეს. აქვე აიხსნება:
- ხმა არ გასცეს – არ დაელაპარაკნენ.

**III. აქტივობა – ანდაზის შედგენა (10 წთ.)**

მასწავლებელი წააკითხებს ამ სავარჯიშოში მოცემულ ყველა სიტყვას და აძლევს ინსტრუქციას: დაუკვირდით სიტყვებზე დაწერილ რიცხვებს და დაალაგეთ თანმიმდევრობით, შესაბამისად ანდაზაც აეწყობა.

- „ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო“.
- აკითხებს ანდაზას და სვამს კითხვებს:
- რამდენი სიტყვისგან შედგება ანდაზა? (ხუთი)
- აქვე განმარტავს, რა არის ანდაზა: ანდაზა ბრძნული გამონათქვამია, რომელიც გვასწავლის, რა არის კარგი და რა – ცუდი.
- ამის შემდეგ სვამს კითხვას:
- ეთანხმებით თუ არა ამ ანდაზას? რატომ?
- შესაძლებელია ამ ანდაზის შესწავლა გაკვეთილის პროცესში.

**IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

**V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოებს. ყურადღება ექცევა ასოთა პროპორციებს, მოხაზულობას, მანძილს ასოთა შორის, სიტყვათა შორის.

**გაკვეთილის თემა:** „ბერიკაცი და ნამყენი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება; ინფორმაციის გადმოცემა, სურათის აღწერა, გაბმული თხრობა, მსჯელობა სხვადასხვა ზნეობრივ ღირებულებაზე;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება: კითხვა ხმამაღლა, მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით, ტექსტში მარტივი ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- წერიტი უნარის განვითარება – წიგნიდან გადაწერა, მარტივი წინადადებების შედგენა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რეგული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – პროვოცირება (7 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

- წელიწადის რა დროა ახლა?
- რა შრომა-საქმიანობას ეწევიან ადამიანები გაზაფხულზე?
- თქვენ თუ გინდათ ხის დარგვა?
- რამდენი ხე დაგირგავთ?
- უფროსებს თუ დაკვირვებისხართ, როგორ უვლიან ხეხილს გაზაფხულზე? (სხლავენ, ამყნობენ)
- ხეხილის მყნობა თუ გინახავთ?

მოთხრობაში, რომელსაც დღეს წავიკითხავთ, შეგვხვდება სიტყვა „ნამყენი“. ნამყენი მყნობით გამოყვანილი მცენარეა. ერთი მცენარის კვირტს მეორეზე იმგვარად გადანერგავენ, რომ ისინი ერთმანეთს შეეზარდონ. ამ დროს ახალი ჯიშის მცენარეს ვიღებთ. მაგალითად, თქვენ გიჭამიათ ვაშლატამა. ხომ გემრიელია? ეს მცენარე მყნობითაა გამოყვანილი.

#### **II. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)**

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და აკითხებს კითხვაში განაფულ რამდენიმე მოსწავლეს. ახსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს.

#### **III. აქტივობა – „ამოიკითხე ტექსტიდან“ (5 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს: – ამოიკითხეთ ტექსტიდან:

- რას აკეთებდა ბაღში მოხუცი კაცი?
- რა უთხრა შვილიშვილმა ბაბუას?
- როგორ დაარიგა მოხუცმა შვილიშვილი?
- წაიკითხეთ ბოლო წინადადება. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს გამოთქმა?
- ფუტკარი სხვებზე როგორ ზრუნავს?
- თქვენ თუ გიზრუნიათ სხვისთვის? როგორ? რაში გამოიხატა თქვენი მზრუნველობა?
- თვლით თუ არა, რომ ხის დარგვაც, ხეხილის მყნობაც სხვის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობაა?

#### **IV. წუთმსვენება (1 წთ.)**

**V. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „როგორია?“ (დახასიათება) (5 წთ.)**

დაფაზე დახაზულია წრე, რომელშიც წერია „ბერიკაცი“. კეთდება „აზრობრივი რუკა“.

მასწავლებელი ამბობს:

– დავახასიათოთ ბერიკაცი. თქვენი აზრით, როგორია იგი? (ჭკვიანი, წინდახედული, მზრუნველი, მშრომელი, გონიერი...)

**VI. აქტივობა – დასკვნა (2 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას:

– შემოხაზეთ ის პასუხები, რომელიც სწორად მიგაჩნიათ. მოსწავლეები შემოხაზავენ სასურველ პასუხს. მასწავლებელი რამდენიმეს აკითხებს, ეკითხება:

– რატომ მიიჩნევ ასე?

**II გაკვეთილი**

**I. აქტივობა – „მარცვალთა პირამიდა“ (3 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას:

– სიტყვიდან „მოხუცებული“ ააგეთ მარცვალთა „პირამიდა“. ეს სიტყვა ხუთმარცვლიანია. პირამიდა იგება მარცვალთა რაოდენობის ზრდის მიხედვით.

**III. აქტივობა – „დაასახელე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას:

შეარჩიეთ და დაასახელეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. მოსწავლეები კითხულობენ სიტყვებს და ზეპირად ასახელებენ.

**IV. აქტივობა – „გადახაზე ზედმეტი“ (12 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს ორ წინადადებას:

1. ერთი კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა.
2. ბაბუა, ასე რატომ ეწვალეები?

მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას:

- გადახაზეთ მხოლოდ თანხმოვნები.
- გადახაზეთ მხოლოდ ხმოვნები.
- ორი წინადადებიდან ის შემოხაზეთ, რომელიც კითხვას გამოხატავს.

**V. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (13 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულში მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასოთა პროპორციებს, მოხაზულობას, მანძილს ასოთა შორის, სიტყვათა შორის.

## 149-ე, 150-ე გაკვეთილი

გაკვეთილის თემა: „ვაშლის ხე“

გაკვეთილის მიზანი:

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება: ტექსტში მარტივი ენობრივი ერთეულების ამოცნობა; კითხვის ტექნიკის დახვეწა;
- ლექსის მხატვრული ღირებულების გაცნობა;
- სამოქალაქო ღირებულების განვითარება; გარემოსადმი მზრუნველობის უნარის ჩამოყალიბება;
- წერიტი უნარის განვითარება – წიგნიდან გადაწერა, მარტივი წინადადებების შედგენა.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – პროვოცირება (10 წთ.)

მასწავლებელი ამბობს:

– დაასახელეთ ხუთი ხის სახელი

მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ და დაასახელონ ხის სახელები, მაგ: ფიჭვი, ნაძვი, მუხა, წიფელი, ცაცხვი. შემდეგ აგრძელებს სხვა მოსწავლე და ა.შ.

მასწავლებელი სვამს კითხვას:

-რა მნიშვნელობა აქვს დედამიწისათვის ხეებს?

მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს.

მასწავლებელი ესუბრება მოსწავლეებს ხეების საციცოცხლო მნიშვნელობაზე. გამართავს მსჯელობას ტყის დაცვისა და ადამიანის გარემოსადმი პასუხისმგებლობის შესახებ.

#### II. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი მხატვრულად კითხულობს ლექსს და აკითხებს კითხვაში გაწაფულ რამდენიმე მოსწავლეს. ახსნის უცნობ სიტყვების მნიშვნელობას. (დავარწყულეთ-მოვრწყეთ; მასპინძელი-ვინც სტუმარს ხვდება).

მოსწავლეები ვარჯიშობენ ლექსის კითხვაში.

#### III. აქტივობა – „ამოიკითხე ტექსტიდან“ (10 წთ.)

მასწავლებელი ამბობს: – ამოიკითხეთ ტექსტიდან:

-რა დაემართა ვაშლის ხეს ზამთარში?

-როგორ უვლიდნენ მას ბავშვები?

-რამ გაახარა ბავშვები მეორე ზაფხულს?

-მისაბაძია, თუ არა მათი საქციელი? რატომ?

შენი აზრით:

-რა მნიშვნელობა აქვს ხეების მოვლას?

-შენ თუ უვლი ხეებს, ყვავილებს? როგორ?

- თვლი თუ არა, რომ ხის დარგვა ადამიანების მიმართ გამოჩენილი მზრუნველობაა? რატომ?



## II ბაკვეთილი

### I. აქტივობა – „აღწერე“ (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას:

-როგორი შეიძლება იყოს ხე?(აღწერეთ)

მოსწავლეები აღწერენ ხეს შესაბამისი სიტყვებით. მაგ, ფოთლოვანი, წიწვოვანი, შრიალა, მაღალი და ა.შ...

### II. აქტივობა – „ენის გასატეხი“ (5 წთ.)

„ხ“ ბგერის ალიტერაციის მიზნით მოსწავლეები ვარჯიშობენ ენის გასატეხის წაკითხვა-გამოთქმაში:

ხე გადახვევს ხეს ხელს

გაახარებს ხე ხეს.

მუხა —თხმელას, თხმელა-მუხას,

ხე გადახვევს ხეს ხელს.

(ი.ხარაძე)

### V. წუთშესვენება (2 წთ.)

### VI. აქტივობა – წერა (13 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ რვეულში მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოებს.

ენის გასატეხს გადაწერენ მოსწავლის წიგნიდან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასოთა პროპორციებს, მოხაზულობას, მანძილს ასოთა შორის, სიტყვათა შორის.

### VII. აქტივობა-ხატვა(10 წთ.)

მოსწავლეები სახატავ რვეულში საკუთარი ფანტაზიით ხატავენ ილუსტრაციას ლექსის მიხედვით.

## 151-ე, 153-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** ხალხური პოეზია („ვახტანგ მეფე“, „ჩვენი ბატონი ერეკლე“).

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება – კითხვის ტექნიკის დახვეწა, მუშაობა კითხვის პრობლემატიკაზე;
- მაღალი ზნეობრივი ღირებულებების (პატრიოტიზმი, ვალდებულებები საშობლოს წინაშე) ფორმირება;
- სწორად წერის უნარის განვითარება, წიგნიდან გადაწერა, კითხვა-პასუხი.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – მოტივირება (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ხალხური ზეპირმეტყველების შესახებ, განუმარტავს, რა არის ხალხური ლექსი, როგორ იქმნებოდა იგი, როგორ მოაღწია ჩვენამდე, ეუბნება, რომ ხალხურ ნიმუშებში ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულიც გადმოიცემოდა. შემდეგ კლასს ეკითხება:

- ვის შეუძლია დაასახელოს საქართველოს მეფეები?
- ხომ არ იცით, ვინ იყო ვახტანგ გორგასალი და პატარა კახი?

დღეს ჩვენ გავეცნობით ხალხურ ლექსებს ჩვენს სახელოვან მეფეებზე. ესენი იყვნენ ვახტანგ მეფე და ერეკლე მეფე.

#### II. აქტივობა – ლექსის წაკითხვა და ანალიზი (15 წთ.)

მასწავლებელი ჯერ თავად წაუკითხავს მოსწავლეებს ლექსს, შემდეგ მათ წააკითხვებს. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით გააანალიზებს ლექსის თითოეულ სტრიქონს, განუმარტავს მათ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას (იალბუზი, დრეკა, ჯაჭვის პერანგი, კახი). ლექსს წააკითხვებს კითხვაში განაფულ ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს.

#### III. აქტივობა – „აზრობრივი რუკის შედგენა“ (15 წთ.)

მოსწავლეები ჩვეულებრივი წესით ადგენენ „აზრობრივ რუკას“. ორ წრეში ჩაინერება თითოეული მეფის სახელი. მასწავლებელი მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით დაახასიათებს მათ. შეიძლება, შეადგინონ „ვენის დიაგრამა“. ყურადღება გაამახვილებინეთ სახელოვანი მეფეების საერთო და განმასხვავებელ თვისებებზე. მოსწავლეები სახელმძღვანელოში შეასრულებენ შესაბამის სავარჯიშოს.

## II გაკვეთილი

#### I. აქტივობა – დასკვნის გამოტანა (10 წთ.)

სავარაუდოდ, მოსწავლეები გამოიტანენ დასკვნას, რომ ყოველ მამულიშვილს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთება და სახელოვანი ცხოვრება მართებს. ეს აქტივობა შეიძლება ჯგუფური მუშაობითაც შესრულდეს.

**II. აქტივობა – წიგნზე მუშაობა (12 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის შესატყვისი ინტონაციით კითხვაში. აკვირდებიან საკუთარ სახელებს. მასწავლებელი სხვადასხვა მოსწავლეს ამოაკითხვინებს წიგნში მოცემული კითხვების პასუხებს, დაუსვამს დამატებით კითხვებს. გამოათქმევინებს მოსწავლეებს საკუთარ აზრს კითხვაზე: “როგორია ორივე მეფე?” შემდეგ დაამარცვლინებს ბოლო სავარჯიშოში მოცემულ სიტყვებს და ჩაანერინებს უჯრებში.

**III. აქტივობა – დამოკიდებულების გამოხატვა (3 წთ.)**

მასწავლებელი კლასს უსვამს კითხვებს:

– თქვენი აზრით, რა არის მთავარი და საინტერესო ამ ლექსში? რა დაგამახსოვრდათ? რა მოგეწონათ? რა არ მოგეწონათ? რატომ? ვისაც სურვილი აქვს, გამოათქმევინებს საკუთარ შეხედულებებს.

**IV. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის ინსტრუქციას, წერენ მოსწავლის რვეულში.

**გაკვეთილის თემა:** „ჩიტის ბუდე“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მუშაობა კითხვის ტექნიკაზე;
- დამოკიდებულებათა გამოხატვა გარე სამყაროს მიმართ. ეკოლოგიურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება;
- ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- ვარჯიში ნერაში.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – პროვოცირება (9 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– ყველაზე უფრო მშვიდად, მყუდროდ სად გრძნობენ ისინი თავს? (სავარაუდო პასუხები: მეგობრებთან, ბუნებაში, ეზოში, მარტო, სახლში).

– ყველას აქვს თავისი სახლი, სადაც ის კარგად გრძნობს თავს. ჩიტსაც თავისი ბუდე უყვარსო, ნათქვამია.

– თქვენი აზრით, რა შეიძლება დაემართოს ჩიტს, რომელსაც ბუდეს დაუნგრევენ ან ბუდიდან ამოიყვანენ?

– თქვენ მოგეწონებათ, თუ ისინი უსუსურად იგრძნობენ თავს?

– როგორ მოიქცევით, როცა ჩიტის ბუდეს ან ბუდეში ჩასხმულ ბარტყებს დაინახავთ?

– როგორ მოიქცევით, როცა ცხოველისა თუ ფრინველის საცხოვრებელ ადგილს – სოროს, ფულუროს – დაინახავთ?

#### II. წუთშესვენება (1 წთ.)

#### III. აქტივობა – სიტუაციური თამაში (ჯგუფური მუშაობა) (15 წთ.)

მასწავლებელი კლასს ორ ჯგუფად ყოფს და ავალებს მათ:

ნარმოიდგინეთ, რომ:

I ჯგ. – ტყეში სორო ნახეთ, სოროდან ბაჭიები იჭყიტებიან, დედა კურდღელი კი არსად ჩანს. როგორ მოიქცევით?

II ჯგ. ნარმოიდგინეთ, რომ ჩიტის ბუდე ნახეთ. ბუდეში სამი ბარტყი ზის, პანებს შიათ და სცივათ. რას იზამთ?

მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ პასუხებს (პრეზენტაცია). მასწავლებელი მათ ვარაუდებს, პასუხებს დაფაზე წერს.

#### IV. აქტივობა – ნერა (10 წთ.)

## II გაკვეთილი

### I. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას „ჩიტის ბუდე“. კითხვის დაწყებამდე მოსწავლეებს აცნობს ტექსტის ავტორს. აკითხებს ეპიზოდებად. ყურადღებას ამახვილებს იმ ადგილზე, როცა ბავშვები ბარტყებს ბუდიდან ამოსხამენ. შემდეგ კი აკვირდებიან: რა მოსდით ბარტყებს, რომლებსაც მყუდროებას დაურღვევენ?

### II. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (10 წთ.)

შევადაროთ ერთმანეთს:

– როგორ მოიქცნენ ელენე და ნიკო?

– თქვენ როგორ მოიქცეოდით?

მოსწავლეები ცალ-ცალკე ადარებენ, ცდილობენ, აღმოაჩინონ მსგავსება და განსხვავება.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას:

– ნიკოს და ელენეს მზრუნველობის მიუხედავად, რატომ ვერ დაწყნარდნენ ბარტყები? მათ ხომ არაფერი დაუშავებიათ პანიებისთვის? (მათ თავიანთ ბუდეში ერჩინათ და თავიანთი დედა-მამის მიტანილი საკვები ეამებოდათ, მშობლებმა უკეთ იციან, რა როგორ აჭამონ).

– ნიკომ და ელენემ მამის რჩევით ბარტყები ბუდეში დააბრუნეს. ბავშვების რა თვისება გამოვლინდა ამ საქციელით?

### III. აქტივობა – კითხვა-პასუხი (10 წთ.)

მასწავლებელი ზეპირად უსვამს მოსწავლეებს კითხვებს ტექსტის მიხედვით. მოსწავლეები პასუხს ტექსტში ეძებენ.

– რამდენი ბარტყი იჯდა ბუდეში?

– როგორი ბუდე მოუწევს ბავშვებმა ბარტყებს შინ?

– რა შესთავაზეს საჭმელად?

– რას ნიშნავს „შორიახლო“?

– როგორ იტყვიან მეორენაირად: „პირს არაფერს აკარებენ?“ (არ ჭამენ)

– მამის რჩევით, ვინ უკეთ მოუვლიდა ბარტყებს?

– როგორ გესმით სხვანაირად: „ხარბად ყლაპავდა საჭმელს“?

## III გაკვეთილი

### I. აქტივობა – „იპოვე საერთო მარცვალი“ (5 წთ.)

მოსწავლეები სავარჯიშოს მიხედვით პოულობენ საერთო მარცვალს „ბუ“.

### II. აქტივობა – თხრობა (10 წთ.)

მოთხრობის შინაარსს მოსწავლეები თანმიმდევრული თხრობით გადმოსცემენ.

### III. აქტივობა – სავარჯიშო: “დაასრულე სიტყვები და ამოიკითხე წინადადება“ (3 წთ.)

ნიკომ და ელენემ ჩიტის ბუდე იპოვეს.

### IV. აქტივობა – ენის გასატეხის შესწავლა (5 წთ.)

მოსწავლეები კითხულობენ ენის გასატეხს და ცდილობენ, ზეპირად წარმოთქვან.

### V. აქტივობა – წერა (12 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ წერით სავარჯიშოებს.

**გაკვეთილის თემა:** „სახლი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, სამეტყველო როლების ცვლა, მარტივი ინფორმაციის გადმოცემა;
- სხვადასხვა ხერხით აღიქვას წაკითხული მარტივი ტექსტის შინაარსი, ამოიცნოს მარტივი ენობრივი ერთეულები;

- განავითაროს წერის უნარ-ჩვევები – ნაბეჭდი ტექსტიდან გადანეროს მარტივი წინადადება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „ტყუილია თუ მართალი?“ (8 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

განა მხოლოდ ადამიანს, სახლი ყველა სულიერს აქვს, ოღონდ ადამიანის სახლისგან განსხვავებული. დააკვირდით ნიგნში ილუსტრაციებს – რა არის მათზე გამოსახული?

ამბობს წინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ, რომ მართალია, თუ არასწორია, ე. ი. ტყუილია.

- ბუ ცხოვრობს ნიჟარაში – ტყუილია თუ მართალი? (ტყუილი)
- დათვი ცხოვრობს ფულუროში – ტყუილია თუ მართალი? (ტყუილი)
- ჩიტა ცხოვრობს ბუდეში – ტყუილია თუ მართალი? (მართალი)
- თაგვი ცხოვრობს სოროში – ტყუილია თუ მართალი? (მართალი)
- ფუტკარი ცხოვრობს ბაკანში – ტყუილია თუ მართალი? (ტყუილი)
- მგელი ცხოვრობს ბუნაგში – ტყუილია თუ მართალი? (მართალი)
- კუ ცხოვრობს ბაკანში – ტყუილია თუ მართალი? (მართალი)

#### **II. აქტივობა – გამოცანების გამოცნობა (2 წთ.)**

ჩვენ შემოგთავაზებთ ერთ გამოცანას. სურვილისამებრ მასწავლებელი მსგავს ნიმუშებს თავადაც მოიძიებს.

მასწავლებელი ამბობს:  
„მეცხოვნე ერთი ციდა,  
თავის მხრებითი კოშკსა ზიდავს.“  
(ლოკოკინა)

#### **III. აქტივობა – კითხვა და ტექსტიდან ამოკითხვა (20 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს შესაბამის გვერდზე გადააშლევინებს. უკითხავს ტექსტს ხმამალა, მკაფიოდ, შემდეგ აკითხებს მოსწავლეებს და რამდენიმე მოსწავლეს ამოაკითხვინებს ტექსტიდან წინადადებებს მის მიერ დასმული კითხვების მიხედვით. მაგალითად:

- მასწავლებელი ამბობს:
- ამოიკითხეთ ტექსტიდან:
  - რას აკეთებს ყველა სულიერი?
  - როგორ დააქვთ სახლი კუს და ლოკოკინას? რითაა მათი სახლი განსხვავებული?
  - რატომ უყვარს თავისი სახლი ყველა სულიერს?

#### **IV. აქტივობა – „რა სად ცხოვრობს?“ (5 წთ.)**

მოსწავლეები პასუხობენ კითხვაზე: „რა სად ცხოვრობს?“

## II ბაკვეთილი

### **I. აქტივობა – „საერთო სახელი“ (5 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: საცხოვრებელი, სამოსახლო, ბუნაგი, სორო, ბუდე, ფულურო. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ამ სიტყვების გამაერთიანებელი სახელი. მასწავლებელი წერს დაფაზე: მათი საერთო სახელია – სახლი.

### **II. აქტივობა – „შეადგინე სიტყვები“ (5 წთ.)**

სავარჯიშოში მოსწავლეები ღრუბლებში გაფანტული ასოებით ადგენენ სიტყვებს: დათვი, ლოკოკინა, ციყვი.

### **III. აქტივობა – სავარჯიშოზე მუშაობა „დაასრულე წინადადება“ (5 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით დაასრულონ წინადადებები.

### **V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ წერით სავარჯიშოებს.

### **IV. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

ამ დროში მასწავლებელი კლასს კითხვაში ავარჯიშებს.

## 159-ე, 160-ე, 161-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „დაიკო და ძამიკო“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ვარჯიში გააზრებულ კითხვაში;
- გაბმული თხრობის სწავლება, – ფაქტების თანმიმდევრულად გადმოცემა;
- ვარჯიში მარტივი გრამატიკული ერთეულების ამოცნობაში;
- წერის ჩვევის განვითარება, მარტივი წინადადებების გამოწერა, კითხვა-პასუხი.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – მოტივირება (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ავტორს, ტექსტის სათაურს და გაკვეთილის თემას. მან უნდა ისაუბროს, თუ როგორ ზრუნავენ ოჯახის წევრები ერთმანეთზე, კერძოდ, ტექსტის მიხედვით და-ძმა როგორ ზრუნავს ერთმანეთზე.

#### II. აქტივობა – ჯგუფური მუშაობა (10 წთ.)

მასწავლებელი კლასს ოთხ ჯგუფად ჰყოფს. I-II ჯგუფს ეძლევა მითითება: ზეპირად მოიფიქრონ და ჩამოაყალიბონ, თუ ვინ ვისზე ზრუნავს, როგორ ახერხებენ ამას და ან აქვთ თუ არა სურვილი ვინმეს სიკეთე გაუკეთონ. შეუძლიათ მოიფიქრონ სიტუაცია და როლებად გაითამაშონ.

III-IV ჯგუფს ეძლევა მითითება: ზეპირად მოიფიქრონ და ჩამოაყალიბონ, ვინ ზრუნავს მათზე, როგორ უვლიან და ესიყვარულებიან მათ. მათაც ასევე შეუძლიათ ეს სიტუაციურად წარმოადგინონ ან გაითამაშონ როლები.

#### III. აქტივობა – ტექსტის კითხვა და ანალიზი (15 წთ.)

ტექსტს მასწავლებელი კითხულობს ნაწილ-ნაწილ, პაუზებით.

ყოველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს პაუზას და კითხვებით უბრუნდება წაკითხულ ეპიზოდს და ამონმებს ბავშვების აზროვნების უნარს. პარალელურად უცნობ სიტყვებსა თუ შესიტყვებებს განმარტავს.

ავარჯიშებს მოსწავლეებს კითხვის კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. შესაძლებელია, მოთხრობაში აღწერილი სიტუაცია მოსწავლეებს გაათამაშებინოს კიდევც.

#### IV. აქტივობა – დამოკიდებულებათა გამოხატვა, დასკვნის გაკეთება (5 წთ.)

მოსწავლეები აფასებენ ტექსტს, პერსონაჟებს, იხსენებენ მსგავს შემთხვევებს პირადი გამოცდილებიდან, აკეთებენ დასკვნას.



## II ბაკვეთილი

### I. აქტივობა – ამოკითხე ტექსტიდან (10 წთ.)

რუბრიკაში დასმული კითხვების მიხედვით მოსწავლეები ტექსტში ეძებენ და კითხულობენ შესაბამის ადგილებს.

### II. აქტივობა – შენი აზრით (8 წთ.)

მოსწავლეები მსჯელობენ, როგორ იზრუნა ნუცამ ძმაზე, თვითონ როგორ ზრუნავენ თავიანთ ახლობლებზე.

### III. აქტივობა – “უპასუხე კითხვას“ (5 წთ.)

კითხვაზე: “რა გააკეთა ნუცამ?“ მოცემულია სავარაუდო პასუხები. მოსწავლემ უნდა ამოიკითხოს ის პასუხი, რომელიც სწორად მიაჩნია.

### IV. ნუთშესვენება (2 წთ.)

### V. აქტივობა – წერა (10 წთ.)

## III ბაკვეთილი

### I. აქტივობა – “რომელი სიტყვაა გამოტოვებული?“ (5 წთ.)

მოსწავლეები გამოტოვებულ კავშირს (ხან) შეარჩევენ და წინადადებას ნაიკითხავენ სრულად.

### II. აქტივობა – ტექსტის თხრობა (15 წთ.)

მასწავლებელი მოაყოლებს ტექსტს მონაკვეთებად, ეხმარება ფრაზის გამართულად წარმოთქმაში, მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვაში.

### III. აქტივობა – წერა (15 წთ.)

მასწავლებელი აწერინებს სავარჯიშოებს მოსწავლის რვეულში.

**გაკვეთილის თემა:** „ქეთოს მერცხალი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მცირე მოცულობის ლექსის ზეპირად დასწავლა;
- ბუნების მოვლენებზე დაკვირვება, ბუნებისადმი სიყვარულის აღძვრა;
- მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა;
- წიგნიდან და დაფიდან გადანერა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – ჯგუფური მუშაობა (15 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვით: ნელინადის რომელი დროა თქვენთვის სახალისო? რატომ?

– რა ხდება შემოდგომაზე?

მოსწავლეებს ყოფს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს ავალეხს, მოიფიქრონ, რატომ მოსწონთ შემოდგომა. მეორე ჯგუფს კი ევალეხს, მოიფიქრონ, რატომ შეიძლება არ მოგვწონდეს შემოდგომა.

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, ხატავენ. შემდეგ წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს, ნამუშევრებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ ერთმანეთს. სავარაუდო პასუხებია: რთველი იმართება, ხილი მწიფდება, ტყე აჭრელდება, ხეებს ფოთლები სცვივა, აცვიდება, დღე იკლებს, ფრინველები სამშობლოს ტოვებენ და თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– რა განცდა გეუფლებათ, როცა ხედავთ, რომ გუნდ-გუნდად შეკრებილი ფრინველები გასაფრენად ემზადებიან? შესაძლოა, ზოგს ჩვენი სახლის აივანზე ჰქონდა ბუდე გაკეთებული და ახლა მათი დატოვება უხდებათ (ზოგი ამბობს: გვეცოდება, გული გვწყდება, მოვიწყინეთ, ცუდ ხასიათზე ვდგებით, ზოგმა შეიძლება თქვას, რომ ეს აუცილებელია, რათა გამოიზამთრონ, ამიტომ გული არ სწყდება, რადგან ისევ დაბრუნდებიან).

– რას ინატრებდით მათი შემხედვარე? (პასუხები: ფრთებს, გაფრენას, სხვა ქვეყნებში გაფრენას, ბუნების სილამაზით დატკობას, მალე დაბრუნებას, არ ვინატრებდი მათ ადგილას ყოფნას).

#### III. წუთშესვენება (2 წთ.)

#### IV. აქტივობა – ტექსტის კითხვა (8 წთ.)

ტექსტს სანიმუშოდ, შესაბამისი ინტონაციებით კითხულობს თავად მასწავლებელი, შემდეგ კითხვაში განაფული ერთი ან რამდენიმე მოსწავლე.

#### V. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (8 წთ.)

აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. მასწავლებელი კლასს მოუყვება ნაწარმოების ავტორის შესახებ.

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – ვარჯიში კითხვაში (10 წთ.)

### III. აქტივობა – წაკითხული ტექსტის გააზრება (5 წთ.)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- სად ჰქონდა ბუდე მერცხალს? (ქეთოს სახლის აივანზე)
- რატომ აღარ ისმის ჭიკჭიკის ხმა?
- რატომ მოადგა თვალზე ცრემლი ქეთოს?
- რა იგრძნო, რა განიცადა ქეთომ?
- რა ინატრა გოგონამ?
- რატომ ინატრა ფრთები?
- როგორ გესმით „ცად აბჯენილი“? (თითქოს ცას სწვდებოდა)
- თქვენი აზრით, სად გაფრინდა ქეთოს მერცხალი?
- თქვენი აზრით, რატომ სურდა ქეთოს გაფრენა?

(სავარაუდო პასუხები: ქვეყნიერებას იხილავდა, დედამინას ზემოდან დახედავდა, მთებს გადაივლიდა, ბუნების სილამაზით დატკბებოდა, მერცხალს მარტო არ გაუშვებდა, თანამგ ზავრად გაუხდებოდა, გასაჭირში არ მიატოვებდა).

### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

### V. აქტივობა – სავარჯიშო წიგნში: „შეადგინე სიტყვები“ (3 წთ.)

მოსწავლეები ავსებენ ხმოვნებით და მიიღებენ სიტყვებს: „გუგული, ბელურა, ბულბული, არწივი, მერცხალი“.

### VI. აქტივობა – სავარჯიშო: „წაკითხე და სწორი პასუხი რვეულში გადაწერე“ (5 წთ.)

სავარჯიშო შეადგენს სამ სავარაუდო პასუხს ლექსის მიხედვით. მოსწავლეებმა უნდა წაკითხონ და ერთი სწორი პასუხი და გადაწერონ რვეულში.

### VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)

## 164-ე, 165-ე, 166-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „პეპელა და ფუტკარი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ლოგიკური აზროვნების განვითარება, აზრის დასაბუთება;
- ხმამაღლა, საჭირო ინტონაციით კითხვის ჩვევის დაუფლება;
- მართლმეტყველების წესების დაცვა, ვარჯიში დიალოგების გამართვაში;
- სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულების დაუფლება – თავაზიანი მიმართვები.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – პროვოცირება (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს გამოცანას:

„ნაზია და ჭრელფრთება,

ყვავილებს თავს ევლება“.

(პეპელა)

#### II. აქტივობა – „აზრობრივი რუკა“ (15 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე შემოხაზავს ორ წრეს. ერთ წრეში წერს „პეპელას“, მეორეში – „ფუტკარს“.

მოსწავლეები ავსებენ „აზრობრივ რუკას“. სქემაზე ყოველი ისრის გასწვრივ დაინერება მათი პასუხები. მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს ამ მწერებს შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე. ამ მწერების დახასიათება შეიძლება „ვენის დიაგრამის“ შედგენითაც.

#### III. აქტივობა – ტექსტის კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი კითხვის დაწყებამდე მოსწავლეებს უყვება ავტორზე – იაკობ გოგებაშვილზე.

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს ნაწილ-ნაწილ, პაუზებით, დიალოგებს გამოყოფს ინტონაციით. ახალი სიტყვები და გამოთქმები კითხვის პროცესში აიხსნება.

უკმეხად – უხეშად

სკა-ფუტკრის სახლი

ბრიყვი-სულელი

თავაზიანი-ზრდილობიანი

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში. მასწავლებელი მათ აკითხავს დიალოგის სახით: ასრულებინებს ორი პერსონაჟისა და მთხრობელის როლს.

## II ბაკვეთილი

### I. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (10 წთ.)

მოსწავლეები ანალიზებენ წაკითხულს, კითხვებზე პასუხებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

განშლის მეორე გვერდზე მოცემულია კითხვები, რომელთა პასუხები მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა ამოიკითხონ. მასწავლებელი სვამს დამატებით კითხვებსაც ტექსტის უკეთ გასააზრებლად:

- როგორ გამოიყურება პეპელა გარეგნულად?
- როგორია მისი საქციელი ფუტკრის მიმართ?
- რატომ გადაიფიქრა ფუტკარმა შურისძიება?
- რა არის შურისძიება?
- რით აჯობა ფუტკარმა პეპელას?

### II. აქტივობა – დამოკიდებულების გამონატვა (5 წთ.)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან თავიანთი აზრი, გააკეთონ დასკვნა თითოეული პერსონაჟის საქციელზე დაკვირვებით. რომელი პერსონაჟის საქციელი მოეწონათ და რატომ? რომელი არ მოეწონათ? რატომ?

მოსწავლეები იტყვიან, რომ მხოლოდ გარეგნული სილამაზე არ არის საკმარისი, უნდა შეგეძლოს, რომ თავაზიანად და ზრდილობიანად მოიქცე. აკეთებენ დასკვნას, რომ სულგრძელობით, მიმტვებლობით შეიძლება სიმშვიდე შეინარჩუნო და გამარჯვებული დარჩე.

### III. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ წერით სავარჯიშოებს.

## III ბაკვეთილი

### I. აქტივობა – ენობრივ მასალაზე დაკვირვება “შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა” (5 წთ.)

მოსწავლემ უნდა შეძლოს გამოტოვებული სიტყვის შერჩევა და წინადადების სწორად წაკითხვა.

ფუტკარს ... მოუვიდა. ა) გული; ბ. სტუმარი; გ) მეგობარი.

### II. აქტივობა – სამეტყველო ეტიკეტის ფორმულების ამოცნობა (5 წთ.)

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებინებს მეტყველების თავაზიან ფორმებზე. ტექსტში უნდა მონახონ ასეთი ფორმა (მიბრძანდი), მოიფიქრონ და დაასახელონ თავაზიანი მიმართვის სხვა ფორმებიც (დაბრძანდი, მობრძანდი, მიირთვი, ინებე). დაასახელონ მათი შესაბამისი ჩვეულებრივი გამოთქმები (დაჯექი, მოდი, ნადი, ჭამე, აილე).

### II. აქტივობა – თხრობა (15 წთ.)

მასწავლებელი თანმიმდევრული თხრობით გადმოაცემინებს ტექსტის შინაარსს. შეიძლება თხრობა გაიმართოს როლების მიხედვით, წარმოადგინონ პეპელა, ფუტკარი და მთხრობელი.

### III. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ წერით სავარჯიშოებს.

**გაკვეთილის თემა:** „ჯიუტი თხები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- აზროვნების განვითარება, სიტუაციიდან გამომდინარე, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება; ანდაზის მიხედვით დასკვნის გამოტანა;
- სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევის გამომუშავება;
- ტექსტის ანალიზი და პერსონაჟების საქციელისადმი მოსწავლის დამოკიდებულების გამოხატვა;
- ენობრივ მასალაზე მუშაობა;
- სწორად წერის ჩვევის დაუფლება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვისთვის მზადება (მოტივირება) (12 წთ.)

მასწავლებელი ცდილობს, აუხსნას მოსწავლეებს, რა არის სიჯიუტე. ამისათვის შეიძლება მოიფიქროს და გაათამაშებინოს სიტუაცია.

დედა თავის შვილს ეძახის:

- ელენე, რძე დასხმულია, დალიე!
- არ დავლევ! – ამბობს ელენე.
- ელენე, სკოლაში წასვლის დროა, წიგნები ჩანთაში ჩაალაგე!
- არ ჩავალაგებ! სკოლაშიც არ წავალ!

ბებია კახას ეუბნება:

- კახა, დროზე ისაუზმე, არ დაგაგვიანდეს!
- ახლავე, ბებო, ახლავე.
- კახა, თუ შეიძლება, სათვალე მომანოდე!
- ინებე, ბებო, შენი სათვალე.

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „ჯიუტი“ და კლასს ეკითხება:

- თქვენი აზრით, როგორია ჯიუტი ადამიანი?

მოსწავლეები ამბობენ, მასწავლებელი კი მოკლედ წერს დაფაზე სავარაუდო პასუხებს (დაუჯერებელი, ურჩი, უზრდელო, ამპარტავანი, უკმეხი, უკულმართი, თავისნათქვამა, ჟინიანი, ვინც რალაცას იჩემებს).

- მოცემული სიტუაციების მიხედვით, როგორი ბავშვია ელენე? როგორი ბიჭია კახა?
- თქვენი აზრით, რა მოსდევს სიჯიუტეს?

მოსწავლეები უპასუხებენ იმას, რასაც სწორად მიიჩნევენ (სავარაუდოდ, ჩხუბი, გაბუტვა, შერცხვენა, წყენა, სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნა...)

### **III. აქტივობა – ანდაზაზე მუშაობა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს ანდაზას:

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

მოსწავლეებს სთხოვს, გააანალიზონ ანდაზა და დაუკავშირონ მათ მიერ გათამაშებულ სიტუაციებს.

რა მოუვიდა ელენეს?

რა მოუვიდა კახას?

როგორი მოპყრობა დაიმსახურა ელენემ?

როგორ მოპყრობას იმსახურებს კახა?

ვის ადგილას ისურვებდით ყოფნას? რატომ?

### **IV. წუთშესვენება (1 წთ.)**

### **V. აქტივობა – ტექსტის სანიმუშოდ კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება ავტორის – იაკობ გოგებაშვილის შესახებ. გააცნობს წასაკითხ ტექსტს, შემდეგ იწყებს კითხვას. ჯერ მასწავლებელი კითხულობს საჭირო ინტონაციებით, მკაფიოდ, გზადაგზა ხსნის უცნობ სიტყვებს. შემდეგ აკითხებს კითხვაში განაფულ ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

### **II. აქტივობა – წაკითხული ტექსტის ანალიზი (6 წთ.)**

უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნის შემდეგ მასწავლებელი სვამს საანალიზო კითხვებს. მასწავლებელი ამოაკითხვინებს მოსწავლეებს ტექსტიდან პასუხებს. გამოათქმევინებს თავიანთ აზრს, თუ რატომ აღმოჩნდნენ თხები წყალში, რა მოჰყვა თხების სიჯიუტეს. მოსწონთ თუ არა ჯიუტი თხების საქციელი? რატომ?

– თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ თხები, რომ წყალში არ აღმოჩენილიყვნენ? რაში ხედავთ გამოსავალს?

რომელი თავაზიანი ფორმა გამოადგებოდათ პერსონაჟებს შეხვედრისას? როგორ გგონიათ, ეს საქმეს უშველიდა?

თქვენ როგორ მოიქცეოდით მსგავს სიტუაციაში?

### **III. აქტივობა – ვარჯიში კითხვაში (8 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ სწორ, გააზრებულ კითხვაში.

### **IV. აქტივობა – სავარჯიშო წიგნში: „წაკითხე წინადადება“ (3 წთ.)**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, ტექსტის მიხედვით წაკითხონ ნახატებიანი წინადადებები:

მდინარეზე ვინრო ხიდი იყო გადებული.

ხიდზე ორი ჯიუტი თხა შეხვდა ერთმანეთს.

**IV. აქტივობა – სავარჯიშო წიგნში: „ხმოვნები და თანხმოვნები“ (2 წთ.)**

სავარჯიშოს მიხედვით მოცემულია ერთი ნიმუში და ორი სამუშაო სიტყვა:

თავდაყირა, ერთმანეთი.

ამ ორ სიტყვაში მოსწავლემ უნდა გამოიცნოს და მოცემული წერტილების მიხედვით წაიკითხოს რამდენია ხმოვანი და რამდენი თანხმოვანი (I სიტყვაში: 4 ხმოვანი და 5 თანხმოვანი, II სიტყვაში: 4 ხმოვანი და 5 თანხმოვანი).

**V. აქტივობა – სავარჯიშო წიგნში: „დამარცვლე სიტყვები“ (2 წთ.)**

მოსწავლემ სწორად უნდა წაიკითხოს და დაასახელოს სამმარცვლიანი სიტყვები (მდინარე, პირველი, ჯიუტი, მეორე).

**VI. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები წერენ მითითებულ სავარჯიშოებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ტექსტი შინ რამდენჯერმე ყურადღებით წაიკითხონ და თხრობით ისწავლონ.



**გაკვეთილის თემა:** „მამალი და საღებავები“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ფერთა ესთეტიკური შემეცნება;
- საკუთარი გემოვნების ჩამოყალიბება;
- კითხვა და გააზრება;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ენობრივ მასალაზე დაკვირვება;
- სწორად წერის ჩვევის დაუფლება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, სახატავი რვეული, პლასტილინი, ფერადი ფანქრები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – მოტივირება კითხვისთვის (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– მოდი, წარმოსახვით გავიდეთ ბუნებაში. წარმოვიდგინოთ წელიწადის სხვადასხვა დრო. რა ფერებს ხედავთ? მოგწონთ ბუნების მრავალფეროვნება? რატომ?

ხომ არ შეგიძლიათ დაასახელოთ ისეთი საგნები, არსებები, მოვლენები, რომლებიც ფერთა სიჭრელით გამოირჩევიან? (ფარშავანგი, თუთიყუში, მამალი, ხალიჩა, ცისარტყელა, დედამინა).

ჩამოთვალეთ, რა ფერებს ხედავთ?

თქვენი აზრით, რა მოხდებოდა ბუნებაში სხვადასხვა ფერი რომ არ არსებობდეს? (ყველაფერი უფერული, უსახური, ერთფეროვანი იქნებოდა).

#### II. აქტივობა – გამოცანაზე მუშაობა (5 წთ.)

მე თქვენ გეტყვით გამოცანას, აბა, თუ გამოიცნობთ:

„თავხერხა, ბოლონამგალა,

დაჰყვება თავის ამაღა“.

(მამალი)

– სწორედ იმ მამლის შესახებაა ჩვენს დღევანდელ გაკვეთილში მოთხრობილი, რომლის გაფერადებაც ფერებს თურმე დაავინწყდათ.

– თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა ასეთი მამალი? მოიფიქრეთ, თქვენს პასუხებს დაფაზე ჩამოვწერ.

(სავარაუდო პასუხები: ულამაზო, უფერული, უსახური, უშნო, ერთფეროვანი, მონყენილი, უსიცოცხლო, უხალისო).

#### III. წუთშესვენება (2 წთ.)

#### **IV. აქტივობა – კითხვა (8 წთ.)**

ახლა გავეცნოთ ტექსტს „მამალი და საღებავები“, ვნახოთ, რა დაემართა ჩვენს მამალს.

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს მკაფიოდ, საჭირო ინტონაციით. შეუძლია ტექსტი ნაწილებად დაეცოს და ახსნას მეთოდით „პაუზებით კითხვა“.

#### **V. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (10 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში, შემდეგ იწყება წაკითხულის გააზრება. ბავშვებს აინტერესებთ მამლის ბედი. მასწავლებელი სვამს ტექსტის გასააზრებელ, საანალიზო კითხვებს. მოსწავლეები მოთხრობიდან შესაბამის პასუხებს ამოიკითხავენ.

– ვის დაავინცდა მამლის გაფერადება?

– როგორ დარწმუნდა მამალი, რომ უფერული იყო? (წყალში ჩაიხედა)

– რა დაემართა მამალს, როცა დარწმუნდა, რომ ძალი მართალს ეუბნებოდა? (მოიწყინა, დალონდა)

– რა გაამხიარულებდა მამალს?

შენი აზრით;

– რატომ იყო საჭირო მამლის გაფერადება?

– შენ რომელი ფერებით შეღებავდი მამალს?

## **II ბაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – სავარჯიშო: „უპასუხე“ (2 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს რვეულში.

– რომელმა ფერმა რა გაუფერადა მამალს?

(წითელმა – ბიბილო, მწვანემ – ბოლო, ყვითელმა – ფრთები, თეთრმა – გულმკერდი).

#### **III. აქტივობა – „დახატე ან გამოძერწე“ (10 წთ.)**

– თქვენ რომ საღებავები გქონდეთ, მამალს რას როგორ გაუფერადებდით?

(მოსწავლეები ასახელებენ ზეპირად. მასწავლებელი მათ ავალებს, სურვილისამებრ დახატონ ან გამოძერწონ მამალი, თუთიყუში ან ცისარტყელა და ფერები თავად შეურჩიონ).

#### **IV. აქტივობა – „როგორია?“ (3 წთ.)**

ჩვენ, წინა დავალების მიხედვით, დაფაზე ჩამონერილი გვექონდა თქვენი პასუხები, თუ როგორ გამოიყურებოდა უფერული მამალი. ახლა უკვე გაფერადებული მამალი როგორ გამოიყურება? ჩამოთვალეთ და ყველას პასუხი ასევე დაფაზე დაინერება (ლამაზი, ჭრელი, მშვენიერი, ფერადი, ხალისიანი, მხიარული, სიცოცხლით სავსე, მრავალფეროვანი).

#### **V. აქტივობა – სავარჯიშო „რომელია გამაერთიანებელი სიტყვა?“ (2 წთ.)**

მასწავლებელი უბრუნდება ენობრივ მასალას. წიგნის მარჯვენა გვერდზე მესამე სავარჯიშოს მიხედ-

ვით მოსწავლეებმა უნდა იპოვონ მარცხენა სვეტში ჩამოთვლილი სიტყვების გამაერთიანებელი სიტყვა (ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე – ფერი) .

**VI. აქტივობა – სავარჯიშო“ სწორად დაალაგე სიტყვები“ (5 წთ.)**

მოსწავლეები არეულ სიტყვებს სწორად ალაგებენ და წაიკითხავენ წინადადებას:“ ახლა შენ ნამდვილი მამალი ხარ“ .

**VII. წუთშესვენება (1 წთ.)**

**VIII. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

I.მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, წერონ შესაბამისი სავარჯიშოები მოსწავლის რვეულში.

**II.კროსვორდის შევსება**

ცარიელი უჯრები უნდა შეივსოს სტრიქონში მოცემული ფერების სახელებით ისე, რომ ვერტიკალურ სვეტში გამოვიდეს სიტყვა „წითელი“.

III.მოსწავლეები რვეულში საკუთარი ფანტაზიით დახატავენ ზღაპრის მიხედვით.

**გაკვეთილის თემა:** „ყვავი და სურა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება, გააზრება;
- ზეპირმეტყველები განვითარება, ინფორმაციის გადაცემა, სურათის აღწერა, თანმიმდევრული თხრობა;
- ენობრივ მასალაზე მუშაობა, წინადადების ანალიზი, სინთეზი, ხმოვანი, თანხმოვანი;
- სწორი წერის უნარ-ჩვევის განმტკიცება, მარტივი წინადადებების შედგენა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, პლაკატი – გარეული ფრინველები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „ყველაზე დაკვირვებული (5 წთ.)“**

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს რაიმე საგანს. მოსწავლეებმა რაც შეიძლება ამომწურავად უნდა დაასახელონ ნაჩვენები საგნის დეტალები. მაგალითად, მასწავლებელი აჩვენებს წიგნს. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ: ყდა, გვერდი, ფურცელი, სარჩევი, სათაური, დანართი, სანიშნი და ა. შ. გაიმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მეტ დეტალს დაასახელებს (შეიძლება ჯგუფებად მუშაობაც).

#### **II. აქტივობა – მზადება კითხვისთვის (მოტივირება) (15 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე არათანმიმდევრულად წერს ცნობილი ანდაზის სიტყვებს და მოსწავლეებს ეუბნება:

– დაფაზე დანერილი სიტყვები ისე დაალაგეთ, რომ ცნობილი ანდაზა მიიღოთ.

მოსწავლეები დაალაგებენ სიტყვებს და მიიღებენ ანდაზას: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

– როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ხერხი, მოხერხებულობა? ხომ არ გახსენდებათ რომელიმე მოხერხებული პერსონაჟი, რომელმაც თავის ზე ძლიერს ჭკუით აჯობა?

შეიძლება, მოსწავლეებმა გაიხსენონ ნაცარქექია, ცეროდენა და ა. შ. გაიმართება საუბარი დედააზრზე. მოსწავლეები განმარტავენ, რა არის ანდაზა, გაიხსენებენ ცნობილ ანდაზებს. მასწავლებელი უხსნის ანდაზის დედააზრს, რომ მოხერხებულობით უფრო მეტს შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა, ვიდრე ღონით.

მასწავლებელი ამბობს გამოცანას:

„შავი ფერის ფრინველია,  
კი არ მღერის – ჩხავის,  
სამას წელიწადს ცოცხლობსო,  
რა იქნება?“ (ყვავი)

#### **III. აქტივობა – ამოკითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება ყვავის შესახებ და ამბობს, რომ ამ მოთხრობაში ყვავი წარმოდგენილია, როგორც მოხერხებული, გონიერი არსება.

მასწავლებელი სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს კითხულობს ხმამაღლა, გამომეტყველებით, შემდეგ აკითხებს რამდენიმე მოსწავლეს. აიხსნება ტექსტში მოცემული უცხო სიტყვებიც.

#### **IV. აქტივობა – ტექსტიდან ამოკითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი აკითხებს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს. პასუხებს მოსწავლეები ამოკითხავენ ტექსტიდან.

- რას ეძებდა ყვავი მინდორში?
- რატომ ვერ მოახერხა ყვავმა წყლის დაღევა?
- რა ხერხს მიმართა ყვავმა?

ბოლოს სვამს კითხვას:

– როგორია ყვავი? მოსწავლეები მოძებნიან სახელმძღვანელოში მოცემულ სამი პასუხიდან ერთ სწორ პასუხს და დადასახელებენ (მოხერხებული)

### **II ბაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „დაამარცხე მასწავლებელი“ (10 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს: ტექსტიდან ამოკითხეთ რომელიმე სიტყვა. მე შევეცდები, სრულად აღვადგინო ის წინადადება, რომელშიც ეს სიტყვა იყო მოცემული. თქვენ კი მოთხრობიდან შეამოწმეთ. თუ წინადადება ზუსტად აღვადგინე, გამარჯვებული მე ვიქნები. მოსწავლეები ხალისით ებმებიან ამ თამაშში. ეძებენ, კითხულობენ და ამონებენ წინადადებებს.

#### **III. აქტივობა – “ნაიკითხე წინადადება“ (2 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტის მიხედვით ნაიკითხავენ ნახატებიან წინადადებებს.

„ყვავმა სურაში ნისკარტით კენჭები ჩაყარა“.

ყვავმა წყლიანი სურს დაინახა“.

#### **IV. აქტივობა – „სწორი პასუხი გადანერე რვეულში“ (2 წთ.)**

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები პასუხობენ კითხვაზე და წერენ რვეულში:

– როგორ დასრულდა მოთხრობა?

„ყვავი წყალს დაენაფა“.

#### **V. აქტივობა – „კითხვა გაგრძელებით“ (10 წთ.)**

მოსწავლეები დგებიან რიგში და იწყებენ მოთხრობის კითხვას თანმიმდევრობით. მასწავლებლის ტაშზე მკითხველი ჩერდება, მის უკან მდგომი კი აგრძელებს. ასე გრძელდება მორიგი ტაშის დაკვრამდე. ვინც ვერ განაგრძობს კითხვას ან სწორად ვერ ნაიკითხავს, თამაშიდან გადის. ვინც სწორად ნაიკითხავს, რიგის ბოლოში გადაინაცვლებს. ასე გრძელდება, ვიდრე ტექსტს ყველა ბავშვი არ ნაიკითხავს (ტექსტის ნაიკითხვა რამდენჯერმე შეიძლება).

#### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულში მოცემულ წერით სავარჯიშოებს.

**გაკვეთილის თემა:** „თხა და ვენახი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ხმამალალი და სწორი კითხვის ჩვევის დაუფლება;
- კითხვის ტექნიკის განვითარება;
- ლოგიკური თანმიმდევრობით მოქმედების გადმოცემა;
- ტექსტის თანმიმდევრული გააზრება;
- როლური თამაშის ორგანიზება;
- წიგნზე მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- სწორად წერის ჩვევის დაუფლება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, მარტივი თეატრალური რეკვიზიტი (ნიღბები და სხვა).

## გაკვეთილის მსვლელობა

### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

### II. აქტივობა – მზადება კითხვისთვის (5 წთ.)

მასწავლებელი კლასს განაწყობს კითხვისთვის:

– ბავშვებო, თქვენ ნახავთ, რა ადვილად შეგეძლებათ დიდი ტექსტის წაკითხვა. დარწმუნდებით, რომ კითხვა არც ისე რთული ყოფილა.

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ხალხური ზეპირსიტყვიერების, ფოლკლორის ნიმუშების შესახებ. შეიძლება შეახსენოს რამდენიმე ნასწავლი ნიმუში. ეუბნება, რომ ლექსი „თხა და ვენახი“ იაკობ გოგებაშვილმა ხალხში მოიძია და ჩაინერა. ეს ლექსი ხალხურია. იგი ერთი თაობიდან მეორეს ზეპირად გადაეცემოდა. სთხოვს მათ, ყურადღებით მოისმინონ ტექსტი და ბოლოს ლექსის სათაური მოიფიქრონ.

### III. აქტივობა – კითხვა (8 წთ.)

მასწავლებელი გამოთქმით, მკაფიოდ კითხულობს ლექსს, მოსწავლეებს მიუთითებს იმაზე, რომ ბევრი სიტყვა ტექსტში მეორდება. ასეთი ნაწარმოებები ბავშვებს ძალიან მოსწონთ და ამ დროს არ ამინებთ ტექსტის სიდიდე. ტექსტს კითხულობს კითხვაში განაფული მოსწავლეს.

### IV. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (10 წთ.)

უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნის შემდეგ ტექსტის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს კითხვებს:

- რა აინტერესებს მთქმელს? (ნახოს, რამ შეჭამა ვენახი)
- რა ნახა მან?
- შემდეგ რამ დააინტერესა მთქმელი? (რამ შეჭამა თხა)
- რაში დარწმუნდა ის? (მგელი მოერია თხას)
- რა იყო მგლის მომრევი? (მგლის მომრევი ყოფილა თოფი)
- თოფი რაღამ შეჭამა? (ჟანგმა)
- ჟანგის მომრევი რაღაა? (მინა)
- რა ჭამს მინას? (თაგვი)
- რა ჭამს თაგვს? (კატა)

**V. ნუთშესვენება (1 ნთ.)**

**VI. აქტივობა – კითხვა (10 ნთ.)**

კითხვის უნარის განსამტკიცებლად მასწავლებელი იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას.

**II გაკვეთილი**

**I. საორგანიზაციო ნაწილი (2 ნთ.)**

**II. აქტივობა – საუბარი ბუნების კანონზომიერებებზე (3 ნთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს მარტივად უხსნის ბუნების კანონზომიერებებს, ეუბნება, რომ ბუნებაში იმარჯვებს ძლიერი, სუსტი ძლიერის მსხვერპლი ხდება...

**III. აქტივობა – როლური თამაში (10 ნთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტს როლებად უნაწილებს. სთხოვს, როლები წაიკითხონ საჭირო ინტონაციით, შეარჩიონ შესატყვისი ჟესტ-მიმიკა. შესაძლოა, გამოიყენონ ხელოვნების გაკვეთილებზე ადრევე დამზადებული თეატრალური ნიღბები და სხვა რეკვიზიტი.

**IV. აქტივობა – „რომელია ზედმეტი?“ (2 ნთ.)**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ წიგნის მარჯვენა გვერდს. იქ ჩამოთვლილია სიტყვები: თხა, მგელი, ლომი, თოფი, კომბალი, ჟანგი, მინა, თაგვი, წყალი, კატა. ამ სიტყვებიდან მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის სიტყვები, რომლებიც არ არის ნახსენები ტექსტში (ლომი, კომბალი, წყალი).

**V. აქტივობა – „ტყუილი, თუ მართალი?“ (3 ნთ.)**

მოცემულ სავარჯიშოში მარცხნივ წერია „ტყუილი და მართალი“, მარჯვნივ კი ჩამოთვლილია წინადადებები. მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ეს წინადადებები და ამოიცნონ, რომელია მართალი და რომელია ტყუილი?

**VI. აქტივობა – დაალაგე თანმიმდევრობით (3 ნთ.)**

სავარჯიშოს მიხედვით, ის პერსონაჟები, რომლებიც ტექსტში გვხვდებიან, მოსწავლეებმა შემდეგი თანმიმდევრობით უნდა დაალაგონ და წაიკითხონ:

კატა... (თაგვი, მინა, ჟანგი, თოფი, მგელი, თხა, ვენახი)

**VII. ნუთშესვენება (2 ნთ.)**

**VIII. აქტივობა – წერა (10 ნთ.)**

მასწავლებელი აწერინებს მოსწავლეებს მოსწავლის რვეულში შესაბამის სავარჯიშოებს.

გაკვეთილის თემა: „სიძუნწე“.

გაკვეთილის მიზანი:

- ზოგადი ცნობიერების განვითარება, აზროვნების განვითარება;
- სწორი კითხვის ჩვევების განმტკიცება, ანალიზის უნარის ჩამოყალიბება;
- ზეპირმეტყველების განვითარება, ლექსიკური მარაგის განმტკიცება;
- მართებული წერის უნარ-ჩვევების დაუფლება.

საჭირო რესურსები: სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

## გაკვეთილის მსვლელობა

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – „აზრობრივი რუკის“ შედგენა (8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ხალხურ ზღაპარს „სიძუნწე“. ესაუბრება იმის შესახებ, რომ ხალხურ ზღაპრებში დიდი სიბრძნეა გადმოცემული. ზღაპრის შეგონებები ცხოვრებისეულია და გასათვალისწინებელი. სანამ ტექსტს გაეცნობოდნენ, მათ უნდა მოიფიქრონ, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „სიძუნწე“. მასწავლებელი დაფაზე წრეში წერს სიტყვას. მოსწავლეები ამბობენ სავარაუდო პასუხებს. მასწავლებელი თითოეულის პასუხს წერს წრის ირგვლივ. პარალელურად, კითხვების დასმით, ეხმარება მოსწავლეებს, რომ ისინი სწორ პასუხებამდე მიიყვანოს.

### III. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი ემზადება ტექსტის წასაკითხად, ეუბნება მოსწავლეებს, ყურადღებით მოისმინონ ზღაპარი, ჰპირდება, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდებიან დაფაზე დაწერილ აზრობრივ რუკას და ტექსტის გაცნობის შემდეგ შეძლებენ საბოლოოდ გაიაზრონ, თუ რა ყოფილა სიძუნწე.

ტექსტის სანიმუშოდ წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხავს ზღაპარს მონაკვეთებად, გაგრძელებით. მან შეიძლება როლებადაც კი დაეყოს წასაკითხი მასალა.

### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

### V. აქტივობა – ტექსტიდან ამოკითხვა (8 წთ.)

მასწავლებელი ამის შემდეგ გადადის ტექსტის გააზრებაზე.

დასვამს კითხვებს, პასუხებს მოსწავლეებს ტექსტიდან ამოაკითხვინებს.

– რა სთხოვა ერთმა მეზობელმა მეორეს?

– რა ჰკითხა ბიჭს მეზობელმა?

– რა უპასუხა ძუნწმა ბიჭს?

– რა წამოიძახა აღშფოთებულმა ძმამ, როცა შინ დაბრუნებულ ბიჭს მიუსმინა?

– მამამ მეზობელს ძუნწი უწოდა, თავად როგორი გამოდგა?



- როგორ მიხვდით, რომ თავადაც ძუნწი აღმოჩნდა?
- ბოლო აბზაცში მოძებნეთ სიტყვა, რომელიც სიძუნწეს გამოხატავს (დაენანა).
- როგორ ფიქრობთ, რას გვასწავლის ეს ზღაპარი?
- არის თუ არა სიძუნწე ცუდი თვისება? რატომ? თქვენ როგორ მოიქცევოდით?
- ახლა მივუბრუნდეთ დაფაზე დანერილ სიტყვას და სიძუნწეზე ჩვენს განმარტებებს. რას დაამატებდით? რას წაშლიდით? შეცვლიდით თუ არა რამეს ამ განმარტებებში?

## II გაკვეთილი

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

### **II. აქტივობა – თხრობა (15 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებისგან მოითხოვს თანმიმდევრულ თხრობას. ცდილობს, მოსწავლეებს დააცვიფროს მართლმეტყველების ელემენტარული წესები.

მასწავლებელი თხრობის პროცესში მოსწავლეს საჭიროებისამებრ გაუსწორებს დამახინჯებულ ფრაზას, გამოთქმას, შესიტყვებას. ეს შესწორება უნდა იყოს კორექტული და თავაზიანი. ბავშვს უნდა გაუჩინდეს შეგრძნება, რომ მასწავლებლის შენიშვნები მას სასიკეთოდ წაადგება.

### **III. აქტივობა – სავარჯიშო „სწორად დაალაგე არეული სიტყვები“ (6 წთ.)**

მოსწავლე მოძებნის ტექსტში საჭირო სიტყვას დასწორად წაიკთხავს წინადადებას: “ერთმა მეზობელმა მეორეს ჩაქუჩი სთხოვა”.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

### **V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებელი აწერინებს მოსწავლეებს რვეულში მოცემული გაკვეთილის შესაბამის სავარჯიშოებს.

**გაკვეთილის თემა:** 'მელია და ბატები'.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ზეპირმეტყველების განვითარება, შეგნებული კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მარტივი ტექსტის შინაარსის გადმოცემა, მარტივი ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- წერილი უნარის განვითარება – წიგნიდან გადაწერა, მარტივი წინადადებების შედგენა.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – პროვოცირება (10 წთ.)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- თქვენი აზრით, რა არის ზღაპარი? (დაუჯერებელი ამბავი)
- რით ჰგავს ყველა ზღაპარი ერთმანეთს? (კეთილი გმირი ბოროტს ამარცხებს)
- რომელ ზღაპრებს გაიხსენებ? თუ იცი, ვინ არის ამ ზღაპრის ავტორი?
- ჩამოთვალე ზღაპრის გმირები.
- თუ იცი რომელიმე ქართული ხალხური ზღაპარი, რა სიტყვებით იწყება ის? (იყო და არა იყო რა...)

მოსწავლეები იხსენებენ ზღაპრებს, ზღაპრის გმირებს, მსჯელობენ იმ ნიშნებზე, რაც საერთოა ყველა ზღაპრისათვის.

#### II. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი კითხულობს ზღაპარს და აკითხებს კითხვაში განაწულ რამდენიმე მოსწავლეს. პარალელურად ხსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს. განმარტავს ანდაზას: "ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა". მოსწავლეები მსჯელობენ ანდაზის შინაარსზე. იხსენებენ მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.

#### III. აქტივობა – ამოკითხვა ტექსტიდან (10 წთ.)

ამოკითხეთ ტექსტიდან:

- როგორ იწყება ზღაპარი?
- რით დაემუქრა მელია ბატებს?
- რა სთხოვეს ბატებმა მელიას?
- რა მოიფიქრეს ბატებმა თავის გადასარჩენად?
- რას ელოდება მელია დღემდე?
- რით აჯობებს ბატებმა მელიას-ძალით, თუ მოხერხებულობით?

**I. აქტივობა – „სავარჯიშო-„უპასუხე კითხვას“ (როგორია?) (10 წთ.)**

მასწავლებელი ადგენს აზრობრივ რუკას და დაფაზე ხატავს ორ წრეს. ერთ წრეში წერს სიტყვას „მელია“, მეორეში – სიტყვას „ბატები“.

შემდეგ ამბობს:

– დავახასიათოთ მელია. თქვენი აზრით, როგორია იგი? – ახლა დავახასიათოთ ბატები. როგორია? წრეებს ირგვლივ იწერება შესაბამისი სიტყვები.

ამის შემდეგ მოსწავლეები წიგნში ასრულებენ შესაბამის სავარჯიშოს. ამოიკითხავენ მოცემული ზღაპრის გმირებისთვის დამახასიათებელ თვისებებს.

**II. აქტივობა – სავარჯიშო-“როგორ იწყება ზღაპარი?” (2 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ წიგნში მითითებულ სავარჯიშოს და კითხვაზე: „როგორ იწყება ზღაპარი?“ ამოიკითხავენ სწორ პასუხს.

**III. აქტივობა –სავარჯიშო-“შეარჩიე სწორი პასუხი“ (3 წთ.)**

მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოს მიხედვით კითხვაზე: „როგორია ეს ზღაპარი?“ შეარჩივენ და ამოიკითხავენ სწორ პასუხს.

**IV. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „შეხვედრა ზღაპრულ პერსონაჟებთან“ (8 წთ.)**

მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ, რომ ისინი ჯადოსნურ სამყაროში მიემგზავრებიან, სადაც ყველაფერი უჩვეულო და განსხვავებულია, სადაც შეიძლება ნებისმიერი რამ მოხდეს. მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება დაბალი ხმით და ასახელებს ზღაპრების გმირებს. ბავშვები ასრულებენ ამ გმირების შესაბამის მოძრაობებს. ტაშით ხვდებიან ჯუჯებს, ფერიებს, ფასკუნჯებივით „დაფრინავენ“ და ა. შ.

**V. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ სანერ სავარჯიშოებს.

## 180-ი, 181-ი, 182-ი გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „ჩვენი პირველი სპექტაკლი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება (სწორი, გააზრებული, შეძლებისდაგვარად სწრაფი კითხვა);
- ზეპირმეტყველების განვითარება (სურათის აღწერით, ჯგუფურ თამაშებში მონაწილეობით, ტექსტის შინაარსის გადმოცემით, კითხვებით/პასუხებით);
- აზროვნების განვითარება;
- წერის ჩვევების განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული, ფერადი ქაღალდები მარტივი თეატრალური რეკვიზიტისათვის (მგლის ნილაბი, ნითელქუდას ქუდი, ყვავილები, სოკოები...)

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება (15 წთ.)

დაფაზე დაწერილია სიტყვების ორი ჯგუფი:

მსახიობები

მაყურებელი

სცენა

სპექტაკლი

როლი

1. მუზეუმი

2. თეატრი

3. სტადიონი

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– ნაიკითხეთ დაფაზე მარცხნივ დაწერილი სიტყვები;

– ახლა მარჯვნივ დაწერილ სიტყვათაგან შეარჩიეთ გამაერთიანებელი სიტყვა, – რა გაგახსენათ ჩამოთვლილი სიტყვების ნაიკითხვამ?

თეატრის შესახებ მოსწავლეებს უკვე ეცოდინებათ ხელოვნების გაკვეთილებიდან. მათი დიდი ნაწილი უკვე ნამყოფიც იქნება თოჯინების თეატრში, საბავშვო სპექტაკლებზე. ვფიქრობთ, მათ არ გაუჭირდებათ გამაერთიანებელ სიტყვად შეარჩიონ „თეატრი“, რომელსაც მასწავლებელი სიტყვათა სამეულში შემოხაზავს, ხოლო ჩამონათვალში ხაზს ქვემოთ დაწერს.

მასწავლებელი კლასს ეკითხება,

– რომელი თქვენგანი ყოფილა თეატრში? რომელი სპექტაკლი გინახავთ? ხომ არ მოგვიყვებოდით ნანახი სპექტაკლის შესახებ?

მოსწავლეები იხსენებენ სპექტაკლებს, რომლებიც კლასმა ერთად ნახა, საუბრობენ იმის შესახებ, რაც მშობლებთან ერთად ან ტელევიზიით ნახეს.

მასწავლებელი კლასს ეკითხება:

– რომელიმე თქვენგანს ხომ არ უნახავს სპექტაკლი „წითელქუდა“? ხომ არ წაგიკითხავთ ზღაპარი წითელქუდას შესახებ? ვის შეუძლია მოგვითხროს იგი?

ჩვენი აზრით, ზღაპარი „წითელქუდა“ მოსწავლეთა უმრავლესობას ეცოდინება. ზღაპრის შინაარსს მოსწავლეები თხრობით გადმოსცემენ, ან მასწავლებელი „გონებრივი იერიშის“ გამოყენებით ამ აქტივობაში მთელ კლასს ჩააბამს.

მოსწავლეები გამოავლენენ თავიანთ დამოკიდებულებებს ზღაპრის პერსონაჟების მიმართ. ისინი შეაფასებენ კიდევ ნაწარმოებებს (მარტივად).

### **III. წუთშესვენება (3 წთ.)**

წუთშესვენების დროს მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს თემასთან დაკავშირებული თამაში: „გასეირნება ზღაპრულ სამყაროში“.

მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას: მოსწავლეებმა თვალეები დახუჭონ და წარმოიდგინონ, რომ ისინი ზღაპრულ სამყაროში მიემგზავრებიან.

თამაშის პროცესში მასწავლებელი მოსწავლეებს დაბალი ხმით ელაპარაკება, ასახელებს ზღაპრის პერსონაჟებს. ბავშვები ტაშით ეგებებიან წითელქუდას, აფრთხილებენ მას – გზიდან არ გადაუხვიო, უჯავრდებიან მგელს, ცდილობენ, დააფრთხონ, ეძახიან მონადირეს და ა. შ.

### **IV. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)**

საგაკვეთილო ტექსტს მასწავლებელი კითხულობს პაუზებით. ჩვენი აზრით, ამ მოთხრობის კითხვისას საჭიროა ოთხი პაუზა.

I პაუზა – „მონადირეს ვატო თამაშობდა“.

II პაუზა – „ყვავილები მხრებზე გადმოგვეფინა“.

III პაუზა – „წითელქუდა, გზიდან არ გადაუხვიო!“

IV პაუზა – „ყველა ტაშს უკრავდა“.

თითოეული პაუზის დროს მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ და მაკონტროლებელ კითხვებს, ხოლო მოსწავლეები მსჯელობენ ზღაპრის მოსალოდნელ გაგრძელებაზე.

კითხვის პროცესში აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

## **II ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში, ინდივიდუალურად, წყვილებში,

### **III. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (12 წთ.)**

მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს პირველ რიგში სახელმძღვანელოში მოთავსებული დამხმარე კითხვების საშუალებით. ყველა კითხვა ორიენტირებულია კითხვის გააზრებაზე და სახელმძღვანელოებიდან ამოკითხვის გზით შესაბამის უნარ-ჩვევათა განვითარებაზე. ბავშვებმა ტექსტიდან ამოკითხვით უნდა უპასუხონ, მაგრამ გამოხატეს მათურებლბმა, რომ სპექტაკლი მოეწონათ.?

სახელმძღვანელოში სამი სავარჯიშო ტექსტის გააზრებაზეა ორიენტირებული. .სავარჯიშოში

„სწორად დაალაგე არეული სიტყვები“- მოსწავლეები არეულ სიტყვებს ალაგებენ და სწორად კითხულობენ წინადადებებს:“ გოგონები ყვავილების სიმღერას მღეროდნენ“ და“ ბიჭები ჯარისკაცებივით იდგნენ. შეიძლება ეს წინადადებები დაფაზე დაინეროს და მოხდეს მისი სრული ანალიზი და სინთეზი. მე-3 სავარჯიშოში მოსწავლეები იხსენებენ მოთხრობის პერსონაჟებს და პასუხობენ კითხვას:“ვის რა როლი ერგო?“ – კატო ბებია, გიორგი – მგელი, ვატო – მონადირე, ბიჭები – სოკოები, გოგონები – ყვავილები.

ბოლო სავარჯიშოში მოსწავლეები სამი სავარაუდო პასუხიდან ამოიკითხვენ სპექტაკლზე მონვენული სტუმრების საერთო სახელია „მაყურებელი“. შეიძლება მოსწავლეებმა მოთხრობა საკუთარი ფანტაზიითაც გააგრძელონ და დაასახელონ შესაძლო ვარიანტები.

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები წერენ რვეულში მითითებულ სავარჯიშოს.

### **III ბაკჰაილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – ტექსტის თხრობა (10 წთ.)**

ვინაიდან ტექსტი პირველ პირშია დაწერილი, მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, გადმოსცენ მოთხრობის შინაარსი მესამე პირში. რა თქმა უნდა, ბავშვებს გრამატიკული პირების შესახებ არ ესაუბრება, იგი პრაქტიკულად უჩვენებს მოსწავლეებს, თუ რას მოითხოვს მათგან – უსახელებს რამდენიმე წინადადებას და ეუბნება, ისე გადმოეცი, თითქოს სხვაზე ლაპარაკობ: „კლასში ზეიმი გაიმართა. ნინო მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმარა. ბავშვებმა დადგეს სპექტაკლი „წითელქუდა“.“

#### **III. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **IV. აქტივობა – როლური თამაში „საკლასო სპექტაკლი“ (15 წთ.)**

სასურველია, დავგეგმოთ და ამ აქტივობისთვის წინასწარ მოვიმარაგოთ ხელოვნების გაკვეთილებზე ფერადი ქაღალდებისგან დამზადებული ყვავილები, სოკოები, ნიღბები. ქაღალდზე მუშაობის ჩვევები ამ პერიოდისთვის მოსწავლეებს უკვე ექნებათ. მსგავსი მარტივი თეატრალური რეკვიზიტის დამზადებას ხელოვნების საპროგრამო დაგეგმვა კიდევ ითვალისწინებს.

როლები, რომლებსაც მოსწავლეები გაკვეთილზე გაითამაშებენ, არ მოითხოვს წინასწარ დასწავლას. მასწავლებელი შეიძლება ამჟამად სუფლიორის – მოკარნახის როლში აღმოჩნდეს, მოსწავლეები მის ნაკარნახევს გაიმეორებენ, ან თავადვე მოახდენენ ტექსტის იმპროვიზებას – მარტივად.

ნებისმიერ შემთხვევაში, როლური თამაში მოსწავლეებს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს, გაახალისებს საგაკვეთილო პროცესს, ხელს შეუწყობს ნაკითხული ტექსტის უკეთ გააზრებას და ბავშვებში აღძრავს სურვილს – ხშირად დაესწრონ თეატრალურ წარმოდგენებს.

#### **V. აქტივობა – წერა (8 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის მიერ რვეულში მითითებულ სავარჯიშოს.

**გაკვეთილის თემა:** ხალხური ლექსები („აქეთ გორასა ნიხლსა ვკრავ“, „ნუ იამაყებ“).

**გაკვეთილის მიზანი:**

- ლექსის ზეპირად გადმოცემის უნარის განვითარება;
- ხალხური პოეზიის ნიმუშების გაცნობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ენობრივი ერთეულების ამოცნობა;
- ანდაზის მნიშვნელობის გააზრება და ზეპირად გადმოცემა. დამოკიდებულებების ფორმირება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება, ნაბეჭდი ტექსტიდან მარტივი წინადადებების გადანერა;

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – საუკეთესო პრეზენტატორი“ (10 წთ.)

მოსწავლეებს განუმარტავთ რას ნიშნავს სიტყვა „პრეზენტატორი“. აქვე განიმარტება ჟიურის მნიშვნელობა.

შეირჩევა ჟიური 7 მოსწავლის შემადგენლობით. მათ უნდა მოუსმინონ თანატოლებს, რომლებიც ნაიკითხავენ ლექსებს ზეპირად. ამ აქტივობაში მთელი კლასი მიიღებს მონაწილეობას. ჟიური გამოავლენს საუკეთესო პრეზენტატორს. მოსწავლეები ნაიკითხავენ ლექსებს, რომლებიც აქამდე უსწავლიათ ან რომელიც მშობლებმა შინ ასწავლეს. საუკეთესო პრეზენტატორი შესაძლებელია დაჯილდოვდეს.

#### III. აქტივობა – პროვოცირება, ანდაზაზე მუშაობა (3 წთ.)

მასწავლებელი წარმოთქვამს ანდაზას და დასვამს კითხვას:

– „მჯობის მჯობი არ დაილევას“, თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს ანდაზა?

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს. ბოლოს მასწავლებელი მათ უხსნის, რომ ყველა ადამიანს აქვს სხვადასხვა შესაძლებლობები, რომ თითოეული მათგანი მეორეს რაღაცით სჯობს, ამიტომ მჯობის მჯობი ყოველთვის გამოჩნდება, ეს პროცესი უსასრულოა – „არასოდეს დაილევას“.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – კითხვა (13 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს შესაბამის გვერდზე გადააშლევინებს სახელმძღვანელოს. უკითხავს ჯერ პირველ ლექსს ხმამაღლა, შემდეგ ანდაზას და შემდეგ მეორე ლექსს. ამის მერე აკითხებს კითხვაში განაფულ რამდენიმე მოსწავლეს. უხსნის, რომ ეს ლექსი ხალხურია – ის ერთი მთქმელისაგან მეორეს ზეპირად გადაეცემოდა და ხალხში ასე ვრცელდებოდა.

მასწავლებელი ტექსტს აანალიზებს. ხსნის უცნობი სიტყვებსა და გამოთქმებს.

#### IV. აქტივობა – კითხვა-პასუხი, დასკვნის გამოტანა (5 წთ.)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ადამიანის რა თვისებაზეა საუბარი ამ ლექსში?
- რა უნდა ახსოვდეს ტრაბახას? (ამოიკითხე ტექსტიდან)
- რას ამბობს ტრაბახა? (ამოიკითხე ტექსტიდან)

**I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

**II. აქტივობა – ჩასვი გამოტოვებული სიტყვები (3 წთ.)**

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ მითითებულ სავარჯიშოს. ჩასვამენ გამოტოვებულ სიტყვებს და აღადგენენ წინადადებებს: „იქით გორას ძვრას ვუზამ“;

„ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრათავა ბაყბაყდეცა“.

**III. აქტივობა – „დაასახელე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები“ (ანტონიმებზე მუშაობა) (2 წთ.)**

მოსწავლეები ასახელებენ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს აქეთ – იქით, დიდი – პანია

**IV. აქტივობა – “შეურჩიე საერთო სახელი“ (3 წთ.)**

სახელმძღვანელოში მოცემულ შეკითხვაზე: „ვინ არიან?“ მოსწავლეები სხვადასხვა ზღაპრის გმირებს შეურჩევენ საერთო სახელს. მოცემული სამიდან: ნაცარქექია, კომბლე, წითელქუდა და ბაყბაყდევი არიან ზღაპრის გმირები.

**V. აქტივობა – „არეული სტრიქონების თანმიმდევრულად დალაგება“ (15 წთ.)**

მუშაობა მიმდინარეობს წყვილებში.

მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს სტრიქონებად დაჭრილი ორივე ლექსი. კლასს ყოფს წყვილებად. თითო წყვილს თითო წინადადება შეხვდება. მასწავლებელი აძლევს განმარტებას: „ორი ლექსი ერთმანეთში აირია. შეეცადეთ, გამოყოთ ლექსები ერთმანეთისაგან და ააწყოთ წიგნში მოცემული თანმიმდევრობით“.

ვისაც რომელი სტრიქონი შეხვდება, ჯერ განიხილავს წყვილებში, ანუ წაიკითხავს. შემდეგ ყველა წყვილიდან თითო კითხულობს ხმამაღლა და ცდილობს ააწყოს ჯერ პირველი ლექსი, შემდეგ – მეორე. ამისთვის მოსწავლეები ხმამაღლა წაიკითხავენ სტრიქონებს სახელმძღვანელოში მოცემული თანამიმდევრობით და ასევე ააწყობენ მაგნიტურ დაფაზე (დაამაგრებენ), ბოლოს მთელი კლასი წაიკითხავს ლექსებს სწორი თანამიმდევრობით, გუნდურად.

**VI. წუთშესვენება (2 წთ.)**

**VII. აქტივობა – ანდაზის ზეპირად დასწავლა (5 წთ.)**

მოსწავლეები წაიკითხავენ ანდაზას დამსჯელობენ მის შინაარსზე.

**VIII. აქტივობა – წერა (5 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულში მოცემული სავარჯიშოების ნაწილს.



### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – „შენი აზრით“ (15 წთ.)

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ვის სურს ჩაატაროს გამოკითხვა კლასში? თითო რიგიდან ამოირჩევა თითო მოსწავლე, რომლებიც თავიანთ რიგში ჩაატარებენ გამოკითხვას. მათ რიგში თანაბარი რაოდენობის მოსწავლეები უნდა შეხვდეთ. ერთი მოსწავლე, რომელიც რიგში ზედმეტი იქნება, დაინიშნება დამკვირვებლად. არჩეული მოსწავლეები ივლიან რიგში და ერთსა და იმავე შეკითხვას დაუსვამენ ყველა მოსწავლეს. კერძოდ: „შენი აზრით, ტრაბახი სასაცილოა თუ სამარცხვინო?“ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ.

„მკვლევრები“ ფურცელზე აღნიშნავენ, რამდენი ეთანხმება, რომ ტრაბახი სასაცილოა და რამდენი – რომ სამარცხვინოა (ფურცელზე წინასწარ იქნება გამზადებული ორივე სიტყვა და გვერდით მიუწერენ რაოდენობას. შესაძლებელია, მოინიშნონ რიცხვით ან ხაზებით. გაიმარჯვებს ის, რომელიც ყველაზე სწრაფად და სწორად შეაგროვებს ინფორმაციას, დაითვლის პასუხების რაოდენობას. ამას გააკონტროლებს დამკვირვებელი.

ამის შემდეგ თითოეული „მკვლევარი“ გააკეთებს პრეზენტაციას თავისი ჩანაწერის შესახებ.

ბოლოს შეჯამდება, კლასში რამდენი ფიქრობს, რომ ტრაბახი სასაცილოა და რამდენი თვლის, რომ ეს თვისება სამარცხვინოა. შესაძლებელია, დისკუსიაც გაიმართოს, რატომ ფიქრობენ ასე.

#### III. წუთშესვენება (2 წთ.)

#### IV. აქტივობა – ლექსის მხატვრული კითხვა (6 წთ.)

მოსწავლეები ვარჯიშობენ ლექსების მხატვრულ კითხვაში.

#### V. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ რვეულში მოცემულ სავარჯიშოებს ბოლომდე.

## 186-ი, 187-ი, 188-ი გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „სიკო და ძია ნიკო“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მართლმეტყველების ნესების დაცვა, ტექსტთან დამოკიდებულების გამოხატვა;
- აზროვნების განვითარება;
- სწორი წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება (6 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: „მიირთმევენ“, „საუზმე“, „სადილი“, „ვახშამი“ და მოსწავლეებს ეუბნება:

– ეცადეთ, ამ სიტყვების გამოყენებით პატარა ამბავი შეადგინოთ.

სასურველია ეს აქტივობა ჯგუფური მუშაობით შესრულდეს.

სავარაუდოდ, მოსწავლეები შეადგენენ: „ადამიანები დილით საუზმეს მიირთმევენ, შუადღისას – სადილს, ხოლო საღამოთი – ვახშამს“.

გაიმართება საუბარი, – რას მიირთმევენ ადამიანები დღის განმავლობაში, დღეში რამდენჯერ მიირთმევენ, ვის რა კერძი უფრო უყვარს, საუბრობენ ჭამის დროს სისუფთავის დაცვის აუცილებლობაზე და ა. შ.

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს სიტუაციური თამაშიც შესთავაზოს, მაგ.: წარმოადგინონ სადილობის სიტუაცია და გამოიყენონ საჭირო რეპლიკები...

#### III. აქტივობა – კითხვა და ანალიზი (10 წთ.)

ამ ტექსტის წასაკითხად სასურველია გამოვიყენოთ მეთოდი „პაუზებით კითხვა“. სავარაუდოდ, წარმოდგენილი მოთხრობა სამ ნაწილად დაიყოფა, ყოველი ნაწილის წაკითხვის წინ მასწავლებელი დასვამს ერთ მაპროვოცირებელ შეკითხვას, ხოლო წაკითხვის შემდეგ ტექსტის გასააზრებლად საჭირო სხვადასხვა დონის შეკითხვებს. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები, ტექსტს წაკითხვას კითხვაში განაფული ერთი ან რამდენიმე მოსწავლე.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას, მათ შორის რუბრიკას „ამოიკითხე ტექსტიდან“. მინიშნებულ ადგილებს მოსწავლეები ტექსტიდან ამოიკითხავენ.

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – „გამოცანების გამოცნობა“ (6 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს წააკითხებს გამოცანას. მოსწავლეები გამოიცნობენ და დაასახელებენ „საპონს“.

საუბარი გაიმართება ჭამის დროს სისუფთავის დაცვის აუცილებლობაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

- წაიკითხე ბოლო წინადადება. რას ნიშნავს?
- როგორც უნდა მოიქცეს ბიჭი, რომ სახეზე არ „ენეროს“, თუ რას მიირთმევს ყოველდღიურად?
- რატომაა აუცილებელი ჭამის დროს სისუფთავის დაცვა?
- შენ იცავს ჭამის დროს სისუფთავს? როგორ? იბან ხელებს საპნით? ჭამის შემდეგ კბილებს იხეხავ? და ა. შ.

#### III. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (8 წთ.)

მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ტექსტისადმი, პერსონაჟებისადმი, – რა მოგეწონათ და რა – არა. რატომ? როგორი ბიჭია პატარა სიკო? როგორი კაცია ძია ნიკო? რას ურჩევდით პატარა ბიჭს? თვითონ როგორ მოიქცეოდით? ხომ არ გააგრძელებდით მოთხრობას? უპასუხებენ შეკითხვებს რუბრიკიდან „შენი აზრით“. „როდის რას მიირთმევენ?“-დილით-საუზმე, შუადღისას-სადილი, საღამოს-ვახშამი.

მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას მოთხრობის ავტორის (როდინი ქორქიას) შესახებ. მსჯელობენ ნაწარმოების სათაურზე. შესაძლებელია, მოთხრობას პირობითად სხვა სათაურიც შეურჩიონ.

დაასკენიან, რომ ადამიანი მუდმივად, მათ შორის ჭამის დროსაც, სისუფთავეზე უნდა ზრუნავდეს.

### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### VI. აქტივობა – ენობრივ მასალაზე მუშაობა (7 წთ.)

შესაძლებელია, მასწავლებელმა მრავალნაირი გრამატიკული სავარჯიშოს შესრულება დაგეგმოს: მარტივი წინადადების ანალიზი და სინთეზი, წინადადების გავრცობა, ტექსტიდან კითხვითი წინადადებების ამოკრება, არასრული სიტყვის თანხმონებით ან ხმონებით შევსება, წინადადებაში სიტყვების დალაგება, დეფორმირებული წინადადების აღდგენა, მარტივი ენობრივი ერთეულების ამოცნობა, – სიტყვა, მარცვალი, ხმოვანი, თანხმოვანი, წინადადებების საზღვრების ამოცნობა, საჭირო ადგილას წერტილის დასმა და ა. შ.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ მითითებულ სავარჯიშოებს.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – დიდაქტიკური თამაში „შევადგინოთ მენიუ“ (6 წთ.)

სავარჯიშო ხალისიანად რომ შესრულდეს, სასურველია მასწავლებელმა დაფაზე დახატოს (ან წინასწარ დაახატვინოს) გოგონა ან ბიჭუნა. მასწავლებელი კლასს სთავაზობს, რომ ამ ბავშვს შეუდგინოს დღის მენიუ.

მარცხნივ ჩამონერილია სიტყვები: „საუზმე, სადილი, ვახშამი“, მარჯვნივ კი სხვადასხვა საკვების დასახელება: „ქათმის ხორცი, რძე, წვნიანი, ფაფა, ჩაი, ბოსტნეულის სალათი, ჩახობბილი, ხილი, კარაქიანი პური, შემწვარი კარტოფილი, არაყანი, ხაჭო, კატლეტი, კვერცხი, ყველი...“

მიუთითებს, რომ შესატყვისი სიტყვები ხაზით დააკავშირონ, – რას მიაერთმევენ ბავშვს საუზმეზე? სადილზე? ვახშამზე? არ არის სავალდებულო, გამოიყენონ ყველა სიტყვა, შეარჩიონ შეხედულებისამებრ.

გაიმართება საუბარი სასარგებლო პროდუქტებზე. რვეულში შეასრულებენ სავარჯიშოს „შეაერთე ხაზებით“. ამით მიღებულ ცოდნას კიდევ ერთხელ განიმტკიცებენ.

#### III. აქტივობა – თხრობა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მოთხრობის შინაარსს თანმიმდევრული თხრობით გადმოაცემინებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მართლმეტყველების წესების დაცვის აუცილებლობაზე, მოუწოდებს მოსწავლეებს, რომ მეტყველების დროს თავი აარიდონ ზედმეტ ჩანართებს, სიტყვები, ბგერები გამოთქვან მკაფიოდ.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)

მოსწავლეები აკვირდებიან რუბრიკას „შემოხაზე სწორი პასუხი“, არკვევენ, რომელი წინადადება გა-  
მოხატავს კითხვას და ასახელებენ (2).

ვარჯიშობენ თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადების შედგენაში.

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას ამ გაკვეთილისთვის შერჩეულ წერით სავარჯიშოებზე.

**გაკვეთილის თემა:** „პატარა ფეხბურთელი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევას განვითარება;
- ზეპირმეტყველება – ლექსიკური მარაგის გამდიდრება-გააქტიურება, მარტივი ინფორმაციის თანმიმდევრულად გადმოცემა, ტექსტში აღწერილი ამბის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება, დამოკიდებულებათა გამოხატვა;
- სწორად წერის უნარის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

## გაკვეთილის მსვლელობა

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – პროვოცირება (10 წთ.)

ეს აქტივობა შეიძლება წყვილებში ჩატარდეს. ბავშვები ერთმანეთს უამბობენ, სპორტის რა სახეობა უყვართ და აპირებენ თუ არა, მისდინო მას. რას აკეთებენ ისინი, რომ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში წარმატებას მიაღწიონ. მეწყვილის ნათქვამს მოსწავლეები კლასს უამბობენ. საუბარი გაიმართება სპორტის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ.

კლასში აუცილებლად იქნებიან ფეხბურთით გატაცებული ბიჭები. ისინი დაასახელებენ ცნობილ ფეხბურთელებს, მათ შესახებ გადმოსცემენ მარტივ ინფორმაციას.

მასწავლებელი კლასს ეკითხება:

- თქვენი აზრით, როგორ მიაღწიეს ცნობილმა ფეხბურთელებმა ასეთ წარმატებას?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ცნობილი ფეხბურთელი გახდე?

მასწავლებელი მოსწავლეებს მოუწოდებს სისტემატური სპორტული ვარჯიშებისკენ, სხეულის გაჯანსაღება-გაკაჟებისკენ, თუნდაც ისინი არ აპირებდნენ, პროფესიონალი სპორტსმენები გახდნენ.

### III. წუთშესვენება (3 წთ.)

მოსწავლეები მუსიკის თანხლებით ასრულებენ ფიზკულტურის გაკვეთილებზე ნასწავლ სპორტულ ვარჯიშებს.

### IV. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი იყენებს მეთოდს „პაუზებით კითხვა“. ბავშვებს უსვამს მაპროვოცირებელ და მაკონტროლებელ შეკითხვებს. სავარაუდოდ, ტექსტი „პატარა ფეხბურთელი“ სამ ნაწილად გაიყოფა.

ტექსტის ნაწილთა გამთლიანების მიზნით აკითხებს კითხვაში განაფულ ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს.

### V. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)

მასწავლებელი შეარჩევინებს მარტივ წინადადებას და მოახდენინებს მის ანალიზსა – სინთეზს. სიტყვებში გამოარჩევინებს მარცვლებს, თანხმოვანსა და ხმოვან ასო-ბგერებს, წინადადებაში – მოქმედების გამოხატველ სიტყვებს, ტექსტში – წინადადების საზღვრებს.

**I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

**II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „განასახიერე სპორტის სხვადასხვა სახეობა“ (5 წთ.)**

მოსწავლეები გამოდიან და მოძრაობით განასახიერებენ სცენას სპორტის სხვადასხვა სახეობიდან. კლასი ცდილობს გამოიცნოს, სპორტის რომელ სახეობაზე მიაწინებს მათ გამოძახებული მოსწავლე, მაგ.: „ფიგურული სრიალზე“, „კალათბურთზე“, „ფეხბურთზე“ და სხვა.

შეიძლება მასწავლებელმა კლასს უჩვენოს ეპიზოდი წინასწარ მოძიებული ვიდეოფილმიდან ან მულტფილმიდან – ფეხბურთის შესახებ. მსგავსი ანიმაციური ფილმის ნახვა პატარებს ძალიან დააინტერესებს და მოახდენს მათ მოტივირებას შემდგომი გააზრებული კითხვისთვის.

**III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი იყენებს კითხვის სასურველ სტრატეგიებს, მათ შორის სახელმძღვანელოში მოთავსებულ რუბრიკას – „ამოიკითხე ტექსტიდან“. მითითებულ კითხვებზე პასუხს იგი მოსწავლეებს მოთხოვნიდან ამოაკითხვინებს, რწმუნდება, რომ ბავშვები ნამდვილად გააზრებულად კითხულობენ.

**IV. აქტივობა – მსჯელობა (5 წთ.)**

ამ აქტივობის შესასრულებლად მასწავლებელი იყენებს რუბრიკას სახელმძღვანელოდან „შენი აზრით“. ბავშვები მსჯელობენ, გახდება თუ არა ბიჭუნა ნამდვილი ფეხბურთელი და რა დასჭირდება მას ამ მიზნის მისაღწევად.

შეიძლება კლასს შევთავაზოთ ამ მოთხოვნის ზეპირად გაგრძელებაც – რა შეიძლებოდა შემდეგ მომხდარიყო.

მოსწავლეები აკეთებენ თავისთვის (და არა მასწავლებლისთვის) მისაღებ დასკვნებს. მაგ.: თუ სხეულს გაიკაჟებს და ბევრს ივარჯიშებს, ნებისმიერ ბიჭს შეუძლია, ცნობილი ფეხბურთელი გახდეს“, გა-  
მოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას წაკითხული ტექსტის მიმართ, პერსონაჟის მიმართ.

ასრულებენ სავარჯიშოს „სწორად შეარჩიე და წაიკითხე“. ჩამონათვალიდან აარჩივენ სწორ პასუხს.

**V. აქტივობა – „უპასუხე კითხვას“ (3 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს. ზეპირად პასუხობენ კითხვას: „რომელი სიტყვები უკავშირდება ფეხბურთს?“ „სტადიონი, მსაჯი, მეკარე, გულშემატკივარი, მწვრთნელი“.

**VI. წუთშესვენება (1 წთ.)**

**VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

რვეულის შესაბამის გვერდზე მოთავსებულ წერით სავარჯიშოებს მასწავლებელი სურვილისამებრ ყოფს ორ ნაწილად. მოსწავლეები მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით წერენ სავარჯიშოების პირველ ნაწილს.

### III ბაკვეთილი

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – კითხვა (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს კითხვაში.

#### **III. აქტივობა – ტექსტის თხრობა (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს გაბმულად თხრობაში, მოთხრობის შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემაში.

მიუთითებს მოსწავლეებს, დაიცვას მართლმეტყველების წესები, – მკაფიოდ გამოთქვან ბგერები, სიტყვები გამოყონ პაუზებით, გამოიყენონ საკავშირებელი სიტყვები, მეტყველების დროს თავი აარიდონ არასაჭირო ჩანართებს.

#### **IV. წუთშესვენება (1 წთ.)**

#### **V. აქტივობა – „სავარჯიშოების შესრულება“ (8 წთ.)**

მოსწავლეები სავარჯიშოში- „სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები“, შეარჩივენ გამოტოვებულ სიტყვებს („ფეხბურთელები“ და „ბურთი“) და წაიკითხავენ წინადადებებს. სავარჯიშოში „საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები“ მოსწავლეები ასახელებენ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს „ადექი-ჩაჯექი“, „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“, „დიდი-პატარა“. თითოეული სავარჯიშოს შესრულებას მასწავლებელი ორ-ორ წუთს უთმობს.

#### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ წერიტი სავარჯიშოების მეორე ნაწილს.

## 192-ი, 193-ი, 194-ი გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „როგორ მიდიოდა ორმოცფეხა ექიმის მოსაყვანად“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევათა განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება, – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება „მოიფიქრე გამაერთიანებელი სიტყვა“ (5 წთ.)

მასწავლებელი დაფაზე წერს მწერების სახელებს და მოსწავლეებს სთხოვს, მოიფიქრონ ამ სახელების გამაერთიანებელი სიტყვა.

ჭიამაია

ჭრიჭინა

ჭიანჭველა

პეპელა

კოლო

ნემსიყლაპია

მოსწავლეთაგან რომელიმე იტყვის, რომ დაფაზე წერია მწერების სახელები. სიტყვა „მწერები“ დაფაზე ჩამონათვალის ქვეშ დაინერება.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, გაუგიათ თუ არა მათ ორმოცფეხას შესახებ. კიდევ რომელი არსება იციან, რომელსაც ბევრი „ფეხი“ აქვს. კლასში აუცილებლად აღმოჩნდება მოსწავლე, რომელიც გაიხსენებს რვაფეხას. ბავშვებს ის უფრო ემახსოვრებათ, ვინაიდან ცნობილი მულტფილმის, „არიელის“ პერსონაჟია. მასწავლებელი კლასს განუმარტავს, რომ რვაფეხა წყლის ბინადარია, ორმოცფეხა კი ჭიების ერთ-ერთი სახეობა.

სასურველია, მასწავლებელმა მოიძიოს და მოსწავლეებს უჩვენოს დამატებითი თვალსაჩინოება – ორმოცფეხა (ეპიზოდი შემეცნებითი ვიდეოფილმიდან ან ილუსტრაცია).

#### III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

ტექსტის ასახსნელად მასწავლებელი, სავარაუდოდ, გამოიყენებს მეთოდს „პაუზებით კითხვა“. სასურველია, მითითებული ტექსტი ოთხ ნაწილად გაიყოს. კითხვის დაწყების წინ მასწავლებელი დასვამს მაპროვოცირებელ შეკითხვას, დასრულების შემდეგ კი შეკითხვებს ნაკითხული ნაწილის შინაარსის უკეთ გასააზრებლად.

აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. ტექსტს ნაიკითხავს კითხვაში განაფული ერთი ან რამდენიმე მოსწავლე.



#### **IV. ნუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (8 წთ.)**

მასწავლებელი გააანალიზებს ნაწარმოებს. მოსწავლეები იმსჯელებენ, რა მოენონათ, რა არ მოენონათ, რატომ? როგორია მოთხრობის მთავარი პერსონაჟი? რა შეცდომა დაუშვეს ჭრიჭინობელებმა, როცა დახმარება ორმოცფეხას სთხოვეს? იმსჯელებენ საფრთხეში ჩავარდნილისათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროებაზე, გაიხსენებენ ანალოგიურ მაგალითებს და ა. შ.

გააკეთებენ დასკვნას – სხვების დასახმარებლად უნდა გამოიყენო შენი შესაძლებლობები. საჭიროების დროს უნდა მიიღო სწრაფი და სწორი გადაწყვეტილება...

#### **VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (8 წთ.)**

გაიმართება ვარჯიში მარტივი გრამატიკული ერთეულების ამოსაცნობად.

შეირჩევა საანალიზო წინადადება, რომელსაც მასწავლებელი რამდენიმე თანხმომცემის გამოტოვებით დაწერს დაფაზე. მოსწავლეები რიგრიგობით გამოვლენ და სიტყვებს შეავსებენ გამოტოვებული თანხმომცემით. მაგ.: ჭრი-ინო-ელებმა ზეი · ი მოა · ყ · ეს

უნდა დაისვას წერტილი. მოხდეს წინადადების სრული ანალიზი და სინთეზი.

მასწავლებელმა შეიძლება დამატებით შესთავაზოს რამდენიმე სავარჯიშო. მაგ.:

- სიტყვაში „ორმოცფეხა“ რამდენი ხმოვანია? რამდენია თანხმომცემი? ჩაწერე უჯრეტში.

#### **ორმოცფეხა**

ხმოვანია: 4

თანხმომცემია: 5

- ჩასვი ხმოვნები და მიიღე სიტყვა: **ფ ხ ს ც მ ლ ბ** (ფეხსაცმელები)

აღნიშნული სავარჯიშოები შესრულდება დაფაზე.

- ზეპირად შევადგინოთ მარტივი წინადადებები ახლად ახსნილი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით: „შეუძლოდ შეიქნა“, „გამხნეება დაუნყეს“ ...

## **II ბაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

#### **II. აქტივობა – ამოკითხვა (13წთ.)**

მასწავლებელი იყენებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას. დასასრულ კი რუბრიკას „ამოიკითხე ტექსტიდან“. კითხვებს მოსწავლეები პასუხობენ ტექსტიდან ამოკითხული ფრაგმენტებით.

#### **III. აქტივობა – „ნაიკითხე“ (3 წთ.)**

მოსწავლეები ამოკითხავენ სავარჯიშოში მითითებულ პასუხებს და დაასახელებენსასურველს. ტექსტიდან გამომდინარე, ისინი ალბათ სწორ პასუხად მიიჩნევენ მეორეს – „ვინც სწრაფად მოემზადება წასასვლელად“. ეს არის სამუშაოს ერთგვარი გაგრძელება დასკვნის გამოსატანად.

## **V. ნუთშესვენება (1 წთ.)**

## **VI. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

შესაბამის გვერდზე მოთავსებულ სავარჯიშოებს მასწავლებელი შეხედულებისამებრ ყოფს ორ ნაწილად. მოსწავლეები ასრულებენ წერიტი სავარჯიშოების / ნაწილს.

## **III გაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)**

### **II. აქტივობა – კითხვა (7 წთ.)**

### **III. აქტივობა – ტექსტის თხრობა (7 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს თანმიმდევრულად თხრობაში. ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა მართლმეტყველებაზე, ინტონაციაზე, უსწორებს შეცდომებს, მოითხოვს, რომ მეტყველებისას არ გამოიყენონ არასაჭირო, ზედმეტი ჩანართები.

### **IV. აქტივობა – ანდაზაზე მუშაობა (5 წთ.)**

მოსწავლეები ნომრების მიხედვით აანყობენ ანდაზას და მსჯელობენ მის შინაარსზე.

### **V. აქტივობა – წერა (15წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ წერიტი სავარჯიშოების მეორე ნაწილს.

**I, „შეაესე თანხმონებით“**-მოსწავლეები რვეულში ასრულებენ მითითებულ სავარჯიშოს – სიტყვებს ავსებენ თანხმონებით და მიიღებენ წინადადებას „ჭრიჭინობელა გამოჯანმრთელდა“.

### **II, „ჩასვი გამოტოვებული სიტყვები“**

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ სავარჯიშოს და სვამენ სიტყვებს: შეუძლოდ, თავი.

### **III, „შეადგინე სიტყვები“**

სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოს მიხედვით მოსწავლეები ადგენენ სიტყვებს: კუდმაკრატელა, ყურცქვიტა, თავხერხა და ხაზით აერთებენ.

**გაკვეთილის თემა:** „ლომის იგავი“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- ზეპირმეტყველების განვითარება;
- აზროვნების განვითარება;
- წინადადებებიდან თხზულების ზეპირად შედგენა;
- გენდერული თანასწორობის არსის გაგება;
- საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- სწორი კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების დაუფლება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – მზადება კითხვისთვის (პროვოცირება) (3 წთ.)

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

– მე თქვენ წაგიკითხავთ ლომის იგავს, რომლის ავტორია ვასილ გულეური. იგავი მოთხრობად ან ლექსად გადმოცემული მოკლე ამბავია, რომელიც დარიგებას, შეგონებას. იგავში შეიძლება პერსონაჟებად გამოყვანილი იყვნენ ცხოველები, ფრინველები, მწერები, მაგრამ მათში შეიძლება ვიგულისხმოთ ადამიანები და ადამიანური თვისებები.

ამ იგავის მიხედვით ვიგებთ, რომ ცხოველთა სამეფოში, რომლის მეფეა ლომი, დიდი მოლოდინი და ჩოჩქოლია. ყველა ელის.

#### III. აქტივობა – სანიმუშო კითხვა (10 წთ.)

ლექსს მასწავლებელი კითხულობს სანიმუშოდ, შესატყვისი ინტონაციებით. აკითხებს ერთ ან კითხვაში განაფულ რამდენიმე მოსწავლეს.

#### IV. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (5 წთ.)

ტექსტი იკითხება ნაწილ-ნაწილ, აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები.

#### V. აქტივობა – ჯგუფური მუშაობა (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და აძლევს ზეპირ ინსტრუქციას:

– წარმოიდგინეთ, რომ გოგოს დაბადებამ ცხოველთა სამეფოში უკმაყოფილება გამოიწვია. მათ ლხინის მიზეზი წაერთვათ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, დავარწმუნოთ სამეფოს მკვიდრნი, რომ თუმცა მემკვიდრე ქალია, ის ისევე შეძლებს მეფობას, ქვეყნის მართვას, როგორც ამას ვაჟი გააკეთებდა.

ჯგუფებში მოსწავლეები მსჯელობენ, ზეპირად აყალიბებენ არგუმენტებს, რომლითაც ყველას დაარწმუნებენ, თუ რატომაა მეფის შვილი – ქალი თუ ვაჟი – ორივე თანასწორი.

#### VI. აქტივობა – დასკვნის გამოტანა (5 წთ.)

მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს გენდერული თანასწორობის შესახებ, ისინი დაასკვნიან, რომ მეფეს მართლა ჰქონია ლხინის მიზეზი; რომ „ლეკვი ლომის სწორია, ძუ იყოს თუნდა ზვადია“.

## II გაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – კითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ლექსს სტროფების მიხედვით აკითხებს. იყენებს კითხვის სხვა სასურველ სტრატეგიასაც. ლექსის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ბოლო ორ ტაეზე შეაჩერებს მოსწავლეთა ყურადღებას: „ლექვი ლომისა სწორია...“

ის გააცნობს მათ ამ ბრწყინვალე აფორიზმის შემქმნელ დიდ პოეტს შოთა რუსთაველს, რომელმაც XII ს.-ში დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და ეს სიტყვები სწორედ ამ პოემიდანაა.

კითხვაზე ვარჯიშის შემდეგ მასწავლებელი ტექსტის გასააზრებლად დასვამს კითხვებს და ტექსტიდან პასუხებსაც ამოაკითხვინებს:

– რატომ ლელავს ლომი და მთელი მისი სამეფო? (შთამომავალი ჯერ არ ჰყავთ)

– თქვენი აზრით, ვინ უნდა გახდეს გვირგვინოსანი? (ძე)

– როგორ გესმით, გარდაუვალი ეგონა? (შეუცვლელი, აუცილებლად მოსახდენი)

რატომ გაუცრუვდათ იმედი? (ვაჟს ელოდნენ და გოგო დაიბადა)

მეფის თქმით, რა იყო ლხინის მიზეზი? (მემკვიდრის დაბადება)

რა იყო ცხადი და ნათელი მეფისთვის და საერთოდ ყველასთვის? (ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია)

### III. აქტივობა – სავარჯიშო წიგნში „ამოიკითხე“ (5 წთ.)

მოსწავლეები კვლავ ტექსტზე მუშაობენ, სავარჯიშოში აკვირდებიან ჩამონათვალს და რომელი ცხოველიც არ არის ლექსში ნახსენები, იმას ამოიკითხავენ (ირემი, მგელი, აქლემი, ლამა).

### IV. აქტივობა – დაასახელე (2 წთ.)

მოსწავლეებმა სიტყვა „ოთხფეხი“ და „ფრთოსანი“ უნდა შეუსაბამონ სავარჯიშოში მოცემულ ცხოველებსა და ფრინველებს და დაასახელონ. ოთხფეხია – ზებრა, აქლემი, ლომი, ყირაფი; ფრთოსანია – არწივი, ბულბული, ქორი.

### V. წუთშესვენება (1 წთ.)

### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მასწავლებლის მითითების შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ საწერ სავარჯიშოებს.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – როლური თამაში „ლომის იგავის“ მიხედვით (20 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

– წარმოიდგინეთ, რომ გავიდა დრო და მეფე ლომი თავის ასულს ამეფებს. სამეფო კარზე დიდი ზეიმია. მოიფიქრეთ, ვინ ესწრება ლხინს, ვინ რას აჩუქებს ლომის ასულს, ვინ რას ეტყვის, როგორ გაამეფებენ? (სამეფო მოსასხამი, გვირგვინი, ტახტი, კვერთხი). რას მოიმოქმედებს დედოფალი? (მონყალებას გასცემს, ყველას დაასაჩუქრებს, დალოცავს, ქვეყანას წაუძღვება ღირსეულად).

მასწავლებელი როლებს გაუნანილებს და მოსწავლეები გაითამაშებენ.

სამეფო რეკვიზიტი (სიმბოლური ტახტი, გვირგვინი, მოსასხამი და კვერთხი) თავიანთი ძალებით ხელოვნების გაკვეთილებზე წინასწარ უნდა დაამზადონ.

ასევე, თუ სურვილი ექნებათ, სცენარში შეუძლიათ ჩართონ ჯუნგლების სხვა ბინადარნიც, ისინი, რომლებზეც იგავში არ წერია, – ვინ როგორ იქცევა, ვინ რით გამოიჩენს თავს ამ ნადიმზე, ვინ რას ფიქრობს მომავალ დედოფალზე.

#### III. აქტივობა – დამოკიდებულების გამოხატვა (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს გამოჰკითხავს, რა მოსწონთ, რა არ მოსწონთ ტექსტში, რას შეცვლიდნენ, რას დაამატებდნენ. როგორი უნდა იყოს თანამედროვე მეფე? ქალი ჯობს მეფედ თუ კაცი? რატომ?

#### IV. წუთშესვენება (1 წთ.)

#### V. აქტივობა – წერა (7 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სავარჯიშოებს.

## 197-ე, 198, 199-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „პრინცესა ცერცვის მარცვალზე“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება (ხმამალალი, სწორი კითხვა);
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი სუფიტიანი ტექსტის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა. ნაწარმოების გაანალიზება და აზრის მარტივად დასაბუთება, ნაწარმოებთა დიფერენცირება;
- სწორად წერის ჩვევის განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – „გონებრივი იერიში“ (8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვას: „რა გსმენიათ ან წაგიკითხავთ პრინცესა და პრინცესებზე?“

დაფაზე ივსება „ასოციაციური რუკა“. მოსწავლეები იხსენებენ პრინცესებს ცნობილი ზღაპრებიდან, მულტფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან (არიელი – „ქალთევზა“, მძინარე მზეთუნახავი, ფიფქია – „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“...).

მოსწავლეები ახასიათებენ ამ პერსონაჟებს. მსჯელობენ, როგორებად წარმოუდგენიათ მათ ნამდვილი პრინცესები. აუცილებლად გაჩნდება მოსაზრება, რომ ნამდვილი პრინცესა გამორჩეულად ლამაზია და ნაზი, განსაკუთრებით კი – ზღაპრული პრინცესა.

ეს აზრი განვითარდება შემდგომ აქტივობებში.

#### III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

ტექსტი დამუშავდება ნაწილ-ნაწილ, პაუზებით. კითხვის გააზრების მიზნით დაისმება სხვადასხვა სახის შეკითხვები. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები: „კოკისპირული“, „წურწურით“, „ცერცვის მარცვალი“, კეთდება დასკვნა – ნამდვილი პრინცესა გამორჩეულია ყველა თვისებითა და მოქმედებით.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – კითხვა (13 წთ.)

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში. გამოიყენება კითხვის ნებისმიერი სახე (ინდივიდუალური, გუნდური, გაგრძელებით, გამოკრებით). ყურადღება გამახვილდება სიტყვათა მართლწარმოთქმაზე, პაუზების გაკეთებაზე.

## II გაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – „ამოიკითხე ტექსტიდან“ (8 წთ.)

ასრულებენ მითითებულ რუბრიკას. დასმული შეკითხვების შესაბამისად ამოიკითხავენ საჭირო ფრაგმენტებს.

### **III. აქტივობა – „დაასახელე, რომელია ზედმეტი?“ (5 წთ.)**

მოსწავლეები გამოხატავენ დამოკიდებულებას წაკითხული ტექსტისადმი, პერსონაჟებისადმი. აღნიშნავენ, თუ რატომ მოსწონთ ან არ მოსწონთ ესა თუ ის პერსონაჟი.

ასრულებენ სავარჯიშოს – ჩამონათვალში დაასახელებენ იმ პერსონაჟებს, რომლებიც მათ ტექსტში არ შეხვედრიათ: ვეზირი, მეფე, მსახური, კარისკაცი.

### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – „ენობრივ ერთეულებზე მუშაობა“ (8 წთ.)**

მოსწავლეები აანალიზებენ შერჩეულ და დაფაზე დაწერილ წინადადებებს. აკვირდებიან სიტყვების ბგერით შედგენილობას, მნიშვნელობას. მასწავლებლის ინსტრუქციის თანახმად, ტექსტში ეძებენ ორ, სამ, ოთხმარცვლიან და ა. შ. სიტყვებს. წინადადებაში აფიქსირებენ საზღვრებს სიტყვათა შორის, ტექსტში – წინადადებებს შორის.

#### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ზეპირი ინსტრუქციის თანახმად მოსწავლეები ასრულებენ წერიტი სავარჯიშოების I ნაწილს.

## **III ბაკვეთილი**

### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „მე ვიცი ხუთი სახელი“ (5 წთ.)**

მოსწავლეები ასახელებენ ხუთ ზღაპარს, ზღაპრის ხუთ პერსონაჟს, ხუთ ანიმაციურ ფილმს და ა. შ. – მასწავლებლის ზეპირი ინსტრუქციის შესაბამისად.

#### **III. აქტივობა – კითხვა-თხრობა (10 წთ.)**

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ მთლიანად, ნაწილ-ნაწილ, ინდივიდუალურად, გუნდურად, წყვილებში, ვარჯიშობენ თხრობითი და კითხვითი წინადადებების მართლწარმოთქმაზე...

თხრობისას – მართლმეტყველების წესების დაცვაზე, თხრობის თანმიმდევრობაზე, სათანადო ინტონაციებზე...

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – „შეასრულე სავარჯიშო“ (8 წთ.)**

მოსწავლეები იხსენებენ ზღაპრის სათაურს, ასახელებენ, მსჯელობენ, შეესაბამება თუ არა სათაური ტექსტის შინაარსს, ხომ არ შეურჩევდნენ სხვა სათაურს...

#### **VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

მასწავლებლის ზეპირი ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლის რვეულში ასრულებენ წერიტი სავარჯიშოების მეორე ნაწილს. სიტყვებს შეავსებენ თანხმოვნით „პ“.

## 200-ე, 201-ე, 202-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „პეპი საყიდლებზე მიდის“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მეტყველების განვითარება – გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- წერის ჩვევების განმტკიცება-განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – „მოიფიქრე რეპლიკა“ (8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს მოუთხოვს სიტუაციას – ბავშვები შედიან მაღაზიაში და მიმართავენ ტკბილეულის გამყიდველს. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ საჭირო რეპლიკები და წარმოადგინონ გამყიდველთან ურთიერთობის, ტკბილეულის ყიდვის სცენა, გამოიყენონ სიტყვები, რომლებიც ასეთ სიტუაციაში დასჭირდებათ.

#### III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

ტექსტს წაიკითხვენ ნაწილ-ნაწილ – პაუზებით.

მასწავლებელი დასვამს სხვადასხვა სახის შეკითხვები, ჩაატარებს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზს. ტექსტს წაიკითხავს ერთი ან რამდენიმე კითხვაში განაფული მოსწავლეც.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – კითხვა (13 წთ.)

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში. გამოიყენება ინდივიდუალური კითხვა, ცალკეული აბზაცების გუნდური კითხვა, გაგრძელებით კითხვა, გამოკრებით კითხვა – წიგნში, საგანგებო რუბრიკაში მითითებული კითხვების მიხედვით (ამოიკითხე ტექსტიდან).



## II ბაკავთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (8 წთ.)

მოსწავლეები ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ კითხვებზე პასუხით. ისინი გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებებს, როგორც ნაწარმოების, ისე პერსონაჟებისადმი.

რუბრიკაში „შენი აზრით“ ასახელებენ როგორია პეპის ამბავი – მხიარული, დამაფიქრებელი თუ მოსაწყენი.

ზეპირად მსჯელობენ ნაწარმოების პერსონაჟებზე. მაგალითად:

აღწერეთ პეპი – ვინ არის, როგორი გოგონაა?

შეადარეთ – მათთვის ცნობილი ზღაპრების ან მულტფილმების პერსონაჟებიდან ვის უფრო ჰგავს ეს უცნაური გოგონა?

შეაფასეთ – მოსწონთ თუ არა პეპის საქციელი? რატომ? თვითონ როგორ მოიქცეოდნენ?

### III. აქტივობა – გააკეთეთ დასკვნა (5 წთ.)

მასწავლებელი კლასს სთავაზობს, გააგრძელონ მოთხრობა. შეიძლება ეს მოხდეს ჯგუფური მუშაობით, – ყველა ჯგუფმა საკუთარი ვერსიები წარმოადგინოს. ვფიქრობთ ამ ვარიანტებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვების სიხარულზე. შეიძლება, ვინმეს წაკითხული ჰქონდეს ამ ამბის ავტორისეული გაგრძელება ან კლასს თავად მასწავლებელმა შესთავაზოს.

საბოლოოდ, ბავშვები მივლენ დასკვნამდე – ბედნიერებაა, როცა შეგვიძლია, ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს, სიხარული მივანიჭოთ. კეთილ ადამიანებს სხვისთვისაც სიხარული მოაქვთ.

### IV. წუთშესვენება (2 წთ)

### V. აქტივობა – „რომელია სწორი პასუხი?“ (3 წთ.)

მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ იმ თავაზიან გამოთქმებზე, რომლებიც მალაზიაში, გამყიდველთან ურთიერთობის დროს დაგვჭირდება და ასახელებენ ყველა გამოსაყენებელ მიმართვას: „გთხოვთ გადაიხადოთ!“, „ინებეთ, გეთაყვა!“, „თუ შეიძლება, ამინონეთ!“, „გმადლობთ!“.

### VI. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (5 წთ.)

მოსწავლეები მასწავლებლის დავალებით ამოიკითხავენ სამსიტყვიან წინადადებას (მაგ., „ბავშვები მალაზიაში შევიდნენ“) ცდილობენ, გადააკეთონ ისინი 4, 5, 6-სიტყვიან წინადადებად. აკვირდებიან წინადადების აზრს.

ძირეული წინადადება დაწერილი იქნება დაფაზე. ხდება მისი ანალიზი – რამდენი სიტყვაა, სიტყვაში რამდენი მარცვალია, რამდენია თანხმოვანი, ხმოვანი. რატომ წერია წერტილი. შემდეგ მოხდება სინთეზი.

### VII. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მასწავლებლის მიცემული ინსტრუქციით მოსწავლეები მუშაობენ რვეულში წერით სავარჯიშოებზე.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – კითხვა-თხრობა (8 წთ.)

ეს აქტივობა ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სიტყვების მართლწარმოთქმასა და მართლმეტყველებაზე.

#### III. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (10 წთ.)

ენობრივი სავარჯიშოები შეიძლება შესრულდეს როგორც რვეულში, ასევე დაფაზეც. დაინეროს და გაანალიზდეს მარტივი წინადადება. აღდგეს სიტყვებში გამოტოვებული ხმოვნები და თანხმოვნები. მაგალითად:

ჩასვით გამოტოვებული თანხმოვნები:

· ა ა · უ · ი (საამური);

· ი ა · უ · ი (მხიარული).

ასო-ბგერებით შეადგინე სიტყვები: ს, ს, ს, ნ, უ, ა, ა, ვ, ი;

სავარაუდოდ, მოსწავლეები შეადგენენ სიტყვებს: სასუსნავი, სუნი, სუნავს, ნავი, სია, სასა, ასვა, ვისია;

ყურადღება გამახვილდება თხრობითი და კითხვითი წინადადებების ამოცნობაზე (პრაქტიკულად).

ყურადღება გამახვილდება სიტყვების საზღვრებზე წინადადებაში, წინადადების საზღვრებზე ტექსტში.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – წერა (13 წთ.)

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ მითითებულ წერით სავარჯიშოებს. – აღადგენენ გამოტოვებულ სიტყვებს, ტექსტის მიხედვით შინაარსობრივად დაკავშირებულ სიტყვებს ერთმანეთთან ხაზებით შეაერთებენ, დააკვირდებიან საგნის ნიშან-თვისებების აღმნიშვნელ სიტყვებს, აღადგენენ სიტყვებში გამოტოვებულ ნაწილებს, დააკვირდებიან მოქმედების მიმართულებას.

**გაკვეთილის თემა:** „ზოოპარკში“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- თხრობა ლოგიკური თანმიმდევრობით;
- ბუნებისადმი სიყვარულის, ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების გრძნობის გალვივა, აზროვნების განვითარება;
- სწორი წერის ჩვევების განმტკიცება-განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ ვინ ყოფილა ზოოპარკში, რომელი ცხოველები უნახავთ, რა მოეწონათ, რატომ?

შეიძლება დაიგეგმოს ექსკურსია ზოოპარკში, ან ეს ექსკურსია წინასწარ, გაკვეთილამდე უნდა იყოს ორგანიზებული. რეგიონებში მყოფმა მასწავლებლებმა მოიძიონ შემეცნებითი ვიდეოფილმები, სხვადასხვა რესურსები ზოოპარკის შესახებ და შეხედულებისამებრ გამოიყენონ.

პატარები გადმოსცემენ მარტივ ინფორმაციას ნაცნობ თემაზე.

მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე სიტყვას, მაგ.: „ნიკა“, „ზოოპარკი“, „მგელი“, „გალია“, „წინ და უკან დარბოდა“, „ტყეში წასვლა“...

მოსწავლეები ნაიკითხავენ დაფაზე დაწერილ ლექსიკურ ერთეულებს, ამ სიტყვების გამოყენებით შეადგენენ ამბავს, რომლის მთავარი პერსონაჟი იქნება პატარა ნიკა.

მასწავლებელი მიუთითებს, რომ უფრო მეტს ზოოპარკში ნიკას თავგადასავალზე გაიგებენ მოთხრობის ნაკითხვისას. ბავშვები ემოციურად განეწყობიან ტექსტის წასაკითხად.

#### III. აქტივობა – კითხვა (8 წთ.)

კითხვისას მასწავლებელი იყენებს სასურველ სტრატეგიას – კითხულობს მთლიანად და შემდეგ ანალიზებს ტექსტს, ან კითხულობს ნაწილ-ნაწილ, პაუზებით და გზადაგზა იშველიებს მაპროვოცირებელ და მაკონტროლებელ შეკითხვებს – საჭიროების მიხედვით. აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები. მათი გამოყენებით ზეპირად შეადგენინებს მარტივ წინადადებებს.

ტექსტს კითხულობს კითხვაში განაფული ერთი ან რამდენიმე მოსწავლეც.

#### IV. წუთშესვენება (2 წთ.)

#### V. აქტივობა – კითხვა (13 წთ.)

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე, კითხვის ხარვეზების გამოსწორებაზე, მოსწავლეები თავადვე ასწორებენ კითხვისას დაშვებულ შეცდომებს. ტექსტს ისინი კითხ-

ულობენ მთლიანად, ნაწილ-ნაწილ, გაგრძელებით...

სახელმძღვანელოს რუბრიკის „ამოიკითხე ტექსტიდან“ კითხვების შესაბამისად გაიმართება გამოკრებითი კითხვაც.

## II ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

### II. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (8 წთ.)

ხდება ტექსტის ანალიზი. ისმება სხვადასხვა საანალიზო კითხვები.

მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ნაკითხული ტექსტის მიმართ.

მასწავლებელი კლასს ავალებს, დაასახელონ, განსაკუთრებით რომელი ეპიზოდი მოეწონათ მოთხრობაში.

### III. აქტივობა – დასკვნა (5 წთ.)

ტექსტის გააზრების შემდეგ მასწავლებელი კლასს სთავაზობს დასკვნის გაკეთებას. შეიძლება გაიმართოს ჯგუფური მუშაობა. დასახელება შესაძლო ვარიანტები: ზოგი მიიჩნევს, რომ გალიებში ცხოველების ჩასმა ბოროტებაა, ზოგი კი იტყვის, რომ ადამიანები ზოოპარკებში ეცნობიან და აკვირდებიან ცხოველთა ქცევას. სავარაუდოდ, შეთანხმდებიან, რომ ბუნება მთლიანად მრავალფეროვანია, ლამაზი, გასაოცარი, ცხოველთა მიმართ ადამიანს კეთილი დამოკიდებულება მართებს, ბუნება გაფრთხილებას, მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

### IV. აქტივობა – „შენი აზრით“ (3 წთ.)

მოსწავლეები უპასუხებენ რუბრიკაში დასმულ კითხვებს – ისინი გადმოსცემენ და ასაბუთებენ თავიანთ აზრებს.

### V. წუთშესვენება (2 წთ.)

### VI. აქტივობა – წერა (15 წთ.)

მასწავლებლის ინსტრუქციის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ რვეულებში – ასრულებენ მითითებულ სავარჯიშოებს.

## III ბაკვეთილი

### I. საორგანიზაციო ნაწილი (1 წთ.)

### II. აქტივობა – კითხვა და თხრობა (10 წთ.)

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება თანმიმდევრულ თხრობაზე, სიტყვების მართლწარმოთქმაზე, საერთოდ მართლმეტყველებაზე, ინტონაციებზე და ა. შ.

### III. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (12 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ენობრივ სავარჯიშოებს.

\* წინადადებაში აღადგენენ გამოტოვებულ სიტყვებს და კითხულობენ ;

*\* თანმიმდევრობით, ნომრებით ალაგებენ კვირის დღეებს და კითხულობენ.*

*შეიძლება დაფაზე ჩამოინეროს საგნები (ცხოველების სახელების ჩამონათვალი მხოლოდით რიცხვში, რომელსაც მოსწავლეები შეურჩევენ სახელებს მრავლობით რიცხვში (ბევრი).*

*მასწავლებლის შეხედულებისამებრ, შეიძლება მუშაობა სხვა ენობრივ სავარჯიშოებზეც. მაგ.: წინადადების ანალიზი, სიტყვის ანალიზი, თანხმობანგამოტოვებული სიტყვები, ხმოვანგამოტოვებული სიტყვები, არეული მარცვლების დალაგება, საგანთა ნიშან-თვისებების გამომხატველი სიტყვები, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და ა. შ.*

#### **IV. წუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – წერა (10 წთ.)**

*განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება წიგნიდან გადაწერაზე რვეულში მითითებული სავარჯიშოს მიხედვით.*

**გაკვეთილის თემა:** „ქამა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- კითხვის ტექნიკის განვითარება, გააზრებული კითხვა;
- ლექსის ზეპირად, საჭირო ინტონაციებით გადმოცემა;
- აზროვნების განვითარება;
- წერის უნარების განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – შემეტყნებითი თამაში „პროდუქტი და საჭმელი“ (5 წთ.)

თამაშის შინაარსია იმის გარკვევა, თუ რომელი პროდუქტისგან რომელი კერძის მომზადება შეიძლება. მაგ.: ყველი – ხაჭაპური, ბრინჯი – ფლავი, ხორცი – კატლეტი, სოკო – სალათი და ა. შ. მოსწავლეები ჰყვებიან, კიდევ რომელი კერძის მომზადება შეიძლება ამა თუ იმ პროდუქტისგან. ასახელებენ თავიანთ საყვარელ საჭმელს.

#### II. აქტივობა – პროვოცირება (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ნამდვილ სოკოს, ან უჩვენებს სურათს და ეკითხება:

– რა არის ეს? რა ვიცით სოკოების შესახებ?

მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას სოკოებზე.

სოკო შედგება თავისა და ფეხისგან. ფეხი ბოლოვდება თეთრი ფერის ძაფებით.

სოკოები ძირითადად გავრცელებულია ტყეში, მაგრამ გვხვდება საცხოვრებელ ადგილებთან ახლოსაც. სოკოები ძირითადად წვიმის შემდეგ ჩნდება. ისინი ხის ქვეშ, ნაძვნარში, ფიჭვნარში იზრდება. არსებობს მიწის და ხის სოკო (რომელიც ხეზე ამოდის). სოკოები იყოფა სასარგებლო (საჭმელ) და შხამიან სოკოებად. სოკო ნორჩი და მაგარი უნდა შეგხვდეს. თუ არ იცი სოკოს ჯიშების ამოცნობა, არ შეიძლება მისი საკვებად გამოყენება.

საჭმელი სოკოებია: მანჭკვალა, ქამა, მჭადა, მიქლიო და ა. შ.

#### III. აქტივობა – ტექსტიდან ამოკითხვა (15 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს გადააშლევინებს შესაბამის გვერდზე. უკითხავს ტექსტს ხმამაღლა, მკაფიოდ, შესაბამისი ინტონაციით და შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს (კითხვაში გაწაფულს) აკითხებს.

ამის შემდეგ ამბობს:

– ნაიკითხეთ ლექსის სათაური და ავტორი. მოსწავლეები ასახელებენ.

– რაზე მოგვითხრობს პოეტი? (ერთხელაც აუხსნის, თუ რას ნიშნავს „პოეტი“).

მასწავლებელი აკითხებს რამდენიმე მოსწავლეს ლექსს სათანადო ინტონაციით. უხსნის გაუგებარ სიტყვებს. ამის შემდეგ სვამს ტექსტთან დაკავშირებულ გამომდინარე კითხვებს:

– როგორი სოკოა ქამა?

– როგორ შეცვალა ქამამ ტყისპირი?

- კიდევ რომელი სოკოებია ნახსენები ლექსში?
- მოგეწონა ეს ლექსი? რატომ?

#### **IV. აქტივობა – „გადახაზე ზედმეტი“ (5 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ სახელმძღვანელოში მოყვანილ სავარჯიშოს. წაიკითხავენ და გადახაზავენ. ზედმეტია ასკილი, დანარჩენი ყველა სოკოა.

#### **V. აქტივობა – „იპოვე საერთო მარცვალს“ (5 წთ.)**

მოსწავლეები წაიკითხავენ სიტყვებს, რომლებიც მითითებულია სავარჯიშოში და ეძებენ საერთო მარცვალს, რომელიც ყველა სიტყვაშია და ამოიკითხავენ (კო).

## **II გაკვეთილი**

### **I. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (5 წთ.)**

- მასწავლებელი სვამს კითხვებს, რომლებიც ლექსის სტრუქტურას ეხება.
- სად წერია ლექსის სათაური? (სულ ზემოთ, ფერად ზოლში)
- რამდენი სტრიქონია ლექსში? რამდენი სტროფია?
- რომელ სტრიქონში წერია სიტყვა „ქამა“? „ტყისპირი“? „სოკოფშუტა და შხამა“?
- რომელ სტროფშია მოხსენებული ბავშვების სახელები?

### **II. აქტივობა – ლექსის სწავლა (15 წთ.)**

მასწავლებელი ამბობს:

- მოდი ლექსი ვისწავლოთ ზეპირად. მასწავლებელი თავიდან ბოლომდე წაიკითხავს ლექსს. მერე ამბობს პირველ სტრიქონს ზეპირად და მოსწავლეებიც იმეორებენ. ასევე გაამეორებინებს მეორე სტრიქონს, შემდეგ პირველ ორ სტრიქონს ერთად და ა. შ. ბოლოს ამბობენ I სტროფს. ასევე შეისწავლება მეორე სტროფიც. შემდეგ მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად იტყვიან ლექსს ზეპირად. შემდეგ ინდივიდუალურად, რამდენიმე მოსწავლე გაიმეორებს სურვილისამებრ.

### **III. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულის მითითებულ გვერდზე სავარჯიშოებს

ერთ-ერთი საწერი სავარჯიშოა დაფიდან გადაწერა. მასწავლებელი დაფაზე წერს საჭმელ სოკოებს და მოსწავლეები გადაწერენ: მანჭკვალა, ქამა, მჭადა, მიქლიო, არყა, ნიყვი.

## 208-ე, 209-ე გაკვეთილი

**გაკვეთილის თემა:** „პატარა გემი და პატარა დელფინი“

**გაკვეთილის მიზანი:**

- მოსწავლეთა ჩაბმა სასწავლო ინტერაქციაში: „რა იციან, ან რა ჰგონიათ რომ იციან ზღვის შესახებ?“
- ხმამაღლა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის დაუფლება;
- მინიდიკუსიაში ჩაბმა; ზღვის თემატიკის შემოტანით საზაფხულო განწყობის შექმნა;
- სამოქალაქო და ადამიანური ღირებულებების განვითარება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, სლაიდ-შოუ ზღვის შესახებ

### გაკვეთილის მსვლელობა

#### **I. აქტივობა – პროვოცირება (5 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს გამოცანას:

ხან მრისხანია და ხანაც მშვიდი

არ გაიდება იმაზე ხიდი (ზღვა)

#### **II. აქტივობა – აზრობრივი რუკა (10 წთ.)**

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას: ზღვა. მოსწავლეები იხსენებენ ყველაფერს ზღვასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, იხსენებენ დელფინსაც. ახსენებენ გემს და მეთევზესაც. შესაძლებელია იცოდნენ შავი ზღვის შესახებაც. მასწავლებელი მოსწავლეთა აზროვნებას ააქტიურებს დელფინზე და გემზე.

#### **III. აქტივობა – „ვიდეოფილმის ჩვენება“ (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს წინასწარ მომზადებულ ვიდეოფილმს დელფინზე, ან ზღვის შესახებ.

#### **IV. აქტივობა – „ტექსტის კითხვა ხმამაღლა ფიქრის მეთოდით“ (10 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ხმამაღლა უკითხავს ტექსტს და იყენებს ხმამარლა კითხვის ყველა სტრატეგიას: ვარაუდების გამოთქმა, ვიზუალიზება, პიროვნული რეაგირება, შეკითხვების დასმა, სიტყვების განმარტება, დასკვნა-შეჯამება.

მასწავლებელი თავდაპირველად უკითხავს ტექსტის სატაურს და გამოათქმევინებს ვარაუდებს ზღაპრის შესაძლო შინაარსის შესახებ. ტექსტი მცირე მოცულობისაა, მაგრამ ემოციური და დინამიური, ამიტომ მასწავლებელს შეუძლია ყოველი წინადადების ბოლოს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება და მოსწავლეთა აქტიური ჩაბმა ამ პროცესში. აქვე განიმარტება უცხო სიტყვები და გამოთქმები: „თავი მოჰქონდა“ - თავი მოსწონდა; „სული მოითქვა“ - შეისვენა.

მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას წაკითხული ტექსტის მიმართ: რა იგრძნეს, რა განიცადეს, რა გაუხარდათ და ა.შ.



## II ბაკვეთილი

### I. აქტივობა – ტექსტის კითხვა-ანალიზი (10 წთ.)

ტექსტის გამთლიანების მიზნით, მასწავლებელი აკითხებს ტექსტს კითხვაში განაფულ მოსწავლეს. შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს ვარჯიშობენ კითხვაში და ასრულებენ სავარჯიშოებს ტექსტის გაგება-გააზრების მიმართულებით. იყენებს გრაფიკულ სქემას: „ამბის თანმიმდევრობა“. სქემა სამნაწილიანია. გამოყოფილია ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. მოსწავლეები თანმიმდევრულად იხსენებენ, თუ რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ეს ამბავი. მოსწავლეები ტექსტის ბოლოს დასმულ კითხვებს კითხულობენ და პასუხს სცემენ.

### II. აქტივობა – „გმირის რუკა“ (5 წთ.)

მასწავლებელი ამბობს:

-დაასახელეთ ამბის გმირები. მოსწავლეები ასახელებენ და იყენებენ „გმირის რუკის“ გამარტივებულ სქემას. ახასიათებენ მთავარ პერსონაჟებს და მსჯელობენ მათი ქმედებების შესახებ.

### III. აქტივობა – „შეჯამება-დასკვნა“ (10 წთ)

მოსწავლეები ასრულებენ ტექსტის ბოლოს მოცემულ სავარჯიშოებს:

„შეურჩიე რა სიტყვები შეესაბამება ორივე მეგობარს“ და შეარჩევენ სწორ პასუხს.

მოცემული სიტყვებიტ ადგენენ წინადადებას.

აკეთებენ დასკვნას: რას გვასწავლის ეს ზღაპარი?

### IV აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ რვეულის მითითებულ გვერდზე წერით სავარჯიშოებს

**გაკვეთილის თემა:** „მზე და წვიმა“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- მოსწავლემ განივითაროს კითხვის უნარ-ჩვევა;
- სხვადასხვა ხერხით აღიქვას ნაკითხული ტექსტის შინაარსი;
- გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი, შეძლოს მარტივი ინფორმაციის გადმოცემა და საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- განივითაროს წერის უნარი. შეძლოს მარტივი წინადადებების შედგენა და მოცემული სიტყვების ჩასმა წინადადებაში საჭირო ადგილას.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, მარკერი.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. აქტივობა – პროვოცირება – სიტყვის სინთეზი (2 წთ.)

მასწავლებელი იტყვის: მე „გადმოგიგდებთ“ ბგერებს თქვენ უნდა დაიჭიროთ, შეადგინოთ სიტყვა. რა გამოვიდა? (შეადგენენ სიტყვა „მზე“-ს).

დაფაზე წრეში ჩანერს ან დახატავს მზეს.

ახლა სხვა სიტყვა შევადგინოთ. რა გამოვიდა? (წვიმა)

ეს სიტყვებს დაფაზე დანერს. შეიძლება მზე დახატოს კიდეც.

(მასწავლებელი ხელისგულით იჭერს სიტყვებს. ახდენს იმპროვიზებას)

#### II. აქტივობა – ასოციაციური რუკა (5 წთ.)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

– როგორია მზე? რას უკავშირებთ? რას გახსენებთ? (პასუხები: ცხელი, ნათელი, კაშკაშა, ზაფხული, ზღვა, დარი, არდადეგები)

– წვიმა? (ცივი, თბილი, შხაპუნა, გაზაფხული, ქოლგა, ღრუბელი, ავდარი, ტალახი)

წრეების ირგვლივ, სადაც ჩანერილია ეს სიტყვები, მასწავლებელი წერს ყველა სიტყვას, რასაც ბავშვები დაასახელებენ.

#### III. აქტივობა – გამოცანების გამოცნობა (3 წთ.)

– აბა, ახლა ვიტყვი გამოცანას, თქვენ უნდა გამოიცნოთ:

მასწავლებელი ამბობს ორ გამოცანას. მოსწავლეები ამბობენ პასუხს (წინა აქტივობები დაეხმარებათ ამ გამოცანების გამოცნობაში).

„ხან შხაპუნა, ხან კი ნელი, იმით ხარობს მთა და ველი“ (წვიმა)

„ყველას ათბობს, ასაზრდოებს, ღამეს აქცევს ღლედ, კაშკაშა და მცხუნვარეა, რა იქნება?“ (მზე)

#### IV. აქტივობა – მუშაობა წყვილებში (10 წთ.)

მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად და აძლევს დავალებას. წარმოიდგინეთ, რომ მზე და წვიმა შეხვდნენ ერთმანეთს. რას ეტყოდნენ ერთმანეთს საკუთარ თავზე? რით შეიქებდნენ თავს? (სავარაუდო კითხვებსა და პასუხებს ბავშვები წყვილებში ჩამოაყალიბებენ და მასწავლებელი მოისმენს მათ ვარაუდებს, ეუბნება: ახლა ჩვენ ნავიკითხავთ მოთხრობას და გავიგებთ, სინამდვილეში რა უთხრეს ერთმანეთს მზემ და წვიმამ.

**V. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)**

მასწავლებელი გადააშლევინებს სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე და ხმამაღლა, გარკვევით უკითხავს ჯერ გამოცანებს, შემდეგ ტექსტს: „მზე და წვიმა“. თან არკვევს, ვინ უფრო სწორად გამოიცნო, რა უთხრეს ერთმანეთს მზემ და წვიმამ.

ამის შემდეგ აკითხებს რამდენიმე მოსწავლეს. ხსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს.

შესაძლებელია ტექსტის კითხვა როლებად. მოსწავლეები დაიყოფიან სამკაციან ჯგუფებად და გაუნაწილდებათ პერსონაჟთა „როლები“ (მზე, წვიმა, მთხრობელი).

**VI. აქტივობა – ამოკითხე ტექსტიდან (5 წთ.)**

მასწავლებელი სვამს კითხვებს. პასუხებს მოსწავლეები ამოკითხავენ ტექსტიდან (გარდა საბოლოო შეკითხვისა).

– რით იწონებს თავს მზე? წვიმა?

– რას საყვედურობენ ისინი ერთმანეთს?

– რაზე შეთანხმდნენ მზე და წვიმა?

მოგწონთ თუ არა მათი შეთანხმება? სწორად მოიქცნენ ისინი?

შენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვა შეთანხმება? (გამოთქვან ვარაუდები)

**II ბაკვეთილი**

**I. აქტივობა – ხატვა (10 წთ.)**

მოსწავლეები ხატავენ მზეს და წვიმას, მზიან და წვიმიან დღეს.

**II. აქტივობა – „რა როგორია?“ (3 წთ.)**

მასწავლებელი სვამს კითხვას: – რა როგორია?

მოსწავლეები აერთიანებენ სიტყვებს ნიშან-თვისებათა მიხედვით და ზეპირად პასუხობენ.

მზე – მცხუნვარე, კაშკაშა, ჩახჩახა.

წვიმა – ყუყუნა, შხაპუნა, კოკისპირული.

**IV. აქტივობა – „დაასრულე წინადადებასაჭირო სიტყვებით“ (3 წთ.)**

სავარჯიშოში მითითებულია სიტყვები მოსწავლეები არკვევენ, რომელი სიტყვა რომელ წინადადებას შეეფერება (აშუქებს, ასველებს, ამნიფებს, რწყავს).

მზე დედამიწას აშუქებს.

წვიმა დედამიწას რწყავს.

მზე ხილს ამნიფებს.

წვიმა ბალებს და ბოსტნებს ასველებს.

(განიხილება ყველა ვარიანტი და შეირჩევა სწორი)

**V. აქტივობა – წერა (15 წთ.)**

მოსწავლეები რვეულში ასრულებენ მითითებულ სავარჯიშოებს.

1. ერთ-ერთია წერა კარნახით. მასწავლებელი უკარნახებს მარტივ ტექსტს და მოსწავლეები რვეულში წერენ:

წვიმს. ცა მოღრუბლულია. . წვიმამ გადაიღო. მზემ გამოანათა. ირგვლივ ყველაფერი ახმაურდა.

**გაკვეთილის თემა:** „ზაფხული“.

**გაკვეთილის მიზანი:**

- საარდადეგო განწყობილების შექმნა;
- კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ზეპირმეტყველების განვითარება – მარტივი ინფორმაციის გადმოცემა, სურათების აღწერა, ტექსტთან დამოკიდებულების გამოხატვა;
- პოეტური ნაწარმოების აღქმა;
- აზროვნების განვითარება, საკუთარი აზრის დასაბუთება.

**საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, მოსწავლის რვეული.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – პროვოცირება (8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

- დააკვირდით ილუსტრაციას, წელიწადის რომელ დროს შეიძლება ასეთი სურათი იხილოთ?
- წელიწადის რა დრო მოსდევს გაზაფხულს?
- რით განსხვავდება ზაფხული გაზაფხულისგან?
- რომელია ზაფხულის თვეები?
- საზაფხულო არდადეგები როდის იწყება?
- ყველაზე მეტად ზაფხულის რომელ თვეს ცხელა?
- როცა ძალიან ცხელა, ადამიანები თავს სად აფარებენ?
- სად მიდიან ადამიანები დასასვენებლად?
- თუ იცით, არის თუ არა დედამიწაზე ადგილი, სადაც სულ ზაფხულია? თქვენ თუ იცხოვრებდით ასეთ ადგილას?

დაფაზე უნერს სიტყვებსა და გამოთქმებს: „ზაფხული“, „არდადეგები“, „ჩახჩახა მზე“, „რაკრაკა მდინარე“, „თამაში და გართობა“, „ბავშვების ყრიაშული“.

– წაიკითხეთ დაფაზე დაწერილი სიტყვები და მათი გამოყენებით შეადგინეთ პატარა ამბავი ზაფხულზე.

მოსწავლეები მარტივი წინადადებებით ადგენენ პატარა მოთხრობას ზაფხულზე. შეურჩევენ შესაფერის სათაურს, მსჯელობენ, თუ რატომ დაასათაურეს ამგვარად. ეს აქტივობა შესაძლებელია ჩატარდეს ჯგუფური მუშაობით.

#### III. აქტივობა – კითხვა (5 წთ.)

ლექსს მასწავლებელი კითხულობს მთლიანად, შესაბამისი ინტონაციით. ცდილობს, ბავშვებში აღძვრას საჭირო ემოციები.

ამის შემდეგ ტექსტს კითხვაში განაფული ერთი ან რამდენიმე მოსწავლეც წაიკითხავს.

#### **IV. ნუთშესვენება (2 წთ.)**

#### **V. აქტივობა – ტექსტის ანალიზი (8 წთ.)**

ამჟამად ტექსტი წაიკითხება ნაწილ-ნაწილ, აიხსნება უცნობი სიტყვები და გამოთქმები, ყურადღება გამახვილდება მხატვრულ სახეებზე: „გარუჯული“, „ზვირთები“, „ჩქაფუნი“, „ცვრის საყურე“, „ციური წყალობა“...

ახსნილი სიტყვებით მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება მარტივი წინადადებები შეადგენინოს.

მასწავლებელი ხელს უწყობს პოეტური ტექსტის აღქმას, უმარტავს, თუ როგორი ინტონაციებით უნდა წაიკითხონ ლექსი.

#### **VI. აქტივობა – „ამოიკითხე ტექსტიდან“ (7 წთ.)**

პასუხს რუბრიკაში მოცემულ კითხვებზე მოსწავლეები პოულობენ ლექსში და კითხულობენ.

ვარჯიშობენ ტექსტის შესაბამისი ინტონაციით კითხვაში.

#### **VII. აქტივობა – „შენი აზრით“ (3 წთ.)**

მოსწავლეები გამოხატავენ ტექსტთან, თემასთან დაკავშირებულ განწყობილებებს, გაიხსენებენ ზაფხულით აღძრულ შთაბეჭდილებებს და ასკვნიან, რომ წელიწადის ეს უმშვენიერესი დრო ადამიანებმა ხალისიანად და შინაარსიანად უნდა გაატარონ.

### **II ბაკვეთილი**

#### **I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)**

#### **II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში „ტყუილია თუ მართალი?“ (5 წთ.)**

მასწავლებელი წარმოთქვამს წინადადებებს. თუ აზრი სწორია, მოსწავლეები ამბობენ „მართალია“, თუ არა – „ტყუილია“.

– ზაფხულში თოვლი მოდის. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

– ზაფხულში ცხელა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– მარტი ზაფხულის თვეა. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

– აგვისტო ზაფხულის ყველაზე ცხელი თვეა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– ზაფხულში ადამიანები მდინარეში და ზღვაში ბანაობენ. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– ზაფხულში ბავშვები ციგით სრიალებენ. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

– ზაფხულში ტყეში სასიამოვნოდ გრილა. ტყუილია თუ მართალი? (მართალია)

– ზაფხულში ფრინველები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ტყუილია თუ მართალი? (ტყუილია)

#### **III. აქტივობა – კითხვა (8 წთ.)**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს შესაბამისი ინტონაციით კითხვაში.

#### **IV. აქტივობა – ენობრივ ერთეულებზე მუშაობა (10 წთ.)**

მოსწავლეები შეასრულებენ სავარჯიშოს წიგნიდან. დააკვირდებიან ტექსტს და ნიშან-თვისებათა გამოხატველ სიტყვებს სათანადო საგანთა სახელებს შეუსაბამებენ: დღეები გარუჯული, ჩანჩქერი მომლერალი, ტყეები ჩრდილიანი.

ტექსტში მოძებნიან ერთმარცვლიან, ორმარცვლიან და ა. შ. სიტყვებს.

შესაძლებელია, დაფაზე შესრულდეს სავარჯიშო: „შეავსე ხმოვნებით“. მაგ.:

ზ.ფხ.ლ. (ზაფხული)

ჩ.ჩქ.რ. (ჩანჩქერი)

ჩ.ტ.ნ.ბ. (ჩიტუნები)

#### V. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები მუშაობენ წერიტი სავარჯიშოების / ნაწილზე.

### III ბაკვეთილი

#### I. საორგანიზაციო ნაწილი (2 წთ.)

#### II. აქტივობა – შემეცნებითი თამაში: „რომელია ზედმეტი?“ (3 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ჩამოუთვლის ზაფხულის თემასთან დაკავშირებულ სიტყვებს, რომელთა შორის ერთი ზედმეტიც ურევია, მოსწავლეებმა ზედმეტი სიტყვის გაგონებისთანავე ტაში უნდა შემოჰკრან, დაასაბუთონ, რატომაა ეს სიტყვა ზედმეტი. მაგ.:

მდინარე, დასვენება, ზღვა, ცურაობა, ჭყუმპალაობა, გართობა, თამაში, ყვავილები, თოვლი.

#### III. აქტივობა – კითხვა (10 წთ.)

მოსწავლეები ლექსს კითხულობენ სათანადო ინტონაციით.

#### IV. აქტივობა – თემის ანალიზი „დაალაგე თანმიმდევრობით“ (8 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს წიგნში „დაალაგე თანმიმდევრობით“. ისინი იხსენებენ და თანმიმდევრულად ალაგებენ ზაფხულის თევებს. (ივნისი, ივლისი, აგვისტო). ერთხელაც აღწერენ ზაფხულს.

საუბრობენ თემაზე: „სად აპირებენ ზაფხულის არდადეგების გატარებას“, – ვინ მიდის სოფელში? მთის კურორტზე? ზღვაზე? ხომ არ მიდის ვინმე სამოგზაუროდ? ხომ არ აპირებენ სამოგზაუროდ წასვლას უცხო ქვეყანაში? რომელ ქვეყანაში ისურვებდნენ მოგზაურობას, რატომ? რომელ ტრანსპორტს აირჩევენ მოგზაურობისთვის? რას წაიღებდნენ თან? რას ნიშნავს სიტყვა „აგარაკი“? აქვს თუ არა ვინმეს აგარაკი? სად მდებარეობს იგი?

#### V. წუთშესვენება (2 წთ.)

#### VI. აქტივობა – წერა (10 წთ.)

მოსწავლეები ასრულებენ წერიტი სავარჯიშოების მეორე ნაწილს. წერენ კარნახით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მარტივი ხელნაწერი ტექსტის გაფორმებაზე, ტექსტის სათაურისა და ძირითადი ნაწილის გამოყოფაზე.

მასწავლებელი უკარნახებს მარტივ ტექსტს „ზაფხული“:

დადგა ზაფხული. მზე ძალიან აცხუნებს. ყველა ჩრდილში იმალება. ადამიანები ზღვაზე და მთაში მიდიან. ზაფხული წელიწადის ცხელი დროა.

საგაკვეთილო თემები ამოიწურა. მასწავლებელი მოსწავლეებს ხალისიან არდადეგებს და ზაფხულის შინაარსიანად გატარებას უსურვებს.

შემდგომ აქტივობას, რომელიც ალბათ სასწავლო წლის დამთავრების საზეიმოდ აღნიშვნა იქნება, მასწავლებელი სურვილისამებრ დაგეგმავს.

## დამატებითი მასალა

ზეპირმეტყველების გასავითარებლად და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად გთავაზობთ ანბანის მიხედვით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს. მათში თითოეული ასო-ბგერა პერსონაჟადაა წარმოდგენილი. მოსწავლეები ხალისით ხვდებიან მათთვის უკვე ნაცნობ და საყვარელ ასო-ბგერებს და ისე აღიქვამენ და ახასიათებენ, როგორც ცოცხალ არსებებს, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას, გამოთქვამენ აზრს, რა მოსწონთ მათ ქცევაში და რა არა.

ამ ტექსტების მიხედვით მასწავლებელს შეუძლია, სხვადასხვა ენობრივ მასალაზე ავარჯიშოს მოსწავლეები (ზედსართავი სახელები, ფრაზეოლოგიური გამოთქმები), მოაძებნინოს პარალელები განვლილ მსგავსი თემატიკის კლასიკურ ტექსტებთან.

მასწავლებელს შეუძლია ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტექსტები გამოიყენოს ღონისძიებებისა თუ პარასკევის შემაჯამებელი გაკვეთილებისთვისაც. მოსწავლეებს შეუძლიათ გაითამაშონ როლები ტექსტების მიხედვით. ასო-ბგერებზე შექმნილი ეს ტექსტები წლების განმავლობაში ზეპირი სახით გამოიყენებოდა სხვადასხვა სკოლაში და დაკვირვებამ ცხადყო მისი პრაქტიკული ღირებულება და ეფექტურობა.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს. მასწავლებლებს შეუძლიათ, სურვილისამებრ შეცვალონ მოცემული ტექსტების შინაარსი ან დანარჩენ ასო-ბგერებზე შეადგინონ ნიმუშები.

### ბ

**ბ** ბუდეში ბარტყივით განაბულა, ჯერ ბუმბული არ ამოსვლია, გამბედაობაც აკლია. ის პატარაა, მაგრამ ბევრი ნატვრა აქვს:

– ეჰ, რა იქნება, ქარმა დაუბეროს და მთა-ბარი მომატაროს!

– რამდენ საოცრებას გადავანყდებოდი! რამდენ მეგობარს გავიჩინე! მობიბინე მინდვრებსა და ბალ-ბოსტნებს თვალს გადავაველებდი! – ოცნებობდა **ბ** და ამ ფიქრებში გართულს ტკბილად ჩაეძინა.

### გ

გამრჯე **გ** გულაჩქორობებული ელოდება გაზაფხულის დადგომას, გახარებული უსმენს მიწის გუგუნს, ზეცის გრგვინას. ის გულდაგულ ემზადება იმისათვის, რომ მიწას გუთნით გული გადაუხსნას და შიგ მარცვალი ჩააგდოს. ხნულში გაბნეული მარცვლებიც აღარ აგვიანებენ ამოსვლას და გულლიად ეგებებიან გაზაფხულს.

### ე

**ე** ენძელას შეჭვარებოდა. უცებ თავს ენაჭარტალა და გესლიანი ეკალი წაადგა. ე-ს ელდა ეცა და შეევე-დრა: – ნუ დამკანრავ, ნუ დამიხევ სამოსს. ეკალი გაჯიუტდა, მაგრამ ენაწყლიანი **ე** იმდენ ხანს ელაპარაკა, ეალერსა, ეფერა, ეკეკლუცა, რომ ბოლოს მოხიბლა და დაუმეგობრდა კიდევ.

ახლა ეკალი ერთგულად იცავს ორივეს – **ე**-ს და ენძელას. ისინიც ენდობიან მას და აღარ ეშინიათ მისი.

### ვ

**ვ** ტრაბახობდა:

– გავარვარებული ვულკანივით ვიფრქვევი, უძლეველი ვარ, ვერაფერი მაშინებს. ვეფხვიც კი ვერ მომერევა!

– ნუ იკვებნი! – უსაყვედურეს აქეთ-იქიდან. – ვის გაუგია ამდენი თავის ქება, ვითომ რით ხარ სხვაზე უკეთესი! გირჩევნია, თავმდაბალი იყო.

### ზ

**ზ** მიდიოდა და გზადაგზა ყველას თავის შეთხზულ ზღაპრებს უამბობდა დაუზარებლად. მის ზღაპრულ ქვეყანაში ზვრები ზამთარ-ზაფხულ ზურმუხტისფერი იყო, მზესუმზირებს უზარმაზარი ყვითელი ყვავილები ჰქონდათ. **ზ**-ს სტუმრობა ყველასთვის ზეიმი იყო, მხოლოდ ზარმაცები ხვდებოდნენ ზღაზენითა და ზმორე-ბით, მოსმენა ეზარებოდათ. **ზ** მაინც მზად იყო, თავისი ზღაპრები ყველასთვის მოეყოლა.

### კ

უცებ ასკილის კვირტი გასკდა და იქიდან კუდრაჭა კ კისკისით ჩამოსკუბდა. მან მთელი დღე კალიასავით იხტუნა: ჯერ რაკრაკა ნაკადულს გაეკეკლუცა, შემდეგ კალმახებსა და კიბორჩხალებს გამოელაპარაკა, ზემოდან გაკაპასებული კოდალას კაკუნი რომ შემოესმა, აკისკისდა, გაუკვირდა, ასე რამ გააცხარაო.

დალამდა. კ კვლავ ასკილს შეეკედლა. ამ დროს კაშკაშა ვარსკვლავებმა ციდან კიბე გადმოკიდეს და კუდრაჭა კ თავისთან მიიპატიჟეს.

### გ

გ დანამულ მინდვრებში ნიავევით დანავარდობს. ის ანცი და თავნებაა, თავის ნება-სურვილზე დაქრის. გ-ს ამ ნეტარებაში გაჰყავს დრო. ზოგჯერ მოსწყინდება ნებივრობა და ნანობს: – დრო უსაქმურობაში გამიფრინდაო! თუმცა თავს მაინც იმართლებს: – რა ვქნა, ასეთი ვარო!

### ო

– ოოჰ, ოოოჰ, როგორ დავილაღე! – ოხრავს ო და ორლობის ოღროჩოღრო გზაზე ძლივს მიაბიჯებს.  
– უჰ, შე ოტროველა, შენა! – შეუტიეს ოჯახის ნევრებმა. – თუ არ შეგიძლია, რას დაეხეტები ტყეში, ოჩოპინტრე ხომ არ ხარ? ის გირჩევნია, შინ დარჩე და საქმეს მიხედო!

### პ

პ სიტყვის პატრონია, პირობა არასდროს დაურღვევია. მას არც პირფერობა და ორპირობა სჩვევია.

პ ცდილობს, პირი არ შეირცხვინოს. კარგად იცის: ჯობს არ შეჰპირდე, ვიდრე დაპირება არ შეასრულო.

### ჟ

საიდანლაც ჟღარუნი გაისმა.

– ეჟვანში ვარ, გესმით ჩემი? – ჟღარუნებდა ჟ. – აქეთ-იქით ვეხეთქები და გვერდები სულ დამეჟეჟა. როგორ ბნელა! შიშისგან ტანში ჟრუანტელი მივლის!

გარეთ ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა. ამ ხმებს ჩიტების ჟღურტული ემატებოდა. ჟღარუნა ჟ მათ აჰყვა და გამხიარულდა, შიში და ჟრჟოლა სულ დაავიწყდა. მერე ძალა მოიკრიბა და იმ დღიდან სულ ხალისიანად ჟღარუნებდა.

### უ

უ-ს ერთი ბუნაგი ამოერჩია და შიგ კუნძივით უმოძრაოდ იდო. ის დროს უქმად ატარებდა და ყველას-ათვის ურგები და უსარგებლო იყო.

გარეთ კი ყველა ფუსფუსებდა და შრომობდა.

ერთხელ უ-ს ბუნაგიდან გამოსვლა მოუნდა – მეც უსათუოდ რამე უნდა გავაკეთოო, მაგრამ ნურას უკაცრავად! საკუთარ თავს ძვრაც ვერ უყო. ამდენ ხანს უქმად გდებისგან ისე დაუძღურებულყო, რომ განძრევაც კი ვერ შეძლო.

### ქ

აქლემის კუზზე ამხედრებული ქ ქარავანს ქალაქისკენ მოუძღვებოდა. ამაყად მოქანაობდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა – ქალამნად. უეცრად ქარავანს საიდანლაც გაჩენილი ქინქლების გუნდი დაესხა თავს. ქ-ს გული შეუქანდა, იკადრა ჩამოქვეითება. ქინქლებთან გამკლავება ადვილი არ იყო. ქარს შეებრალა უსუსურად დარჩენილი ქ, ერთი ჩაიქირქილა, დაქროლა და ქინქლების გუნდი გაფანტა.

### ღ

ღ დაღონებული იჯდა და დღისა და ღამის კამათს უსმენდა. ვერ გადაენწყვიტა, რომელს მიმხრობოდა.

დღე თავს ინონებდა: – დღისით მზეზე ღიღილოები ღიღინებენ, ღაბუა ბელურები ღაღობენ, მწვანედ მოღალანე ბალახი ბიბინებს.

ღამე კი ღრუბლების შავ მოსასხამს ღამურას ფრთებივით შლიდა და ტრაბახობდა: – მე რომ არ ვიყო, ვერც ვარსკვლავებს დაინახავდით, ვერც მთვარეს, ვერც ციციანათელას შეამჩნევდით, არც ძილი და მოსვენება არ გექნებოდათ.

უცებ მალლიდან მტრედის ღუღუნი გაისმა, ღ-ს არიგებდა:

– ღირსეულად მოიქეცი, არც ერთს არ აწყენინო.



ლ-ს სახეზე ღიმილი გადაეფინა, დღესა და ღამეს მიუახლოვდა და მოკამათენი ამ სიტყვებით შეარიგა: „ტყუილად ლელავთ, ორივე ერთნაირად საჭირო ხართო“.

### ც

ც თვალებს აქეთ-იქით ცნობისმოყვარედ აცეცებდა, გაფაციცებით იცქირებოდა, ცმუკავდა, ყველაფერში ცხვირს ყოფდა, ყველაფერი აინტერესებდა:

- ვის უცინის ცხრათვალა მზე?
- ვინ ჩაკეტა ცხრათავა დევმა ცხრაკლიტულში?
- როდის ჩნდება ცისარტყელა ცაზე?
- რას აცმაცუნებს ციცქნა ციყვი?

ერთი უცნაური თვისებაც ჰქონდა ც-ს. ზოგჯერ სიტყვას ბოლოში მიუცუცქედებოდა ხოლმე და თავს ზედმეტად სულაც არ გრძნობდა: – ხანდახან მეც საჭირო ვარო!

### ძ

ძილისგუდა ძ-ს ძეძვის ძირას ისე ეძინა, თითქოს ძილქუში დასწოლოდა.

იქვე ძენწა იდგა, ნაზი და ალერსიანი. ის ძიძასავით უვლიდა ძ-ს. ძალ-ღონეს არ იშურებდა მისთვის: დილით მზეს უჩრდილავდა, საღამოს კი ძილისპირულს უმღეროდა. ძენწას მხოლოდ ის ანუხებდა, რომ მძინ-არა ძ დღისით დიდხანს ძილს ვერ გადააჩვია.

### წ

- ენა წინ ნუ გისწრებს! – გულწრფელად აფრთხილებდნენ წ-ს თავისი პანია მეგობრები. ის კი წამდაუნუმ ხან რას წამოროშავდა და ხან – რას. მისი ყოველი დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვა ზოგს წკეპლასავით ხვდებოდა, ზოგს – წკიპურტივით. ბევრს ეცადნენ წ-ს გამოსწორებას, მაგრამ ამოდ, ვერაფერს გახდნენ, წყლის ნაყვა გამოდგა მასთან ლაპარაკი.